კვირის პალიტრა

გზა

N38 (328) 21/IX-27/IX.2006. ფასი

1168
2006

გზავნილები სექსი „ავტოპილოტთან“ ანუ ამ სალამოს რას აკეთებ?

ეკა ხოფერია ინგა გრიგოლიას პირადი ცხოვრებით დაინტერესდა

გიო ხუციშვილისა და ნატო გელაშვილის ძველი ოინები

რა დაგეგმა ნიკა ტაბატაძემ საკუთარ კაბინეტში დიმა ოხოლაძესთან ერთად

ნაშიმშილარი და ტრანსში ჩავარდნილი გია ნიკოლაძე

რეალური შოუ

წყვილმა ურთიერთობის ყველა დეტალი საჯაროდ აქცია...

1924 წლის სისხლიანი ქრონიკა

...უკანასკნელი მოჰიკანები“

თემა — კლიმაქსი: 68 წლის ქალისა და მისი ბოიფრენდის ამბავი

ყველანაირ!

არ გამოგრჩეთ!

№19(54), 22 სექტემბერი–5 ოქტომბერი, 2006

ფასი 80 თეთრი

ქრონიკა

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ჯვარი

მე სამჯერ ჯვარს გამოვსახავდი საკვებს და პრაფერი შემგვყრია

დედას სახარება გამოვართვი, ჩავიკეტე ჩემს ოთახში და ნიგნი გადავშალე

„როდესაც ამ ღმერთშემოსილ დედებზე ვსაუბრობდი, ბევრს მათი ცხოვრება და სასწაულები დაუჯერებლად ეჩვენებოდა“

სპეციალური საბა:

შვილო, მე კი ვილოცებ, მაგრამ შენც უნდა იმარხულო

განახლებული მონასტერი ნლეულს ალავერდობისთვის განსაკუთრებულად ემზადება

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№38 (328)
21 — 27 სექტემბერი, 2006
ფასი 60 თეთრი

სასკოლო სიახლეები: ათბალიანი სისტემა და სანახევროდ „ქართული“ ფორმა

გვადი ბიგვასი არ იყოს, ჩვენმა განათლების მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა „დეითვალეს და წრეულს პირველი სექტემბერი მუუწია“ 18-ში, 25-ში ან სულაც — 2-ში (ოქტომბრის)...

10

რაც გინახავს, ველარ ნახავ

„მაღაზიიდან რომ ამოვედი, ის ტელეფონზე ლაპარაკობდა: წუხელ „ავტოპილოტით“ მოვედი, ამ დილით „ავტოპილოტმა“ სექსი მომთხოვა, მე კი ვკვდები, ისეთ ღლეში ვარო... — ამბობდა. ნეტავ, ვის ელაპარაკებოდა?..“

24

ბიორგი ფოჩხუას მასზე 3 წლით უფროსი გოგონა შეუყვარდა

„მიყვარს ერთი გოგონა, რომელიც ჩემზე 3 წლით უფროსია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ის გოგონა თბილისში გავიცანი, პროფესიით იურისტია...“

62

კლიმაქსი — ნაადრევი სიბერე...

„კლიმაქსი ანუ უფრო სწორად — კლიმაქტერიული პერიოდი თავისი არსით არ წარმოადგენს დაავადებას ან დაავადებათა კომპლექსს, არამედ, ისევე, როგორც რეპროდუქციული ასაკი, ესეც ქალის ცხოვრების ფიზიოლოგიური პერიოდია“.

32

■ მინიატურები
„მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“ ანუ გილოცავთ ძველით ახალ სასწავლო წელს!.. 3
■ ერთი კითხვა 4
■ უცხოური პრესა
საქართველომ რუსეთს ხელთათმანი ესროლა... 6
ასპარეზი
დუშან უგრინი — „დინამოს“ მეოთხე უცხოელი მწვრთნელი 6
■ ჟურნალისტის როლში
რას ერჩოდნენ ჭიჭიკო და ბიჭიკო ეკა ხოფერიას, ინგა გრიგოლიასა და დიმა ობოლაძეს... 8
■ საზოგადოება
ათბალიანი სისტემა, დირექტორის კოლექტიური უფროსი და სანახევროდ „ქართული“ ფორმა 10
■ კრიმინალი
✓ „მოკალი და ბარემ სულყველა დავხოცოთო“ 13
✓ მარიამობასჩადენილისასტიკიდანაშაული 15
■ ონლაინ-ურთიერთობა
ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით 17
■ ოგონებები
გაშიშვლებული ზურა დოიჯაშვილი, „გაბინტული“ ვანიკო თარხნიშვილი და... 20
■ ამპლუა
„ჯოკონდას“ სახე, ნაშიმშილარი პოეტი ანუ ვინ აცლის ენერგიას გია ნიკოლაძეს 22
■ გზავნილები
რაც გინახავს, ველარ ნახავ 24
■ ანტიდეპრესანტი 28
■ სამშობლო
ზღვა, რომელიც ჯერ ისევ შორია... 28
■ ნამდვილი ამბავი
მიცვალებულის დაბრუნება... 31
■ თემა
კლიმაქსი — ნაადრევი სიბერე ... 32
■ რეპერი
მონასტრიდან ქართულ რეპში „გაჩითული“ 34
■ ტაიმ-აუტი 36

■ რომანი

ზაზა ვაჩნაძე.

ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

■ ქართველები

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის

სისხლიანი ქრონიკა ანუ

თავისუფლებისთვის მებრძოლი

უკანასკნელი მოჰიკანები 43

■ წინასწარმეტყველი

შეშლილი მხატვარი მომავალს ხატავდა... 44

■ ჯანმრთელობა

✓ როგორ დავნიოთ მჟავიანობა?

✓ როგორ ვიკვებოთ?

✓ რა დაიცავს კუჭს? 46

✓ ასრა კიბოს წინააღმდეგ 47

■ წმინდანები

ხატი, რომლის წინაშეც დიდმონაგე

დედოფალი სიცოცხლის უკანასკნელ

წუთებამდე ლოცულობდა 48

■ ქართული დეტექტივი

გოჩა მანველიძე.

თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50

■ ვარსკვლავები

კლაუდია კარდინალე: „მე და ალენ

დელონი იდეალური წყვილი გახლდით“ 54

■ თინეიჯერული პონტები

მიტოვებული საპატარძლო,

დანიშნული უცხოელი მამაკაცი და... 57

■ ავტო 60

■ სახე

გიორგი ფოჩხუას მასზე

3 წლით უფროსი გოგონა შეუყვარდა 62

■ ბომონდური მოზაიკა 64

■ პოროსკოპი

კვირის (21-27 სექტემბერი)

ასტროლოგიური პროგნოზი 66

■ შეუცნობელი 67

■ ტესტი 70

■ სკანვორდი 71

■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ზღვა, რომელიც ჯერ ისევ შორია...

„თავზე წამოვადექით მომაკვდავ ქართველ ბიჭს, რომელსაც ვერ ვუშველიდით და ტყვედ აყვანასაც აზრი არ ჰქონდა, ვიცოდით, ძალიან მალე მოკვდებოდა...“

28

მიტოვებული საპატარძლო, დანიშნული უცხოელი მამაკაცი და ...

„საქორწილო კაბიდან დაწყებული, ლამის შემწვარი გოჭით დამთავრებული, ყველაფერი მზად გვქონდა. ახალი წლისთვის უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არ ჩამოვიდა“.

57

შეშლილი მხატვარი მომავალს ხატავდა...

კუბინის ბიოგრაფიის ძალზე საინტერესო ფაქტად იქცა მის მიერ სტალინის პორტრეტის შექმნა (1935 წ). საინტერესოა, მის მეხსიერებაში გოგოლის გმირები თუ დაეხეტებოდნენ მაშინ?

44

თეთრი სიკვდილი

— რა უნდა მექნა?.. მაგის მკვლელობას ხომ ვერ შევიტენიდი!..

— გასაგებია, — ყრუდ ჩაილაპარაკა მირიანმა. — ვინ შეესწრო ამ ამბავს?

— ჩემი ხალხი...

— კიდევ? — მზერა გაუსწორა მირიანმა.

— ქარუმა...

— ის არაფერს გააბაზრებს... ესე იგი, აქ მხოლოდ ჩვენი ხალხი იყო?..

— ჰო, — დაუდასტურა მერაბმა.

— საქმის გახსნას როგორ აპირებ?

— გამოჩნდება ვინმე.

50

„მზემ ფანჯრის სხივი სცურცნა"

ანუ გილოცავთ ძველით ახალ სასწავლო წელს!..

როგორც იქნა, დაიწყო ახალი სასწავლო წელი და ქართულ კალენდარსაც კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი — ძველით 1-ელი (18) სექტემბერი ანუ „ცოდნის დღე-2" შეემატა; ამას სტუდენტების 1-ელი სექტემბერი (2 ოქტომბერიც) დაემატება და სამი „ცოდნის დღე" რომ გვექნება, უკვე კარგია — რაღაც დაგვრჩება თავში...

ტრიუმფული ნახტომია მოსახლეობის დასაქმების სამთავრობო პროგრამაშიც: ამ დღეს, 18 სექტემბერს, ხელისუფლებამ ქუჩასა და ბირჟას მოსწყვიტა და სკოლებში „დაასაქმა" 6 წლის ასაკის 60 ათასი პირველკლასელი. აჟრიამულდა სკოლები, დაწყნარდა ეზოები და მოსახლეობამაც დაისვენა...

მართალია, სარემონტო სამუშაოების დასრულება დათქმულ 18 სექტემბრამდე ყველა სკოლაში ვერ მოესწრო, რის გამოც ზოგიერთი (ბევრი) სკოლა 1-ელ

სექტემბერს, 2 ოქტომბერს იზეიმებს, მაგრამ ბევრ (ზოგიერთ) სკოლაში სწავლა მაინც დაიწყო და სარემონტო სამუშაოები და გაკვეთილები პარალელურად მიმდინარეობს. ამის ფონზე, პირველკლასელები სიხარულით იმეორებდნენ „ახალი დედაენის" სიტყვებს: „აი, საღებავი. ეს საღებავი სოსო ძიასია. სოსო ძია მღებავია..." ხშირია მეზობელი კლასიდან გაგზავნილი ბავშვების მოკაკუნებაც: ნათელა მასწავლებელმა გამომიშვა, ზედმეტი ცარცი, კირი და გაჯი ხომ არ გაქვთო?..

თურმე, გარემონტებულ სკოლებში ისეთი სისუფთავეა, რომ პირდაპირ ლაპლაპებს იატაკი და უფროსკლასელ ბიჭებს ფეხსაცმელზე სარკეების დამაგრებაც აღარ დასჭირდებათ... ამ სისუფთავის გამო, თავმოყვარე მოსწავლეს შერცხვება კიდეც, თუნდაც ფურცლის „ნამცეცის" ძირს დაგდება; ყველა კუთხეში ურნა დგას და ამიტომ, აღარ მოესურვებათ სიგარეტის ნამწვის ჩაქრობა მენდელეევის ტაბულაზე ან მასწავლებლის მაგიდაზე — პირდაპირ ურნაში ჩააგდებენ.

საოცარი რეფორმები გატარდა ბუფეტში: „კორჟიკებისა" და ქადების გარდა, უკვე ცხელი კერძებიც მზადდება. მომსახურება კი, რა თქმა უნდა, ევროპული იქნება და შეკვეთას პირდაპირ საკლასო ოთახში მოგართმევენ, საგნების მიხედვით: ქართულის გაკვეთილზე — ქართულ ხაჭაპურს ან ქონდარში ჩაჭყლეტილ ყველს მოგიტანენ, რუსულზე — ბორშჩს ან პელმენს არაუნით, ინგლისურის გაკვეთილზე — სენდვიჩს ან ჰოთდოგს დააგემოვნებთ, მათემატიკის გაკვეთილზე — 30+20+10 ხინკალს მოგართმევენ (თანდათან — რომ არ გაცივდეს). მერე დათვლით კუჭებს, გამოიანგარიშებთ, ვინ რამდენი შეჭამა და მასწავლებელიც შესაბამის ნიშნებს დაგიწერთ...

სკოლების კომპიუტერიზაცია ძვირი კი დაგვიჯდა, მაგრამ ღირს, რადგან ბავშვები ძველი მსოფლიოს ისტორიას „სპარტაკის", „ტროასა" და „გლადიატორის" ნახვით შეისწავლიან; ფიზკულტურასა და სამხედრო სწავლებას — „ფლეისთეიშენით" გაივლიან; სექსოლოგიის გაკვეთილებზე — პორნოსაიტებში შესვლით გაიღრმავებენ ცოდნას და ა.შ.

მოკლედ, ყველა პირობაა შექმნილი, რომ კარგად ისწავლონ. მე მგონი, ის სარემონტო სამუშაოებიც შეგნებულად გააჯანჯლეს, რომ ბავშვებს უჩვენონ — აი, თუ არ ისწავლი, სოსო ძიასავით მღებავი გამოხვალ და სულ დასვრილი ივლიო... პრეზიდენტიც და თბილისის მერიც სწორედ მაგიტომ დადიან სკოლიდან სკოლაში, რომ ბავშვებს მაგალითი მისცენ: თუ კარგად ისწავლით, „ძია მიშა" ან „ძია გიგი" მაინც გამოხვალთო...

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია: ბავშვები პირველი კლასიდანვე უნდა იყვნენ მოტივირებულნი სწავლისათვის და დიდკაცობის ამბიციაც უნდა ჰქონდეთ. დღეს ნებისმიერ ბავშვს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ: „ბევრს თუ ვისწავლი, პრეზიდენტი გავხდები, თუ ცოტას ვისწავლი — პარლამენტარი; თუ ცუდად ვისწავლი — „მალიარი" ვიქნები და საერთოდ თუ არ ვისწავლი — ოპოზიციაში წავალ..."

P.S. პრეზიდენტი და მერი ერთ-ერთ სკოლაში:
პრეზიდენტი:
— გიგი, რატომ არიან ბავშვები დათხუპნილები?
მერი:
— ეს რა ქენით, ბატონო მიშა?! აქ ჭერი, კედლები, მერხები და იატაკი ახალი შეღებილია და რომ არავინ შესულიყო, ლენტი გავაბით. სადაც ლენტს დაინახავთ, ყველა კი არ უნდა გაჭრათ!..

პროვოკატორი

ვის აძლევს ხელს საპარლამენტო უმცირესობის შექმნა?

— ოპოზიცია კანონმდებლობაში ცვლილებას და საპარლამენტო უმცირესობის შექმნას მოითხოვს. რამდენად რეალურია ამ ინიციატივის განხორციელება?

ზვიად ძიძიგური, *„დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— ეს საკითხი თითქმის ერთი წელია, რაც დღის წესრიგში დგას. მაგრამ ამ იდეის განხორციელება ვერა და ვერ მოხერხდა. ახლა „მრეწველებმა“ რეგლამენტში ცვლილებების შეტანა მოითხოვეს. ამ ინიციატივის შესაბამისად, მათ შორის, ვინც არჩევნების შედეგად მოხვდება პარლამენტში, პირველ ადგილზე გასული, ავტომატურად უმრავლესობას შექმნის; მეორე საუკეთესო შედეგის მქონეს კი, ასევე ავტომატურად უნდა მიენიჭოს უმცირესობის სტატუსი. ვფიქრობ, ეს პრინციპი სწორია. უმცირესობის შექმნა არ უნდა იყოს დამოკიდებული უმრავლესობის ნება-სურვილზე. ქვეყნისთვის აუცილებელია, რომ პარლამენტში უმცირესობა არსებობდეს და რაღაც ბერკეტები ჰქონდეს. საქართველოს პარლამენტში, მთავრობაში, სასამართლოში, ცესკოში — ყველგან ერთპარტიული დიქტატურაა დამყარებული. მიკვირს, ამ ადამიანებს კომუნისტური წყობილება რატომ არ მოსწონდათ: ჩვენ მათი წყალობით, სწორედ კომუნიზმისკენ მივექანებით. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ხალხი ხელისუფლების ბლეფს გულუბრყვილოდ ივჯერებს და სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს. ხომ ხედავთ — კისრისტეხაა იმ დასაქმების ცენტრში, რომელიც არჩევნების წინ გაიხსნა. ხალხი პირჯვრის წერით ელოდება, როდის შევა შენობაში და ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ადამიანებს გული მისდით... არ ვიცი, რამდენჯერ უნდა მოტყუვდეს ეს ხალხი, რომ მტყუან-მართლის გარჩევა ისწავლოს. არჩევნების შემდეგ, დასაქმების ცენტრი ისევე რომ დაიკეტება, როგორც მრავალი წლის განმავლობაში იყო, ეს ხომ ნათელია. ასეთი ავანტიურიზმის პირობებში, რა შეუძლია ოპოზიციას, თუ მას რეალური ბერკეტები არ ექნება?!. საპარლამენტო უმცირესობის შექმნა და მისთვის კანონით უფლებების მინიჭება ამიტომაცაა უმნიშვნელოვანესი. ■

„ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს მოსახლეობის ძარცვა!“

— ლეიბორისტები მერიას და „თელასს“ ახალი სქემით მოსახლეობის გაძარცვაში ადანაშაულებთ. როგორ უნდა დავიცვათ თავი ზედმეტად დარიცხული ელექტროენერგიის გადასახადისგან?

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— „სინათლის ქალაქში“ იმდენი უკანონობა ხდება, ისეთი განუკითხაობაა „თელასის“ მხრიდან დარიცხულ ტარიფებთან დაკავშირებით, რომ ამაზე გაჩუმება არ შეიძლება. თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია მომხმარებლს ძარცვავს, ამის უკან კი, ხელისუფლების ინტერესები დგას. უკანონოდ ამოღებულ თანხას კომპანიის ხელმძღვანელობა ჩინოვნიკებთან ერთად ინაწილებს. ხელისუფლებამ უკანონო ტარიფი შემოიღო. ლიფტების, სადარბაზოების განათების, წყლის ტუმბოებისა და ავტოფარეხების, საერთო მოხმარების განათების საფასური 13 თეთრით უნდა განესაზღვრათ, მოსახლეობას კი 16-თეთრიანი ტარიფის შესაბამისად ახდევინებენ. ეს პრობლემა სემეკის თავმჯდომარემ, გიორგი თავაძემ უნდა მოაგვაროს. მოვუწოდებ ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობას — როცა ასეთ, უკანონოდ დარიცხულ ქვითარს მიიღებენ, მივიდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში, მიაკითხონ გიგი უგულავას, რადგან სწორედ მათ ჯიბეში მიედინება ეს თანხები. ჩვენ სპეციალური განცხადებით მივმართეთ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდითაა დაკავებული — კეთილი ინებონ, დროულად მოიწვიონ სემეკის სხდომა და თუ საჭირო იქნება, „თელასს“ ლიცენზია შეუწყვიტონ. ისედაც გაძვირებული ელექტროენერგიის პირობებში, კიდევ ზედმეტი გადასახადის დარიცხვა რა უნამუსობაა!.. 3 თეთრის დამატება ჯამში, სერიოზულ თანხამდე ადის. ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს მოსახლეობის ძარცვა! ■

„პატიმრები მწერენ, რომ მარილი არა აქვთ, არც შაქრის შეტანის უფლებას აძლევენ...“

— თქვენ საჯაროდ განაცხადეთ, რომ ციხეში ბუნტი მზადდება. რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით და რა რეაგირება მოჰყვება „ჰუმან რაიოს უოთჩის“ დასკვნას, რომლის თანახმადაც, პენიტენციარულ სისტემაში საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი?

ელენე თევდორაძე, *ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— მე ნაკლებად მაინტერესებს, რა წერია ამ ორგანიზაციის დასკვნაში. ციხეებში რაც ხდება, თავადაც მშვენივრად ვიცი. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, ესეც ცხადია. ის სიტუაცია, რომელიც საქართველოს ციხეებშია შექმნილი, პატიმრებს ხელს უწყობს იმაში, რომ კანონით დადგენილი უფლებების დაცვა საპროტესტო აქციების გზით მოითხოვონ. ადამიანს სამუშაო არა აქვს, ტელევიზორს ვერ უყურებს, საკმარისი რაოდენობის საკვები არ მიეწოდება, არა აქვს ახლობლებთან პაემნის საშუალება... ასეთ პირობებში, რაზე იფიქრებს პატიმარი? რაიმე ფორმით გამოხატოს პროტესტი ან გაიქცეს. თუ ლოგიკას მივყვებით, მათ ბუნტსაც თავადვე ვუწყობთ ხელს. პატიმრები მწერენ, რომ მარილი არა აქვთ, არც შაქრის შეტანის უფლებას აძლევენ მათ ახლობლებს. ქუთაისიდან დამიკავშირდნენ და შემატყობინეს, რომ პურს საერთოდ არ აძლევდნენ; როცა ამის გამო პროტესტი გამოთქვეს, სველი პური შეუტანიათ. ციხის დანიშნულებაა, მიიღოს ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და ხელი შეუწყოს სასჯელის მოხდაში, პატიმრებისთვის სასჯელის დამძიმება მის ფუნქციაში არ შედის. მაგრამ ეს იმ ახალგაზრდა კოლექტივს, რომელიც დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, ჯერჯერობით შეგნებული არა აქვს. მათ ჰგონიათ, რომ ციხეში ადამიანის დასჯა უნდა გაძლიერდეს. ცალკე პრობლემაა, დაფინანსების საკითხი და კეთილმოუწყობელი შენობები. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებონ და ამ ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოს. ■

„ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობა მათხოვრად აქცია“

— თქვენ საქართველოს ხელისუფლებას ნეობოლშევიკები უწოდეთ და 30-იან წლებთანაც გაავლეთ პარალელი. წინასაარჩევნო პერიოდამდე ასეთი მკვეთრი განცხადება არ გაგიკეთებიათ...

სალომე ზურაბიშვილი, *„საქართველოს გზის“ ლიდერი:*

— დღევანდელ საქართველოში ლაპარაკი აღარ არის იმაზე, თუ ვის აირჩევს მოსახლეობა და როგორ. თუ ჩვენს მოქალაქეებს უნდათ, თანამედროვე ტექნოლოგიებით შეზავებული, 1937 წლის გამეორება, მაშინ 5 ოქტომბერს ხელისუფლებას უნდა მისცეს ხმა. როცა საქართველოში ჩამოვედი, ვფიქრობდი, რომ აქ შენდებოდა თანამედროვე, დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა — ქართული სახელმწიფო. რევოლუციაც სწორედ ამიტომ მოხდა. მართალია, დემოკრატიისკენ სავალი გზა რთული და გრძელია, მაგრამ ჩვენ ამ გზას კატეგორიულად გავემიჯნეთ. უკვე ვერ ვიგებ, რისთვის ჩამოვედი საქართველოში. რომელი ქვეყნის პრეზიდენტი იწონებს თავს იმით, რომ ქვეყანაში ამდენი უღატაკესი ადამიანია და მათ უფასო სასადილო გაუხსნა?! რომ ამა თუ იმ ქუჩაზე ავტობუსი დაინიშნა?!. შემდეგ, სააკაშვილს საჯაროდ მადლობას უხდიან... ასეთი შემაშფოთებელი სიტუაცია არასოდეს ყოფილა. მარტო ერთ ადამიანზე იყოს დამოკიდებული, ბავშვებს ფეხსაცმელს გადასცემენ თუ არა საჩუქრად — ეს კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ხალხის გამასხარავება, დამონებაა. ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები მათხოვრად აქცია. ასეთი ქვეყანა მე არ მინდა. რევოლუციის დროს, ათასობით ადამიანი იმიტომ გამოვიდა ქუჩაში, რომ მათთვის სიცოცხლის უფლება წაერთმიათ?! თუ ხალხი თვითმმართველობის არჩევნების დროს არ იაქტიურებს და ამ ხელისუფლებას არ დაუპირისპირდება, მომავალში იმაზე უარეს სურათს მივიღებთ, ვიდრე დღესაა. მათ კვლავ ექნებათ უფლება, ჩაიდინონ ბოროტებები ხალხის სახელით. ამ ხელისუფლებას საქართველო უფსკრულისკენ მიჰყავს...

■

„შემეძლო, შს მინისტრი გავმხდარიყავი...“

— თქვენთვის მიუღებელი იყო მერის არაპირდაპირი გზით არჩევა, მიუხედავად ამისა, მაინც დათანხმდით, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წესებით ამ თანამდებობისთვის ბრძოლაზე. ეს თქვენს პრინციპებს არ ეწინააღმდეგება?

კობა დავითაშვილი, *კონსერვატიული პარტიის ლიდერი:*

— ნებისმიერ ფასად ხელისუფლებაში მოსვლა, ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, თუმცა, არჩევნები პოლიტიკოსისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ეს არის სიტუაცია, როცა შეგიძლია, საკუთარი მოღვაწეობის შედეგი დაინახო და ხალხს სურვილების რეალიზაციაში დაეხმარო. მიუხედავად იმისა, გავიმარჯვებთ თუ არა, არჩევნებში მონაწილეობით მიმდინარე პროცესებზე გავლენას მაინც მოვახდენთ. ამისთვის ბრძოლა უნდა გავამწვავოთ. ბოიკოტის გამოცხადებას რომ რაიმე შედეგის მოტანა შესძლებოდა, ამის გაკეთებას ვერავინ დამასწრებდა. მე შემეძლო, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თანამდებობა დამეკავებინა — გავმხდარიყავი შს მინისტრი, გენპროკურორი ან კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მაგრამ ამაზე არ დავთანხმდი. უტიფრად, თეთრზე — შავია-თქო, — მტკიცებას არასოდეს ვიკადრებ. ის ადამიანები, რომლებიც ერთ დროს ქვეყნის მართვის მნიშვნელოვან პრიორიტეტებზე ლაპარაკობდნენ, დღეს აცხადებენ, რომ ყინულის მოედნისთვის 2 მილიონის დახარჯვა გონივრულია, რომ 700 ათასი — „მოცეკვავე შადრევნებისთვის“ უნდა გამოიყოს, მაშინ, როცა 5 საწარმოს ასამუშავებლადაც კი ვერ მოუძიებიათ თანხები!.. უმუშევრობის მთავარი მიზეზი — მრეწველობის განუვითარებლობაა. ვინ ზრუნავს ამისთვის?.. ვინც ამ ხელისუფლების „გუნდურ პრინციპებს“ იცავს, მსგავს სისულელეებს ტაში უნდა უკრას. ნორმალური ადამიანი ამას ვერ მოახერხებს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული პროგრამა; თუ გავიმარჯვებთ, არც საკუთარ დაპირებებს დავივიწყებთ. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და მერის პირდაპირი არჩევნები არ დააკანონა, დარწმუნებული ვარ, მალე ქალაქს ისეთი მერი ეყოლება, როგორსაც იმსახურებს.

■

ბრიტანული ენის დარბაზი

გთავაზობთ ინგლისური ენის კურსს

- ქწოცფმდუუიშთფ ვფ გაკწოუიშთფემშთ
- ქწოფქჭფვუიუდ ლგკთთ ლუქიკშოშთ თფუკეფიწკშოწ თუკეშამლფეუიშთფემშთ 8PET, FCE, CAE, IELTS9
- თზუს-ლგკთთ ფიშეგკშუტეუიშთფემშთ

სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების *მაკმილანის, პარპერ კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის* უახლესი სასწავლო ლიტერატურა

იკშეფტუმთფ ვფ ფქუკშლფეშ ლგკთფფქმფკუიგდშ ზუვფაწპუიშ გჭკგტმუდნწაუტ ეიმუტთ ცფკქფეუიუითფ ვფ ქფლთშქფდგკ ზკწპკუთთუ

Good Luck with your English

მის: თავისუფლების მოედანი №7 (ცეკავშირის შენობა), ოთახი 405

ტელ: 55-21-29

საქართველომ რუსეთს ხელთათმანი ესროლა

(News.ru)

საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე პროცესები აშკარად მოწმობს იმას, რომ რუსეთს აღარ გააჩნია ამ ქვეყანაზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები. პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული არც ერთი სახელმწიფოს მთავრობას არ გაუბედავს ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა მოიმოქმედა, როდესაც უძლიერესი დარტყმა მიაყენა პრორუსული ოპოზიციის ინფრასტრუქტურას და იგი სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა.

მსაგავსი რამ არც უკრაინაში მომხდარა („ნარინჯისფერი" რევოლუციის დროს, იქიდან მხოლოდ რუსეთის ერთი მოქალაქე — ყირიმში მოქმედი, ნატოს საწინააღმდეგო მოძარაობის ერთ-ერთი ლიდერი გააძევეს) და არც მოლდოვაში, სადაც ასევე მხოლოდ ერთი პრორუსული პოლიტიკოსი — თავდაცვის ყოფილი მინისტრი, შემდგომ კი, ანატოლი ჩუბაისის მრჩეველი ვალერი პასატი დააპატიმრეს. დსთ-ის ყველა სხვა ქვეყანა ითვალისწინებს რუსეთის, როგორც ენერგომატარებლების ექსპორტიორის როლს და ცდილობს, ურთიერთობის გაუარესების შემთხვევაშიც, საქმე ნამდვილ გამოწვევამდე არ მიიყვანოს.

მაშ, რითია განპირობებული სააკაშვილის ეს რისკიანი სვლა? ნუთუ იმით, რომ მას სამხრეთკავკასიური გაზსადენის — ბაქო-თბილისი-ერზრუმის წყალობით, უკვე გაისად, მეტი ბუნებრივი აირის მიღების იმედი აქვს? არადა, როგორც ვარაუდობენ, მისი მაქსიმალური მოცულობა წელიწადში 800 მლნ კუბმეტრს მიაღწევს და იმასაც, საქართველო მხოლოდ 2011 წლისთვის მიიღებს (სულ კი, ქვეყანა უკვე დღეს, წელიწადში 1,2 მლრდ კუბმეტრს მოიხმარს). მაგრამ ხელისუფლება ძალას არ იშურებს საიმისოდ, რომ აირი დამატებით აზერბაიჯანიდანაც მიიღოს და ამ საქმეში ამერიკელთა დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობს. აქედან გამომდინარე, გაზმომარაგების პრობლემის გადაწყვეტა სავსებით რეალურია და სააკაშვილს მართლაც აქვს საფუძველი, მყარად გრძნობდეს თავს ჩრდილოელ მეზობელთან დაპირისპირებისას.

ამ დროს, რასა იქმს რუსეთი? კაცმა რომ თქვას, ის ცდილობდა, იგივე მოემოქმედებინა, რაც უკვე მოიმოქმედა დასავლეთმა (როდესაც მხარში ამოუდგა ედუარდ შევარდნაძის გარემოცვაში მყოფ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რომლებსაც მოჰბეზრდათ ქვეყნის პოლიტიკაში მეორეხარისხოვან როლში ყოფნა) და საქართველოში ჩამოეყალიბებინა სისტემა, რომელიც ამ ქვეყანაზე მის გავლენას უზრუნველყოფდა. მაგრამ ერთობ პრიმიტიული აზროვნების უნდა იყოს კაცი, რომ იგორ გიორგაძის მომხრეები რუსეთის აგენტებად წარმოიდგინოს — ისევე, როგორც დღევანდელი ქართველი მმართველები — ცენტრალური დაზვერვის აგენტებად. სინამდვილეში, ლაპარაკია აბსოლუტურად პრაგმატულ პოლიტიკურ ფსონებზე, რომლებიც რაციონალურ შეხედულებებს ეყრდნობა: თუ დასავლეთი სააკაშვილზე დებს ფსონს, მაშინ თუნდაც ნაწილი ქართული ოპოზიციისა რუსეთთან დაახლოებას ცდილობს. მხედველობაში მყავს თუნდაც, ირინა სარიშვილი — საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერის — გია ჭანტურიას ქვრივი, 80-იანი წლების დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. საეჭვოა ვიფიქროთ, რომ ის ქვეყნის თავისუფლების მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩამდგარიყო.

ისიც საეჭვოა, რომ გიორგაძის მომხრეები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ — როგორც ამას ქვეყნის ხელისუფლება ირწმუნება. უფრო რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ლაპარაკია მხოლოდ გარკვეული რესურსების დაგროვებაზე, როგორც ეს, შევარდნაძის მმართველობის დროს, თავად სააკაშვილის მომხრეთა შემთხვევაში ხდებოდა. სულ სხვა საკითხია, რომ შევარდნაძემ თავის მომავალ მემკვიდრეს მისცა საშუალება, ხელისუფლებაში მოსასვლელი ბაზა შეექმნა, რადგან პრევენციული ზომებით, დასავლეთის თვალში საკუთარი იმიჯის გაფუჭება ვერ გაბედა. აი, სააკაშვილმა კი თვალი დახუჭა ყოველგვარ პირობითობაზე და ყველა ღონე იხმარა საიმისოდ, რომ ნებისმიერი, თუნდაც მოკლევადიანი პერსპექტივის საშუალება მოესპო მათთვის, ვისაც მისი რეჟიმის შესუსტება ეწადა.

წარმოუდგენელია, რომ სააკაშვილი ამ ნაბიჯზე აშშ-ის სანქციის გარეშე წასულიყო, რადგან ეს სუპერსახელმწიფო კვლავაც განაგრძობს ამ ქვეყნის პატრონობას. ნიშანდობლივია, რომ ბოლო დღეებში, რუსი პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს ხელისუფლების კრიტიკაში. დასავლეთი კი ამ დროს ჯიუტად დუმდა, რადგან სააკაშვილს უწინდებურად, დემოკრატიულ ლიდერად მიიჩნევს და პრორუსული ოპოზიციის დასაცავად ხმის ამოღებას არ ჩქარობს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იქაც რაციონალურად მსჯელობენ: ისინი საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ზრუნავენ.

ასე და ამგვარად, რუსეთს სადღეისოდ საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ჩარევის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა დარჩა, ვიდრე ეს სულ ცოტა ხნის წინ იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიორგაძის მომხრეთა ბანაკის განადგურებას შესაძლოა, მოჰყვეს სამხედრო აქცია, რომელიც ბოლო წლებში, დე ფაქტო რუსეთის პროტექტორადტაა ქცეული და თუ მსგავსი რამ მოხდა, საეჭვოა, რომ საქართველოში ვინმემ ამის გაპროტესტება გაბედოს, რადგან ეს სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნება.

ალექსეი მაკარკინი

პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე

გაგრძელება იხ. გვ. 63

დუშან უგრინი — «დინამოს» მეოთხე უცხოელი მწვრთნელი

გასული სეზონის დასრულების შემდეგ, როდესაც თბილისის „დინამო" რუსმა თავკაცმა ანდრეი ჩერნიშოვმა დატოვა, კლუბის ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მისი შემცვლელი კახა კაჭარავა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ასრულებდა და ის მალალკვალიფიციურ უცხოელ მწვრთნელს ეძებდა. ჰოდა, 4 სექტემბერს თბილისში ჩეხი სპეციალისტი დუშან უგრინი ჩამოვიდა და ამ ვიზიტთან დაკავშირებით, მაშინ „დინამოელთა" პრესატაშე გიგა გვენცაძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „შემიძლია განვაცხადო, რომ უკვე დასკვნით ფაზაში შედის მოლაპარაკება ისეთ ცნობილ ჩეხ სპეციალისტთან, როგორც დუშან უგრინია. მისი თავკაცობით, ჩეხეთის ნაკრები 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. გარდა ამისა, უგრინი წლების განმავლობაში პრაღის „სპარტას" მთავარი მწვრთნელი გახლდათ, რომელთან ერთადაც არაერთხელ მოუგია ქვეყნის ჩემპიონატი და თასი". უგრინ რომ მართლაც მაღალი დონის მწვრთნელია, ამას მისი დოსიე მოწმობს:

ლაშა თაბაგარი

ბატონი დუშანი 1943 წლის 5 თებერვალსაა დაბადებული. საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, მეორე ლიგის გუნდებში — კარლოვი-ვარის „სლავიაში", პრაღის „ადმირაში" და „არითმაში" გამოდიოდა. სწორედ „ადმირას" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო მან მწვრთნელად მუშაობა. 70-იან წლებში მეორე ლიგის სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა, შემდეგ — პრაღის „სპარტასა" და „ბოჰემიანსს", რასაც კვიპროსის აელ-ში მუშაობა მოჰყვა. ჩეხეთში დაბრუნების შემდეგ, 1991

1993 წლებში უგრინმა მწვრთნელობა კვლავ „სპარტაში“ გააგრძელა. 1993 წელს ის ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და სწორედ ბატონმა დუშანმა გაიყვანა გუნდი 1996 წელს ინგლისში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც მისი შეგირდები დამატებით დროში გერმანიასთან 1:2 დამარცხდნენ.

იმავე წელს უეფამ უგრინი ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. ეროვნული გუნდი მან 1997 წელს დატოვა. გარდა ამისა, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, „ალ ნასრს“ ავარჯიშებდა, ხოლო ისრაელში — ხაიფას „მაკაბის“. 1999-2001 წლებში იგი ქუვეითის ნაკრების თავკაცი გახლდათ. 2001-2002 წლებში მას ჩეხეთის „ტეპლიცეს“ ტექნიკური დირექტორის პოსტი ეკავა, ხოლო 2002 წლის ნოემბერში შვედეთში „აიკ სოლნას“ ჩაუდგა სათავეში. უკანასკნელი კლუბი, რომელსაც უგრინი ხელმძღვანელობდა, კვიპროსის „პოელი“ გახლდათ. ჩეხი სპეცილისტი იქ 2002-2003 წლებში მუშაობდა.

15 სექტემბერს, დუშან უგრინი საქართველოში უკვე მეორედ ჩამოვიდა და „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, მასმედიის თანდასწრებით, კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც, უგრინის გარდა, თბილისელთა მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე, ტექნიკური დირექტორი ამირან ღიბრაძე, „დინამოს“ ამჟამად უკვე მეორე მწვრთნელი კახა კაჭარავა და პრესატაშე გიგა გვენცაძე მონაწილეობდნენ. მომხდართან დაკავშირებით, ტყავაძემ ასეთი რამ განაცხადა: „კარგია, რომ საბოლოოდ გაიცა პასუხი კითხვაზე, თუ ვინ იქნება „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. ჩვენ ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ დუშან უგრინთან, რომელსაც კაჭარავა დაეხმარება, ხოლო მეკარეების მწვრთნელი, გელა ჭანტურია იქნება. მინდა მადლობა გადავუხადო კახას, რომელიც აქამდე, საკმაოდ კარგად ასრულებდა გუნდის თავკაცის მოვალეობას. ვინაიდან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უგრინს საშუალებას მისცემს, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს მთავარი მწვრთნელის რანგში დაესწროს. ამ ეტაპზე კონკრეტულად გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებზე საუბარი არ ყოფილა. უბრალოდ, გამოითქვა აზრი — ხომ არ არის შესაძლებელი, „დინამოს“ კიდევ უფრო გაძლიერება? ცხადია, ამის შესაძლებლობა არსებობს“.

თავად უგრინმა „დინამოში“ დანიშვნასთან დაკავშირებით, შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ჩემთვის დიდი პატივია ისეთი ცნობილი გუნდის გაწვრთნა, როგორიც თბილისის „დინამოა“. ეს კლუბი ჩეხეთის რესპუბლიკაში ცნობილი და პოპულარულია. მე საქართველოში 20 წლის წინ უკვე ვიმყოფებოდი, როდესაც „რუდა-ზვეზდას“ მთავარი მწვრთნელი გახლდით და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში მივიღეთ მონაწილეობა. ეს ტურნირი სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა და მასში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კლუბები თამაშობდნენ. მაშინ მატჩები გაგრაში ჩატარდა. გარდა ამისა, ჩვენ თამაშები ბათუმშიც გავმართეთ. ჩემთვის გუნდში ადაპტაცია ადვილი არ იქნება, რადგან სეზონი უკვე დაწყებულია. „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია, რომლის 8 ფეხბურთელი საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრებში გამოდის და მათ თამაშს სერბ თანატოლებთან თბილისში ჩატარებული მატჩისას ვაკვირდებოდი. გარდა ამისა, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი, „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ვნახე. ცხადია, კლუბის მხრიდან გაკეთებული პირველი შეთავაზების შემდეგ, „დინამოს“ მწვრთნელობაზე ვფიქრობდი, მაგრამ თბილისში მაინც ჩამოვედი, რომ ვითარებას ადგილზე გავცნობოდი. საბოლოო ნაბიჯი მას შემდეგ გადავდგი, რაც გუნდის ხელმძღვანელობასთან შევთანხმდი, რომ ისინი საწვრთნელი პროცესის ჩასატარებლად ყველა პირობას შექმნიდნენ“.

რაც შეეხება „დინამოში“ უგრინის მუშაობის დაწყების მოტივაციას, ამის შესახებ ჩეხმა მწვრთნელმა თქვა: „ჩემთვის გადამწყვეტი არა ფინანსები, არამედ „დინამოს“ ხელმძღვანელობის საქმისადმი მიდგომაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ მათთან საუბრის შემდეგ გადავდგი ეს ნაბიჯი. მათში ჩემი პერსონით დიდ დაინტერესებას წავაწყდი და ამიტომ დავთანხმდი“. ამასთანავე, მწვრთნელმა აღნიშნა, რომ „დინამოს“, მოთამაშეების დამატება სჭირდება: „გუნდი ახალგაზრდულია და საჭიროა, გამოცდილი ფეხბურთელები მოვიწვიოთ. ჯერჯერობით ამ თემაზე კონკრეტულად ვერ ვილაპარაკებ, რადგან გარკვეული საკითხებია მოსაგვარებელი“. კლუბის მომავალი მიზნების თაობაზე ბატონი დუშანის მოსაზრება ასეთია: „გუნდში ახალი მწვრთნელის მოსვლისას, ყველა ელის, რომ მას პროგრესი დაეტყობა. მოთამაშეთა ასაკიდან გამომდინარე, ამას დრო სჭირდება. ამ შემთხვევაში, მე უფრო მეტს პერსპექტივაზე ვფიქრობ. საერთოდ, ჩემი მიზანია, ჩამოვაყალიბო საუკეთესო გუნდი, რომელშიც მაღალი დონის ფეხბურთელები ითამაშებენ. ამას მივაღწიე პრაღის „სპარტაში“, სადაც 7 წელი დავყავი და ჩეხეთის ნაკრებში, რომელსაც ოთხწელიწად-ნახევარი ვწვრთნიდი“.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე უგრინი აქტიურ სამწვრთნელო საქმიანობას ჩაშოშორებული იყო და ბიზნესის სფეროში მოღვაწეობდა. მას ჰყავს ცოლი და ერთი ვაჟი — დუშან უგრინიუმცროსი, რომელიც ამჟამად ჩეხეთის ჩემპიონატის ლიდერ „მლადა ბოლესლავს“ წვრთნის. „30 წლის განმავლობაში მწვრთნელად ვმუშაობდი. ვინაიდან ბოლო ორი წელი, ამ საქმეს დროებით ჩამოვშორდი, ცოტა არ იყოს ვნერვიულობდი. სწორედ ცოლ-შვილმა მითხრა, რომ ჯობდა, კვლავ მწვრთნელობას დავბრუნებოდი“, — განაცხადა ჩეხმა. მისივე განცხადებით, მართალია, ბიზნესით იყო დაკავებული, მაგრამ ფეხბურთს არ ჩამოსცილებია და საკუთარ შვილს რჩევასაც ხშირად აძლევს. მაგალითად, უეფას თასზე „მლადა-ბოლესლავისა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ დაპირისპირებამდე, ბატონი დუშანი მარსელში ყოფილა და ამ გუნდის შესახებ უგრინუმცროსისთვის გარკვეული ინფორმაცია მიუწოდებია. სხვათა შორის, 15 წლის წინ, „დინამოს“ ამჟამინდელი თავკაცის მიერ გაწვრთნილმა „სპარტამ“ „ოლიმპიკი“ ჩემპიონთა თასის გათამაშებას გამოთიშა.

გამომდინარე იქიდან, რომ უგრინი კვიპროსზე მოღვაწეობდა, მას თემურ ქეცბაიას თაობაზე ვკითხეთ, რაზეც ჩეხი სპეციალისტისგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „ქეცბაია ძალიან კარგი ფეხბურთელი და მწვრთნელია. უკანასნელად ის ავსტრიაში ვნახე, სადაც „ანორთოსისთან“ ერთად იყო ჩამოსული“. პრესკონფერენციაზევე უგრინმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში არ უნახავს და მხოლოდ უკრაინასთან და საფრანგეთთან მატჩების შედეგები იცის.

მთავარი მწვრთნელის რანგში უგრინის დებიუტი კვირას, 16 სექტემბერს თელავის „კახეთის“ წინააღმდეგ თბილისში შედგა. შეხვედრა მასპინძლებმა 2:1 მოიგეს და თამაშის შემდეგ ჩეხმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ძალიან საჭირო 3 ქულა ავიღეთ. გუნდმა კარგად ითამაშა და კმაყოფილი ვარ. სამწუხაროა, რომ გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. „დინამოს“ თამაში განსაკუთრებით პირველი ტაიმის საწყის 20 წუთში და მატჩის მიწურულს მომეწონა. თამაშის მსვლელობისას ორჯერ უხეშად შევცდით და საბედნიეროდ, გოლი მხოლოდ ერთ ეპიზოდში გავუშვით“.

დაბოლოს გეტყვით, რომ დუშან უგრინი მეოთხე უცხოელი მწვრთნელია, რომელიც „დინამოს“ დამოძღვრავს. შეგახსენებთ, რომ მის ჩამოსვლამდე ქართულ კლუბს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი, ხორვატი ივო შუშაკი და რუსი ანდრეი ჩერნიშოვი ხელმძღვანელობდნენ. ■

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ინგა გრიგოლია
რესპონდენტი – დიმა ობოლაძე

— დიმა, რჩები და რჩები ხომ „რუსთავი 2“-ზე?

— არა, უფრო სწორად, დავრჩი და დავრჩი!

— ისე, თუ გქონდა იდეაში, ვთქვათ, ნათია ლაზაშვილთან ერთად არხიდან წასულიყავი?

— ყველაზე მთავარი იცი, რა არის? — ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ უნდა წავსულიყავი? თუმცა ვიცი, რომ ეს ყველაფერი მეც მეხებოდა, რადგან ტელევიზიიდან ის გუნდი მიდიოდა, რომელთან ერთადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათთან ერთად წასვლაზე არ მიფიქრია — ჯერ ერთი, ჩემპიონთა ლიგა არ მეთმობა და მეორე მიზეზი, რომელზეც რატომღაც არავინ ლაპარაკობს ის არის, რომ ახალი სამსახურის მოძებნა ძნელია. თან, ისიც საკითხავია, გექნება თუ არა შესაბამისი პირობები, შეეგუები თუ არა იქაურობას და ა.შ.

— იქნებ, შენ მაინც მითხრა, სინამდვილეში რა მოხდა „რუსთავი 2“-ზე? ძალიან მაინტერესებს, ეკა ხოფერიას წასვლიდან მოყოლებული, არხზე რა პროცესები მიმდინარეობს? იცი, რას ვფიქრობ? — როდესაც ეკამ წასვლასთან დაკავშირებით გაკეთა განცხადება, მაშინ რომ დასდგომოდნენ კოლეგები გვერდით, შესაძლებელია, ეს პროცესები აღარ განვითარებულიყო. თუმცა შეიძლება ვცდები კიდეც და ყველაფერს მაყურებლის თვალით ვაფასებ...

— ეკამ არხიდან წასვლაზე განცხადება რომ გააკეთა, მაშინ სახლში ვიყავი და ტელევიზორს ვუყურებდი. ეს სრული შოკი იყო. ხალხი მირეკავდა, მეკითხებოდა — შვებულებაში წავიდაო? ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ამ ფაქტით დაიწყო. ეკას წასვლით „რუსთავი 2“-ს ბევრი რამ დააკლდა. გასაგებია, რომ მეგობრის გამო ტელევიზიიდან რამდენიმე ჟურნალისტი წავიდა, მაგრამ იმათი არ მესმის, ვინც ასეთივე გადაწყვეტილება შიშის გამო მიიღო — ხვალ რა იქნებაო? მათ ორი კვირის განმავლობაში ვარწმუნებდი, ვთხოვდი, ყველანი ერთად დავრჩეთ, მუშაობა გავაგრძელოთ-მეთქი, მაგრამ მაინც წავიდნენ...

— ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ჟურნალისტ თენგო გოგოტიშვილს მუშაობა „I არხზე“, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე უნდა დაეწყო, მაგრამ უეცრად აღმოჩნდა, რომ ის დაიბლოკა, ანუ „რუსთავი 2“-დან წასული ადამიანების ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. დიმა, თუ ძალიან სერიოზულ დიალოგში არ გითრევ, იქნებ, მიპასუხო კითხვაზე — რას ამბობდნენ შენი კოლეგები მანამ, სანამ წავიდოდნენ? მათზე ხელისუფლების მხრიდან რაიმე ზეწოლას ხომ არ ჰქონია ადგილი?

— მსგავსი რამ მათგან არასდროს გამიგია...

— ახლა ვინ ხელმძღვანელობს „კურიერის“ საინფორმაციო სამსახურს?

— ქეთი ქებაძე.

— როგორ ფიქრობ, ახალი შემადგენლობა, რომლითაც „კურიერი“ დაკომპლექტდა, მაყურებელს ძველ სახეებს დაავიწყებს?

— ამას დრო გვიჩვენებს.

— შენ როგორ ფიქრობ, როდესაც მათ მუშაობას უყურებ?

— არა მგონია, მაყურებელმა ისინი დაივიწყოს. არხს წლების განმავლობაში ერთგული მაყურებელი ჰყავდა და იმედი მაქვს, რომ დღესაც ასეა და ცოტა ხანში, კიდევ უფრო მეტი ეყოლება, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მაგალითად, ნათია ლაზაშვილს ვინმე დაივიწყებს.

— რა ხდებოდა ბოლო დღეს, როდესაც მათ წასვლაზე განცხადება გააკეთეს?

— ხომ ვიცოდი, რომ მიდიოდნენ, მაგრამ მაინც არ მჯეროდა. მათ ეს ეთერში თქვეს და ყველაფერი რომ გავაცნობიერე, სახე „მომენგრა“, ცრემლებიც წამომივიდა, ყველანი ტიროდნენ... მგონია, ეს მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ყოველ შემთხვევაში, მეც რომ წამოვსულიყავი, ასე ვიფიქრებდი.

— სხვადასხვა არხზე საავტორო გადაცემები ორჯერ მაქვს დატოვებული, ორჯერვე მიზეზი ხელისუფლების ჩარევა იყო. ერთხელ, შევარდნაძის დროს დამიხურეს გადაცემა, მეორეჯერ — საკაშვილის დროს. ასე რომ, ჩემი არხიდან არხზე გადასვლის მიზეზი ხელისუფლებას უკავშირდებოდა. არ გიფიქრია იმაზე, რომ „რუსთავი 2“-ზე ძველი სახეები ხელისუფლებას ხელს აღარ აძლევდა?

— როდესაც ეს სახეები რეალურ ძალას წარმოადგენენ, ამდენი წლის გამოცდილება აქვთ, რატომ არ უნდა უნდოდეს ვინმეს მათი მიღება?! თუმცა, მათი წასვლისას თავი არავის მოუკლავს, მაგრამ არა მგონია, რომ თუ სხვაგან მუშაობის სურვილი ექნებათ, ისინი რომელიმე არხზე დაიბლოკონ.

— რაც შეეხება სპორტს, „რუსთავი 2“-ზე ისევ გრძელდება შენი გადაცემები, რეპორტაჟები?

— რა თქმა უნდა, გრძელდება. მათი წასვლის შემდეგ, პირველ დღეებში ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ ახლა ფეხბურთის

როგორც მოგეხსენებათ, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ზე ცვლილებები მოხდა — არხიდან ცნობილი სახეები წავიდნენ. ამ ყველაფერს უმტკივნეულოდ არც სპორტული კომენტატორისთვის — დიმა ობოლაძისთვის ჩაუვლია. ის მეგობრების წასვლას ცრემლებით შეხვდა, თუმცა მანამდე ბევრს ეცადა, რომ მათთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა. ჩვენს რუბრიკაში დიმა და ტელეჟურნალისტი ინგა გრიგოლია მოვიწვიეთ. შეხვედრის ადგილად ობოლაძემ რადიო „უცნობი“ არჩია, სადაც უკვე ერთი წელია, რაც სპორტული გადაცემა მიჰყავს. ადგილზე მისულებს სიურპრიზები დაგხვდა — პირისპირ შევხვდით „რუსთავი 2“-დან სკანდალურად წასულ ეკა ხოფერიას, რომელიც ამჟამად რადიო „უცნობის“ ტელეპროექტების სტუდიას ხელმძღვანელობს, ანუ ჭიჭიკო და ბიჭიკოს პროდიუსერია. ასევე მიჰყავს გადაცემა — „დიალოგები“. ის ჯერ-ჯერობით საგაზეთო და საჟურნალო ინტერვიუებისგან თავს იკავებს. იქვე შევხვდით „რუსთავი 2“-დან წასულ თენგო გოგოტიშვილს. რადიოში მასაც გადაცემა მიჰყავს. ამ ყველაფრის შემყურე ინგა გრიგოლიამ იხუმრა: ეს რადიო ყოფილ უშიშროების საბჭოს მაგონებს, რადგან „რუსთავი 2“-დან წასული და დღემდე იქ მომუშავე ჟურნალისტები, თავს აქ იყრიანო.

რას ერჩოდნენ ჭიჭიკო და ბიჭიკო ეკა ხოფერიას, ინგა გრიგოლიას და დიმა ობოლაძეს

მატჩების წაყვანა მიწევს და ცოტათი დავმშვიდდი. ჩემი საქმე მიყვარს და „რუსთავი 2“-ზე მუშაობას ჩვეულებრივად ვაგრძელებ. რამდენიმე დღის წინ კობა დავარაშვილს — არხის ხელმძღვანელს ვესაუბრე და მან მითხრა: თუ რამე იდეა გექნება, აუცილებლად განვახორციელოთო.

— ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, შენზე პოპულარული, მგონი, არავინ იყო, ყველაფერში აქტიურად იყავი ჩართული. მაშინ ასეთი ჭორი იყო გავრცელებული — ხელისუფლებამ ფან-კლუბების შექმნაზე მილიონები დახარჯა, რომ ხალხის ყურადღება სანახაობაზე გადაეტანაო. რას იტყვი ამაზე?

— ასეთი ჭორები ყოველთვის იყო და იქნება... მაგრამ ყველაფერი ასე დაიწყო: მე და ნიკა ტაბატაძე მის სამუშაო ოთახში ვისხედით და ვსაუბრობდით. ვუთხარი: მარტო რეპორტაჟებს კი არ გავაკეთებ, არამედ სტუდიაში მოვიწვევ სტუმრებს და იქ გამოჩნდება, რომელ გუნდს უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს-მეთქი. ასე დავგეგმეთ ფან-კლუბების შექმნა. შემდეგ, ეს იდეა აგორდა, აგორდა და მერე, ვინ რა გადაიხადა და რა თანხა სად ჩადო, არ ვიცი, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობის პერიოდმა საქართველოში ძალიან საინტერესოდ რომ ჩაიარა, ეს ფაქტია.

— გეთანხმები, ამ ყველაფერმა გაამართლა.

— გაამართლა კი არა, ამას მოჰყვა საქართველოს ნაკრების ფან-კლუბის შექმნაც, რომელიც ცოტა გადაჭარბებული მეჩვენება. თუ ქართველი ხარ, საქართველოს ნაკრების ფან-კლუბში გაწევრებაზე ისტერიკა არ უნდა გემართებოდეს, რადგან ნებისმიერი ქართველი საქართველოს ნაკრების ფანია. უბრალოდ, ამ ყველაფერმა ორგანიზებული სახე მიიღო.

— ფეხბურთს კლიპის — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ და სხვა ნამუშევრების სატელევიზიო ჩვენებით, ფეხბურთის პოლიტიზაცია ხომ არ მიმდინარეობს?

— რა თქმა უნდა და ამ ეტაპზე, ეს მისაღებია.

— დიმა, რატომ ვაგებთ ხოლმე ქართველები თამაშს ასეთ წამყვან სპორტის სახეობაში? რა გვაკლია?

— ბევრი რამ. პირველ რიგში კი, დისციპლინა. ნორჩი ფეხბურთელების 80% ერთიმეორეს პასს არ აძლევს, მათთვის გუნდური თამაში უცხოა. უკრაინელებმა იცი, რა თქვეს? ტოპ მიოლერი მაგარია, მაგრამ ის იმ სენს ვერ მოუშლის ქართველებს, რომ მათ ერთმანეთს პასი მისცენო... იმედია, რაღაც გვეშველება. 13 წელი ფეხბურთის სფეროში მართლა არაფერი ხდებოდა, ელემენტარულად, სტადიონი არ გვქონდა.

— ცოტა ხნის წინ, ჩვენმა პრეზიდენტმა სერიოზულად გააკრიტიკა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (ახალკაცი). ასეთი აზრი მომივიდა: ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ოდესმე ახალკაცს დიმიტრი ობოლაძე ჩაენაცვლოს? *(იცინის).*

— *(იცინის)* კონკრეტული წინადადებები ჯერ არ მიმიღია.

— რომ შემოგთავაზონ?

— მართალი გითხრა, დავფიქრდები *(იცინის).* ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რომ იყო, პირველ რიგში მენეჯმენტში უნდა ერკვეოდე, მე კი პროფესიით მენეჯერი არ გახლავართ.

— ნათია ლაზაშვილს დიანა ჯოჯუა ჩაენაცვლა. იგივე განწყობილება გაქვს თუ არა ამ ადამიანის მიმართ, როგორიც ნათიას მიმართ გქონდა? შენ და ნათია ხომ პირდაპირი ეთერის დროსაც ეხუმრებოდით ერთმანეთს?

— პირდაპირ ვამბობ: ამ ადამიანის მიმართ სიმპათია მაქვს, მაგრამ მასთან ჯერჯერობით ისე ვერ ვიქნები, როგორც ნათიასთან (რომელსაც 20 წელი ვიცნობდი) ვიყავი და ეს ეთერშიც ჩანს. რაც შეეხება მხარში დგომას, როცა დიანას ჩემი დახმარება დასჭირდება, გვერდით დავუდგები... ისე, გვაცალეთ, ბატონო, ცოტა ხანს *(იცინის)* და მერე ვილაპარაკოთ.

ჟურნალისტი – დიმა ობოლაძე
რესპონდენტი – ინგა გრიგოლია

— ინგა, საერთოდ, რატომ გადადის ხოლმე ერთი არხიდან მეორეზე ჟურნალისტი?

— ჩემ შემთხვევაში არხიდან არხზე გადასვლის მიზეზი ორჯერვე (როგორც უკვე აღვნიშნე) ის იყო, რომ გადაცემა დამიხურეს.

— ასე ადვილი იყო შენი გადაცემის დახურვა?

— როცა გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის დონეზე ხდება, ადვილია. საერთოდ, ოპტიმისტი ვარ, არ შემიძლია ტირილი იმაზე — ვაიმე, ეს რა დამემართა, უსამსახუროდ დავრჩი-მეთქი. რამდენჯერაც დამიხურეს, იმდენჯერ ახალ გადაცემაზე დავიწყე ფიქრი. დრო „მოგზაურობაში“ გავატარე, რადგან სხვა გამოსვალი არ მქონდა.

— გადაცემას რომ ხურავდნენ, იქვე, სხვა არაფერი შემოგთავაზეს?

— კი, იყო შემოთავაზებები. მაგალითად, „მზეზე“ მითხრეს: არ წახვიდე, დარჩი და ის გააკეთე, რაც გინდაო, მაგრამ იმის იმედი აღარ მქონდა, რომ იმ სხვა გადაცემას, რომელსაც შემდგომ გავაკეთდი, არ დამიხურავდნენ და წამოვედი... ჯერჯერობით, ჩემს დღევანდელ გადაცემას დახურვა არ ემუქრება, მაგრამ თუკი ოდესმე ეს მოხდა, აუცილებლად კიდევ მოვიფიქრებ რაღაცას...

— როგორ გგონია, არსებობს თუ არა საქართველოში ისეთი დამოუკიდებელი ტელეკომპანია, სადაც ყველაფერი „ტაშ-ფანდურზეა“ გაშვებული?

— ნებისმიერი ტელეკომპანია კონკრეტულ დამფუძნებელს ეკუთვნის. ჟურნალისტმა რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერს მას აწერენ. მაგრამ გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ბადრი პატარკაციშვილი სულ სამჯერ მყავს ნანახი. ის, რომ მისგან ზეწოლას ვგრძნობთ ან რაიმეს გვიკვეთს, ტყუილია. ის კი არა და, მთელი ერთი წელი „გიჟი თავისუფალიას“ პრინციპით ვმუშაობდი, ჩვენთან არ არსებობდნენ დაბლოკილი სტუმრები. მა-

შინ, როცა სხვა არხის ჟურნალისტები ამბობდნენ: იმ რესპონდენტების სია, ვინც გადაცემაში არ უნდა მოვიწვიოთ ან გამოკრული გვაქვს, ან თავში გვაქვს „ჩადებულიო“... ჯერჯერობით, ჩვენთან თავისუფლების ხარისხი მაღალია. საერთოდ, ამ ბოლო დროს, არის ტენდენცია იმისკენ, რომ დამოუკიდებელი ტელეკომპანიები ბოლომდე იქნას გაკონტროლებული ხელისუფლების მიერ. ამის თქმის საფუძველს ის პროცესები მაძლევს, რაც „რუსთავი 2“-ში მოხდა.

— ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ „რუსთავი 2“ არის სახელმწიფო ტელევიზია?

— სახელმწიფო ტელევიზია არ არის, მაგრამ ხელისუფლებისთვის მუშაობს და ეს აშკარაა. „რუსთავი 2“-დან შენი კოლეგები იმიტომ გაუშვეს, რომ ისინი თავისუფლები იყვნენ.

— ინგა, მე ვიცი სამზარეულო, მათ თავისუფლად შეეძელოთ დარჩენა, მაგრამ მათ თვითონ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. უმეტესობას მომავლის შეეშინდა, ეგონათ, რომ მათ თავისუფლებას ვინმე შეეხებოდა.

— თუ გუნდური პრინციპით მუშაობ, შესაძლებელია მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. თუმცა მე საქმის დროს ნაკლებად ემოციური ვარ. თუ მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მათაც გაუშვებდნენ, ცხადია, ისინი უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მაინც მიმაჩნია, ისინი რომ ეკა ხოფერიას გვერდით დამდგარიყვნენ, როდესაც მან წასვლა გადაწყვიტა და მისთვის ასეთივე დაჟინებით ეთხოვათ, არ წასულიყო, შესაძლოა, ეს პროცესები შეჩერებულიყო...

— ინგა, ხელისუფლების წარმომადგენლები, გინდაც ოპოზიცია, ამა თუ იმ არხზე რომ არ მიდის და ბოიკოტს აცხადებს (რაც ჩემი აზრით აბსოლუტური სისულელეა), რას ნიშნავს ეს?

— საერთოდ, ეს ანეკდოტური სიტუაციაა, რადგან ისინი კარგავენ ტრიბუნას. სასაცილოა, პრესასთან და მაყურებელთან გაბუტვა. კარგი გადაწყვეტილება მივიღე, როცა ფორმატი შევცვალე. თუ რომელიმე მხარე არ იქნა, ოპონენტი მე ვიქნები და „ცალ კარში“ თამაში აღარ იქნება.

— რომელი უფრო მაგარი შოუმენია — სააკაშვილი თუ ნათელაშვილი?

— გააჩნია, რომელს რომელი არენა აქვს დათმობილი. იყო პერიოდი, როცა შალვა ნათელაშვილი დგამდა მაგარ შოუებს. ახლა პრეზიდენტი დგამს წინასაარჩევნო სანახაობას, რადგან მას, როგორც პრეზიდენტს, დიდი არეალი აქვს. ხომ იყო სააკაშვილის ტრიბუნაზე ლაპარაკი — მოძრავი ტრიბუნა აქვს და სულ თან დააქვსო. ახლა ტრიბუნასთან დგას ყველა პარტიის ლიდერი.

— აქვს თუ არა ოპოზიციას ამ არჩევნებზე გამარჯვების შანსი?

— რაღაც შანსი აქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც არ გაერთიანდა; ერთიანი რომ იყოს, ოპოზიციას სერიოზული შანსი ექნებოდა.

ამ დროს, ოთახში ეკა ხოფერია შემოვიდა და დიმას უთხრა: ერთი ჰკითხე ინგას, გათხოვებას არ აპირებსო? ამის გამგონე ინგამ მას პასუხი მაშინვე გასცა:

— გათხოვება არა... ერთი ხოფერიას ჰკითხე, თვითონ რას შვრება, მუშაობა რადიო „უცნობში“ რომ დაიწყო *(იცინიან).*

— კარგი, ის მითხარი, ამ ზაფხულს არ დაგისვენია?

— არა, სახლში რემონტს ვაკეთებდი. მხოლოდ ერთი კვირით ვიყავი ქობულეთში.

— რა მანქანით დადიხარ, ისევ ის მანქანა გყავს?

— არა, გამოვცვალე და ახლა „ჰიუნდაის“ ჯიპი მყავს. ძალიან დამღალა ნახმარმა მანქანებმა და გადავწყვიტე, ახალი შემეძინა. ჩემმა ერთმა მეგობარმა, რომელსაც რჩევა ვთხოვე, ფორდის სიტყვები გაიხსენა: „ყველაფერს ახალი მანქანა სჯობსო“... ისე, იმ დღეს, ჭიჭიკო და ბიჭიკომ რომ დაგირეკეს, მაგრად გაგაბრაზეს?

— მაგათი გაბრაზებული არ გაბრაზვას. შენც გელაპარაკნენ, არა? მგონი, შენ ჩაგაგდეს უხერხულ მდგომარეობაში. უზრდელები არიან.

— არა, უზრდელები არ არიან. უბრალოდ, დამაბნიეს. მკითხეს: ტუჩები რომ დაიბერე, ვინმეს მას მერე შენთვის ტუჩებში თუ უკოცნიაო? მდგომარეობიდან რაღაცნაირად გამოვძვერი და მათ ვუპასუხე: ასეთი ადვილია ინგა გრიგოლიასთვის ტუჩებში კოცნა-მეთქი? *(იცინიან).* ■

სასკოლო სიახლეები:

ათბალიანი სისტემა, დირექტორის კოლექტიური უფროსი და სანახევროდ „ქართული“ ფორმა უმცროსკლასელთათვის

უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ სასწავლო წლის დასაწყისს „მცოცავი გრაფიკი“ აქვს და ხან როდის იწყება, ხან — როდის. გვადი ბიგვასი არ იყოს, ჩვენმა განათლების მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა „დეითვალეს და წრეულს პირველი სექტემბერი მუუწია“ 18-ში, 25-ში ან სულაც — 2-ში (ოქტომბრის)... იმასაც მივეჩვიეთ, რომ ყოველ ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ვხვდებით. რა ცვლილებები იქნება წელს სასწავლო პროცესში და ელის თუ არა ასაკოვან პედაგოგებს სამსახურის დატოვება, — ამის და კიდევ ბევრი სხვა რამის შესახებ ეროვნული სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ სიმონ ვანაშვილს ვკითხე.

მარი ჯაფარიძე

— პირველ რიგში, მინდა სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ყველა მოსწავლეს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს და მხნეობა და წარმატებები ვუსურვო. ბოლო წლებში თითქმის ყოველ წელს რაღაც სიახლეს ვთავაზობთ ჩვენს მოსწავლეებს და არც წლევანდელი წელი იქნება გამონაკლისი. პირველ რიგში, სკოლებში შეიცვლება მოსწავლეთა შეფასების სისტემა: ათბალიან სისტემაზე გადავდივართ. ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მოსწავლის მოსწრება. ასევე იცვლება კლასის დამრიგებლის ინსტიტუტი. თუ აქამდე, ერთ კლასს ერთი დამრიგებელი ჰყავდა, ახლა უკვე შესაძლოა, ერთი დამრიგებელი ჰყავდეს მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს, არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფი მთელი კლასის მოსწავლეებისგან შედგებოდეს. შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები გაერთიანდებიან და სურვილის მიხედვით აირჩევენ დამრიგებელს. წელს საგნობრივ პროგრამებშიც სიახლეა. ამჯერად პროგრამა ორიენტირებულია არა სწავლების პროცესზე, არამედ შედეგზე. თუ ადრე პროგრამაში ეწერა, რა უნდა გაეკეთებინა მასწავლებელს, ახლა მთავარია, რას უნდა მიაღწიოს მან. შესაძლოა, ორმა მასწავლებელმა ზუსტად ერთი და იმავე პროგრამით ასწავლოს ბავშვებს, მაგრამ წლის ბოლოს, სხვადასხვა შედეგს მიაღწიონ. ჩვენ სწორედ შედეგი გვაინტერესებს. მთავარი ის კი არ არის, რომ გაატაროს პროგრამით გათვალისწინებული მასალა, არამედ ის, რომ მიაღწიოს შედეგს. თითოეული პედაგოგი სწორედ შედეგზე

იქნება პასუხისმგებელი. ჩვენ ვატარებთ სპეციალურ ტრენინგებს პედაგოგებისთვის, რომ უკეთ გაიაზრონ, თუ რა მოეთხოვებათ მათ. 8 დღის განმავლობაში ტრენინგს ჩაატარებენ ჩვენი სპეციალისტები, ხოლო მომდევნო 8 დღეს — ის პედაგოგები, რომელთა სკოლებშიც შარშან უკვე დაინერგა ის სიახლეები.

— გინდათ თქვათ, რომ რამდენიმე სკოლაში უკვე ჩატარდა ექსპერიმენტი, გაამართლა და ახლა ყველა სკოლაში ნერგავთ სიახლეს?

— დიახ, საქართველოს 100 სკოლაში უკვე მიმდინარეობდა აღნიშნული ექსპერიმენტი. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ახალი მეთოდი საკმაოდ შედეგიანია.

— ბოლო წლებში, თითოეულ საგანში რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობდა. მშობლებს არ შეეძლოთ სწავლის დაწყებამდე წიგნების

საქართველოს 100 სკოლაში უკვე მიმდინარეობდა აღნიშნული ექსპერიმენტი

შეძენა, რადგან არ იცოდნენ, რომელს აირჩევდა მასწავლებელი. ამ მხრივ წლეულს რაიმე თუ შეიცვალა?

— ისევ ასარჩევად გვექნება საქმე, მაგრამ — გაცილებით მოწესრიგებულად: როდესაც სკოლა აირჩევს სახელმძღვანელოს, ის ვალდებული იქნება, ამ წიგნით მომდევნო 3 წლის განმავლობაში იხელმძღვანელოს.

— ახალი საგნის დამატებას ხომ არ გეგმავთ?

— X კლასში ემატება სამოქალაქო განათლება. ბავშვები შეისწავლიან, თუ რა არის საზოგადოება, რისგან შედგება ის, რა უფლებები აქვს მოქალაქეს და ა.შ. ამ საგნის სწავლება ნაწილობრივ მიმდინარეობდა სკოლებში — სამართალმცოდნეობის, ბავშვთა კონვენციის, ადამიანთა უფლებების სახით, — მაგრამ ახლა ეს საკითხები განსხვავებულად, უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი.

— დიფერენცირებული სწავლება კვლავ ძალაში რჩება?

— დიფერენცირებული სწავლება, იმ ფორმით, როგორითაც არსებობდა, აღარ იქნება. ახლა იქნება სავალდებულო საგნები და არჩევითი საგნები. ჰუმანიტარული განხრის მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებს საერთოდ არ სწავლობდნენ, ახლა ვალდებული იქნებიან, ერთი საგანი მაინც ისწავლონ, საკუთარი სურვილის მიხედვით.

— ამბობენ, სპეციალური ასაკობრივი ზღვარი დაწესდება, რომლის ზევითაც, პედაგოგს მუშაობის უფლება აღარ ექნება...

— ამასთან დაკავშირებით მსჯელობაც არ გვქონია. ან რატომ უნდა გავუშვათ სკოლიდან გამოცდილი პედაგოგები?! სპეციალურად მასწავლებლებისთვის გახსნილი გვაქვს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. რამდენიმე სკოლის ხელმძღვანელობამ ყველაზე ასაკოვანი პედაგოგები გამოგზავნა, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ თავად დარწმუნებულიყვნენ, რომ მათ უკვე აღარაფერი შეუძლიათ. მაგრამ წარმოიდგინეთ, მათ გაცილებით იოლად გაართვეს თავი კომპიუტერს, ვიდრე ახალგაზრდებმა. აქედან გამომდინარე, სულაც არ მივიჩნევ საჭიროდ, რომ ისინი სკოლიდან დავითხოვოთ. მოხუც პედაგოგებს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად — ცოდნაც. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უწყობს და სიარული, მეტყველება და ბავშვებთან ურთიერთობა არ უჭირს, ნებისმიერი ასაკის მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს. მაგალითად, ის პედაგოგები, რომლებიც მე მასწავლიდნენ, დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს და მხნედ გამოიყურებიან. მხოლოდ ასაკი არ შეიძლება გახდეს სამსახურიდან გაშვების მიზეზი.

წელს სკოლებში კიდევ ერთი სიახლეა: დაბალი კლასების მოსწავლეები სპეციალური ფორმებით ივლიან. ამ სიახლის შესახებ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს ***ნატო მაჩალაძეს*** *ვესაუბრეთ:*

— განათლების სამინისტროსა და თბილისის მერიის ინიციატივით, წელს 1-6 კლასის მოსწავლეებისთვის სპეციალური ფორმები შეიკერა. ისინი ბავშვებს უსასყიდლოდ დაურიგდებათ. მშობლები და მოსწავლეები თავიდანვე დადებითად განეწყვნენ სასკოლო ფორმის შემოღების მიმართ, რადგან მათთვის გაცილებით ხელსაყრელია, ბავშვმა ფორმით იაროს სკოლაში — აღარ მოუწევთ ნაირ-ნაირი ტანისამოსის ყიდვა და ამით ფულსაც დაზოგავენ.

— როგორ მოხდა ტანისამოსის დიზაინის შერჩევა?

— გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო ნიმუშის გამოსავლენად. 7 განაცხადიდან 4-მა გაიმარჯვა. შემდეგ, სკოლებს მიეცათ საშუალება, ამ 4 ნიმუშიდან სურვილისამებრ, ერთ-ერთი აერჩიათ.

— რატომ იზრუნეთ მხოლოდ პატარა ასაკის ბავშვებზე? უფროსკლასელთათვის არ არის აუცილებელი სასკოლო ფორმის ჩაცმა?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ბავშვები მიუჩვეველი არიან ფორმით სიარულს. უკვე მოზრდილებს პრეტენზია გაუჩნდებოდათ და უარს იტყოდნენ. ამის გამო გადავწყვიტეთ, ეს მხოლოდ დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის გვექცია სავალდებულოდ. ისინი რომ გაიზრდებიან, უკვე მიჩვეული იქნებიან ფორმით სიარულს და პრობლემები აღარ შეგვექმნება. იმ დროისთვის უკვე მაღალ კლასებშიც სავალდებულო გახდება ფორმით სიარული.

— ფორმები საქართველოში შეიკერა?

— სასურველი იქნებოდა, რომ მართლაც აქ შეკერილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში საამისო რესურსი არ მოიძებნა. ამის გამო იძულებული გავხდით, რომ ნაწილი თურქეთში შეგვეკერა. ქვედაბოლოები საქართველოში შეკერეს. იმედია, სამომავლოდ გამოჩნდება ფირმა, რომელიც ადგილზევე შეასრულებს მთელ შეკვეთას. ახალი სასკოლო ფორმები ძალზე ხარისხიანია და ბუნებრივი მასალისგანაა შეკერილი. გარდა სასკოლო ფორმებისა, წელს პირველკლასელებს, კვლავ დაურიგდებათ ჩანთები და წიგნები...

სასკოლო ფორმები იმ მოსწავლეებისთვისაც აუცილებელია, ვინც ფასიან სკოლაში სწავლობს. სკოლა-ლიცეუმ „იესემში“, სადაც ერთი ბავშვის სწავლა წელიწადში 1.400 ლარზე მეტი ჯდება, სასკოლო ფორმა 175 ლარი ღირს.

მაია კვაჭანტირაძე, *სასწავლო ნაწილის გამგე:*

— ჩვენი სკოლა ფასიანია და სწავლა საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება. აქ ძირითადად, შეძლებული ოჯახების შვილები დადიან და შესაბამისად, არ გასჭირვებიათ სასკოლო ფორმაში 175 ლარის გადახდა. ჩვენთან ფორმის ჩაცმა -დან X კლასის ჩათვლით გახლავთ სავალდებულო. ფორმა ქართველმა დიზაინერმა შეკერა და საკმაოდ მაღალი ხარისხის გახლავთ. ის 4 ნაჭრისგან შედგება: ქვედაბოლო, პიჯაკი, პერანგი და ჟილეტი. თანაც, პიჯაკსა და ჟილეტს ჩვენი სკოლის ლოგო ამშვენებს.

სასკოლო ფორმები იმ მოსწავლეებისთვისაც აუცილებელია, ვინც ფასიან სკოლაში სწავლობს

— სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს?

— დიახ.

— რატომ გაქვთ ლოგო მხოლოდ ინგლისურ ენაზე?

— იცით, თავიდანვე ჩვენი სკოლის ლოგო ასეთი იყო... ახლა არ შეგვიცვლია. სიმართლე რომ გითხრათ, ამაზე არ გვიფიქრია...

სკოლებში წელს კიდევ ერთი სიახლეა დაგეგმილი, რომელსაც გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. ეს გახლავთ სკოლებში ჩამოყალიბებული სამეურვეო საბჭოები, რომლის არჩევნებიც ა.წ. მაისში ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მშობელსა თუ მასწავლებელს შეეძლო და ჩვეულებრივი საარჩევნო წესებით მიმდინარეობდა: მასში მონაწილეობის მსურველებს კანდიდატურა დადგენილ ვადაში უნდა წარედგინათ, შემდეგ საარჩევნო კამპანია ჩაეტარებინათ და ხმების უმრავლესობით გამარჯვების შანსი გამოეყენებინათ. რას წარმოადგენს სამეურვეო საბჭო, რა ფუნქციები აკისრია მას, შესაძლებელია თუ არა, რომ სკოლის მოსწავლეთა მშობლებიც გახდნენ კორუმპირებული, — ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული წარმომადგენლობებისა და საინფორმაციო მართვის დეპარტამენტის უფროსი ***ირაკლი თოდუა*** *გვესაუბრება:*

— ვინაიდან სკოლა დამოუკიდებელ იურიდიულ პირად იქცა, მას გაუჩნდა საკუთარი ბიუჯეტი. მისი დაფინანსება, ვაუჩერული წესით, იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენი მოსწავლე ჰყავს სკოლას. ამდენად, თითოეულმა სკოლამ იცის, რა რაოდენობის თანხის მფლობელია და საკუთარი სურვილისდა მიხედვით განკარგავს ამ სახსრებს. ჩვენ ვაძლევთ მხოლოდ ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაადგინოს პედაგოგთა ხელფასი. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რომ საჭირო გახდა სკოლაში დემოკრატიული მმართველობის შემოღება. სკოლის განვითარების სტრატეგია, მისი პოლიტიკა და თანხების განკარგვა იმ ადამიანების ხელში უნდა იყოს მოქცეული, ვინც დაინტერესებული არიან სკოლის წარმატებით. ვინ არიან ეს ადამიანები? რაღა თქმა უნდა, მშობლები, მასწავლებლები და თვითონ მოსწავლეები. სამეურვეო საბჭოც სწორედ ამ ადამიანებისგან შედგება. მოსწავლეთაგან საბჭოში თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრი შედის. თუ აქამდე სკოლის ბედიღბალს განაგებდა განათლების განყოფილება, რომელიც მისგან შესაძლოა, რამდენიმე ათეული კილომეტრით ყოფილიყო მოშორებული, ახლა სკოლის ცხოვრებას უშუალოდ ის ადამიანები წარმართავენ, ვინც მისი, ასე ვთქვათ, ოჯახის წევრები არიან. შესაძლებელია აგრეთვე, რომ სამეურვეო საბჭოში თავისი წარმომადგენელი შეიყვანოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ, განათლების სამინისტრომ ან საზოგადოების ნებისმიერი წევრი აირჩიონ.

სამეურვეო საბჭომ უნდა გადაწყვიტოს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თუ მოსწავლეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხი

— რამდენი წევრი შეიძლება იყოს სამეურვეო საბჭოში?

— წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე: თუ სკოლაში 500 ბავშვზე მეტია, მაშინ თითო საფეხურიდან (პირველ საფეხურს წარმოადგენს -V, მე-2 საფეხურს — V—V, მე-3 საფეხურს — X-X კლასები) ირჩევა 2 მშობელი და 2 მასწავლებელი, ხოლო თუ სკოლაში ნაკლები რაოდენობის მოსწავლეა, მაშინ თითო საფეხურიდან — თითო.

— შეუძლია თუ არა სამეურვეო საბჭოს, რომ საკადრო ცვლილებებში მიიღოს მონაწილეობა?

— საკადრო საკითხებზე პოლიტიკის შემუშავება სწორედ მას ეხება. ეს რას ნიშნავს? სამეურვეო საბჭოს შეუძლია, სკოლის მენეჯერს ან დირექტორს ურჩიოს, რომ დავუშვათ, დამატებით აიყვანოს მასწავლებელი, მაგრამ პრაქტიკულად ამას ახორციელებს სკოლის დირექცია. სამეურვეო საბჭოს შეუძლია, განკარგოს თანხა, გადაწყვიტოს, რაში დაიხარჯება ფული. ამჟამად სამეურვეო საბჭოს წევრებს უტარებენ ტრენინგს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, კარგად გაეცნონ საკუთარ მოვალეობებსა და ფუნქციებს. ტრენინგი 7 დღის განმავლობაში, დღეში 7 საათი მიმდინარეობს. ეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინიციატივით ხდება. ამ ტრენინგის წარმმართველი ტრენერების ტრენინგი სწორედ „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ჩაატარა. სკოლის მართვის სიტემაში სამეურვეო საბჭოს შემოღება დემოკრატიული პრინციპების დანერგვის საუკეთესო გზაა. ჩვენ გვეუბნებიან: თუ აქამდე კორუფცია თავმოყრილი იყო სათავეში, ახლა მშობელთა და მასწავლებელთა მცირე ჯგუფს აძლევთ საშუალებას, რომ მოითბონ ხელიო... ასე არ არის, ისინი ვერ მოითბობენ ხელს, რადგან მათ უკან დგანან სხვა მშობლები, რომლებიც პასუხს მოსთხოვენ თითოეული დახარჯული თეთრისთვის.

— როგორი იქნება დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ურთიერთობა?..

— დირექტორი სამეურვეო საბჭოს ექვემდებარება. შესაძლებელია, დაგვჭირდეს გარკვეული დრო, რომ ყველამ იცოდეს თავისი საქმე და ბოლომდე გაერკვეს იმაში, თუ რა ევალება, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი დალაგდება და ის ჩანაფიქრი, რომელიც ამ რეფორმას უდევს საფუძვლად, განხორციელდება. სამეურვეო საბჭო ირჩევს დირექტორს და ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. თუ დირექტორი არ მიჰყვება იმ სტრატეგიას, რომელსაც სამეურვეო საბჭო დაისახავს, საბჭოს შეუძლია, დირექტორი შეცვალოს. სამეურვეო საბჭომ უნდა გადაწყვიტოს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თუ მოსწავლეებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხი. პრინციპში, სკოლას მართავს სამეურვეო საბჭო და შემსრულებელია დირექტორი. ■

"მოვკალი და გარემ სულყველა დავხოცოთ"

წითელნიღბიანი ყაჩაღების სისხლიანი „საქმეები"

ჯგუფურად და არაერთგზის ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმა — ორგანიზაციებზე, ოჯახებზე, მიკროავტობუსების მგზავრებსა და ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებზე სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და მუქარით; ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე იარაღის მაკომპლექტებელი დეტალების, საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება, გასაღება; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში — ჩადენილი ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით და განსაკუთრებული სისასტიკით — ამ უმძიმესი მუხლებით, პროკურატურამ ბრალი სამ ახალგაზრდას: 24 წლის მალხაზ ჯიმშელეიშვილს, 24 წლის თემურ მუკბანიასა და 27 წლის ავთო მარგველაშვილს წაუყენა.

ბრალდებულებმა აღიარებითი ჩვენებები მხოლოდ წინასწარ გამოძიებას მისცეს, სასამართლო პროცესზე კი ყველაფერი უარყვეს და განაცხადეს, რომ სრულიად უდანაშაულოები იყვნენ. ამ დროს, ბრალდების მხარე საპირისპიროს ამტკიცებდა. პროკურორი ირწმუნებოდა, რომ უმძიმესი დანაშაულები, რომლებმაც არაერთი ოჯახი დააზარალა და ბევრი სამუდამოდ გააუბედურა, სწორედ ამ ახალგაზრდებმა ჩაიდინეს. ოფიციალური ცნობებით, პრც მათი წარსულია შეუბღალავი. ჯიმშელეიშვილი ორჯერ ქურდობისთვისაა ნასამართლევი, მუკბანიანმა და მარგველაშვილმა კი ყაჩაღობისთვის მოიხადეს სასჯელი.

„...ორჯერ მოხვდა ციხეში ქურდობისთვის. პირველად რომ დაიჭირეს, 19 წლის იყო. მას შემდეგ ყოველთვის ყურადღებით ვიყავი. მინდოდა, როგორმე ამეცილებინა ამ გზისთვის და ჩამომეშორებინა იმ ბიჭებისგან, რომელთაც ჩემი შვილი ამ საქმეში ჩაითრიეს. ერთხანს ვაიძულე, ბიძამისთან, მაღაზიაში ემუშავა. სამწუხაოდ, დიდხანს ვერ შევძელი სიტუაციის მართვა. მახო (მალხაზ ჯიმშელეიშვილი. — ავტ.) ძმაკაცებს მაინც ხვდებოდა. საქურდალი და საყაჩაღო ჩემს შვილს არაფერი სჭირდა — რამდენჯერაც არ უნდა ეთქვა, ფულს ყოველთვის ვაძლევდი, თუმცა იმასაც ვცდილობდი, ზომიერება დამეცვა, რომ უმისამართო ხარჯვას არ შესჩვეოდა ან ჩემ მიერ მიცემული თანხა ცუდი საქმისთვის არ გამოეყენებინა. მის სამეგობრო წრეში, სამწუხაროდ, გაერია ერთი-ორი ისეთი ახალგაზრდა, რომლებმაც არასწორ გზაზე დააყენეს. ერთმანეთისგან ძმაკაცობის და ერთგულების დამტკიცებას ასე ითხოვდნენ — თუ რომელიმე მათგანი ფულს წააგებდა ან სხვა რაიმე მიზეზით დასჭირდებოდა სოლიდური თანხა, ძმაკაცები ყველანაირ რისკზე უნდა წასულიყვნენ და ნებისმიერი გზით ეშოვათ მისთვის ფული. პირველ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მახომ ბინა გაქურდა იმისთვის, რომ ნაქურდალი ნივთების გაყიდვით აღებული თანხა ძმაკაცისთვის მიეცა და ის არასახარბიელო მდგომარეობიდან დაეხსნა... ზაფხული იყო, ივლისის თვე (რიცხვი ზუსტად არ მახსოვს), შინ გვიან მოვიდა და ქაღალდის ყუთი მოიტანა. ყუთში სხვადასხვა საქონელი ეწყო. მივხვდი, რომ ნივთები მოპარული იყო. გავუწყერი და ვუბრძანე: ისინი დაუყოვნებლივ დაებრუნებინა პატრონისთვის. მეორე დღეს სამსახურში წავედი. შინ რომ დავბრუნდი, მეუღლემ მითხრა: მეზობლის ქალი იყო მოსული, ბინა გაუქურდავთ და ეჭვი მახოზე აქვსო. ნივთები იმ ქალს დავუბრუნე, მაგრამ პოლიციაში საჩივარი მაინც შეიტანა. მახოს ამ ფაქტის გარდა, გამოძიების პერიოდში (როგორც ხდება ხოლმე), სხვა გაუხსნელი საქმეებიც „ბჰკიდეს", — ჰყვება ერთ-ერთი მსჯავრდებულის, მალხაზ ჯიმშელეიშვილის მამა.

დაახლოებით ასეთსავე ამბებს ჰყვებიან დანარჩენი ორი მსჯავრდებულის ახლობლებიც. ყველაფერთან ერთად, როგორც ნათესავები ამბობენ, მარგველაშვილს ინვალიდი დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა კმაყოფაზე. ჯიმშელეიშვილი და მუკბანიანი უბნელები და კლასელები იყვნენ. თუმცა, როგორც ახ-

მესტიაში, ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი დააკავეს

შსს პრესსამსახური იუწყება, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსა და მესტიის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ტრეფიკინგში ბრალდებული, 67 წლის გარიბალდ ჯაფარიძე დააკავეს. ის დაბა მესტიაში, მის საცხოვრებელ სახლში აიყვანეს. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებული ე.წ. „კანონიერი ქურდების" — სპარტაკ და ბესო ჯაფარიძეების მამაა და დაბა მესტიის ე.წ. „მაყურებელია". სამართალდამცველთა თქმით, გარიბალდ ჯაფარიძეს 2006 წლის 1-ლი მარტიდან 29 აგვისტომდე, მოტყუებით ჰყავდა დაქირავებული ქალაქ ფოთში მცხოვრები თამაზ ხარებავა და მას სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აიძულებდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ■

მეგობრის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

ეჭვმიტანილის ადვოკატმა პროცესზე აღმკვეთი ღონისძიების არასაპატიმრო სასჯელით შეცვლა მოითხოვა, თუმცა პროკურორის მოთხოვნას თავად ბრალდებულიც დაეთანხმა. შემთხვევა უფლისციხის სამხედრო ბაზაზე მოხდა, როდესაც გიორგი ოზბეთელაშვილი სამახსოვრო ფოტოსურათებს უღებდა გიორგი მუმლაძეს. გადაღებისას მან მეგობარს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით გასროლით, სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც, გიორგი მუმლაძე ადგილზევე გარდაიცვალა. ჯარისკაცები სავალდებულო სამხედრო სამსახურს რამდენიმე დღეში ასრულებდნენ, ორივე მათგანი ლაგოდეხის რაიონის მკვიდრია. ოზბეთელაშვილი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დააკავა. მას გაუფრთხილებლობით სხვისი სიცოცხლის ხელყოფა ედება ბრალად. ■

«სტავკა» – 500 ლარი(?!)

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თერაპიული განყოფილების უფროსს — პეტრე ზვიადაძეს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.

ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით, შს სამინისტრო უახლოეს ხანში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს. ვინაიდან ქრთამის აღება მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიგს განეკუთვნება, გამოძიება სასამართლოს სავარაუდოდ, ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართავს.

გამოძიების ინფორმაციით, პეტრე ზვიადაძე აღნიშნულ სისტემაში 1971 წლიდან მუშაობდა. შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელთა ინფორმაციით, მან მსჯავრდებულის ახლობელს ქრთამის სახით 150 ლარი გამოსძალა. ზვიადაძეს, აღნიშნული თანხის სანაცვლოდ, მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა უნდა უზრუნველეყო. გამოძიებამ დაადგინა, რომ სამკურნალო დაწესებულებაში ჯანმრთელი პატიმრების დასატოვებლად დაწესებული იყო ყოველთვიური ე.წ. „სტავკა" — 500 ლარის ოდენობით.

პეტრე ზვიადაძე საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, თანხის ნაწილის აღებისას დააკავეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს. ზვიადაძეს ბრალის დამტიცების შემთხვევაში, 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ■

ლობლები ამბობენ, ისინი დაკავებამდე ერთი წლით ადრე დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

საბრალდებო დასკვნაში ისიცაა აღნიშნული, რომ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმებში, ზემოთ ხსენებული სამი პიროვნების გარდა, სხვა, ჯერ-ჯერობით დაუდგენელი პირებიც მონაწილეობდნენ — ზოგ ეპიზოდში ორი უცნობი ფიგურირებს, ზოგში — სამი. დაზარალებულების თქმით, ყაჩაღები თანატოლები უნდა ყოფილიყვნენ. მათივე გადმოცემით, ისინი სახეზე წითელ ნიღბებს იფარებდნენ.

თუმცა, ზოგჯერ რისკზე წასვლაც უხდებოდათ და იძულებულები იყვნენ, ყაჩაღური თავდასხმა ნიღბების გარეშე განეხორციელებინათ. მაგალითად, ასე მიკროავტობუსების მგზავრების დაყაჩაღების დროს იქცეოდნენ. დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით მიმავალ „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის მიკროავტობუსს ბოროტმოქმედები წინასწარ შეთვალიერებულ ადგილზე ჩაუსაფრდნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, მუკბანიანი, ჯიმშელეიშვილი, მარგველაშვილი და გამოძიებით დაუდგენელი კიდევ ერთი პიროვნება, უკანონოდ შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებითა და „აკს“-ის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. გეგმის თანახმად, ისინი მიკროავტობუსის მგზავრების კუთვნილ ფულსა და ძვირფას ნივთებს უნდა დაუფლებოდნენ. დაახლოებით, საღამოს 11 საათი სრულდებოდა, როცა ყაჩაღური ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მიკროავტობუსის მძღოლს ანიშნა, გაჩერებულიყო, გაჩერების შემდეგ კი, მას ავტომატიც დაანახვა და კართან მისულმა, საჭესთან მჯდომს დაბალ ხმაზე უთხრა: ხმა არ ამოიღო, ისე გადმოდი მანქანიდანო. მძღოლს სხვა გზა არ ჰქონდა, ბოროტმოქმედის მოთხოვნას დაემორჩილა. მგზავრებს ყველაფერი წაართვეს: ფული, ტელეფონები, ძვირფასეულობა — ქორწინების ბეჭდები და ძვირად ღირებული საყურეები... მიზანს მიაღწიეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. იმ დღეს, ყაჩაღური თავდასხმა უსისხლოდ დასრულდა. მაგრამ, ყოველთვის ასე არ ხდებოდა...

წინა დანაშაულისთვის უკვე ძებნაში მყოფი მარგველაშვილი მუკბანიანს დაუკავშირდა და მას ახალი საქმე შესთავაზა. მუკბანიანი (როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი აღნიშნავდა სასამართლო პროცესზე), ჯგუფში ყველზე გამოცდილ კრიმინალად ითვლებოდა. ის წარსულში ბანდიტიზმისთვისაც გახლდათ ნასამართლევი. ამასთანავე, ჯგუფს ერთგვარ ლიდერობასაც უწევდა. ის მარგველაშვილის წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა და სოფლიდან, რომელსაც თავს აფარებდა, თბილისში ჩავიდა. თავდასხმა თბილისიდან დასავლეთისკენ მოძრავ რომელიმე მიკროავტობუსზე მეორე დღესვე უნდა განეხორციელებინათ. მარგველაშვილს თან ჰქონდა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, მუკბანიანს — ავტომატი, გამოძიებით დაუდგენელ პირს კი, ლულებ და კონდახ გადაჭრილი თოფი. რაც შეხებია ჯიმშელეიშვილსა და გამოძიებით დაუდგენელ მეორე პირს, დაზარალებულების ჩვენებების მიხედვით, გადაჭრილ თოფებთან ერთად, ისინი ხანჯლებითაც იყვნენ შეიარაღებულები.

იმ მიკროავტობუსში, რომელიც უნდა დაეყაჩაღებინათ, ბოროტმოქმედები ჯერ კიდევ ავტოსადგურში ჩასხდნენ. ისე იქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივი მგზავრები. წინასწარ ჰქონდათ დათქმული ადგილი, სადაც მძღოლს მანქანას გააჩერებინებდნენ. იმ ადგილზე კი, მსუბუქი ავტომანქანით მათ ჯგუფის ერთი წევრი დახვდებოდათ. გეგმის თანახმად, დაყაჩაღების შემდეგ, ნადავლით დატვირთული ბოროტმოქმედები იმ ავტომანქანაში ჩასხდებოდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალებოდნენ.

დაახლოებით, საღამოს 8 საათი იყო, როცა მძღოლის გვერდით სავარძელზე მჯდომმა მარგველაშვილმა მას მანქანის გაჩერება მოსთხოვა. დაზარალებულები ჩვენებებში წერენ, რომ მომხდარ ფაქტამდე ვერც კი მიხვდნენ, თუ მძღოლის გვერდით მჯდომი და უკანა სავარძლებზე მოკალათებული ახალგაზრდები ერთმანეთს იცნობდნენ. მით უმეტეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ისინი ბოროტმოქმედები იყვნენ.

როგორც კი მარგველაშვილის მითითებით მიკროავტობუსმა ტრასიდან გადაუხვია და მიფარებულ ადგილას გაჩერდა, სალონში, უკანა სავარძლებზე მსხდომმა დანარჩენმა ყაჩაღებმა უბეებიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს და მგზავრებს ფულის, ნივთების მათთვის გადაცემა და თან, წყნარად მოქცევა მოსთხოვეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბოროტმოქმედები დაზარალებულებს ძალადობით და მოკვლითაც ემუქრებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდნენ. მგზავრებს შორის ერთი ურჩი ახალგაზრდა მამაკაცი აღმოჩნდა. დაზარალებულები ჩვენებებში წერენ, რომ ბოროტმოქმედები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულები, თან აგრესიულები და ფიცხები ჩანდნენ, ამიტომაც, იმ სიტუაციაში, მათთვის რაიმე წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მგზავრ — ნიკურაძეს იმან გააბედვინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი — პისტოლეტი, ოფიციალურად გაფორმებული (შენახვისა და ტარების უფლებით), მასაც ჰქონდა. ნიკურაძე პოლიციის თანამშრომელი გახლდათ, იმ დღეს დასავლეთში პირად საქმეზე მიემგზავრებოდა. თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მუკბანიანმა, რომელიც მის უკან იდგა, დაინახა თუ არა, რომ ნიკურაძემ საქამრიდან პისტოლეტი ამოიღო, არც დაფიქრებულა, ავტომატიდან ტყვიები ზურგში მაშინვე ესროლა.

ამ საშინელი მკვლელობის ფაქტის შემხედვარე შოკში ჩავარდნილ მგზავრებს, იმ მომენტიდან ხმის ამოღებისაც კი ეშინოდათ. აღსანიშნავია, რომ მგზავრებს შორის ერთი არასრულწლოვანი გოგონა და 70 წელს მიღწეული მამაკაცი იმყოფებოდა. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მოკლულის — ნიკურაძის გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მას უმძიმესი ცეცხლნასროლი დაზიანებები ჰქონდა მიღებული: დაზიანებული იყო ორივე ფილტვი, ხერხემლის სვეტი, ჩამსხვრეული იყო მალები, ზურგის ტვინი კი — გაგლეჯილი...

„ის პიროვნება ჩემ წინ ნელ-ნელა დაეცა. წაქცეულთან მივედი. იქვე ეგდო „მაკაროვის“ პისტოლეტი, რომელიც მას მანამდე ხელში ეჭირა. პისტოლეტი ავიღე და ერთხელ, ჰაერში გავისროლე. მეორედ აღარ მისვრია. დაჭრილი აღარ ინძრეოდა, მივხვდი, რომ უკვე მკვდარი იყო... შემდეგ დანარჩენ მგზავრებს მივუბრუნდი. მარგველაშვილი მძღოლთან იდგა... მგზავრებს ფული და ნივთები გამოვართვი. კონკრეტულად ვის რა ან რა რაოდენობის თანხა, არ მახსოვს...“ — წერს აღიარებით ჩვენებაში მუკბანიანი. მაგრამ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სასამართლოში მან კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ყველაფერს გამომძიებლის კარნახით წერდა, თავად კი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბოროტმოქმედებმა მგზავრებს ფულის გარდა, ბარგიც ჩამოართვეს და იმ ავტომანქანაში გადაზიდეს, რომელიც მათ წინასწარ ელოდებოდა. ერთ მგზავრს მხოლოდ 3 ლარი აღმოაჩნდა, ყაჩაღებმა მას ისიც წაართვეს. ყველაზე მეტად ის ახალგაზრდა მამაკაცი დაზარალდა, რომელსაც 70 ლარი და 400 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი ედო ჯიბეში. დასავლეთში, თავის ოჯახში, მას დიდი ჩანთით სხვადასხვა სახის პროდუქტი და ტანსაცმელიც მიჰქონდა. ბოროტმოქმედებმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი თავიანთ ავტომანქანაში გადაიტანეს. „...დახოცვით გვემუქრებოდნენ. ისე აგრესიულად იქცეოდნენ, ამაში ეჭვი არავის შეგვპარვია. ყველაფრის გამკეთებლები იყვნენ. მათი მუქარის რეალობაში განსაკუთრებით მას შემდეგ დავრწმუნდით, რაც დავინახეთ, თუ როგორ ჩაცხრილეს ავტობუსის სალონში ის ახალგაზრდა მამაკაცი... ავტომატიანმა თქვა: იარაღიც დავირტყითო, აიღო პისტოლეტი და ერთხელ გაისროლა, თან დაამატა, რომ ღირსია, კიდევ დავახალოო... ის ახალგაზრდა, რომელიც შემდეგ მოკლეს, მთელი გზა ჩემ გვერდით იჯდა. ხშირად რეკავდა მობილური ტელეფონით და ვიღაცას ეუბნებოდა — მოვდივარ და დამხვდითო... ერთ-ერთ ბოროტმოქმედს ხელში ხანჯალიც ეჭირა. გარეთ რომ გადაგვიყვანეს, ბნელოდა, მაგრამ მაინც კარგად ვარჩევდი ყველაფერს. ხანჯლიანი ჩემთან მოვიდა და გამჩხრიკა. თან მხოლოდ 27 ლარი და ტელეფონი მქონდა. ქორწინების ბეჭედიც მეკეთა. ფული და ტელეფონი უხმოდ გადავეცი. ბეჭედზეც მანიშნა — მოიძრეო. წინააღმდეგობის განევა არც

მიფიქრია, ისე დავმორჩილდი", — წერს ჩვენებაში ერთ-ერთი დაზარალებული. მან ბოროტმოქმედები, როგორც წინასწარი გამოძიების პროცესში, ასევე სასამართლო პროცესზეც ამოიცნო.

დაზარალებული ბოცვაძე ჩვენებაში წერს:

„...მიკროავტობუსიდან ყველანი სათითაოდ ჩაგვიყვანეს. ჯერ გონზეც არ ვიყავი მოსული და გაცნობიერებულიც არ მქონდა — რა ხდებოდა, როცა მოულოდნელად, სროლის ხმა გაისმა. იმ მომენტში მიკროავტობუსისგან ზურგით ვიდექი, მომენტალურად შევტრიალდი და დავინახე ავტომატიანი ახალგაზრდა. ის მანქანიდან ჩამოდიოდა. თოფიანს გადაულაპარაკა — მოვკალი და ბარემ სულყველა დავხოცოთო... მე ოთხი ლარი წამართვეს... შემდეგ გაიქცნენ..."

ჩვენება დაზარალებულმა სასამართლოშიც დაადასტურა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მგზავრების გაჩხრეკისა და მიკროავტობუსის საბარგულიდან ჩანთების გადაზიდვის შემდეგ, თავდამსხმელები „უიგულის" მარკის ავტომანქანაში ჩასხდნენ, მანქანა დიდი სიჩქარით დაძრეს და იქაურობა დატოვეს. დაზარალებული მგზავრები და მძღოლი მაშინვე მიკროავტობუსში ჩასხდნენ და ახლომდებარე საავადმყოფოსკენ აიღეს გეზი, მომხდარის შესახებაც იქ განაცხადეს. ყაჩაღური თავდასხმის თაობაზე შეტყობინება პოლიციამაც მიიღო...

გზაში ბოროტმოქმედებმა ავტომანქანა გამოიცვალეს — „უიგული" მიატოვეს და „ნივაში" გადასხდნენ. დაყაჩაღების შედეგად ნაშოვნი ფული და ნივთები ერთმანეთში გაიყვეს, სამკაულების რეალიზაციით მიღებული თანხაც გაინაწილეს.

აღნიშნული დანაშაულის შემდეგ, მუკბანიანმა და მისი ჯგუფის წევრებმა მორიგ ყაჩაღურ თავდასხმაზე დაიწყეს ფიქრი. ახლა ჯერი მანჯგალაძეების ოჯახზე მიდგა. ეს ოჯახი წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. სხვათა შორის, მიკროავტობუსის დაყაჩაღების შემდეგ, მარგველაშვილი სწორედ იმ რაიონს აფარებდა თავს. მანჯგალაძეების ოჯახის შესახებაც იქ მოიპოვა ცნობები და თავის თანამზრახველებს შეატყობინა. ოჯახი შეძლებული იყო და ყაჩაღებს იქ ბევრი ძვირად ღირებული ნივთი ეგულებოდათ. ამას გარდა, მარგველაშვილმა შეიტყო, რომ ოჯახის უფროსმა იმ პერიოდში „კამაზი" გაყიდა, სამაგიეროდ კი, არაფერი უყიდია და ამდენად, აღებული თანხა სახლში სრულად უნდა ჰქონოდა. გეგმის თანახმად, სახლში შელწევის შედეგად, დიდი რაოდენობით თანხას და ნივთებს უნდა დაუფლებოდნენ. ყაჩაღებმა დრო წინასწარ შეარჩიეს და გამოძიებით დაუდგენელი ავტომანქანით, ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულები მანჯგალაძეების ოჯახს მიადგნენ. მუკბანიანს, როგორც ყოველთვის, ავტომატი ჰქონდა მომარჯვებული, მარგველაშვილს გადაჭრილი თოფი, ხოლო ჯიმშელეიშვილს ხელში ხანჯალი ეკავა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, დაყაჩაღებაში პისტოლეტებით შეიარაღებული, გამოძიებით დაუდგენელი პიროვნებაც მონაწილეობდა. ბოროტმოქმედებმა წითელი ქსოვილისგან წინადღეს დამზადებული ნიღბები აიფარეს სახეზე და ღამით, დაახლოებით 2 საათისთვის, მანჯგალაძეების სახლში შეიჭრნენ. შინ ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ. შეიარაღებული და ნიღბიანი ყაჩაღები მძინარეებს დაადგნენ თავზე. თავზარდაცემულ ცოლ-ქმარს მოკვლით დაემუქრნენ იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ არ გადასცემდნენ მათ თანხას და ძვირფასეულობას. ოჯახის უფროსმა ბოროტმოქმედებს უთხრა, რომ არც ფული ჰქონდა და არც ოქროსგან დამზადებული ნივთები. განაწყენებულმა მუკბანიანმა საწოლზე წამომჯდარ ნოდარ მანჯგლაძეს ხელი ჰკრა და ისევ ლოგინზე დააგდო, შემდეგ ავტომატი დაუმიზნა და ურჩია, მათ მოთხოვნას დამორჩილებოდა. სასურველ შედეგს რომ ვერ მიაღწია, თანამზრახველებს ანიშნა, სხვა მეთოდისთვის მიემართათ. მარგველაშვილმა საწოლზე გულაღმა წაქცეულ მანჯგალაძეს სახეზე ბალიში დააფარა, ჯიმშელეიშვილმა კი, მუცელში ძლიერად ჩასცხო მუშტები. სასტიკად ნაცემი და მოგუდვის პირას მისული მანჯგალაძე იძულებული გახდა, ბოროტმოქმედებს დამორჩილებოდა. ჩვენებაში წერს, რომ ყველაზე მეტად ცოლის გამო შეშინდა. ქალი ისე იყო დამფრთხალი, რომ ხმასაც ვერ იღებდა. მანჯგალაძე დარწმუნდა, რომ ბოროტმოქმედები წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მისი ცოლის მიმართაც გამოიყენებდნენ ძალას. ეს რომ თავიდან აეცილებინა, ყაჩაღებს იმ კარადაზე მიუთითა, სადაც ფულს ინახავდა. სახლიდან 8.000 დოლარი, ოქროს სამკაულები და სხვადასხვა საოჯახო ნივთი, მათ შორის, ძვირად ღირებული ხალიჩები წაიღეს. საოჯახო ნივთები და ხალიჩები ბოროტმოქმედებმა ნაცნობის ოჯახში მიიტანეს შესანახად, თუმცა, მისთვის რამდენიმე წუთის წინ ჩადენილი ყაჩაღობის შესახებ არაფერი უთქვამთ...

ამ ფაქტის შემდეგ, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მუკბანიანმა და მისი ყაჩაღური დაჯგუფების წევრებმა კიდევ არაერთი დანაშაული ჩაიდინეს. ლაპარაკია დაყაჩაღების კიდევ სამ ეპიზოდზე. სამივე დანაშაული, საბრალდებო დასკვნის თანახმად, ჯგუფურად და ძალადობის გამოყენებითაა ჩადენილი.

„...უზენაესმა სასამართლომ ბანდიტიზმისთვის გამასამართლა და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა. თუმცა, ციხიდან პირობით ვადამდე ადრე გავთავისუფლდი. სასჯელის მოხდის შემდეგ, სოფელში ვცხოვრობდი. ოქტომბერში მარგველაშვილმა მომაკითხა და მიკროავტობუსის დაყაჩაღება შემომთავაზა. მითხრა: ფული მჭირდებაო. ცეცხლსასროლი იარაღი ნაცნობის სახლში მქონდა გადამალული. ჯერ იქ მივედით, იარაღი წამოვიღეთ და დანარჩენებთან შესახვედრად წავედით... ავტობუსი გზაზე გავაჩერეთ. რომ ავედი, იარაღი ამოვიღე და ხალხს მივმართე — არ გაინძრეთ-მეთქი. მარგველაშვილმაც ამოიღო პისტოლეტი, ჯიმშელეიშვილს თოფი ეჭირა. მან ხალხს უთხრა: არ გაინძრეთ, თორემ „უაკანი" და „რატეჩი" მაქვს დატენილი და არ გავარდესო"... — წერს ჩვენებაში მუკბანიანი.

წარდგენილ ბრალდებებში, საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში, მარგველაშვილმა და ჯიმშელეიშვილმაც თავი დამნაშავედ ცნეს, მაგრამ სასამართლოში მათაც ყველაფერი უარყვეს. პროკურატურა დაზარალებულთა და მოწმეების ჩვენების გარდა, სასამართლო-სამედიცინო ბალისტიკური და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზების დასკვნებზე მიუთითებდა.

პროკურატურის მტკიცებულებებში სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია. აღსანიშნავია ისიც, რომ დაკავებულთა საცხოვრებელი ბინებიდან პოლიციამ ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალებთან ერთად, დაზარალებულთა ჩვენებებში ნახსენები ხანჯლები და წითელი ნიღბებიც ამოიღეს. განსასჯელთა ჩვენებების მიუხედავად, სადაც ისინი საკუთარ უდანაშაულობას ირწმუნებოდნენ, სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა და სამივე განსასჯელი დამნაშავედ გამოაცხადა. მათგან ყველაზე მკაცრი სასჯელი მუკბანიანს ხვდა წილად. მას 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაც შეეხება მარგველაშვილსა და ჯიმშელეიშვილს, ისინი 14-წლიანი პატიმრობით დასაჯეს. ■

მარიამიზას ჩაფენილი სასტიკი დანაშაული

შურისძიებით აღვსილმა მკვლელმა მსხვერპლს დანა ყისერში გაუყარა

საშინელი დანაშაული, რომელიც მარიამობის დღესასწაულზე, ღამით, ნასვამმა პიროვნებამ ჩაიდინა, სამართალდამცველების თქმით, შურისძიების გამო მოხდა. სასტიკ მკვლელობას წინ ჩხუბი უძღოდა. საინტერესოა, რომ ჩხუბის გამო, შემთხვევის ადგილზე პოლიციელებიც გამოცხადდნენ. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ იქიდან წასულები, როცა რამდენიმე მეტრის მოშორებით, გაცილებით მძიმე დანაშაული მოხდა. გამოძიების მასალების თანახმად, მკვლელობის მოტივი — შურისძიებაა. დამნაშავემ სწორედ ამ მიზეზით, ორი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა განიზრახა. დამნაშავისთვის მოულოდნელად, შურისძიებას მხოლოდ ერთ-ერთის სიცოცხლე ემსხვერპლა. საქმის მასალების მიხედვით, იმ ჩხუბში, რომელიც უმძიმესი დანაშაულით დასრულდა, აწ გარდაცვლილი სრულიად უდანაშაულო იყო.

პოლიციამ ეჭვმიტანილის სახით, 1971 წელს დაბადებული გიორგი გოგიშვილი დააკავა. სხვათა შორის, ის წარსულშიც გახლდათ ნასამართლევი. ამჯერად, პროკურატურამ მას დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მუხლები წაუყენა. ჩადენილი დანაშაულისთვის გოგიშვილს მკაცრი სასჯელი განუსაზღვრეს. განსასჯელმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მაგრამ გამოძიების მასალებში, შურისძიებით ჩადენილი მკვ-

ლელობის შესახებ შემზარავ დეტალებს ვკითხულობთ.

დანაშაული ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, მარიამობის დღეასასწაულზე, საღამოს 10-ის ნახევრისთვის მოხდა. ამირან ცაბაძე მაშინ ნასვამი გახლდათ, ისევე, როგორც მისი მამიდაშვილი — ზურაბ ტოგონიძე, რომელსაც ცაბაძემ იმ საღამოს, საკუთარი, „მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანით სახლში მიაკითხა და საერთო ნათესავის ოჯახში საქეიფოდ წასვლა შესთავაზა. ტოგონიძე ცაბაძეს უყოყმანოდ დათანხმდა. დაინახა, რომ ცაბაძის ავტომანქანაში ამ უკანასკნელის მეუღლის ძმა — პატიაშვილი და მისი მეგობარი და თანასოფლელი — ბადრი ჩიხლაძე ისხდნენ. ტოგონიძე ორივეს გულითადად მიესალმა და თავადაც ავტომანქანაში მოკალათდა. ზესტაფონის გზაზე მიმავლებმა, აღმოაჩინეს, რომ საწვავი უთავდებოდათ. *„მაშინ ამირანმა თქვა — აქვე ახლოს ჩემი ერთი ნაცნობი ბენზინით ვაჭრობს, იქნებ, იქამდე მაინც მივაღწიოთ როგორმე"*, — იხსენებს პატიაშვილი.

ბენზინით მოვაჭრემდე მიაღწიეს, მაგრამ რამდენიმე წუთში ეს ფაქტი, ყველასთვის სამწუხარო, ზოგიერთისთვის კი — საბედისწეროც აღმოჩნდა... ცაბაძემ ავტომანქანა გოგიშვილების სახლის წინ, პირდაპირ ჭიშკართან გააჩერა, გადავიდა და საბარგულიდან ბიდონი ამოიღო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საწვავს შეიძენ-



და, ჯერ პავლე გოგიშვილს დაუძახა, თან ჭიშკარიც შეაღო და ეზოშიც შევიდა. თავიდან არავინ შეეხმიანა. ამის შემდეგ, ცაბაძემ პავლეს უფროს ვაჟს — დავით გოგიშვილს დაუძახა. დავითმა გამოიხედა. ცაბაძემ შენიშნა, რომ ის ძლიერ მთვრალი იყო, მაგრამ მაინც აუხსნა სიტუაცია: უთხრა, რომ მოულოდნელად გაუჩერდა მანქანა და გზას ვეღარ აგრძელებდა საწვავის უქონლობის გამო. სთხოვა, მიეყიდა მისთვის ბენზინი. დავით გოგიშვილმა ამაზე მას კატეგორიული უარი უთხრა. როგორც ჩანს, ცაბაძე ამას არ მოელოდა და ძალიან გაბრაზდა. განაწყენებულმა, კიდევ ერთხელ გაუმეორა თხოვნა გოგიშვილს და ისიც სთხოვა, აეხსნა, თუ რა მიზეზით ეუბნებოდა უარს საწვავის მიყიდვაზე. გოგიშვილმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუმეორა, რომ ბენზინს მას არ მიჰყიდდა. ცაბაძე მაინც დაჟინებით სთხოვდა საწვავსაც და ასეთი საქციელის ახსნასაც. მათი კამათი ყვირილსა და ჩხუბში გადაიზარდა. ხმაურზე სახლიდან ოჯახის სხვა წევრებიც გამოვიდნენ, შეგროვდნენ მეზობლებიც.

ცაბაძემ, რომელიც ახლობლების თქმით, ისედაც ფიცხი კაცი გახლდათ, თანაც, იმ მომენტში ნასვამი იყო, მისი თანმხლები პირების წინაშე, რომლებიც ავტომანქანიდან უკვე გადმოსულიყვნენ, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ამის გამო, გაბრაზებულმა, შემთხვევის ადგილზე თავმოყრილი ხალხის წინაშე, ყველას გასაგონად, გოგიშვილები შეაგინა. დავით გოგიშვილმა მას ხელი გაარტყა. ცაბაძესა და გოგიშვილს შორის ჩხუბი გაჩაღდა, მაგრამ მაშინ, მათი დაცილება და დაშოშმინება მეზობლებმა მოახერხეს. საქმის მასალების მიხედვით, ამ ჩხუბის დროს, სხეულის მსუბუქი დაზიანებები, მოჩხუბრების გარდა, ერთ-ერთმა მეზობელმა და გოგიშვილის მშობლებმაც მიიღეს.

მომხდარი ფაქტით შეშფოთებულმა და შეშინებულმა მეზობლებმა, როგორც თავად აღნიშნავენ, გოგიშვილების თხოვნითა და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების მიზნით, პოლიციაში დარეკეს. შემთხვევის ადგილზე პოლიციელები რამდენიმე წუთში მივიდნენ. მათ გოგიშვილები სახლში შეიყვანეს და სიმშვიდისკენ მოუწოდეს. ჩხუბის ხმაზე საკუთარი სახლის ეზოში შესულმა გიორგი გოგიშვილმა, რომელიც „მარიამობასთან" დაკავშირებით, მეზობელ ახალგაზრდებთან ერთად, ერთ-ერთი თანასოფლელის ოჯახში ქეიფობდა, თავის ძმას — დავითს შუბლის არეში დაზიანება შეამჩნია, დაინახა, რომ მას შუბლიდან სისხლი სდიოდა. ამით აღელვებულმა და გაბრაზებულმა, ნასვამმა გიორგი გოგიშვილმა განიზრახა, შური ეძია ცაბაძესა და მასთან ერთად მყოფ მის მამიდაშვილზე — ტოგონიძეზე. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, განაწყენებულმა გოგიშვილმა ამ ორი ადამიანის მოკვლა განიზრახა.

თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გოგიშვილი სახლში შევიდა, აიღო დანა და შეიარაღებული, ეზოდან გარეთ, ქუჩაში გავიდა. გამოძიების მასალებში წერია, რომ ის შეუმჩნევლად მიუახლოვდა ჯერ კიდევ გოგიშვილების სახლთან ახლოს, ეზოს მიღმა მყოფ ტოგონიძეს და პირდაპირ კისერში გაუყარა მას დანა... ჭრილობა უმძიმესი აღმოჩნდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დანით მიყენებული შემავალი ჭრილობა კისრის მარჯვენა გვერდითი ზედაპირის შუა მესამედში დაფიქსირდა და ის სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა...

დანაშაულთან დაკავშირებით დაკითხულ პირთა ჩვენებების მიხედვით, ყველაფერი წამებში მოხდა. ტოგონიძის დაჭრის შემდეგ, გოგიშვილი, ასევე სწრაფად და მოულოდნელად, მივარდა ცაბაძეს და იმავე დანით მასაც კისრის არეში მიაყენა მძიმე ჭრილობა. ორივე დაჭრილი წაქცეული რომ დაინახა, გოგიშვილმა იფიქრა, რომ თავისი განზრახვა განახორციელა და შემთხვევის ადგილს გაეცალა. როგორც საქმის მასალებში წერია, იმ მომენტიდან გოგიშვილმა საკუთარი დანაშაულის დაფარვაზე ზრუნვას მიჰყო ხელი. სწორედ ამ მიზნით, ის საკუთარი სახლის ეზოში — იქ, სადაც ჩხუბთან დაკავშირებით შეკრებილი მეზობლები და პოლიციის თანამშრომლებიც კი იდგნენ, შებრუნდა და მათთან ერთად დადგა. გამოძიების პოზიციის თანახმად, ასე იმისთვის მოიქცა, რომ ეზოს გარეთ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ გაეგოთ და ეჭვი მასზე, როგორც მკვლელზე, არ აეღოთ. რაც შეეხება დანაშაულის იარაღს — სამზარეულო დანას, — გოგიშვილმა ის, ცაბაძისთვის ჭრილობის მიყენების შემდეგ გადააგდო...

მკვლელობის ფაქტი რამდენიმე წუთში გახმაურდა. მიწაზე უგონოდ დაცემული დაჭრილების შესახებ, რომელთაც კისრიდან თქრიალით სდიოდათ სისხლი, პოლიციელებს აცნობეს. დაჭრილები დაუყოვნებლივ წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა მხოლოდ ცაბაძის გადარჩენა შეძლეს. მათი თქმით, ტოგონიძე, როცა ის საავადმყოფოში მიიყვანეს, უკვე გარდაცვლილი იყო.

გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ გიორგი გოგიშვილმა თავისი დანაშაულებრივი, სასტიკი და დაუნდობელი განზრახვა — მოეკლა ორი ადამიანი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ განახორციელა და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გამოასალმა სიცოცხლეს. ჩადენილი დანაშაული გოგიშვილს სამართალდამცველების წინაშე არ მოუნანიებია. პირიქით, პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებებში მან თავი დამნაშავედ არ ცნო. ის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი აცხადებდნენ, რომ პროკურატურას ამ ბრალდებების დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულება არ გააჩნდა.

სასამართლომ მათ პოზიციას და არგუმენტებს არადამაჯერებელი უწოდა. შურისძიების მოტივით ჩადენილ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას საქმის მასალებში არსებული, დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნები და პოლიციის მიერ ამოღებული ნივთმტკიცებები ადასტურებდა.

სასამართლომ გოგიშვილი დამნაშავედ ცნო. განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლეებმაც იგივე პოზიცია დაიკავეს: გოგიშვილს მათ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ■

ფეიზი.ge პარალელურ სამყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-37



მკითხველმა უკვე შეიყვარა ჩვენი ვირტუალური წყვილი, ზურა და ნატალი და ინტერესით ადევნებს თვალყურს, მათ ურთიერთობას. ეს მათი ნაცნობობის მეოთხე კვირაა. თვითონ წყვილს მიაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა თავისი ურთიერთობის დეტალების გამომზეურების უფლება მომცა. ფიქრობენ, რომ ამან გაცილებით საინტერესო გახადა მათი ურთიერთობა.

მარი ჯაფარიძე

28 აგვისტო, ორშაბათი.

10:35

ზურა: დილა მშვიდობისა, ჩემო ნატალი, მარიამობას გილოცავ, ჩემო კარგო. აქ რომ იყო, ერთად აღვნიშნავდით, მაგრამ მომიწევს შენი სადღეგრძელოს უშენოდ შესმა... იმედია, შემოხვალ დღისით მაინც და ცოტას გავისაუბრებთ. აბა, დროებით...

10:42

პანდორა: მე მინდოდა, მომელოცა პირველს, მაგრამ დავაგვიანე. უკვე ყოფილხარ საიტზე და წასულხარ. თანაც, სულ 4 წუთით გამასწარი. გილოცავ, მარიამობას. საღამოს შევხვდებით...

13:22

ზურა: გული დამწყდა, რომ ვერ დაგელაპარაკე. ნატალი, საღამოს მეგობრებთან ერთად აღვნიშნავ დღესასწაულს და ცოცხალი თუ მკვდარი, 12 საათზე შინ ვიქნები. გთხოვ, მაგ დროისთვის შენც მოდი, რაااა...

23:46

პანდორა: მე უკვე აქ ვარ, მაგრამ არ ჩანხარ. მგონი, არც გახსოვს, რომ მთხოვე, მოდიო... დაგელოდები...

00:02

პანდორა: ზურა, ნამდვილად დაგავიწყდი, თორემ მოხვიდოდი. მე კი, თან თამადა ვარ და თან შენ გწერ მესიჯებს. როცა მოხვალ, მომწერე და ხმას გავიგებ. გელი.

00:14

ზურა: მოვედი! სად ხარ, ჩემო ბარტყო?

პანდორა: აქ ვარ. რატომ დაგაგვიანე?

ზურა: სულ 14 წუთით დამაგვიანდა. არ მეჩხუბო. :)))

პანდორა: უჰ, როგორ გეშინია ჩემი ჩხუბის!

ზურა: ჰო, არ მეშინია, მაგრამ მაინც რატომ უნდა ვიჩხუბოთ? მითხარი, როგორ იყავი დღეს? წეღან ყური მოვკარი, რაო? თამადა ვარო?

პანდორა: კი, თამადა ვარ! სტუმრები გვყავს და ჩვენც დღესასწაულს აღვნიშნავთ...

ზურა: აკი გითხარი, ლოთი ხარ-მეთქი? :))) იცოდე, არ შემარცხვინო. ვინ არიან სტუმრები?

პანდორა: ვეცდები, კარგად მოვიქცე. შეგიძლია, იეჭვიანო, რადგან სტუმრებს შორის მამაკაცებიც არიან...

ზურა: აუფ, ახლა გინდა, რომ გადავირიო? ნატალი, ხომ იქცევი ჭკუით? ჩემი ხარ, იცოდე და არ გაპატიებ ღალატს.

პანდორა: 7 ჭიქა ჯერ არ მეტყობა, ხომ? :)))

ზურა: :))) ჯერ არა.

პანდორა: წინასწარ გაფრთხილებ, გამაჩერე, თუ ზედმეტი გაკადრე, რამე...

ზურა: რას ამბობ, გოგო, რა უნდა მაკადრო? ცუდი სიმთვრალე გაქვს?

პანდორა: ცუდი სიმთვრალე მქონდა, მაგრამ დღეიდან გამოვიცვლები, გეფიცები!

ზურა: თუ „ჭედავ“ ხოლმე, მიდი, „გაჭედე“. მაინტერესებს, რას გააკეთებ.

პანდორა: შეიძლება ძალადობის მსხვერპლი გახდე! :)))

ზურა: :))) ნუ გეშინია, ავიტან... უცხოები ხომ არ ვართ? შეგიძლია მითხრა ის, რასაც ფიქრობ...

პანდორა: ბიჭო, უცხოები ვართ, აბა, რა ჯანდაბა ვართ? ყველაფერს ვერ გეტყვი...

ზურა: მიდი, შაუბერე!

პანდორა: ნუ მაქეზებ...

ზურა: მიდი-მეთქი! :))) ლოთო, სად წახვედი, ვნერვიულობ...

პანდორა: არაფერსაც არ გეტყვი... ან რა უნდა მეთქვა? დამავიწყდა... :(((

ზურა: ოჰ, შე ცუღლუტო! ახლა მანდ ვიყო ან შენ იყო აქ!

პანდორა: რას იზამდი?

ზურა: ისე ჩაგეხუტებოდი, რომ ვერავინ „ამადღლიზავდა“...

პანდორა: ზურიკო, ნუ აღვიძებ ვულკანს და ცეცხლს ნუ ეთამაშები...

ზურა: მოდი, ჩემო ვულკანო, ჩემთან...

პანდორა: რა იყო, მიჩალიჩებ? :)))

ზურა: კი, მინდა „აგაგდო“, მომწონს, როცა გულახდილი ხარ. შემოგევლე, მართლა მინდა, რომ ერთად ვიყოთ. იცი, რამდენს მოგეფერებოდი? ძალიან ბევრს!

პანდორა: ძუუ-რიიი-კოოო!

ზურა: ძურიკო კი არა, ზურიკო!

პანდორა: არა, მე ასე მინდა და ამის მერე ძურიკოს დაგიძახებ, მოფერებით.

ზურა: მიყვარხარ, ნატალი!

პანდორა: აბა, დედა დაიფიცე...

ზურა: ჩემი პატარა, სულელი ბაიკო ხარ! სიტყვები არ მყოფნის, არ ვიცი, როგორ მოგეფერო... მე უფრო ვნებიანი კოცნა მოვიგონე: *) აი, ეს და ძალიან ბევრს გკოცნი... ნატალი, ხმას რატომ არ იღებ? შენ მაგარი „ბუხოი“ ხარ, მგონი... სად ხარ, გოგო, გადავირიე...

პანდორა: შენ ამათი გადარევა უნდა ნახო, კომპიუტერს დავამტვრევთ, თუ სუფრასთან არ დაჯდებიო, მეუბნებიან.

ზურა: არ წახვიდე, ნატალი, თორემ მოგიკვდები...

პანდორა: არ მივდივარ, რამდენიც უნდათ, იჩხუბონ, მე შენთან მინდა...

ზურა: მე კი შენთან... აქ რომ იყო, იმდენს გაკოცებდი, ვერ დაითვლიდი...

პანდორა: არ დავითვლიდი, მაგრამ მაინც არ მეყოფოდა... დილიდან საღამომდე მაკოცებდი?

ზურა: დილიდან მეორე დილამდე...

პანდორა: და კიდევ, მეორე საღამომდე, ჰოოო?

ზურა: ჰო, ჰო და კიდევ ბევრ „საღამომდე“...

პანდორა: ეჰ, რა ბავშვივით, უაზროდ ვიქცევი!

ზურა: რატომ უაზროდ?

პანდორა: აბა, თვალით უნახავ კაცს ასე რომ ველაპარაკები, მთელი დღე მასზე რომ ვფიქრობ და მასთან ყოფნა მინდა, ამას შეიძლება, აზრიანი საქციელი ვუწოდოთ? მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ეს სურვილია და არა სიყვარული...

ზურა: ეს არც შეიძლება, სიყვარული იყოს, სანამ ერთმანეთს თვალებში არ ჩავხედავთ, სანამ ერთად არ ვიქნებით, სანამ უერთმანეთოდ ყოფნა აღარ შეგვეძლება... მე ნამდვილ სიყვარულზე გეუბნები, თორემ ისე ახლაც მიყვარხარ. ის გრძნობა კი, რაც ზემოთ ჩამოთვლილის შემდეგ მოდის, სულ სხვაა...

პანდორა: შენ მაგის სურვილი გაქვს?

ზურა: ძალიან დიდი სურვილი... შენ?

პანდორა: ალბათ ჩემი სურვილი გაც-

ილებით დიდია, რადგან შენ უკან მაინც დგანან ის ადამიანები, ვისაც შენი ოჯახი ჰქვია. ჩემ უკან კი სრული სიცარიელეა...

ზურა: შენც იქნები ჩემს ზურგს უკან, ვიზრუნებ შენზე, გაგიფრთხილდები... შენ მარტო „ჰო“ თქვი და შენი ცხოვრება ისე წავა, როგორც შენ გაგიხარდება...

პანდორა: მერე, რა პასუხს აძლევ „ოფიციოზს“?

ზურა: საიდან მოიტანე ეს სიტყვა? მაგარი ტიპი ხარ! „ოფიციოზში“ ალბათ ცოლს გულისხმობ, არა? მას თავისი ადგილი აქვს და არავითარი პასუხის გაცემა არ სჭირდება... მე მას არაფერს ვკითხავ...

პანდორა: ახლა შენ გვერდით უბედნიერეს ადამიანად ვიგრძნობდი თავს... შენი ფრთის ქვეშ შევიყუჟებოდი, მოგეხუტებოდი... არ დამცინო, თორემ აღარაფერს გეტყვი...

ზურა: ჩემი ბარტყი ხარ! ეგ დროც მოვა, სიხარულო, შენ არ გინდა, თორემ ახლაც წამოვალ, თუ ნებას დამრთავ....

პანდორა: იცი, რომელი საათია? დილის 5-ია... მთელი ღამე გავათენეთ. დავიძინოთ...

ზურა: კარგი, როგორც გინდა. ძილი ნებისა. დილით შეგეხმიანები...

პანდორა: უკვე დილაა, გამარჯობა!

ზურა: :)))) ბევრს გკოცნი...

29 აგვისტო, სამშაბათი.

10:05

ზურა: ახლა გავიღვიძე... და მაინც მიყვარხარ...

13:56

ზურა: ისევ გძინავს, გოგო? გაიღვიძე, მენატრები...

14:45

პანდორა: აქ ხარ? რას აკეთებ საიტზე უჩემოდ? ვის ელაპარაკები?

ზურა: არავის, შენ გელოდები...

პანდორა: სახლში ხარ?

ზურა: არა, სამსახურში. გამოიძინე?

პანდორა; კი, გამოვიძინე, მაგრამ თავი მტკივა. წავალ ახლა და საღამოს შეგეხმიანები *)*)*)*)

ზურა: მეც გკოცნი და გელოდები.

22:09

ზურა: აქ ხარ? გამიხარდა!

22:17

ზურა: მაჩვენებდა, რომ აქ იყავი :(((არა უშავს, მოხვალ და მერე გამიხარდება. ისე მინდა შენთან საუბარი, რომ სიგიჟემდე ვარ მისული. ძალიან შეგეჩვიე და ძალიან მიყვარხარ. სკოლის მერე ასე არ ვყოფილვარ. ღრუბლებში დავფრინავ, როცა შენზე ვფიქრობ. არადა, სულ შენზე ვფიქრობ! ძალიან მჭირდება შენი სუნთქვა ჩემ გვერდით, შენი შეხება, შენი შეგრძნება, შენი სიყვარული და საერთოდ, შენ მჭირდები, ჩემო სიცოცხლევ... არ ვიცი, თვალით უნახავი ქალი რამ შემაყვარა ასე თავდავიწყებით, მაგრამ გრძნობებს ვერ ვერევი. შენ ის ხარ, ვინც მე ასე ძალიან მჭირდება... მოკლედ, მიყვარხარ! თანაც, ძალიან... ვზივარ და კომპიუტერის მონიტორს მივჩერებივარ. საქმეები მოიცდიას...

23:01

პანდორა: ძალიან დავაგვიანე?

ზურა: კი, ძალიან მენატრებოდი... კარგი სიმთვრალე გქონია, როგორი გულახდილი იყავი წუხელ...

პანდორა: ასეთ სიტყვებს ნუ მეუბნები. მე მეშინია შენი... მოდი, რამდენიმე დღე ნუ დავეკონტაქტებით ერთმანეთს, ცოტა ტვინები გავაგრილოთ...

ზურა: გაგიჟდი? ვერ ავიტანე, არ არსებობს, მაგაზე არც იფიქრო!

პანდორა: იქნებ გადაგვიაროს?

ზურა: არ არსებობს! ეს ჩვენ აღარ გადაგვივლის... მე გავაფრენ, რომ ვერ დაგელაპარაკო... მაგაზე არც იფიქრო, არაფერი გამოვა... შენთან მინდა...

პანდორა: ასე, ყოველდღიური კონტაქტით უფრო გავაგიჟებთ ერთმანეთს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ საიტზე გაცნობილი ადამიანით ასე სერიოზულად დავინტერესდებოდი. ვკაიფობდი „პოლნი ხოდით“ და მგონი, გავები... ისე, რა საოცარია, ცხოვრება, არა?

ზურა: მართლაც... ახლა შენს ერთ კოცნაში 10 წლის სიცოცხლეს მივცემდი...

პანდორა: სხვა თემაზე ვილაპარაკოთ...

23:22

პანდორა: სად წახვედი? მიმატოვე? იცოდე, ვიტირებ... ახლა მოვაღებ პირს და: ااااااا..... უუუუუუ... უჰუ, უჰუ, უჰუ... აღარ მიყვარხარ! ყველა კოცნა დამიბრუნე, ახლავე!

ზურა: არ იტირო, პატარავ, აქ ვარ! მითხარი, ვინ გაგაბრაზა? ხომ იცი, მე რა მაგარი ვარ! ყველას გავლახავ! მე ვერავინ მომერევა!

პანდორა: არსად არ გითქვამს, აქამდინ,
არსად არ დაგიკვეხნია,
ვაჟკაცს, ქალებში მკვეხარსა,
თავზე დაეცეს მეხია...

ზურა: გოგო, ნუ მწყევლი... არ ამიხდეს და მართლა არ დამეცეს მეხი. :))) მანდ არ მომიყვანო, თორეეეემ...

პანდორა: მოდი, თუ მომავალი ხარ,
მომწყინდა შენი ლოდინი,
თუ ამაღამაც არ მოხვალ,
მიწამც დაგიგოს ლოგინი...

ზურა: რა დაგიშავე? რად მწყევლი? კი ვიცი, ლექსის წერას რა აწყებინებს ადამიანს... მესმის შენი, მესმის...

პანდორა: არაფერიც არ გესმის... რომ გესმოდეს, ახლა აქ იქნებოდი, ჩემ გვერდით... ეს ლექსები კი ხალხურია...

ზურა: ნუ გადამრიე, გოგო, ავდგები და მართლა წამოვალ, აი, ნახავ, თუ არა!

პანდორა: ერთი რამე მინდა, გითხრა. მხოლოდ ახლა და ამას მეორედ არ გავიმეორებ...

ზურა: გისმენ...

პანდორა: საკმაოდ მწარე გამოცდილება მივიღე ცხოვრებისგან. დიდი ტკივილი ჯერ კიდევ ვერ ჩავაბარე წარსულს... ცუდად რომ მომექცე, იცოდე, ჩემს მკვლელობაზე აწერ ხელს... კარგად დაფიქრდი, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდე...

ზურა: ნუ გეშინია, ჩემო პატარავ, მე შენ გულწრფელად მიყვარხარ და გულს არასოდეს გატკენ... მომიყევი შენი ტკივილის შესახებ, ვგრძნობ, იმ ამბავთან არის დაკავშირებული, 2 დღის წინ რომ დაიწყე მოყოლა. გისმენ. იქ გაჩერდი, პატიმართან, საკანში რომ შეგიყვანეს...

პანდორა: საკანში 1 მაგიდა, 1 სკამი და 2 „ნარი“ იყო. ნესტიანი და კედლებჩამონგრეული ოთახი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, შიგ სანიმუშო სისუფთავე სუფევდა. მაგიდის კიდეზე იყო ჩამომჯდარი ჩემი პაციენტი და ინტერესით მაკვირდებოდა. თვალი თვალში გავუყარე. ერთმანეთს მზერა გავუმტერეთ, თითქოს ვეჯიბრებოდით, რომელი უფრო ჯიუტი ვიყავით. ჩემ უკან კარი რომ დაიხურა და ჩაიკეტა, მხოლოდ მაშინ მოვაცილეთ ერთმანეთს მზერა და ის უცებ წამოდგა. — აგერ დაბრძანდითო, მითხრა და ერთ „ნარზე“ მიმითითა. ჩამოვჯექი. თვითონ ჩემ მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. ოთახი ისეთი ვიწრო იყო და ისე ახლოს ვისხედით ერთმანეთთან, რომ უხერხულობას ვგრძნობდი. მისი სუნთქვაც კი მესმოდა...

ზურა: შეიძლება, გული გამიჩერდეს, ისე ვეჭვიანობ...

პანდორა: წელში გავსწორდი. ის კი „ნარზე“ ავიდა, ლოტოსის პოზაში დაჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო... როგორც იქნა, შევხვდითო — მითხრა, თვალები მოჭუტა და თან ისე კარგად და კეთილად გაიღიმა, რომ მაშინვე დადებითად განვწყვე მის მიმართ.

ზურა: იცნობდით ერთმანეთს?

პანდორა: მეც ეგ ვკითხე, რადგან ვერ ვიცანი. მითხრა, შენი პროფესიის ადამიანს გაცილებით უკეთესი მეხსიერება უნდა გქონდესო... მე კი ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ პირველად ვხედავდი.

ზურა: გარეგნობით აღმიწერე, მაინტერესებს, როგორი იყო...

პანდორა: შენ მგონი, სერიოზულად ეჭვიანობ. :))) გარეგნობით ძალზე სიმპათიური იყო, ისეთი, ნებისმიერ ქალს რომ მოხიბლავდა: მაღალი, შავგვრემანი, ლამაზი ნაკვთებით, განიერი მხრებით, მეტყველი თვალებით, საფეთქლებთან შეჭაღარავებული თმით. ასაკით 38 წლის იყო, ჩემზე 10 წლით უფროსი. მის ყველა მოძრაობაში სიამაყე და თავდაჯერებულობა იგრძნობოდა. სუფთად ჩაცმული, მოწესრიგებული იყო და საკანში ძვირად ღირებული ოდეკოლონის სუნიც იდგა. ჩემი გონება დაძაბულად მუშაობდა. ვცდილობდი, გამეხსენებინა, სად შეიძლებოდა, მენახა ეს ადამიანი, მაგრამ ვერაფერი გავიხსენე. მიხვდა ჩემს გასაჭირს: იმედი არ მაქვს, რომ გამიხსენებთ, ტყუილად წვალობთ, დრო მოვა და მე თვითონ გაგახსენებთ, ჩვენი შეხვედრის ყველა დეტალსო, — მითხრა. უსიტყვოდ დავუქნიე თავი. ეტყობა, დაბნეულობა სახეზე მეწერა, რადგან თავად გამამხნევა: მე თქვენთან საუბარი მინდა, უბრალოდ — საუბარი; ჩუმად მომისმინეთ და თუ კითხვა გაგიჩნდებათ, მხოლოდ მაშინ გამაჩერეთო. ჩვენ სულ 2 საათი გვაქვს დრომეთქი, — ვუთხარი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველდღე, 2 საათი... ეს „ყოველდღე“ კი შესაძლოა, მთელი ცხოვრება გაგრძელდეს, ვიდრე ამათ ფულს გადავუხდიო, — თავი კარისკენ გადააქნია. როგორ, ფულს იხდითმეთქი? ხმამაღლა გაიცინა: „ჩემო ნატალი, აქ რომ ვსუნთქავ, იმაშიც ფულს ვიხდი, აბა, უფასოდ ვინ რას გამიკეთებს? ისიც ვიცი, რომ შენ ჩემს დასამუშავებლად გამოგიყენებენ, თან ფულს გადავიხდი, თან — ჩვენებას მიიღებენ. ასე ჰგონიათ ამ საცოდავებს. ჩვენს ლაპარაკს რომ უსმენენ, ეგეც ვიცი. ჰოდა, ცოტა ხანში მიხვდებიან, რომ ისეთს არაფერს გეტყვი, რაც მათ აინტერესებთ და მეტყვიან, რომ ფსიქოლოგს ჩემთან აღარ შემოუშვებენ. მერე მე „სტავკას“ ავწევ, რომ ისევ შემოგიშვან და ასე იქნება, ვიდრე ფული არ

შემომელევა...“ იმ დღეს 2 საათი ისე გავიდა, ვერც გავიგე.

ზურა: რას გელაპარაკებოდა? დაწვრილებით მომიყევი, ყველაფერი მაინტერესებს...

პანდორა: მაგას ხვალ მოგიყვები, ძვირფასო... ახლა მეძინება. ხომ არ დაგავიწყდა, რომ წუხელ თითქმის გავათენეთ და ვერ გამოვიძინე? თუ მოთმინება გეყოფა, მის თავგდასავალს მოგიყვები და ძალიან საინტერესო ამბავს მოისმენ.

ზურა: მე შენი ამბავი უფრო მაინტერესებს, მაგრამ თუ ერთი მეორის გარეშე არ გამოვა, მეტი რა გზა მაქვს?!

პანდორა: კარგი, წავედი, კარგად! *)*)*)*)

ზურა: მეც გკოცნი და უკვე მენატრები. როდის მოვა „ხვალ“?

ზურა: უკვე წასულხარ... ტკბილ ძილს გისურვებ... უზომოდ ვეჭვიანობ მაგ კაცზე. ვხვდები, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შენზე... ნატალი, მიყვარხარ!

30 აგვისტო, ოთხშაბათი.

11:03

ზურა: დილა მშვიდობისა, ჩემო სიხარულო... უკვე 8 დღეა, წასული ხარ. ასე მგონია, მთელი საუკუნე გავიდა. უკვე სამსახურში ვარ და გელი... ნეტავ, როდის გამოჩნდები?

13:40

პანდორა: აააა, გამოგიჭირე? რას აკეთებ აქ, უჩემოდ?

ზურა: შენ რას აკეთებ? არ მელოდი, არა? როგორ გეძინა, სიხარულო?

პანდორა: მშვენივრად...

ზურა: შუადღის პაემანი გვაქვს... რა კარგია... გარეთ ვაპირებდი გასვლას და კიდევ კარგი, ცოტა დავიცადე...

პანდორა: ალბათ შესვენებაზე გადიოდი. გშია? თუ გინდა, წადი და საღამოს შეეხვდეთ...

ზურა: არა, არა, ვისაუბროთ....

პანდორა: რაღაც, შუადღის საუბარი არ გამოგვდის, თითქოს...

ზურა: ნატა, მომიყევი ის ამბავი, გთხოვ...

პანდორა: რომელი? დედა-შვილის პრობლემებზე რომ გიყვებოდი?

ზურა: მე შენს თავგადასავალს ვგულისხმობდი, მაგრამ ეგ მოყევი, თუ გინდა... მთავარია, ჩემთან იყო და მესაუბრო.

პანდორა: მოყოლა იქ შევწყვიტე, როცა დედამ თქვა, რომ თავისი ქალიშვილის შეევიწროება დაიწყო: ნათიას კატეგორიულად ავუკრძალე მამუკასთან შეხვედრა. უჩემოდ არსად ვუშვებდი, ვცდილობდი, მაქსიმალურად გამეკონტროლებინა... თუმცა, როგორც მერე შევიტყვე, მაინც ახერხებდნენ შეხვედრას. მე მამუკას თითქმის ყოველდღე ვურეკავდი, საამისოდ კი სხვადასხვა მიზეზს ვიგონებდი. ერთ დღეს კი თვითონ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. ამჯერად შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე მოხდა. მამუკამ კაფეში დამპატიჟა. ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. უკვე გვიანი იყო, როცა მამუკამ სახლამდე მომაცილა. მანქანიდან გადმოსვლამდე კი მაკოცა... იმ ღამით არ მძინებია. ვერ ვივიწყებდი მის თვალებს, კოცნას, საუბარს... ბედნიერი ვიყავი და გულწრფელად მეგონა, რომ ჩემი შვილი შეუფერებელ კაცთან ურთიერთობას გადავარჩინე. ჩემი და მამუკას შეხვედრები გაგრძელდა და სავსებით ლოგიკურ გაგრძელებამდე მივიდა — ჩვენ საყვარლები გავხდით. მე საერთოდ აღარ ვეჭვიანობდი ნათიაზე, რადგან ვგრძნობდი, რომ მამუკას ნამდვილად ვუყვარდი; თან მეუბნებოდა, რომ ჩემს შვილს უმტკივნეულოდ დაშორდა. თითქმის მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. ჩემი ქმარი საზღვარგარეთ იყო. იმის გახსენებაც კი არ მინდოდა, რომ ის ოდესმე უკან დაბრუნდებოდა. ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მეცხოვრა მერე. მამუკას გარეშე ვერ გავძლებდი... ვერც საბაბს ვპოულობდი საიმისოდ, რომ ქმარს გაშორებოდი... მიზეზს კი ხმამაღლა ვერ ვიტყოდი. არავინ მაპატიებდა ამას. ერთ დღეს მამუკას დედამ გვნახა ერთად. ძალზე ცუდად შემხვდა. ვგრძნობდი, როგორი ზიზღით მიყურებდა და ალბათ, რომ არა მამუკას ხათრი და სიყვარული, კარგადაც გამომლანძღავდა. თვალებით მჭამდა და უსიტყვოდ მეუბნებოდა, როგორი ზნედაცემული და უსინდისო ქალიც ვიყავი. მაშინ ვიგრძენი პირველად სინდისის ქენჯნა. მაშინ დავფიქრდი ჩემს საქციელზე და სიკვდილი მომინდა. შინ რომ დავბრუნდი, ბევრი ვიტირე. ნათია მიზეზს არ მეკითხებოდა, მხოლოდ მამშვიდებდა, მაგრამ მისი შეხება, თბილი სიტყვები და ყურადღება უარესად მაგიჟებდა. უხეშად მოვიშორე და ვთხოვე, რომ ჩემს ოთახში არ შემოსულიყო, ვიდრე თავად არ დავუძახებდი... სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ვხედავდი და ეს უფრო მაცოფებდა. ისე ვიყავი ჩაძირული, რომ უკვე ძნელი იყო თავის დაღწევა, მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამის სურვილიც არ მქონდა...

ზურა: მდა�ა, მართლაც რთულ სიტუაციაში იქნებოდა, საწყალი ქალი...

პანდორა: ზურა, ხომ შეიძლება, რომ საღამოს გავაგრძელოთ საუბარი? ახლა მე და ჩემი მეგობარი ცოტა ხნით გასეირნებას ვაპირებთ...

ზურა: კარგი, ჩემო პატარავ, წადი და დროზე დაბრუნდი შინ... 11 საათზე ისევ აქ გელი...

23:05

ზურა: აი, შენც მოხვედიიიი... ისეირნე?

პანდორა: კი, ბევრი ვიარე ფეხით და დავიღალე კიდეც. მოდი, დავიძინოთ, رااااა.... გთხოვ...

ზურა: არავითარ შემთხვევაში! მენატრები და ასე უცებ ვერ გაგიშვებ. სადმე გაძრომას ხომ არ აპირებ?

პანდორა: რას ამბობ! სად უნდა წავიდე?! ხომ იცი, როგორი ჭკვიანი და დამჯერი გოგო ვარ?!

ზურა: ჰოდა, იყავი ჩემთან ცოტა ხანს...

პანდორა: არა, მეძინება... წავედი, დროებით...

ზურა: არ წახვიდე!

ზურა: მე შენ ისე მოგარჯულებ, რომ ჩემი სიტყვა შენთვის კანონი იქნება... მიფრთხილდი, პატარავ!

31 აგვისტო, ხუთშაბათი.

10:00

ზურა: ხომ წახვედი წუხელ და დამტოვე... ხომ გამოიძინე, ახლა მაინც გამოჩნდი დროულად...

12:58

ზურა: კიდევ არ ჩანხარ... ალბათ, საღამომდე არც მოხვალ.. სულ არ გედარდება, რომ გელოდები... კარგი, არ გიბრაზდები... კარგად გაირუჯე, მიყვარს „დაზაგრული“ კანი. რომ ჩამოხვალ, განსხვავებას ხომ მაჩვენებ? მოდი, მენატრები...

16:12

ზურა: საერთოდ ველარ ვფიქრობ საქმეზე. ნეტავ, შვებულება ხომ არ ავიღო? მაინც ვერაფერს ვაკეთებ და... ჩემი ცხოვრება სულ თავდაყირა დააყენე... სად ხარ? რა უბედურებაა, რაც კარგია, რა ცოტაა! შენ არ მოგენატრე? მე უკვე ველარ ვძლებ უშენოდ. ახლა გავდივარ და გვიან ვიქნები, ოღონდ... დამელოდე, 12 საათამდე აუცილებლად შემოვალ... გადაუდებელი საქმე მაქვს და თუნდაც 5 წუთით რომ არ დამელაპარაკო, ისე არ დაიძინო... გკოცნი *)*)*)*)*)*)*)

22:05

პანდორა: აბა, სად ხარ? მესიჯები დაგიტოვებია, მაგრამ შენ არ ჩანხარ... საიტზე დავრჩები და ტელევიზორს ვუყურებ. როცა მოხვალ, დაამესიჯე და ხმას გავიგებ...

23:45

ზურა: მოვედი... ხომ არ დაიძინე?

პანდორა: როგორც იქნა, მობრძანდი... სად იყავი?

ზურა: გზაში...

პანდორა: ამდენი ხანი?

ზურა: შენ რა, ეჭვიანობ? სწორედ ამდენი ხანი ვიყავი გზაში. თბილისიდან ბათუმამდე დიდი გზაა და ნახევარ საათში ვერ ჩამოვიდოდი...

პანდორა: رااااا???? ბათუმში ხარ? გაგიჟდი?

ზურა: ბათუმში ვარ და ახლა რომ არ გამოხვიდე და არ მნახო, შეიძლება ჭკუიდან გადავიდე...

პანდორა: ვინ დაგპატიჟა? როდის გითხარი, ჩამოდი-მეთქი? არავითარ შემთხვევაში არ გამოვალ გარეთ. უკვე გვიანია...

ზურა: ნატალი, ახლა მართლა გავგიჟდები, იცოდე. მინდოდა, სიურპრიზი მომეწყო შენთვის... ისეთი გახარებული მოვდიოდი... შენ კი...

პანდორა: ჩვენ შევთანხმდით, რომ თბილისში შევხვდებოდით... რატომ დაარღვიე პირობა?

ზურა: ნუთუ ჩემი ნახვა არ გინდა? ნუთუ არ გაინტერესებს, ვინ გელაპარაკება და ვინ გიბურღავს ტვინს ყოველდღე?

პანდორა: კი, მაინტერესებს...

ზურა: ჰოდა, აქვე ვარ, 2 ნაბიჯში... გამოდი, გამახარე...

პანდორა: სად ხარ?

ზურა: აჭარაში ჩემი სამსახურის ფილიალია. იქ ვარ, ოფისში. სადაც მეტყვი, იქ მოვალ... ხმა ამოიღე, გოგო, გადავირიე ნერვიულობით... დილით 11 საათზე მინისტრთან მაქვს შეხვედრა, მაგ დროს უკვე თბილისში უნდა ვიყო. დროს ნუ მაკარგვინებ ტყუილად, თითოეული წუთი ძვირფასია...

პანდორა: ვფიქრობ, როგორ მოვიქცე...

ზურა: რად უნდა მაგას ფიქრი? მითხარი მისამართი, მოვალ და სადმე გავისეირნოთ... მშია და იქნებ, ვჭამოთ კიდეც...

პანდორა: კარგი, ზუსტ მისამართს ვკითხავ მასპინძელს და გეტყვი...

ზურა: შემოგევლე შენ! ერთი სული მაქვს, როდის გნახავ...

პანდორა: ..... ეს ჩემი მისამართია.

ზურა: 10 წუთში მანდ ვარ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

1-ელი სექტემბერი ის თარიღია, რომელიც ყოველთვის სწავლის დაწყებასთან ასოცირდებოდა, მაგრამ ამ დღის მნიშვნელობა ისტორიას ჩაჰბარდა, რასაც ბევრი დღემდე ვერ შეეგუა. საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები „გზის“ მკითხველისთვის 6-7 წლის გოგო-ბიჭებად იქცნენ და სკოლაში მისვლის პირველი დღე გაიხსენეს. როგორ ცუღლუტობდა გიო ხუციშვილი? რა „წიკები“ ჰქონდა პატარა ზუკას? რატომ უწერდნენ ვანიკო თარხნიშვილს ორებს? რის გამო არ აკლდებოდა „შატალოებს“ ნატო გელაშვილი? რას აბრალებდნენ ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც ზურა დოიჯაშვილს? როგორ ოცნებობდა სკოლაში წასვლაზე 4 წლის თეონა თავართქილაძე? როგორ იქცა ეშმაკ ბავშვად წყნარი და დამჯერი ნატო ნიჟარაძე? — ამ და სხვა ამბებს მათი ინტერვიუებიდან შეიტყობთ.

გაშიშვლებული ზურა დოიჯაშვილი, „გაბინტული“ ვანიკო თარხნიშვილი, მასწავლებელთან დადებული გარიგებები

და ნატო ნიჟარაძის „დამსახურებული“ ორიანი

თამუნა კვინიკაძე

ლამაზ მოგონებად ქცეული პირველი სიყვარული

ზურა დოიჯაიშვილი:

— როცა ნულ კლასში შემიყვანეს, მასწავლებელმა პირველ მერხთან დამსვა. რატომღაც მეგონა, რომ გაკვეთილზე ყველაფერი ნებადართული იყო. იმ დღეს ცხელოდა და მეც და ჩემმა მეგობარმაც შუა გაკვეთილზე „სარო ჩკები“ გავიხადეთ. მასწავლებელმა ამის გამო შენიშვნა მოგვცა, ბავშვები კი ახარხარდნენ... ყველაზე მეტად ფიზკულტურის გაკვეთილი მიყვარდა, თუმცა, არც ისტორიის და მათემატიკის გაკვეთილებზე მეზარებოდა შესვლა. იმ პერიოდისთვის, ერთადერთი კინოთეატრი იყო — „სპარტაკი“, სადაც ფილმი დილის 9 საათზე გადიოდა. ამ კინოთეატრს „შატალისტების კინოს“ ეძახდნენ. ჩვენც იქ დავდიოდით ყოველთვის, როცა სკოლიდან ვიპარებოდით. მეორე დღეს, მასწავლებლები გვაფრთხილებდნენ — ხვალ მშობლებს მოიყვანთო, მაგრამ ამ ამბავს სახლში არ ვამხელდი. მასწავლებელს კი ვეუბნებოდი: დღეს არ ეცალათ, ხვალ დედა მოვა-მეთქი. ასეთი ცელქი და ზარმაცი ბავშვი ვიყავი, თან — ნიჭიერიც. მე და ჩემს მეგობარს (რომელიც დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის), ზურა ანდრიაშვილს სახელი ისე გვქონდა გატეხილი, რაც არ უნდა მომხდარიყო, ყველაფერს ჩვენ გვაბრალებდნენ. ერთხელ სკოლაში არც ერთი არ ვიყავით. ჩვენს კლასელებს საკონტროლო წერა გაუცდენიათ და გაპარულან. თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც ჩვენ, უდანაშაულო ბავშვებს დაგვაბრალეს.

ყველაზე მეტად ფიზკულტურის გაკვეთილი მიყვარდა

პირველ კლასში ვიყავი, როცა შემიყვარდა გოგონა, რომელიც კიდევ ბევრ ჩემს კლასელ ბიჭს უყვარდა, მაგრამ ამის გამო, არ ვჩხუბობდით. ეს ბავშვური სიყვარული ლამაზ მოგონებად დამრჩა.

„დავალებებს ჩემი დის რვეულიდან ვიწერდი...“

თეონა თავართქილაძე:

— ჩემი და ჩემზე ორი წლით უფროსია. როდესაც ის სკოლაში წავიდა, ისტერიკა ავტეხე — მეც მასთან ერთად უნდა ვიარო-მეთქი! მაშინ 4 წლის ვიყავი და ბუნებრივია, სკოლაში არავინ მიმიღებდა... მშობლებს მთელი ერთი წლის განმავლობაში მასწავლებელთან დავყავდი, რომელიც სკოლისთვის მამზადებდა... ის ნანატრი პირველი სექტემბერი რომ დადგა, როცა სკოლაში უნდა წავეყვანე, ერთი ამბავი ავტეხე — ნულ კლასში შესვლა არ მინდა, ჩემი დის კლასში დამსვით-მეთქი, — და იმდენად გავჯიუტდი, რომ გამონაკლისი დაუშვეს, გამოცდა ჩამაბარებინეს და პირდაპირ პირველ კლასში დამსვეს. ბრწყინვალე და ფრიადოსანი მოსწავლე არასდროს ვყოფილვარ, მიჭირდა კიდეც პროგრამით გათვალისწინებული მასალის დაძლევა და დავალებებს ჩუმად, ჩემი დის რვეულიდან ვიწერდი. როგორც ყველა ბავშვს, მეც ძალიან მიყვარდა ფიზკულტურის, სიმღერის და ხატვის გაკვეთილები... რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ძალიან მკაცრი მასწავლებლები გვყავდა. ამიტომ, მართალია, „შატალოზე“ არ დავდიოდი, მაგრამ თუ რამეს ვაშავებდი, პასუხს ყოველთვის ჩემს დას სთხოვდნენ. 15 წლის ვიყავი, როცა სკოლა დავამთავრე. სამწუხაროდ, ახლა აღარ მაქვს ურთიერთობა ყოფილ კლასელებთან. მშობლებს ვსაყვედურობ: ქართულ სკოლაში რომ მესწავლა, ისინი ასე არ დაიფანტებოდნენ-

რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც ძალიან მკაცრი მასწავლებლები გვყავდა

მეთქი... საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა ბავშვს ვურჩევ, კლასელებთან კარგი ურთიერთობა დაამყარონ, შეიძინონ მეგობრები, რომლებიც შემდგომ წლებში მათ ცხოვრებას გაულამაზებენ.

„როცა ვმღეროდი, ვეტერანები ტირილს იწყებდნენ...“

გიო ხუციშვილი:

— კარგად მახსოვს ის დღე, როცა პირველად მივედი სკოლაში. მეცვა თეთრი პერანგი და შავი მოკლე შარვალი. ხელში მეჭირა დიდი თაიგული. მაშინ ჩემი ყურადღება მიიქცია სკოლის ეზოში შემოსულმა, ჩემსავით დაბალმა, დიდბაფთიანმა გოგონამ (ის მაია ჯაბუა გახლდათ), რომელსაც ასევე ყვავილები ეჭირა ხელში. რადგან ორივენი დაბლები ვიყავით, მასწავლებელმა პირველ მერხზე დაგვსვა. არ დაგიმალავთ და გეტყვით, ძალიან ცუღლუტი ბავშვი ვიყავი. ვაკეთებდი მასწავლებლების პაროდიებს და ამაზე ბავშვები სიცილით იხოცებოდნენ, მე კი გაკვეთილიდან მაგდებდნენ. ზოგჯერ მასწავლებლები მეუბნებოდნენ: ოღონდ გაკვეთილზე არ შემოხვიდე და 3-იანს

ისედაც დაგიწერთო. მოგვიანებით, როცა ცოტა წამოვიზარდე, სკოლის სახელით რაღაც ზეიმებზე დავყავდით, ვეტერანებთან შეხვედრის დროს რუსულ სიმღერებს მამღერებდნენ და ამით აღფრთოვანებული ვეტერანები ტირილს იწყებდნენ.

„შატალოებზე“ ისევე, როგორც ყველა ბავშვი, მეც დავდიოდი. რადგან ჩემი სკოლა ვაკის პარკთან ახლოს იყო, ყველაზე ხშირად იქ მივდიოდით. ცუდს არაფერს ვაკეთებდით, არც ვუზრდელობდით. მხოლოდ ეგ იყო, რომ ვინმე „ფანტანის“ აუზში აუცილებლად უნდა ჩაგვეგდო — ამით ვერთობოდით... პირველი კლასიდან სულ შეყვარებული ვიყავი. მეოთხე კლასამდე ორი გოგო ერთად მიყვარდა, მერე ისინი „მივატოვე“ და სხვები შემიყვარდნენ (თუ შეიძლება, იმ გრძნობას სიყვარული ეწოდოს). მაშინ ყველაფერს სხვა ხიბლი ჰქონდა... დღემდე მაქვს ბავშვობის ნოსტალგია. მინდა, ყველა ბავშვს ვთხოვო, რომ კარგად ისწავლოს; თითოეულ მათგანს გზას დავუულოცავ და ბედნიერ, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ.

„გაბინტული“ ხელი და „კომუნისტური“ ბავშვობა

ვანიკო თარხნიშვილი:

— იმ წელს, როცა სკოლაში უნდა შევეყვანე, ვიღაცამ ხელზე ცხელი ჩაი გადამასხა და დავიწვი. ასე რომ, 1-ელ სექტემბერს სკოლაში „გაბინტული“ მარჯვენა ხელით გამოვცხადდი... სასწავლო წლის დაწყება მაინცდამაინც არასდროს მახარებდა, ამიტომ აგვისტოს შუა რიცხვებიდან, ხასიათი მიფუჭდებოდა, მაგრამ პირველ დღეს ყოველთვის ხალისიანი ვიყავი — მიხაროდა მეგობრების ნახვა... ბევრ ბავშვს დილით გაღვიძება უჭირდა, მე კი ეს პრობლემა არასდროს მქონია. სკოლაში წასვლა ალბათ, მხოლოდ იმიტომ მახარებდა, რომ იქ კარგად ვერთობოდი. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ნიშნები არ მქონდა, ძალიან მიყვარდა ჟურნალის მოპარვა. ეს იყო მთელი ცერემონია, შემუშავებული მქონდა „სტრატეგიული გეგმა“, სადაც ყველა მოსწავლეს თავისი „როლი“ ჰქონდა. ხშირად დავდიოდი „შატალოზე“, სულ ეშმაკობისკენ გამირბოდა თვალი. მაშინ სკოლებში სხვაგვარი სიტუაცია იყო. ახლა, მგონი, „შატალოზე“ აღარც დადიან. ჩვენ „კომუნისტური“ ბავშვობა გვქონდა. გვყავდა ერთი

ჩვენ „კომუნისტური“ ბავშვობა გვქონდა



მეცვა ფორმის კაბა, რომელიც დღემდე შენახული მაქვს

მასწავლებელი, რომელიც თავის რვეულში წარმოუდგენლად ბევრ ორიანს გვიწერდა — თითოს 50-60 ორიანი მაინც გვქონდა, მაგრამ ეს ნიშნები ჟურნალში არ შეჰქონდა... სამწუხაროდ, დღეს ჩემი კლასელების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. ამიტომ მათთან ურთიერთობას ვერ ვახერხებ... პირველკლასელებს და საერთოდ, ყველა მოსწავლეს ვურჩევ, გაანაწილონ დრო თამაშსა და სწავლას შორის.

„ფორმის კაბა დღემდე შენახული მაქვს“...

ნატო გელაშვილი:

— ყოველ პირველ სექტემბერს თავს მახსენებს ის განცდა და ემოცია, რომელიც მაშინ დამეუფლა, როცა პირველად მივედი სკოლაში. ბევრი ჩემი კლასელისგან განსხვავებით, არ მიტირია. მეცვა ფორმის კაბა, რომელიც დღემდე შენახული მაქვს, არ მეკეთა „ბანტი“, მაგრამ მეკეთა თეთრი წინსაფარი და იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ პირველ სექტემბერს, ჩემი დამრიგებლისთვის ყვავილები მიმქონდა. მოწესრიგებული და წარჩინებული ბავშვი ვიყავი. მე ხომ ლენინისგან მქონდა ნაანდერძევი, რომ უნდა მესწავლა!.. ქართულის და ისტორიის გაკვეთილები იმდენად მიყვარდა, რომ კლასში „ფრენით“ შევდიოდი. სამაგიეროდ, არ მიყვარდა ტექნიკური საგნები. სხვათა შორის, დღემდე ვერ შევეგუე იმ ფაქტს, რომ სწავლის დაწყების თარიღი შეცვალეს... პირველად „შატალოზე“ რომ წავედი, მეოთხე კლასში ვიყავი და იმ დღის შემდეგ, არც ერთ „შატალოს“ არ დაკვლებივარ... პირველკლასელებს ვურჩევ, რომ შრომის ფასი იცოდნენ, უყვარდეთ მეგობრები და სკოლა, ჰქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ წინ ბევრი ლამაზი დღე ელით.

„ყოფაქცევაში ორებს მიწერდნენ...“

ზუკა ხუციშვილი:

— შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ სკოლაში რომ მივდიოდი, წინასწარ ვფიქრობდი — მასწავლებლისთვის რამის თქმა თუ მომინდებოდა, 5 თითი უნდა ამეწია თუ 2?.. აი, ასეთი „წიკები“ მქონდა. კარგად მახსოვს ის ფერადი ჩანთაც, რომელიც ხელში მეჭირა და მეშინოდა, არსად დამრჩენოდა... ძალიან არ მიყვარს მათემატიკა — თუ მასწავლებელი 4 სავარჯიშოს მოგვცემდა, 2-ს ვასრულებდი, რისთვისაც ყოველთვის შენიშვნას მაძლევდა. პირველი ორიანი რაში მივიღე, არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, ყოფაქცევაში ორებს მიწერდნენ იმის გამო, რომ გაკვეთილზე სულ ვლაპარაკობდი. ახლა მეათე კლასში ვარ. ყველა ჩემი კლასელი ძალიან მიყვარს. მომწონს, რომ ისინი ისე მაფასებენ, როგორც პიროვნებას და არა — მომღერლს.

ახლა მეათე კლასში ვარ. ყველა ჩემი კლასელი ძალიან მიყვარს

ზეიმად ქცეული „შატალო“

ნატო ნიჟარაძე:

— მთელი კვირა ვემზადებოდი იმ დღისთვის, როცა სკოლაში უნდა წავსულიყავი — ვნერვიულობდი, სახლში არაფერი დამრჩენოდა, ყვავილების ყიდვა არ დამვიწყებოდა. მახსოვს, როგორი სიხარულით ჩავიცვი სპეციალურად ამ დღისთვის ნაყიდი ახალი ტანსაცმელი — გაუთოებული ქვედაბოლო და თეთრი „კოფთა“. ჩემი პირველი მასწავლებლისთვის ვიყიდე ლამაზი თაიგული და ასე გამოპრანჭული გამოვცხადდი №1 ექსპერიმენტულ სკოლაში. დაწყებით კლასებში იდეალური ბავშვი ვიყავი — წყნარი, დამჯერი, შრომისმოყვარე. მაგრამ როცა წამოვიზარდე, გავეშმაკდი, მივხვდი, რომ მარტო კლასელებთან ურთიერთობა „არ მყოფნიდა“. დავიწყე ბავშვების გაცნობა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ სკოლას ვიცნობდი, ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა მომწონდა. ფანატიკურად შემიყვარდა ორი საგანი — ქართული და ფიზიკა. თუმცა, ყველა საგანს თანაბრად ვსწავლობდი. მიუხედავად ამისა, ყოფაქცევაში სულ ორებს მიწერდნენ. გაკვეთილებს შორის 10-წუთიანი შესვენება თამაშისთვის არ მყოფნიდა, ამიტომ, კლასში შესვლას თითქმის სულ ვაგვიანებდი (ეს ჩვევა ვერაფრით მომაშლევინეს). მახსოვს, V კლასში ვიყავი, როცა პირველი ორიანი მივიღე — მასწავლებელი კლასში შემოვიდა და იკითხა: ვის დარჩა რვეული სახლშიო? ხმას არავინ იღებდა. იმ დღეს რვეული მართლა არ მქონდა და ეს ვაღიარე. გუ-

ლახდილობისთვის დამსაჯეს და ორიანი დამიწერეს, რომელიც დღემდე მწარედ მახსოვს. ნეტავ, რა მალაპარაკებდა?! იმ დღეს, ბევრ ბავშვს არ ჰქონია რვეული, მაგრამ ჩემსავით არ უყვირია... „შატალოზე“ წასვლა ჩემთვის ზეიმი იყო, ამიტომ ამ სიამოვნებას არ ვიკლებდი. მახსოვს, ერთხელ დიდი თოვლი მოვიდა. გარეთ ყოფნა და გუნდაობა გვინდოდა. აბა, კლასში რა გაგვაჩერებდა?! მთელი კლასი „წითელ ბაღში“ გავიპარეთ. სკოლიდან რომ გავდიოდით, სასწავლო ნაწილს — ცისანა დოლიძეს დავუნახივართ და გამოგვეკიდა. იცით, რას გავრბოდით?!. მერე ვიგუნდავეთ, ყველანი დავსველდით და შეგვცივდა. იქვე ახლოს ვცხოვრობდი და მთელი კლასის ბავშვები სახლში ავიყვანე. თუკი რაიმე არსებობდა, რითაც შეიძლება გავმთბარიყავით, ყველაფერი ჩავრთე და ამ დროს, მამაჩემიც მოვიდა. ამდენი ბავშვის დანახვაზე, კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. საერთოდ, ჩვენს კლასში ბიჭებიც ცუდად იქცეოდნენ და გოგოებიც, მაგრამ როდესაც ჩვენს დატუქსვას მოინდომებდნენ, ჯერ ბიჭებით იწყებდნენ და ამიტომ გოგოებს ნაკლები გვხვდებოდა... მიუხედავად იმისა, რომ „შეკრული“ კლასი ვიყავით, ჩემი საქმიანობის გამო, მათთან ურთიერთობისთვის ნაკლები დრო მრჩება... ბავშვებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი იმხიარულონ, კარგად ისწავლონ და ბავშვობა შეირგონ. ეს წლები მათ მერე არაერთხელ მოენატრებათ.

როდესაც ჩვენს დატუქსვას მოინდომებდნენ, ჯერ ბიჭებით იწყებდნენ და ამიტომ გოგოებს ნაკლები გვხვდებოდა...



გია უფროს შვილთან, თიკასთან ერთად, ის წელს სტუდენტი გახდა

გია ნიკოლაძე — „ნიკოლშოუს“ ჯგუფის ლიდერი და ძმებს შორის უფროსი, ბოლო დროს, როგორც თავად ამბობს, ძალიან შეიცვალა. გამუდმებით ფიქრობს, ცდილობს, ყველაფერს ღრმა, ფილოსოფიურ-რელიგიური ანალიზი გაუკეთოს, წერს ლექსებს და საკუთარ წიგნს, რომელსაც „ქართული ზღაპარი“ დაარქვა, გამოსაცემად ამზადებს...

ამ ინტერვიუში ის ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს მეტწილად, ლექსად პასუხობს, ზუსტად იმ სტროფებით, რომელიც საკუთარ წიგნში შეიტანა. ამ ყველაფრის ფონზე კი, არ არის რთული, მისი შინაგანი, სულიერი მდგომარეობა გავიგოთ — რა უჭირს, რა ულხინს და რისკენ მიისწრაფვის ძმებში ყველაზე უფროსი „შებერილი“...

„ჯოჯონდას“ სახე, ნაშიმშილარი პოეტი ანუ ვინ აცლის ენერგიას გია ნიკოლაძეს

„...ძველი ბიჯი ვიყავი, ახლა ჯიანბჯელოვან ფიქრს ვრეგავ...“

„გრეხილ გრძნობათა მტკიცე თოკია, მეტყველ სამოსთა კაბადოკია; თითო ფრესკაზე, თითო სამოსში, ღვთის სიტყვებია ამოქარგული; წამკითხავი კი არსად არა სჩანს, რადგან სხვა ხეხილი აქვს დარგული“... ანბანზე გამოკვლევა ბევრ ცნობილ ადამიანს აქვს ჩატარებული. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოკვლევების შესახებ ბევრი რამ წაკითხული მაქვს, იქ მაინც ბევრ რამეს გაოგნებულმა შევხედე. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსში ჩავვარდი. ვფიქრობ, რომ იქ ფრესკებზე რაღაც ისეთია ჩაშიფრული, რომლის ამოცნობა არც ისე ადვილია...

— რამდენ ხანს იყავით კაპადოკიაში?

— სულ სამი დღე გავჩერდით, მაგრამ ნანახმა, თავის გასაკეთებელი ერთ წამში გააკეთა. ეს ლექსი უკვე ჩავსვი იმ წიგნში, რომელსაც გამოსაცემად ვამზადებ.

— წიგნი როდის გამოიცემა?

— მე დროის „ფირფიტებს“ მივყვები, არ ვჩქარობ და არაფერს ვხლაფორთობ. წიგნის გამოცემის საკითხი უკვე მომწიფდა და ცოტათი დაჩქარდა კიდეც. მალე ის დღის სინათლესაც იხილავს.

ᲚᲐᲚᲘ ᲤᲐᲪᲘᲐ

— გია, როგორც ვიცი, ამ ზაფხულს კაპადოკიაში იყავი. რას გვეტყვი ამაზე?

— ეტყობა, ასე უნდა მომხდარიყო, ღმერთის ნება იყო, რომ კაპადოკიაში წავსულიყავი და ყველაფერი ისე მოეწყო, რომ დაუბრკოლებლად და ძალიან მოულოდნელად გავემგზავრე იქ. ჩემმა ძმაკაცმა — ლევან ბერიძემ გამომიარა, დამპატიჟა, ჩამსვეს ავტობუსში და წამიყვანეს. ამ მგზავრობისთვის, ისე, რომ ამაზე არც მიზრუნია, შესაბამისი სახსრებიც გამოიძებნა. აქედან ნაშიმშილარი წავედი, 12 დღე ვშიმშილობდი, ამიტომ ცოტათი დასუსტებული ვიყავი. იქ ბევრ რამეს ეიფორიაში მყოფი შევხვდი. მთავარი ის არის, რომ კაპადოკიაში ასეთი ლექსი დავწერე:

— როგორც ვიცი, ის შავ ფურცელზე, ფოსფორის ასოებით გინდა რომ დაიბეჭდოს. რატომ?

— შავ ფურცელზე ფოსფორის ასოებით დაბეჭდვა, ეს წიგნისთვის მხოლოდ და მხოლოდ რეკლამა იქნება, რომ მიიზიდოს მკითხველი, ყველამ წაიკითხოს, დაინტერესდეს და დასკვნები თავად გამოიტანოს. სხვა შემთხვევაში, ფოსფორის ასოებით შავ ფურცელზე დაბეჭდვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— რამდენგვერდიანი იქნება წიგნი?

— 125.

— სახელწოდებაზე რას გვეტყვი?

— წიგნს „ცისფერი მთებისა“ არ იყოს, გრძელი სახელწოდება აქვს. „ჩიტის მოტანილი ამბავი“ ჰქვია, რადგან თავისით დაირქვა ასე; კიდევ, „შავი ზღვის ნაამბობიც“ ჰქვია, ესეც თავისით დაირქვა. „ქართული ზღაპარი“ კი, მე დავარქვი, შემდგომ, კრიტიკოსებს ნაკლები საკირკიტო რომ ჰქონოდათ, ზღაპარია-მეთქი, ვთქვი და მორჩა!

— ამჟამად რას საქმიანობ?

— ახლა რაღაც გაყინული ვარ.

— შარშან, ზაფხულში, შენ და პანჩო „I სტერეოსთან“ ერთად, „ლა-

გუნა ვერეზე“ პროექტში — „ხალხური“ იყავით ჩართულები, სადაც არაერთი სიმღერა დაიწერა. წელს აღარ გქონიათ ამის სურვილი?

— მე იმ პროექტში პანჩოს საშუალებით მოვხვდი. რაღაცები გავაკეთეთ. წელს, პანჩოს შეიძლება ისევ ჰქონდა იმის სურვილი, რომ პროექტი ამოქმედებულიყო, მაგრამ მე ამის სურვილი აღარ მქონია. მგონია, რომ ეს ეტაპი გავიარე.

— „ნიკოლშოუ“ — თქვენი ჯგუფი რას შვრება, რას საქმიანობს?

— „ნიკოლშოუს“ წევრები ძმები ვართ — 4 ძმა. ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. იმის გამო, რომ ძმები ვართ, ხან შევიკრიბებით, რაღაცას შევქმნით, ვიმღერებთ, ხან — არა... ასე იქნება სულ, სანამ ვიქნებით.

— მეჩვენება, რომ გასულ წლებში უფრო აქტიურობდით.

— ვიმეორებ, ძმები ვართ. შეიძლება, 5 თვის შემდეგ შევიკრიბოთ, ვიმღეროთ და კონცერტზეც გამოვიდეთ, შეიძლება, 10 წლის შემდეგ ან გამუდმებით ვატაროთ კონცერტები. ჯერჯერობით გაჩერებულები ვართ. აი, ის საქმე, რაც მე დავიწყე, წიგნის გამოცემა, რომ დასრულდება, მერე ყველანი სხვა საქმით დავკავდებით. წიგნმა, რომელიც გადმოიწერა, მალე დღის სინათლე უნდა ნახოს.

— რას ნიშნავს გადმოიწერა?

— იმას, რომ რასაც ვწერ, ამას რაღაც ძალა მკარნახობს და მაწერინებს. რადგან ის ძალა მაწერინებს, ესე იგი, წიგნი ჩემი არ არის. ამიტომაც, მას გადმოწერილს ვუწოდებ: „ძალა, რომელიც ცდილობს ატანას, არ ეკუთვნოდეს ოღონდ სატანას. თორემ ძალა რომ არსებობს იგი, ამას ამტკიცებს ამ სტროფთა რიგი. სად შემიძლია მტვერს, მე უსუსურს, ამდენის წერა და თან, როგორც მე მსურს. მე მხოლოდ ვიწერ ყურში თქმულს ლამის, მხოლოდ დამწერი ერთია ამის. გადამწერლები ჯოფილვართ ყველა და ვინც გვკარნახობს, მასთან არ მივალ“.

— რატომ ფიქრობ ასე?

— ამ კითხვაზე ისევ ლექსად გიპასუხებ, რომელიც იმავე ძალამ გაბრაზებულს ჩამძახა: „...მგონია, ქვეყნად არვის ვუყვარვარ. არავინ არის ჩემი მოკეთე და ჩემ გარშემო არავის მოსწონს, ამ ცხოვრებაში რაც გავაკეთე. მე კი უტიფრად განვაგრძობ საქმეს, ბრძოლას ბნელეთთან ჩემი გაგებით. თავგანწირვით ვარ დაკავებული, ჩემივე თავის მახის დაგებით. მაგრამ ერთია, რაც გულს მიკეთებს, მაფრქვევს და მმატებს უხილავ ძალებს, გულებს უხეთქავს ფარისეველებს და ახალისებს ქალებს და კაცებს. ვიცი, მოხდება, რაც უნდა მოხდეს და იმ სცენაში თუ მე მიცანი, წინასწარ მეტი ვერაფერს გეტყვი, სცადე და შენით გამოიცანი...“

— ...ზემოთ ნახსენებ საკითხს მინდა დავუბრუნდეთ. კაპადოკიაში წასვლამდე 12 დღე ვიმშიმშილეო. რატომ? რაში დაგჭირდა ეს?

— რაც უფრო ვუახლოვდებით „ბოლო დღეს“, ღმერთის გარდა აღარაფრის შიში აღარ მაქვს. იმდენ უსამართლობას ვეჯახები, წესით, მას უნდა ვებრძოდე, ვჭმუჭნიდე, ვჩეხდე, თან შინაგანადაც ასეთი ტიპი ვარ, მაგრამ ამ ყველაფრისგან რატომღაც თავს ვიკავებ... შიმშილობაზე იყო ლაპარაკი. ვიშიმშილე, ეს მარხვა არ ყოფილა, რადგან არ მილოცია. თუმცა, შეიძლება ცოდვები მაქვს. ჩემი ცოდვების შესახებ, კაპადოკიაში, მამა პეტრეს მოვუყევი. შიმშილობა გოგია კვერნაძემ *(ბიძინა კვერნაძის ვაჟი. — ავტ.)* მირჩია, გამოგაჯანმრთელებსო, თვითონაც უშიმშილია. ფიზიკურად სუსტად ვგრძნობდი თავს, თითქოს ენერგია გამოცლილი მქონდა.

— რატომ?

— ჩვენ ყველანი ცოცხალ, მრგვალ სხეულზე ვცხოვრობთ. დედამიწაა ღმერთი, რომელიც გვიზიდავს. ის უფრო მეტად მაშინ გიზიდავს, რაც უფრო მაგრად იჭერ მის ინფორმაციებს. და შეიძლება, ადამიანს ენერგიასაც ეს მიზიდულობა აკარგვინებს.

— შიმშილობის შემდეგ რას მიხვდი?

— იმას, რომ ქაოსში ვცხოვრობ. ათი წლის წინ, რასაც ახლა ვამბობ გახსნილად, არ ვიტყოდი.

— ახლა რატომ ამბობ?

— ვერ ვჩერდები, ის ძალა არ მასვენებს, არ მაჩერებს. ზემოთ წარმოთქმული ლექსიდან მიხვდებოდი, რომ ბოლო დროს, საკუთარ თავს პატივს აღარ ვცემ. ეჭვიანი გავხდი. ხანდახან მგონია, ასეთ აზრებს რომ ვავითარებ, ყველა ამას ვერ გაიგებს ისე, როგორც ვამბობ და არავინ იცის, რას იფიქრებს ჩემზე. ჩემში ასეთი ბრძოლა მიმდინარეობს.

— დღე როგორ გადის შენთვის?

— ზანტად... ამას წინათ შევიტყვე, ირანში პლაკატის ფესტივალი ტარდებაო — „ერთი ღმერთის ფესტივალი“...

— ეს მკრეხელობა არ არის?

— რატომ? ყველა სარწმუნოება ხომ აღიარებს, რომ ღმერთი ერთია. ჰოდა, ამ ფესტივალზე ვგზავნი ახლა ჩემს ნამუშევარს — დედამიწის ფონზე მკრთალად ამომიქმერებულია „ჯოკონდას“ სახე ანუ დედამიწა, რომელსაც „ჯოკონდას“ სახე აქვს. ჯოკონდაში ქალიც არის და კაციც გამოსახული. თურმე ყველანი ღმერთის ზურგზე დავდივართ, რადგან დედამიწაა თავად ღმერთი!

— გია, ასეთი ტიპი იყავი ყოველთვის, როგორიც ახლა ხარ?

— არა, ძველი ბიჭი ვიყავი, ახლა ჭიანჭველას ფეხს არ ვადგამ, არ შემიძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემთან ვიღაცებს რაღაცები შეეშალოთ; აბა, გაბედონ.

— იქნებ, შენი ყველაზე კარგი და ცუდი საქციელი გაიხსენო?

— კარგს ვერ ვიტყვი. ჩემი ცუდი საქციელის შესახებ მამა პეტრეს ვუამბე...

— დროს არ ვუსწრებ, მივყვებიო, ამბობ. ხანდახან არ გაქვს იმის სურვილი, რომ დროს გაუსწრო?

— დროს არც უნდა ჩამორჩე და არც უნდა გაუსწრო. დროს უნდა გაჰყვე.

— საყვარელი და აჩემებული ფრაზა თუ გაქვს?

— ხელებს დაადებ დედამიწას და იტყვი — „მოწიწება!“ — ეს იყო გასული წლის პონტოს ფესტივალის ფრაზა.

— ბავშვობაში ვინ გინდოდა, რომ გამოსულიყავი?

— რეჟისორი. მაგრამ ვერ ვარ რეჟისორი. ისეთი რამ ვერ გავაკეთე, როგორიც მინდოდა, რომ გამეკეთებინა, თუმცა რაღაცებს ვგრძნობდი. შემეძლო, მაგრამ ვერ გავაკეთე.

— გია, ვისზე იტყვიან ხოლმე დაცენტრილიაო?

— მასზე, ვინც იმაზე მეტს გრძნობს, რასაც 60% ვერ გრძნობს.

— შენზე ვინმეს თუ უთქვამს — დაცენტრილიაო?

— კი, მეც მითქვამს ეს სხვაზე. უფრო ნიჭიერზე, დაცენტრილია-მეთქი.

უფრო მეტად მაშინ გიზიდავს, რაც უფრო მაგრად იჭერ მის ინფორმაციებს

— შური რა ფენომენია?

— შური ნებისმიერ ადამიანში დევს. ადამიანები შურს მალავენ. ტიპი მით უფრო მაგარია, რაც უფრო მოაშთობს და ჩაახშობს საკუთარ თავში ამ გრძნობას. ამბობენ, თეთრი შური სხვა რამ არისო. ეს რას ნიშნავს, არ მესმის. შური შურია! თეთრი შური ეტყობა, მათი მოგონილია, ვინც ამ გრძნობის მოშთობას, ჩაკვლას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— შენშიც არის ეს გრძნობა?

— ჩემშიც არის. სალიერს, მოცარტს ჰქონდა და მე ვინ ვარ, რომ არ მქონდეს? თუმცა, ბევრია ისეთი, ვინც ამ გრძნობას სულაც არ ებრძვის და მას დაუფარავად ამჟღავნებს: „თავმდაბლობას კი ნუ იკითხავ, შენ ნუ ხარ „გაღიზიანი“, იყავი ღვთიური, სუფთა და ხალისიანი“... ბოლოს, ისევ ლექსით მინდა დავასრულო ჩემი საუბარი: „როგორც ფუტკარი სინჯავს ბევრ ყვავილს და ცოტაოდენს იყენებს თაფლში. ეგრე ჩვენც გვმართებს ბევრის მოსმენა და სარგებელის შერჩევა მასში. არვის მოსთხოვო რწმენის გამოცვლა და შენს რწმენასაც ხელი არ ახლო. ყოველ რწმენაში ბინადრობს იგი, სუფთა, ადვილი, ყველასთვის ახლო... გლახაკი ცდილობს გამდიდრებას და ოქროს წყაროს მიგნება უნდა, ეგრეც ყოველი უნდა ცდილობდეს ჭეშმარიტების ძიებას მუდამ“...

■

რაც მინახავს, ველარ ნახავ

„ანტილოვე" და რაც მინახავს, ყიდევ ვნახავ ანუ „ნწუ, ნწუ, აბაააა"...

რატომ მიყვარს ჩემი მკითხველები? იმიტომ, რომ ისინი ასეთი ორიგინალურები და გადარეულები არიან. თქვენც რომ ასე გიყვართ და მოგწონთ „გზავნილები", ესეც მკითხველების (ოღონდ, „მწერალი" მკითხველების) დამსახურებაა: თქვენ რომ მესიჯებს არ მიგზავნიდეთ, მე რას დავწერდი?.. თქვენ ხომ ყველა თემაზე პოულობთ შესაფერის ამბებს და მეც მიზიარებთ! ასე რომ, დიდი მადლობა იმ საინტერესო ამბებისა და თბილი სიტყვებისთვის, რომლებსაც „გზისთვის", „გზავნილებისა" და ჩემთვის არ იშურებთ. ეს ჩვენი ერთობლივი „ნაცოდვილარია" და მეც და თქვენც იმიტომ გვიყვარს.

...პატარა სოფკას მუზა ეწვია, ხოტბა შემასხა და თან დამამუნათა — თუ არ დაბეჭდო, ჯაფარიძის ქალი არ იყოო, — მაგრამ აბა, ისეთი ლამაზი და თბილი სიტყვებით, რომლებიც სოფომ მომწერა, თავი როგორ შევიქო?.. მეორე მკითხველი ქმარს ემუქრება — რაც უნახავს, ხომ ველარ ნახავს და რაც ნახა, იმასაც სულ დავავიწყებო... მესამეს თურმე, კითხვა შეუყვარდა, მეოთხე — ჩემს „მშობლიურ" ენაზე, სვანურად მიმესიჯებს, მეხუთე კი, თავისი სტუდენტობის ხანასა და ახალგაზრდობას იხსენებს:

მარი ჯაფარიძე

სად ინსპექტორი და სად — პოლიტეკონომია?!

„როგორც კი თემა წავიკითხე, მაშინვე ჩემი სტუდენტობის ხანა გამახსენდა. მართლაც, ვერასოდეს დავიბრუნებთ, ალბათ, განვლილ წლებს და რაც გვინახავს, ველარ ვნახავთ. ერთი ძალიან კარგი ამბავი გამახსენდა ჩემი სტუდენტური ცხოვრებიდან. 70-იან წლებში ვსწავლობდი „გეპეიში", ავტოსაინჟინრო ფაკულტეტზე. მესამე კურსს ვხურავდით და გამოცდებს ვაბარებდით. მაშინ ყველა ფაკულტეტზე და მათ შორის ჩვენსაზეც პოლიტეკონომია ისწავლებოდა. ამ საგანს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ყოველთვის მკაცრი გამოცდა ტარდებოდა. ჩემი მეგობარი იყო ზუგდიდელი ბიჭი თენგო. „ზარმაცების პრეზიდენტი" გახლდათ, ძლივს გადადიოდა კურსიდან კურსზე. ჰოდა, ზის ეს ჩვენი თენგო პოლიტეკონომიის გამოცდაზე. რაც არ იცის, რას უპასუხებს? უკანასკნელ ძალებს იკრებს და ცდილობს, რაღაც მაინც გაიხსენოს. დროგამოშვებით უაზრო ფრაზებს ბურტყუნებს, სახეს ჭმუხნის და კარგად ხვდება, რომ კომუნიზმის მშენებლობა გაცილებით რეალური მოვლენაა, ვიდრე მეოთხე კურსზე მისი გადასვლა. თან იცის, რომ შინ ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწევს და მამისგან გაიროზგება კიდეც... ლექტორს მოსწყინდა მისი მანჭვის ყურება და უთხრა — ნუ დავტანჯავთ ერთმანეთს, ასეთი ცოდნით შენგან ინჟინერი ვერ დადგება, ამიტომ, მეცადინეობა მოგიწევს, თუ შემოდგომაზე ვერ ჩააბარებ, ისევ მესამე კურსზე მოგიწევს სწავლის გაგრძელებაო. თენგოს თვალები ცრემლებით აევსო და აკანკალებული ხმით სთხოვა: დამიწერეთ სამიანი, გეხვეწებით, მე მაინც ინსპექტორობა მინდა და პოლიტეკონომია არ დამჭირდებაო. სამიანი მართლაც არ დაამადლა ლექტორმა, რადგან ინსპექტორობა უნდოდა... აი, ასეთი კარგი იყო სტუდენტობა. თენგო, იქნებ, შენ აღარც გახსოვს ეს ამბავი, მაგრამ მე კარგად დამამახსოვრდა. ლექსო".

თქვენ იცით, ვინ არის ოპტიმისტი?.. ეს არის მამაკაცი, რომელიც პაემანზე ჩქარობს, რომ არ დააგვიანდეს! ისე, წინათ პაემანს წინასწარ გეგმავდნენ ხოლმე, ახლა უკვე — „წარსული რიცხვით": შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ნაცნობმა გოგონამ დაგირეკოთ და გითხრათ — თუ დედაჩემი დაგირეკავს, იცოდე, რომ გუშინ მე და შენ ერთად ვვახშმობდითო... ალბათ მიხვდით, რომ ჩვენი მომდევნო ამბის თემა — პაემანი გახლავთ, მაგრამ ვიდრე ამბავს მოგიყვებით, მინდა, ქალბატონებს ერთი ყურადსაღები „სიბრძნე" გავუმხილო — გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო ხელგაშლილია მამაკაცი პირველ პაემანზე, მით ნაკლები დროით სჭირდებით მას... ახლა კი ამბავი... თუმცა, მამაკაცებმა რა დააშავეს?! ერთ „სიბრძნეს" არც მათთვის დავიშურებ — პაემანზე წასვლის წინ გახსოვდეთ, რომ თუ ბეღურაზე სანადიროდ მიდიხართ, თან იქონიეთ „ვინტოვკა", რომ ვეფხვთან შესახვედრადაც მზად იყოთ.

პაემანი

„ყველაზე გულდასაწყეტი — ჯეელობაა, ხალხო! რაც გინახააავს, ველარ ნახააავ!.. ჩემს ახალგაზრდობაში სულ სხვანაირად ხდებოდა ყველაფერი, სხვა ხიბლი ჰქონდა გოგოსა და ბიჭის ურთიერთობას. ერთმანეთის მორიდება და ხათრი ჰქონდათ. ბებერი კაცივით ავლა-პარაკდი, მაგრამ მართალს ვამბობ, ასე მგონია... ახალგაზრდობაში ერთი გოგო მიყვარდა. სად იყო მაშინ მობილური ტელეფონები? დილით ან წინა საღამოს უნდა დაგენიშნა პაემანი, რომ მეორე დღეს გენახა. ჰოდა, შეხვედრაზე შევთანხმდით, მაგრამ დამავიწყდა, რომელ საათზე უნდა შევხვედროდით — 7-ზე თუ 8-ზე. ზამთარი იყო, ძალიან ციოდა და თუ 8-ზე უნდა შევხვედროდი, მთელი საათი ქუჩაში გავიყინებოდი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ 8-ის ნახევარზე მივსულიყავი — სულ ნახევარი საათი მომიწევდა ცდა; თუ 7-ზე უნდა შევხვედროდი, იმედი მქონდა, რომ დამელოდებოდა და ქუჩაში ცემას არ დამიწყებდა. მივედი დათქმულ ადგილას, მაგრამ გოგო არ დამხვდა. ის-ის იყო, გავიფიქრე, ალბათ 8-ზე უნდა შევხვედროდით-მეთქი, რომ ისიც მოვიდა. ლოყები აწითლებული ჰქონდა სიცივისგან და შეწუხებული სახით მომიახლოვდა — რომელ საათზე უნდა**

შევხვედროდით? სულ გადამავიწყდა და ვამჯობინე, 8-ის ნახევარზე მოვსულიყავიო... სწორედ ისეთივე ლოგიკით, როგორითაც მე ვიმსჯელე. აბა, ეს გოგო ხელიდან გასაშვები იყო?! ჰოდა, დღეს უკვე შვილიშვილიც გვყავს. მაგრამ რაც გვინახავს, ველარ ვნახავთ...“

ამერიკელ მილიონერს, რომელმაც ცოლთან ერთად 45 წელი იცხოვრა, ჰკითხეს — როგორ მოახერხა ოჯახის შენარჩუნება? ჩვენი რეცეპტის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ კვირაში ორჯერ რესტორანში მივდიოდით, სანთლის შუქზე ვვახშმობდით, მე — ხუთშაბათობით, ის კი — შაბათობითო, — უპასუხა „სტაჟიანმა“ ქმარმა. საერთოდ, მამაკაცები ფიქრობენ, რომ შარვალი გაცილებით საჭირო „ატრიბუტია“, ვიდრე ცოლი, რადგან ქალაქში უამრავი ისეთი ადგილია, სადაც ცოლის გარეშე წასვლა შეიძლება.... შემდეგი მესიჯი მუდამ აქტუალურ, ცოლ-ქმრის ურთიერთობასა და ღალატს ეხება.

„სისხლიანი“ გარჩევა

„ქორწინების 5 წლის თავზე ჩემმა ქმარმა საუკეთესო სიურპრიზი მომიმზადა. ზაფხულში დავქორწინდით და ბუნებრივია, 5 წლისთავმაც ზაფხულში მოუწია. ამ დროს სოფელში ვიყავი, დედამთილთან. ვინაიდან ასეთი ღირსშესანიშნავი თარიღი მოახლოვდა, გადავწყვიტე, ჩემი ქმრისთვის სიურპრიზი მომეწყო, იმ დილით უთენია დავდგომოდი თავზე და გამეხარებინა ჩემი ვიზიტით. შვილები ბებიასთან დავტოვე და იმ მატარებელს გამოვყევი, რომელიც დილის 7 საათზე ჩამოდის თბილისში. ჩემი გასაღებით გავაღე კარი, რომ ფეხაკრეფით შევსულიყავი და ლოგინში ჩუმად შევწოლოდი ჩემს ქმარს. საძინებლის კარი შევაღე და რას ვხედავ?! ჩემს საწოლში „გაქანებული“ სექსი მიმდინარეობს — ჩემი ქმრის მონაწილეობით, რა თქმა უნდა. უეცრად ისე ვიკივლე, თითქოს ურჩხული დამენახოს. ეს თავისთავად მოხდა. ვერ აღვწერ, რა საშინელება ყოფილა ამის დანახვა... ვიდრე ისინი გონს მოვიდოდნენ, მე ვეცი „ზალაში“ სერვანტსდა თუ რამ ჭურჭელი მქონდა, სულ ლაწალუწი ავუყენე. თან გაბმულად ვკიოდი. ერთი მოზრდილი ვერცხლის ვაზა მომხვდა ხელში, რომელიც მისი წინამორბედი „თანასერვანტელებივით“ ძირს დავანარცხე, მაგრამ ვერაფერი დავაკელი. ამიტომ, რამდენჯერმე მომიხდა მისი აღება და დახეთქება. როცა მის ასაღებად კიდევ ერთხელ დავიხარე, ამ დროს შევნიშნე, რომ საძინებლიდან წელში მოხრილი ქალი გამოვიდა და დერეფნისკენ გაიძურწა. ვტაცე ვაზას ხელი და ზურგში მივადევნე. კარის შუშა ჩავამსხვრიე. რაღაც, ისეთი კარგი ხმა გამოსცა ამ დროს მინამ, რომ მომეწონა. ახლა კარის მინებს დავერიე... ჩემმა ქმარმა ის ქალი სამშვიდობოს რომ დაიგულა, მხოლოდ ამის მერე მომვარდა და ცდილობდა, ხელები გაეკავებინა ჩემთვის. მე კივილს ვუმატე, ვუძალიანდებოდი და წიხლებს ვუშენდი. ისე ვიყავი გამწარებული, რომ 10 კაციც ვერ მომერეოდა. მაგრად ვიჩხუბეთ, სულ ერთიანად დავალილავე ჩემი პატივცემული მეუღლე და მაგრად დავიღალე. მოწყვეტით ჩავეშვი სავარძელში. ჩემი ქმარი ჩემ პირდაპირ, მეორე სავარძელში ჩაჯდა. სახლში სიჩუმემ დაისადგურა. ოთახს თვალი მოვავლე. ყველაფერი დალეწილი იყო. იქაურობა ბრძოლის ველს ჰგავდა. ორპირი ქარი იყო და ვინაიდან მინებიც დავლეწე, ფარდას დროშასავით აფრიალებდა. იქვე მაღალი, ტელეფონის მაგიდა იდგა, რომელზეც საყვავილე იდგა. ის იყო, სინანულით გავიფიქრე — ეს როგორ დამრჩა გასატეხი-მეთქი? — რომ ფარდა წამოედო, ძირს დაანარცხა და ის ერთადერთი გადარჩენილი ნივთიც ნამსხვრევებად იქცა. ამის დანახვაზე ისეთი ხარხარი ამიტყდა, რომ ჩემს ქმარს შიში ჩაუდგა თვალებში: აშკარად ეგონა, რომ გავგიჟდი. კარგად რომ ვიცინე, ვიფიქრე — ყავას მოვიდულებ, იქნებ, ცოტა დავმშვიდდე-მეთქი. მას კი ვუთხარი, რომ აეკრა გუდა-ნაბადი და მოუსავლეთში გადაკარგულიყო... ოთახში რომ შემოვბრუნდი, ის უკვე ჩემოდანს ალაგებდა. მისი ყველა მოძრაობა მაღიზიანებდა. ჩალაგებას რომ მორჩა, ჩაიბურტყუნა — ამას მერე წავიღებო და წავიდა. მისი წასვლის შემდეგ ჩემოდანი გავხსენი. ყველაფერი ჩაელაგებინა, ზამთრისა თუ ზაფხულის ტანისამოსი, ტყავის ქურთუკი და პალტოც კი. ამოვალაგე ნივთები, ყველაფერი მაკრატლით დავანაკუწე და ისევ ჩავალაგე... მეორე დღეს მისი ძმაკაცი მოვიდა და ჯერ სცადა, ჩემთვის ლექცია წაეკითხა თემაზე — როგორი ცუდები არიან კაცები და რომ პატიება — ჩვენი ვალია, — მაგრამ რომ მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა, წამოავლო ჩემოდანს ხელი და წავიდა. ამის მერე 2 წელი გავიდა. ყოფილ ქმართან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. ის ახლა სწორედ იმ ქალთან ცხოვრობს, ვისთან ერთადაც ჩემს ლოგინში ნებივრობდა. ვიცი, ნანობს, მაგრამ ჩვენი შერიგების შანსი არ არსებობს. რაც უნახავს, ველარ ნახავს! გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება: კარგი ჭურჭელი მქონდა. ახლა იმისთანას სად ვიყიდი?!.“

გაგდებული და მიტოვებული ქმრები ქუჩაში არ ყრია, ბატონო, და თუ თქვენ არ გინდოდათ, იმან შეიფარა, ვისთვისაც გაიმეტეთ. ისე, თუ სადმე ერთგულ ქმარს შეხვდებით, ავტოგრაფი სთხოვეთ. ახლა კი არანაკლებ საინტერესო თემა — სიძე-სიდედრიანი.

ნასიამოვნები სიდედრი

„ისე მოხდა, რომ ქუთაისელი ცოლი მოვიყვანე. ერთი მხრივ, მშვენიერი გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან სიდედრი იშვიათი სტუმარია ჩვენს სახლში, მაგრამ მეორე მხრივ, ცოლის ქუთაისურმა „წიკებმა“ და კუდაბზიკობამ შემიკლა ხელში. ყველაფერს სხვის დასანახავად აკეთებს. მთელი კვირა ჩემი არსებობა რომ არ გაახსენდეს, თუ სტუმარი გვყავს შინ (განსაკუთრებით მისი მეგობრები), მათი თანდასწრებით ისე მეფერება, ისეთ საალერსო სიტყვებს მეუბნება, რომ ლამის მართლა დავიჯერო, რომ ასე ვუყვარვარ... ამ ბოლო დროს სიდედრიც შემოგვეჩვია და რომ ჩამოვიდოდა, მთელი კვირით რჩებოდა ხოლმე. ერთმა შემთხვევამ კი ისე შეაშინა ჩემი „დედიკო“, რომ ცოცხალი თავით ჩვენკენ გამოხედვაც აღარ უნდა. გაზაფხულზე, მორიგი სტუმრობისას, ჩემმა ცოლმა სამსახურში წასვლის წინ ყურში ჩამჩურჩულა: ამ საღამოსთვის რამე დელიკატესი მოგვიტანე, დედას გაუხარდებაო. მეც სუპერმარკეტში ჩავედი და დიდი ხანი ვარჩიე, რა გაუხარდებოდა დედიკოს. ბოლოს, არჩევანი კიბორჩხალებზე შე-



ვაჩერე. დარწმუნებული ვიყავი, რომ არ ექნებოდა ნაჭამი და ვიფიქრე, ვასიამოვნებ-მეთქი. ცოცხალი კიბორჩხალები ცელოფანის პარკით შინ მივიტანე, სამზარეულოში მაგიდაზე დავდე და სამსახურში წავედი. რამდენიმე საათის შემდეგ მობილურზე მეზობელმა დამირეკა და მკითხა — ძაღლი შინ მარტო დატოვეთ? საწყალი, ისე ყმუის, მთელი კორპუსი მისი ცოდვით იწვისო. — ძაღლი საერთოდ არა მყავს-მეთქი. — რა ვიცი, ყმუილის ხმა ნამდვილად თქვენი სახლიდან გამოდისო. მაშინვე გავეშურე შინისკენ. გავაღე კარი და რას ვხედავ? „ზალაში" მაგიდაზე ჩემი სიდედრი ზის და ყმუის. რა გჭირს, დედიკო-მეთქი? — მივვარდი გადარეული. მან კი თითით მიმანიშნა ერთი ადგილისკენ. გავიხედე — იატაკზე კიბორჩხალა დალოლავდა. თურმე ცნობისმოყვარე ქალბატონს ცელოფანის პარკში ჩაუხედავს და ეს საშინელი არსებები რომ დაუნახავს, შეშინებია. ცელოფანი შიშით სადღაც მოუსვრია, თვითონ ყველაზე უსაფრთხო ადგილის — მაგიდისკენ აუღია გეზი და ზედ ამძვრალა. ერთი კიბორჩხალა, როგორც ჩანს, დერეფანში გადმოვარდა. ამის შემყურე სიდედრი, რამდენჯერაც კიბორჩხალა ფეხს შეატოკებდა, შიშისგან ყმუოდა. აი, ასე დაემართა ჩემს „დედიკოს". რა თქმა უნდა, კიბორჩხალა არ შეჭამა. მეორე დღესვე ქუთაისში დაბრუნდა და დაგვიბარა: კარგად იყავით და ჭამეთ ეგ თქვენი კიბორჩხალები, მე კი აქეთ პირის მომბრუნებელი არა ვარო... ეჰ, ვერ ხედავენ ჩემს სიკეთეს. არ უნდოდა, ბატონო, პატივისცემა და აწი, რაც უნახავს, ვეღარ ნახავს".

თუ ქმარი პასუხობს ცოლს „არა", როგორც ჩანს, მას ჰკითხეს — კიდევ დიდხანს უნდა უყურო მაგ საზიზღარ ფეხბურთსო?! თუ ის პასუხობს — „როგორც გინდა", — ალბათ შეკითხვა დაახლოებით ასეთი იყო — ძვირფასო, შევიღებო თმა წითლად?.. ხოლო თუ ის პასუხობს — „დიახ", გამოდის მისთვის უკითხავთ — მისმენო?.. აბა, როგორ?! ოჯახის უფროსი თვითონაა და რასაც უნდა, იმას უპასუხებს!..

„ნწუ, ნწუ, აბაააა"...

„ჩემი ძმაკაცი ახლახან დაქორწინდა. ვაფრთხილებდი — არ გაბრიყვდე, რაღა დროს ცოლია, 40 წლის ასაკში?! აგერ, ხომ მიყურებ, რა დღეში ვარ, ლამის მეც გავუშვა, მერე თავში შემოირტყამ ხელს-მეთქი, — მაგრამ არ დამიჯერა. „შენ რო გყავ, იმაი რო ყავ?!" — მოუქცია კახურად და დაქორწინდა. ძმაკაცებს მეტი რაღა დაგვრჩენოდა? ჩვენი ვალი მოვიხადეთ, გავაფრთხილეთ, რომ საშიშროების წინაშე იდგა და რომ არ დაგვიჯერა, ავდექით და ქორწილში კარგად მოვულხინეთ... იცოცხლე, სულ მალე აუსრულდა ჩვენი სიტყვები და ქორწილიდან 2 თვის შემდეგ სულ თავში ირტყამდა ხელებს — ეს რა დამემართა, როგორ არ შევისმინე თქვენი რჩევა-დარიგებაო?!. ჩვენც თანაგრძნობით ვუქნევდით თავს და — „ნწუ, ნწუ, აბაააა", — ვეუბნებოდით. ერთ მშვენიერ დღეს, მორიგი იმედგაცრუებისას, როცა ახალმა ცოლქმარმა კიდევ ერთხელ ვერ გაარკვია, ვინ არის ოჯახში უფროსი და „საომარი მოქმედებები" განაახლა, დამირეკა და მითხრა: ძალიან გავბრაზდი ჩემს ცოლზე, დღეს შინ მისვლა არ მინდა, დაე, ინერვიულოს, რომ ასეთი „ბაჯაღლო ოქრო" დაკარგა და ასველოს ბალიში ცრემლებითო. — ჩემთან წამოდი, ცოლ-შვილი სოფელშია-მეთქი, — შევთავაზე და რა თქმა უნდა, სიხარულით დამთანხმდა. — ნამდვილი მეგობარი ხარო, — მითხრა და ლამის ჩემს მხარზე აქვითინდა. სასმელი ვიყიდეთ და ჩემთან ჩავუჯექით. რამდენიმე ჭიქის მერე ჩაფიქრდა და თქვა: იქნებ, სულაც არ დარდობს ძვირფასი ქმრის დაკარგვას და თვითონაც სადღაც „დაგულაობსო"?.. გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა. ტელეფონზე დავურეკავდით და თუ ყურმილს აიღებდა, მაშინვე უნდა გაგვეთიშა (რას არ ჩაიდენს მთვრალი კაცი!..). დავრეკეთ და ტელეფონი ხმამაღლა მოლაპარაკე რეჟიმში გადავიყვანეთ. კარგა ხანს არავინ იღებდა ყურმილს და ის იყო, ჩემი ძმაკაცი კბილების კრაჭუნს იწყებდა, რომ უპასუხა: რა გინდა? — პირდაპირ ასე იკითხა. ისე დაიბნა ჩემი ძმაკაცი, ისიც დაავიწყდა, რომ უნდა გაეთიშა და ყურმილში ჩასძახა: — მაია მინდა! იქიდან დამცინავმა ხმამ უპასუხა: — არა, საყვარელო, შენთვის მაია არ შეიძლება, ამაღამ გოჩა (ეს მე ვარ) შემენაცვლებაო. ერთმანეთს გაოცებულები ვუყურებდით. საიდან იცოდა, რომ ჩემთან იყო, ვერაფრით მივხვდით. მე ბევრი ვიცინე, ჩემი მეგობარი კი, კარგა ხნის განმავლობაში ტრანსში იყო... ეჰ, ხომ ვაფრთხილებდი, არ გინდა ცოლი, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ-მეთქი!.."

სულელი ქმარი ეჩხუბება ცოლს, ხოლო ჭკვიანი — საკუთარ თავს — იმისთვის, რომ ასეთ ქალზე დაქორწინდა... შემდეგი მესიჯი კი, ესოდენ პოპულარულ მესიჯნეცნობობაზე მოგვითხრობს.

„ამ საღამოს რას აკეთებ?"

„მართლაც, ერთი უჩვეულო, ზღაპარივით თავგადასავალი მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურში ვიყავი და ჩვეულებისამებრ, კომპიუტერის ეკრანს მივშტერებოდი, როცა ჩემს მობილურზე მესიჯი მოვიდა. „ალუბლის წვენი მიყვარს. ამ საღამოს რას აკეთებ?" ვინაიდან მესიჯი უცხო ნომრიდან შემოვიდა, ყურადღება არ მივაქციე და მუშაობა განვაგრძე. ცოტა ხანში მეორე მესიჯი მოვიდა: „უკაცრავად, არასწორი ნომერი ავკრიბე..." ისევ არ მივაქციე ყურადღება, რადგან სასწრაფო საქმე მქონდა და არ მეცალა პასუხის გასაცემად, თორემ უკვე ეჭვი მქონდა, რომ ვიღაც განგებ მეთამაშებოდა და ჩემი გამოწვევა უნდოდა. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა და — კვლავ მესიჯი: „მაპატიე, მაგრამ სწორი ნომრიდან ერთ ადგილზე გამაგზავნეს. შენ რას აკეთებ ამ საღამოს? თუ, რა თქმა უნდა, მამაკაცი ხარ და თბილისში ცხოვრობ?.." ვინაიდან მამაკაცი ვარ და თბილისში ვცხოვრობ, სამსახური მივატოვე და მესიჯის ავტორს შევხვდი. ის მართლაც შემთხვევით მოხვედრილა ჩემს ტელეფონზე. იმ საღამოს რას ვაკეთებდი, ამაზე დაწვრილებით არ მოგიყვებით, მაგრამ გეტყვით, რომ ძალიან გამიმართლა. დილით ჩემს შემთხვევით ნაცნობს დავშორდი და ამის შემდეგ ვერ დავუკავშირდი. ნომერი, საიდანაც მესიჯები მომივიდა, სულ გამორთულია. მე კი ძალიან მინდა იმ გოგოს პოვნა. იქნებ, წაიკითხოს და გამომეხმაუროს? თორემ, მართლა ისე გამომივა — რაც მინახავს, ვეღარ ვნახავ. მე კი მინდა, რომ რაც მინახავს, ისევ ვნახო".

სექსი „ავტოპილოტთან"

„მე და ჩემი ქმარი მისი ძმაკაცის დაბადების დღეზე მიგვიწვიეს. საკმოდ ბევრი ხალხი იყო. მე მისი ძმაკაცების ცოლებთან ჩამოვჯექი საჭორაოდ, მან ვი

თავისუფლება იგრძნო და დაერია უცხო ქალებს, ხან ვის აეტუზა, ხან — ვის. ვბრაზობდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი და ხმამაღლა ვხუმრობდი ამ თემაზე. ყველა შევაგულიანე — დავლიოთ-მეთქი და მამაკაცებს ტოლი არ დავუდეთ... საკმაოდ გვიან დავიშალეთ, საჭესთან მე დავჯექი, რადგან მივიჩნიე, რომ უფრო ფხიზელი ვიყავი, ვიდრე ჩემი ქმარი. შინ მივედით თუ არა, ისე მოვითენთე და ისე მომერია ძილი, რომ ჩხუბის თავი აღარ მქონდა. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი საქმე დილისთვის გადავდე და დავიძინე. დილით ვიღაცის ხელის წაკვრამ გამაღვიძა. ჩემი ქმარი იყო, მაღაზიიდან „ბორჯომი" ამოიტანეო, მეხვეწებოდა. — ჯერ მომეფერე-მეთქი, — ვუთხარი. გადაირია — ისეთ „პახმელიაზე" ვარ, გული ამერევაო, — მითხრა. ვერაფრით დავითანხმე. გავბრაზდი, თან, წინა დღის ამბავიც გამახსენდა და უშვერი სიტყვებით დავიწყე გინება. ჩემმა ქმარმა ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე თავი გადააქნია და ჩაიბურტყუნა — სასმლის სუნით ყარხარ და ისე იგინები, ასე მგონია, კაცთან ვწევარო... — შენგან განსხვავებით, მე რატომღაც ასეთი შეგრძნება არა მაქვსმეთქი... — ვუპასუხე. იმდენი იცინა, იმდენი იცინა, რომ „პახმელია" სულ დააციწყდა. იმ დილით კი ამოვუტანე „ბორჯომი", მაგრამ რაც უნახავს, ვეღარ ნახავს. სანამ ისე არ მოიქცევა, როგორც მე ვეტყვი, მანამდე ვერ ეღირსება ჩემგან პატივისცემას. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა — მაღაზიიდან რომ ამოვედი, ის ტელეფონზე ლაპარაკობდა: წუხელ „ავტოპილოტით" მოვედი, ამ დილით კი „ავტოპილოტმა" სექსი მომთხოვა, მე კი ვკვდები, ისეთ დღეში ვარო... — ამბობდა. ნეტავ, ვის ელაპარაკებოდა?.. ამას ამ საღამოსვე გავარკვევ".

„პუდელი შემიყვარდა..."

„მარი, მაპატიე, ასე გვიან რომ გიმესიჯებ, მაგრამ საამისო მიზეზი მაქვს. უკვე 6 თვეა, წესიერად არ მძინებია. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ირმას ნანახიც არ ყავდი, ისე შევაყვარე თავი. ის კი დავუმალე, რომ ცოლი მყავდა. მეგონა, ცოტას გავერთობოდი, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ჩვენ ერთმანეთზე ჭკუას ვკარგავთ. ახლა მინდა, ცოლთან გაყრის პროცესი წამოვიწყო, რადგან უკვე ძალიან ხშირად ვჩხუბობთ. თუმცა, არც მანამდე ვადნებოდით ერთმანეთს. როცა ირმას გვერდით ვარ, თავი რომეო მგონია. არ დავუშვებ, რომ ამხელა სიყვარული დავკარგო. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ჩემი კნეინა დედამისს როგორ მივგვარო. პირდაპირ ხომ არ მივუყვან და ვეტყვი: გმადლობ, ქოფაკო, შენი ფინია აღარ მიყვარს, ახლა პუდელი შემიყვარდა-მეთქი!.. შარვლის ტოტებს შემომაფლეთს, საერთოდ თუ გადავურჩი შეჭმას. ჰოჰოჰოოო... მერე, რომ იცოდეთ, რა ბასრი კბილები აქვს! მოკლედ, ცუდ დღეში ვარ. ეს რომ ჩემმა ცოლმა და სიდედრმა წაიკითხონ, მართლა არ დარჩება ჩემგან ძვალიც კი, მაგრამ რაც მოსახდენია — მოხდეს! სჯობს ადრე, ვიდრე არასდროს. ფოთელო ირმა, მიყვარხარ! მერაბი".

მწმენდავი

„მართლაც, ჩემზეა ნათქვამი — რაც გინახავს, ვეღარ ნახავო. იყო დრო, როცა ძალიან ბევრი ფული მქონდა. გასათხოვარი ვიყავი, კარგი ბიზნესი მქონდა და საქმეს მშვენივრად ვუძღვებოდი, მაგრამ შეიცვალა ცხოვრება და მეც დავკარგე ყველაფერი. ძალიან მწყდება გული, მაგრამ შევეგუე და თუ მაშინ ახალთახალი „მერსედესით" („ხსოვნა-არდავიწყება" იყოს...) დავგრიალებდი, ახლა დანგრეული „უიგულით" დავდივარ და პრეტენზიასაც არ გამოვთქვამ. იმ „მერსედესთან" დაკავშირებით, ერთი კურიოზი შემემთხვა და დიდი სიამოვნებით გავიხსენებ. ერთ ზამთარს თბილისში დიდი თოვლი მოვიდა. ჩემი მანქანა ავტოსადგომზე იდგა. დილით შეხვედრაზე მაგვიანდებოდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და ავტოსადგომამდე სულ სირბილ-სირბილით მივედი. მანქანა ისეთი დათოვლილი იყო, რომ არ ჩანდა. ძლივს გავწმინდე, როგორც იქნა, გავასუფთავე, მაგრამ კარის საკეტს გასაღები ვერა და ვერ მოვარგე. მანქანას გარს შემოვუარე და ნომერს რომ შეეხედე, მივხვდი, რომ სხვისი გამიწმენდია. ჩემი მანქანის „ტყუპისცალი" ყოფილა. იძულებული გავხდი, ახლა ჩემი „მერსიკოსთვის" მიმეხედა. ამასობაში, იმ მანქანის პატრონიც მოვიდა და რომ დაინახა, მისი მანქანა გაწმენდილი იყო და მეორეს ვწმენდდი, იფიქრა, რომ ავტოსადგომის თანამშრომელი ვიყავი და 5 ლარი გადამიხადა. ის ფული ავტოსადგომის ბიჭებს დავუტოვე და გულიანად ვაცინე კიდეც... მენატრება ჩემი „მერსო", რაც მინახავს, შემერგოსო..."

ახლა კი მოკლე მესიჯების ჯერიც დადგა.

„გახსოვს დიდი ხუმარა?.."

„რაც ციხეებში მობილური ტელეფონები აიკრძალა, მას შემდეგ ჩემს ქმარს ვეღარ ვეხმიანები და ისიც კი არ იცის, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი. ამიტომ გთხოვთ, იქნებ, თქვენ მაინც მიმაწვდენინოთ ხმა: ზურა გიორგაძე, მე და ანუკი კარგად ვართ. გვენატრები და გვიყვარხარ! ლელა".

„რა ხდება ჩემს პატარა საქართველოში? უკვე 2 კვირაა, პეტერბურგში ვარ და უზომოდ მენატრება ყველა და ყველაფერი. „გზავნილებიც" საოცრად მენატრება. ძალიან მაინტერესებს შემდეგი ნომრის თემაც... ამ მესიჯს დასაბეჭდად არ გიგზავნი, უბრალოდ, მომენატრა შენს ნომერზე დამესიჯება. აბა, დროებით! ლანკა".

„არ გინდივარ, ხომ, გოგონი?! 2 რამ დაიმახსოვრე: I. მე ვეღარ მეღირსები და II. ჩემნაირ სიყვარულს ვერ ეღირსები, ვეერაააა! რაც გინახავს, ვეღარ ნახავ! ბაი! გიო".

„ხალხო! რას იტანჯავთ თავს? სიყვარული, არა — ტოლმა! თუ იცით ვინმემ, რა არის სიყვარული? ერთი თვე გიყვარს, გიჟდები მასზე, მერე — ტკივილი, ცრემლები და... გძულს... უკეთესია, თუ ჩემსავით „ანტილოვე" გახდებით. იცხოვრეთ თავისუფლად, ფლირტით, სექსით და ა.შ. მიიღეთ სიამოვნება და არა — ტანჯვა-წამება".

„მართლაც, რაც მინახავს, ვეღარ ვნახავ. ჩემი შეყვარებული ახლა „პაბეგშია". თუ დაიჭერენ, მართლა ვეღარასოდეს ვნახავ. გელა, მენატრები. ბარტყი".

„ერთი ძმაკაცი მყავს, ძალიან ჯიგარია. გაცნობის დღიდან დავახლოვდით და მივხვდი, რომ კითხვა მაინცდამაინც არ უყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთების ჯიხურთან შემხვდა. მე, რა თქმა უნდა, „გზას" ვყიდულობდი. ძალიან დაინტერესდა და ჟურნალი დავუთმე. ამის შემდეგ, ყოველ ხუთშაბათს ერთად ვყიდულობთ და ერთად ვკითხულობთ „გზავნილებს". წარმოგიდგენიათ? — მას კითხვა შეუყვარდა!.. დიდი მადლობა! დიდა".

„კეთილი იყოს ჩემი მესიჯი „გზავნილებში"! ქუთაისელ „პიკასოს ბიჭების" წევრს, გია ტაბიძეს მინდა ვუთხრა, რომ არ უხდება დონჟუანის როლი. ასაკი მოგერია, ძვირფასო! გოგონები გაგირბიან, „ვსიო", დაგერხა! რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!"

„გამარჯობა, „გზის" გიჟებო! გიოს ვუყვარვარ, მეც მიყვარს, მაგრამ ვაწრუწუნებ. ბიჭებო, რაც არ გინახავთ, ნახავთ!"

„მალე თბილისში ვბრუნდები. ჩემმა „თავგასივებულმა" ქმარმა კარგად „იგულავა" მთელი ზაფხული. ეგონა, შერჩებოდა! ახლა, რომ ჩამოვალ, რაც უნახავს, ხომ ვეღარ ნახავს და რაც ნახა, იმას სულ დავავიწყებ! რაჭა".

„მე ჩემს თავს ვეტყვი, რომ რაც მინახავს, ვეღარ ვნახავ. შენ ჩემი საჩუქარი იყავი, სიხარულო, გისურვებ ლამაზ ცხოვრებას და სპეტაკ სიყვარულს. გახსოვს დიდი ხუმარა?.. ეს მე ვარ!"

„როგორა ხართ, გენა? ისე მომენატრეთ! ერთი თვე საჩხერის რაიონში, სოფელ კორბოულში ვიყავი და „გზას" ვერ ვკითხულობდი. ახლა სიხარულით გიმესიჯებთ. ჩემი მეგობარი სულ ბრაზდება, როცა ჩემს მესიჯებს ნახულობს „გზავნილებში". მინდა, აქედან ვკითხო: რათა, რათა, რათა? „გზავნილები" ხომ ძალზე იოლად მისაჩვევია? მარი, მალატ, მაცდუნი..." *(ეს სვანურია და — ნიშნავს „მიყვარხარ, მომენატრე". — ავტ.).*

„გზავნილების" მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ...და მაინც, ცხოვრება მშვენიერია! გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელ.ფოსტაზე **marorita77@yahoo.com** *ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთრა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ბრინზა რუმინული ყველია.
2. „ქინქლა“ და „წიალა“ სინონიმებია.
3. დროშის ან შუბის ტარს ბუნი ჰქვია.
4. ბუერავაზი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია.
5. კარიესი ლათინური სიტყვაა და სიდამპლეს ნიშნავს.
6. პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთში მშრალი კანონი შემოიღეს.
7. თვითრჯული — ასე ეძახდნენ ძველად ჯიუტ, თავნება და კერპ ადამიანს.

8. პირველი კოსმოსური ტურისტი ამერიკელი ბიზნესმენი — დენის ტიტო გახლდათ.
9. ჩაზნექილ ფირფიტას ფეხსაცმლის ჩაცმისას ქუსლის გასამართავად, კაწაპი ჰქვია.
10. ადამიანის სხეულში სხვადასხვა ნერვთა საერთო სიგრძე 75 კილომეტრს შეადგენს.
11. ძველი ეგვიპტელები სადილის შემდეგ, დესერტად მოხარშულ კომბოსტოს მიირთმევდნენ.
12. მიხეილ თუმანიშვილი რეპეტიციაზე დაგვიანებულ მსახიობს სრული იგნორირებით სჯიდა.
13. კუნძულ ჰონულულუზე რვაფეხებს სარეცხის მანქანებში რეცხავენ, რათა უფრო დაარბილონ ისედაც რბილი ხორცი.
14. აეროდინამიკის მიხედვით, მაისის ხოჭო ვერ უნდა დაფრინავდეს, მაგრამ მას ეს ნაკლებად აღელვებს — მშვენივრად დაფრინავს.
15. „ამქვეყნად ყველაზე მეტად საიდუმლოებით მოცული და საინტერესო ის ამბავია, რომელიც ჩვენ არ ვიცით“, — ამბობდა ჰარი ტრუმენი.
16. „ლუჩშე სემ რაზ ატმერ...“ — ღაღადებს რუსული ანდაზა. „ა ჩევო მერიტ, დლინნეე ვსიო რავნო ნე სტანეტ...“ — მხრებს იჩეჩენ რუსი ქალები.
17. ასეთ თევზს გლუვი, მბრწყინავი ქერცლი, გადმოკარკლული, გამჭვირვალე თვალები და მკვეთრი წითელი ლაყუჩები აქვს. მას მუცელი გაბერილი არა აქვს და წყალში იძირება. მოკლედ, ასეთი თევზია საკვებად ვარგისი.
18. ამერიკაში წელიწადში ძაღლისგან დაკბენილი 6000-მდე ფოსტალიონი მიმართავდა ექიმს დახმარებისთვის. საკუთარი თანამშრომლებისთვის ამდაგვარი საფრთხის ასაცილებლად, ფოსტის ადმინისტრაციამ სპეცუნიფორმა გამოყო, რომელიც შეწყვილებისთვის მზად მყოფი დედალი ძაღლის სუნით იყო გა-

სოხუმელ მწერალ გურამ ოდიშარიას რამდენიმე თვეა, არ შევხვედრივარ. მგონი, უფრო დრო გამყავდა, რომ ბატონ გურამს სათქმელი დაჰგროვებოდა და იმედიანი და მართალი სიტყვები მოგვესმინა მისგან, თორემ პოლიტიკოსების ნათქვამი ისედაც ყველას კარგად გვეყურება.

ზღვა, რომელიც შორია, ILLI ZHRIA, ОДИНАКОВЫЕ РОЖИ ღა ZHIGZIL UUUSLOUL „ZLOBULURI ღათიბილ“ POLOMDINZHI

სოხუმელ მეგობარ აიდა ლადარიასთან ერთად, აფხაზურ-ქართულ შეხვედრაზე, 1999 წ. მოსკოვთან ახლოს

ირმა ხარშილაძე

— ხომ გახსოვთ, თემურ ჩხეიძის მიერ რუსულ ენაზე დადგმული ჩემი პიესა — „ზღვა რომელიც შორია“? უახლოესი ამბავი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ 1-ელიდან 10 სექტემბრამდე სოხუმის თეატრი ამ სპექტაკლით სტუმრობდა ზუგდიდს, ქუთაისსა და ბათუმს; წიგნადაც გამოვეცით პიესის სრული ვარიანტი, ისევ რუსული სათაურით „Причал катеров“ — „კატერების ნავსადგური“. წიგნის გარეკანზე სწორედ ამ ნავსადგურის შესასვლელია გამოსახული, ყავახანა, რომელსაც ჰქვია „უ აკოფა“. ეს ფოტო „აფსნი-პრესის“ გადაღებულია და ინტერნეტშიც აქვთ: დათოვლილი მაგიდები, სკამები. ჩემს პიესაშიც გმირები ხშირად ახსენებენ თოვლს — ეს სიმბოლურად სისუფთავის, სიწმინდის გამოხატულებაა და ამ სიწმინდიდან უნდა განახლდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები: გადავფერთხავთ მაგიდიდან თოვლს, დავსხდებით და დიდხანს ვისაუბრებთ ჩვენ და აფხაზები მეგობრობაზე, სიყვარულზე, ერთმანეთზე... ეს წიგნიც მეგობრებს მივუძღვენი. წიგნის გარეკანის უკანა მხარეზე ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ფოტო დავბეჭდე — ზუსტად ასეთი ვახსოვარ სოხუმს.

— გაგზავნეთ უკვე სოხუმში?

— რამდენიმე ეგზემპლარი გავგზავნე. თქვენ რომ მოხვედით, ინგლისელ მეგობარს ვესაუბრებოდი: სოხუმში მიდის და კონვერტებში ჩაწყობილ წიგნებს გავატან.

— მოკლედ, მე რომ ინტერვიუს ჩასაწერად მოვდივარ, სწორედ მაშინ რეკავენ თქვენთან სოხუმში წამსვლელები...

— კარგად ემთხვევა.

— იქნებ, შემდეგ მოსვლაზე ისეც მოხდეს, თქვენ ალაგებდეთ ბარგს, სოხუმში მიდიოდეთ და მეც მეპატიჟებოდეთ.

— ღმერთმა ქნას! სოხუმელი მეგობრები ამ წიგნს რომ ნახავენ, აუცილებლად მიხვდებიან ჩემი დიზაინის ჩანაფიქრს. გახსოვთ, წინა ინტერვიუში 3 კვადრატული მეტრი მიწა რომ ვახსენე ჩვენი და აფხაზების ურთიერთობის, „მაგთი“ სადაც იჭერდა; ნელ-ნელა იქნებ, მართლა გავზარდოთ ეს ტერიტორია. გეტყვით, რა გააკეთა პიესამ: თბილისში ანშლაგით მიდიოდა, შიგადაშიგ აფხაზებიც ესწრებოდნენ, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც...

— თქვენი სპექტაკლიდან გამოსული ორი, რუსულ ენაზე მოლაპარაკე არარუსის ნათქვამს მოვკარი ყური: ხედავ, ქართველებმა რა მაგარი რამ გააკეთეს, ჩვენ კი ეს ვერ მოვახერხეთო.

— ყველაფერში გვაჯობებენ სხვები და კარგია, ამაში მაინც დავასწარით.

— როგორ ჩაიარა გასტროლებმა დასავლეთ საქართველოში?

— როგორც მითხრეს, ქუთაისის თეატრში 1000-ზე მეტი მაყურებელი ეტევა, ბათუმის თეატრში — 800 თუ 850, ზუგდიდში 400-ადგილიანი დარბაზი იყო. სპექტაკლები ყველგან ანშლაგით ჩატარდა. ყოველი სპექტაკლის შემდეგ ვაწყობდით დისკუსიას: შემოქმედებით ჯგუფს მაყურებელი კითხვებს გვისვამდა. ყველა ქალაქში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად აღიქვამდნენ სპექტაკლს. ქუთაისში, მაგალითად, ტაში დაუკრეს მაშინ, როდესაც ქართველი ეუბნება აფხაზს: რაც არ უნდა მოხდეს, მე და შენ მაინც ძმები ვიქნებითო. თუმცა, დაძაბულობა და ძლიერი ემოცია ყველგან იგრძნობოდა. განხილვებისას, სამივე ქალაქში ინტელიგენციის წარმომადგენლები აანალიზებდნენ პიესას: არ დამავიწყდება, ქუთაისში ლექტორის, ქალბატონ ჟანა ჭელიძის გამოსვლა.

— ბატონო გურამ, როგორი განწყობილება იგრძენით ადამი-

იანება აფხაზებისადმი თუ?..

— პირველად ხაზი გაუსვეს იმას, რომ წინასწარვე დაახლოებთი წარმოდგენა ჰქონდათ, რა მსოფლმხედველობით დატვირთულ სპექტაკლს ნახავდნენ, რადგან ბევრი იცნობდა ჩემს შემოქმედებას; მეორე — სამივე ქალაქის მაყურებელი ამბობდა: ეს რომ ომის დამთავრებიდან 2-3 წლის შემდეგ გვენახა, ვერ ავიტანდით პიესის აფხაზი გმირის ბრალდებებს ქართველისადმიო; ახლა, ამდენი დროის გასვლის შემდეგ, სხვაგვარად გვესმის მისი სიტყვები, ვცდილობთ, მასაც გავუგოთო... სხვათა შორის, რომ ვაკვირდებოდი ადამიანებს, ვიგრძენი, რომ უფრო დათბნენ. იმასაც აღნიშნავდნენ, რაც მეც არაერთხელ მითქვამს: ორ ძმას, ორ მეგობარს შორის მომხდარი კონფლიქტი უფრო მწარეა, შერიგებაც — უფრო ძნელი, მით უმეტეს კონფლიქტის შემდგომი პირველი შეხვედრა — უმძიმესი; ადამიანებმა უნდა ამოთქვან სათქმელი, რომ განიმუხტონ, მეორე შეხვედრა კი უკვე გზების ძიება უნდა იყოსო. გული მწყდება, რომ მაყურებლის მოსაზრებები არ ჩავიწერეთ. სპექტაკლში კარგად ჩანს აფხაზის მენტალიტეტი: როდესაც სოხუმში ჩასული ქართველი ზურაბი ამბობს: მამის საფლავზე გავედი და მოვლილი იყო, შენ ხომ არ?.. აფხაზი ასტამური აწყვეტინებს: ჩემი მშობლებიც იქ არიან დასაფლავებულიო. პირდაპირ კი არ ეუბნება: მე ვუვლი მამაშენის საფლავსო. ეს დასავლური, უფრო აფხაზური ხასიათია. მაყურებელი, რომელიც ჩემს წიგნებს იცნობდა, თურმე, უფრო ნოსტალგიურ პიესას ელოდა და გაოცდა, როცა სცენაზე ოთხ აფხაზს შორის მოქცეული ერთი ქართველი დაინახა. მთავარი ყველამ ამოიკითხა: ყველაზე დიდი მეგობრები სწორედ ის აფხაზი და ქართველი არიან. უცხოელებმა ამ სპექტაკლს პოლიტიკური თეატრი უწოდეს. ალბათ, მართალია, რადგან ხშირად დრამატურგიის კანონებს გვერდს ვუვლი, სათქმელი უფრო გაშიშვლებულია, პლაკატური, პირდაპირ მიდის ხალხთან. ასეთი „ინტერაქტიური თეატრი" — მაყურებელსა და მოქმედ პირებს შორის დიალოგს რომ ითხოვს, აუცილებელია. ამჯერად ახალ პიესაზე ვიწყებ მუშაობას, ჯერ მხოლოდ მონახაზები გავაკეთე. ეს იქნება საქართველოს მდგომარეობაზე, ჩვენს დღევანდელ ამბავზე, პოლიტიკური პარტიების „ომზე", რუსეთთან, ამერიკასთან დამოკიდებულებაზე... მოქმედების ადგილად არ ვიცი, რას ავირჩევ: ერთ ოჯახს თუ მონასტერს, სადაც ჩარჩება ადამიანების ჯგუფი, რადგან გარეთ ლამის წყალდიდობაა, შეიძლება მონასტერიც წყალმა წაიღოს... ცოტას გაგიმხელთ კიდევ...

— მგონი, ბევრს გვეუბნებით...

— არა უშავს. მოკლედ, იმ მონასტერში სხვადასხვა სულისკვეთების, მსოფლმხედველობის ადამიანია და წინ განსაცდელი ელის... ბატონი თემურ ჩხეიძე საქმის კუსშია, მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, თავად მეგობარს მიწოდებს — ძალიან დავუახლოვდი. ვნახოთ, რა იქნება.

— წარმატებას გისურვებთ. მოდით, ისევ გასტროლს დავუბრუნდეთ. ბათუმში, მგონი, აფხაზი ბავშვებიც ესწრებოდნენ სპექტაკლს არა?

— 10 მოზარდი ჩამოიყვანეს აფზაზეთიდან, 16-17 წლის გოგო-ბიჭები.

— არასამთავრობოებმა ითავეს ეს საქმე?

— არა, თუ არ ვცდები, სამთავრობო სტრუქტურებმა გაუკეთეს ორგანიზაცია ორივე მხრიდან, პირადი ურთიერთობებიც გამოიყენეს.

— ესაუბრეთ ამ მოზარდებს?

— სპექტაკლამდე ვისაუბრეთ, ჩემი წიგნებიც ვაჩუქე — თუ თქვენ არ წაიკითხავთ, მშობლებს მაინც წააკითხეთ-მეთქი — ვუთხარი. ისეთი ნათელი, გაცისკროვნებული სახეები ჰქონდათ ამ ბავშვებს, გული ჩამწყდა: ერთი-ორი წელი და ისინი, ასე ვთქვათ, „საავტომატე ასაკის" ხდებიან. იქვე, მათი ქართველი თანატოლებიც იყვნენ — რატომ უნდა დახოცონ ერთმანეთი, არ მესმის! ერთერთ შეხვედრაზე გავიხსენე, რომ მეცნიერებმა თევზებით სავსე აკვარიუმში 1 წვეთი შხამი ჩააწვეთეს და თევზები დაიხოცნენ. ამოყარეს ის მკვდარი თევზები და იმავე წყალში ცოცხლები ჩაუშვეს. იმათ არაფერი მოსვლიათ. აღმოჩნდა, რომ დახოცილმა თევზებმა გამოყვეს შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება და შხამი გაანეიტრალეს, მაგრამ თვითონ ვერ გადარჩნენ, სამაგიეროდ, ახლებმა განაგრძეს ცხოვრება ჩვეულებრივად... არ ვამბობ, უფროსი თაობა დავიხოცოთ-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ ყველამ მეტ-ნაკლებად დავაშავეთ, ავირიეთ ცხოვრება, ყველამ ჩვენი წილი პასუხი უნდა ვაგოთ. რუსეთს ბევრგან უნდოდა ომის წამოწყება, მაგრამ ბევრგან ვერ მოახერხა, ჩვენთან გამოუვიდა. ჰოდა, რადგან ჩემსა და აფხაზს შორის ადვილად მოახერხა, ჩემი თაობის კაცი — აფხაზიც და ქართველიც — ორივე დამნაშავე ვართ.

სომეხ და აზერბაიჯანელ მწერლებთან ერთად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

ეზის წიგნაკიდან:

ელენთილი. ამის შემდეგ, დაკბენილთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

19. „სახელმწიფო იმისთვის კი არ არსებობს, რომ ამქვეყნიერი სამოთხე შექმნას, არამედ იმისთვის, რომ ჯოჯოხეთის წარმოქმნა არ დაუშვას დედამიწაზე", — ამბობდა ალექსანდრ ბერდიაევი.

20. „შიში ყველაზე დიდი ცოდვაა", — ამბობდა პოლ ბრეგი — „საუკეთესო დღე დღევანდელი დღეა, საუკეთესო მეგობარი კარგი წიგნია, ადამიანში ყველაზე ამაზრზენი კუდაბზიკობაა, საუკეთესო დასვენება შრომაა, ყველაზე დიდი მოთხოვნილება ურთიერთობაა, ყველაზე დიდი განძი ჯანმრთელობა".

21. ერთხელ დიზაინერ ჟაკ ვენოს ერთერთი ფაბრიკის გაფორმებამ მოუწია, რომელშიც ყოველდღიურად უამრავი საღებავისა და ქიმიკატის ჩამოსხმა ხდებოდა. ამის გამო, კედლებზე საშინელი ლაქები ჩნდებოდა და ძალზე აღიზიანებდა ფაბრიკაში მომუშავე ადამიანებს. დიზაინერმა ფაბრიკის ყველა კედელი მსგავსი ფერის ლაქებით მოხატა, რის შემდეგაც ახალ ლაქებს ვეღარავინ ამჩნევდა.

22. იაპონიის ქალაქ ნიკოში არის ჭიშკარი, რომელიც იაპონელებს ყველაზე ლამაზ ქმნილებად მიაჩნიათ ქვეყნის მასშტაბით. ამ ჭიშკარზე ადამიანის რამდენიმე ფიგურა სპეციალურად თავდაყირაა გამოკვეთილი, რათა სრულყოფილებას ღმერთებში შური არ გამოეწვია.

23. არაბულ ქვეყნებში ნაკლებად პოპულარულია თოჯინა „ბარბი", რადგანაც მისი გამომგონებელი — რუთ ჰართლი ებრაელი გახლავთ. „ჩვენს გოგონებს არ შეშვენით ებრაელის მიერ შექმნილი თოჯინით თამაში", — მიაჩნიათ არაბებს. მათ თავად შექმნეს თოჯინა, სახელად „ფულა", რომელიც თავიანთ სავაჭრო ბაზარზე „ბარბის" დაუპირისპირეს. „ფულას" შავი ტანისამოსი აცვია და სახეზე ჩადრი აქვს ჩამოფარებული.

24. სერიულ მკვლელ — ანდრეი ჩიკოტილოს, რომელმაც 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, ჰყავდა ძმა, რომელიც პატარაობისას, როდესაც უკრაინაში შიმშილი მძვინვარებდა, მისმა მშობლებმა დაკლეს და შეჭამეს.

25. „სამყაროში სიცოცხლის არსებობის საუკეთესო დადასტურება ის არის, რომ ჩვენთან დაკავშირება დღემდე არავის უცდია", — ამტკიცებს არტურ ბლოხი.

აფხაზი მეგობრის შვილები — ნინა და კამა

ოღონდ, აღარ მინდა, ეს ბავშვები შეეწირონ ჩვენს დანაშაულს. ჩემი პიესის ქართველი გმირი ეუბნება თავის აფხაზ მეგობარს: დავუშვათ, მე ვაღიარე შენი დამოუკიდებლობა, მაგრამ მე მეშინია, რომ მალე აფხაზეთში აფხაზურ სიტყვასაც ვერ გავიგონებთ, მაშინ შენი შვილიშვილები ორივეს მოგვთხოვენ პასუხსო.

— ბატონო გურამ, მგონი, რამდენიმე დღის წინაც შეხვდით თბილისში აფხაზებს. რას ამბობენ ისინი?

— კლუბი ჩამოვაყალიბეთ, ასე ჰქვია: „ფინჯან ყავასთან“. პოლიტიკოსების შეხვედრებზე მე არ დავდივარ და ვოცნებობდი, უბრალო, გულითადი შეხვედრების კლუბი შემექმნა, სადაც ფინჯან ყავასთან ადამიანები თავ-თავიანთ გულისნადებს ამოთქვამენ, თავგადასავალს მოჰყვებიან და ასე შეუქმნიან მომავალ თაობას ნაღდ, შეულამაზებელ ისტორიას. დაახლოებით, 40-45 ადამიანი ვიკრიბებით ხოლმე თვეში ორჯერ: ერთხელ, აფხაზეთიდან ჩამოსულ აფხაზს ვხვდებით და ის ჰყვება თავის ამბავს, მეორედ — ქართველს. ერთ შეხვედრაზე აფხაზი ქალბატონი გვყავდა სტუმრად. მოგვიყვა, რომ მოუკლეს ერთადერთი ბიძაშვილი, გვარის გამგრძელებელი, ძალიან ახალგაზრდა, რომელსაც, ფაქტობრივად არც უომია, ვერ მოასწრო. ბიჭი გვარად მარშანია იყო, ბებია ჰყოლია მარღანია, თავადური გვარის. ბებიას ერთი წელი უმალავდნენ თურმე, შვილიშვილის სიკვდილს, მერე უთხრეს და საფლავზეც წაიყვანეს. საფლავზე ბებიას ქართულად და მეგრულად უტირია შვილიშვილი. ამ ბიჭს თურმე, აფხაზური არ სცოდნია, ამიტომაც დასტიროდა ბებია იმ ენაზე, რომელიც მას ესმოდა, რომელზეც ელაპარაკებოდა ხოლმე. შეიშმუშნენ თურმე აფხაზები, მაგრამ მათ აუხსნეს სიტუაცია და გაჩუმდნენ. მოკლედ, რა ენაზეც არ უნდა ტიროდე, სატკივარი მაინც ერთია... კიდევ ორი ნაომარი აფხაზი ბიჭი გვყავდა სტუმრად, ოღონდ მთხოვეს — შეხვედრას, პრესა და ტელევიზია არ დაასწროთო.

— მათ როგორი განწყობილება ჰქონდათ?

— როგორიც ჩემს სპექტაკლში გინახავთ, ზუსტად ისეთი. ნაომარი ქართველი ბიჭებიც ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. ისმოდა საყვედურები ორივე მხრიდან. ფინჯანი ყავიდან ხშირად ღვინოზეც გადავდივართ: ხომ უნდა დავილოცოთ? იქ კიდევ გაიხსენეს ომისდროინდელი ამბები და ერთ-ერთი მოჰყვა. თურმე, ასეთი რამ ბევრჯერ ხდებოდა ომში: გუმისთაზე პოზიციური ბრძოლებისას, ნიშანს აძლევდნენ ერთმანეთს ქართველები და აფხაზები და ხან ერთ, ხან — მეორე მხარეს, სულგუნებჩაწყობილი ღომი და ღვინო გადაჰქონდათ, განსაკუთრებით — დღესასწაულებზე; ზოგჯერ ასორტიმენტიც იცვლებოდა. რა აღარ ჩამოთვალეს?!. ესენი არიან ყველაზე სუფთა, წმინდა ადამიანები, ნამდვილი მეომრები, მათ სიტყვა „მკვლელობასთან“ არაფერი აკავშირებთ. იქვე თქვეს, ომი არენაა ბანდიტების, მკვლელების, მძარცველების, ავკაცების მოსაზიდავად; ასეთი კი, სამწუხაროდ, ორივე მხარეს ბლომად გვყავსო. თან ეს ის თაობაა, ვისი შვილებიც უკვე წამოიზარდნენ, 18-19 წლისანი არიან და აღარ უნდათ, რომ შვილებმაც იომონ. მამებისა და ბაბუების დაწყებულ სიავეს წერტილი ისევ მამებმა და ბაბუებმა უნდა დაუსვან. კიდევ ასეთი ამბავი გაიხსენეს იმ აფხაზებმა: ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, რაღაც ტერიტორია ავიღეთ და თავზე წამოვადექით მომაკვდავ ქართველ ბიჭს, რომელსაც ვერ ვუშველიდით და ტყვედ აყვანასაც აზრი არ ჰქონდა, ვიცოდით, ძალიან მალე მოკვდებოდა, მაგრამ დაიტანჯებოდა; ამ დროს შეგვეძლო, გვესროლა, მით უმეტეს, მტერი იყო, მაგრამ ვერ ვქენით. ხუთნი ვიყავით და თითოეულს თითო ამპულა ნარკოტიკი გვქონდა, თუ დავიჭრებოდით, უნდა გაგვეკეთებინა, შოკში რომ არ ჩავვარდნილიყავით; უცებ გადავწყვიტეთ, ყველა ამპულა ამ ბიჭისთვის გაგვეკეთებინა, რომ ტანჯვა შემსუბუქებოდაო... იცით, რომ ვუფიქრდები, — რა ქნას ჯარისკაცმა? ის ხომ თავის სამუშაოს ასრულებს პოლიტიკოსების მიერ დანთებულ ომში. სხვათა შორის, ბევრი კურიოზიც ხდება საომარი მოქმედებებისას. ერთი აფხაზი მეომარი ჰყვებოდა: „პოზიციური ბრძოლებისას მანდარინის პლანტაციებში მოვხვდი, წყალი დავინახე და ვსვამ, უეცრად უკნიდან ვიღაც ქართულად მეკითხება: ბიჭო, ეგ წყალი ცივიაო? გამოვიხედე — თავზე ქართველი მადგას. ცოტა ქართული ვიცოდი და კი-მეთქი, — ვუპასუხე. მივხვდი, სოხუმელი იყო, რუსულ-ქართულად მელაპარაკებოდა. წამიყვანა სადღაც გარაჟში, სადაც 15 ქართველი მეომარი იჯდა და არაყს სვამდა; აზრად არ მოსვლიათ, რომ აფხაზი ვიყავი; ჩემი ავტომატი მოეწონათ, დაათვალიერეს, რაღაცებს რუსულად მეკითხებოდნენ; მაგრად მეშინოდა, არ მიმხვდარიყვნენ, ვინ ვიყავი; ისევ წყურვილი მოვიმიზეზე, ვიფიქრე, გავიქცევი-მეთქი; ერთ-ერთი გამომყვა... მოკლედ, მაინც გავიქეცი, ის მიყვიროდა: სად მირბიხარ, ბიჭო? მანდ აფხაზები არიან, ხომ არ დათვერიო?.. ვირბინე, ვირბინე და აფხაზების სხვა ჯგუფთან მივირბინე, იმან ქართველი ვეგონე, მე ისინი მეგონნენ ქართველები და ვიყვირე — ქართველი ვარ, არ მესროლოთ-მეთქი. А, ты грузин, сейчас мы тебя обработаем, — და დამიჭირეს. ძლივს ავუხსენი, რომ აფხაზი ვიყავი. მოკლედ, ასე გადავრჩი“. ეს არის სწორედ ჩვენი უბედურება — სპექტაკლშიც მაქვს ასეთი სცენა — პერსონაჟი ამბობს: „И на них, и на нас одна и та же форма, базар одинаковый. „Калашниковы“ одинаковые, рожи — тоже“... — და ჩვენ — მსგავსები ასე ვხოცავდით ერთმანეთს!.. როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა მოხდეს, ადამიანები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა — ის ნაომარი ხალხი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს შეხვედრები გაგრძელდეს. ზუსტად ვერ ვიხსენებ, სად, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ასეთი ფაქტი მოხდა: ვერაფრით შეაჩერეს დაწყებული კონფლიქტი და შეიკრიბა უხუცესთა საბჭო გამოსავლის საპოვნელად. ვიღაცას გაუჩნდა ასეთი იდეა: ორივე მხრიდან ას-ასი დედა ჩვილი ბავშვით შეახვედრეს ერთმანეთს და უხუცესებმა უბრძანეს, ეს ბავშვები გაეცვალათ. რადგან მშობლებმა იცოდნენ, რომ მათი შვილები მეორე მხარეს იზრდებოდნენ, ბრძოლა შეწყვიტეს — საკუთარ შვილებს ხომ ვერ დახოცავდნენ! წარმოგიდგენიათ, აქ რომ მსგავსი რამ მოხდეს?.. კი, ვიცი, რომ არ მოხდება, მაგრამ ისე, ხომ საოცარი ამბავია?!. იმიტომ გთხოვეთ, ჩემი აფხაზი მეგობრის შვილების ფოტოს დაბეჭდვა, რომ პოლიტიკოსების ყურებას, სჯობს, ამ ბავშვებს ვუყუროთ, საერთოდ, ბავშვებს ვუყუროთ და ავაცილოთ ისინი სტრესებს, ტკივილებს, რადგან ის ბავშვები ჩვენი და აფხაზების საერთო მომავალია. ■



მიცვალებულის დაბრუნება...

ემა ტუხიაშვილი

ატენის ხეობა გორის რაიონში, ატენის სიონითა და მისი განუმეორებელი ბუნებით, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია საქართველოში. ზაფხულობით ატენს უამრავი დამსვენებელი სტუმრობს და გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა. ჟივილ-ხივილი და მხიარულება არც ამ ხეობის მკვიდრის მიტო პაპას სახლ-კარს მოჰკლებია, სადაც რამდენიმე თვით მთელმა მისმა მონაგარმა მოიყარა თავი. შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების გარემოცვაში მოხუცი მიტოს 80 წლის იუბილეც აღინიშნა და ტკბილ-მწარე მოგონებების სადღეგრძელო რომ დაილია, საღ-სალამათი მიტუას „დაკრძალვის“ დღეც გაიხსენეს. ეს ამბავი ისე მომეწონა, რომ მასპინძელს მისი გამოქვეყნების ნებართვა ვთხოვე. ჩემს თხოვნაზე მიტო პაპა ცოტა შეიშმუშნა, მაგრამ ცოლი თავისებურად შეუჩნდა: დაწეროს, შენც ხვალვე ქალის სათხოვნელად არ მიდიოდეო. რომ მოხუცი დაითანხმა, მაგრამ ერთი პირობით — მიტო პაპის გვარი არ უნდა გამემხილა მკითხველისთვის.

ეს ახლაა თანასოფლელებისთვის მიტო — პაპა, თორემ ახალგაზრდობაში ახოვანი მიტუას დანახვისას, ქალებს სუნთქვა ეკვროდათ და ლოყები მორცხვად შეეფაკლებოდათ ხოლმე. ვერც ერთმა ატენელმა ქალმა ვერ მოიგო სოფლის საუკეთესო სასიძოს გული და ფრონტიდან დაბრუნებულმა მიტუამ ქერათმიანი რუსი ქალი — სვეტლანა ჩამოიყვანა თან. შურით სკდებოდნენ თურმე სოფლის ქალები: ამ ორმეტრიან კაცს ეს ერთი ციდა ქალი რამ მოაწონაო?! მიტუამ რომ მოინდომოს იღლიაში ამოიჩრის მაგ გაწუწულ თაგვსო.

მტრის ჯინაზე სვეტლანამ მიტუას სანაქებო ცოლობა გაუწია, სახლ-კარი გამართა. 3 ვაჟიც გაუჩინა და „შენი ჩირიმე, შენ გენაცვალეც“ დაისწავლა. მიტუაც მუყაითი მეოჯახე აღმოჩნდა, ცოლ-შვილს ცივ ნიავს არ აკარებდა. სოფელში დღესაც სალაპარაკოდ აქვთ: მიტუას ხარ-კამეჩი რომ არ ჰყავდა, გუთანში თვითონ შეებმებოდა და ისე ხნავდა მიწას, რომ ოჯახს პურის მარცვალი არ მოჰკლებოდაო. მოკლედ, ცხოვრობდნენ ასე გუგულებივთ მიტო და სვეტა, მაგრამ ვინ იცის, როდის გიმუხთლებს წუთისოფელი?! პროფესიონალი მეთევზე არასდროს ყოფილა მიტო, მაგრამ თავისუფალ დროს უყვარდა მტკვარზე სათევზაოდ გასვლა. ერთხელ, ღობეზე მიყრილ ნაკელთან ჭიაყელები შეაგროვა და ცოლს წინასწარ მოურიგდა: იმ თევზით რასაც დავიჭერ, შენებური „უხა“ მომიმზადეო. ნახევარი სავალიც არ ჰქონდა მიტუას გავლილი, რომ „ჟიგული“ წამოეწია და მძღოლმა თავაზიანად შესთავაზა: დაბრძანდი, მიგიყვანო. მხოლოდ მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ იცნო მიტომ „ჟიგულის“ მძღოლი — ვაჭარი კაცი, რომელსაც ქორწილისა და თუ ქელეხისთვის ყოველთვის შეეძლო საუკეთესო თევზეულის შოვნა (მაშინ მაღაზიაში კარგ თევზს ვინ გამოიტანდა?!). ახლაც ამ საქმეზე მიდიოდა თურმე ორჯონიკიძეში...

— ერთი ფულიანი კლიენტი მყავს, ამ შაბათს შვილის ქორწილი აქვს და „სვეჟი“ „ასეტრინა“, სათალი და ხიზილალა უნდა ჩამოვუტანო, — გააცნო თავისი გეგმები ვაჭარმა მიტოს. უეცრად, თითქოს გონება გაუნათდაო, ჯერ მიტო აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ, მისი ხელნაკეთი ანკესი და შეუჩნდა კაცს ეშმაკივით — ხომ ვიცი, მაგ შენი ანკესით მტკვარზე, ლიფსიტებს თუ დაიჭერ; წამოდი ჩემთან ერთად, მე მგზავრი მეყოლება და მარტო არ მოვიწყენ, შენ კი, სახლში ისეთ თევზს გაგატან, სიზმარშიც რომ არ უნახავს შენს ცოლ-შვილსო.

მოკლედ, დაითანხმა ვაჭარმა გლეხი, ჯერ ორჯონიკიძეში თევზის „სპეკულანტები“ შემოატარა, შემდეგ, კარგი პურიც აჭამა და ის-ის იყო, შინისაკენ მიმავალ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ იქაურმა პოლიციამ დააკავა და უკანონო სპეკულაციური საქმიანობისთვის მიტოც და ვაჭარიც დააპატიმრეს.

სათევზაოდ წასული მიტო სახლში რომ არ დაბრუნდა, სვეტალნამ ჯერ მეზობლებში მოიკითხა, შემდეგ მისი ნათესავ-მეგობრები შემოიარა. სოფლის გარეთაც დაძებნა და რომ ვერაფერს გახდა, რუსული აქენტით ქართულად დაიწყო მოთქმა და ტირილი. მთელი სოფელი დადგა ფეხზე, დიდი თუ პატარა ყველა ეძებდა გაუჩინარებულ მიტოს, მაგრამ რას გახდებოდნენ?! ბოლოს, სვეტას მიტოს მოგვარე და მათი კარგი ნაცნობი, იმ დროს კი გორის რაიონის მილიციის უფროსი გაახსენდა და დახმარებისთვის მას მიმართა. მილიციის უფროსმა საქმეში პროფესიონალები ჩართო და შედეგმაც არ დააყოვნა: მტკვარში ნაპოვნი იქნა შუახნის მამაკაცის გვამი, რომელსაც ფიზიკური ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა. და სავარაუდოდ, სიკვდილი წყალში დახრჩობით იყო გამოწვეული. ძალიან გაუჭირდათ სვეტლანასთვის ამ სამწუხარო ამბის შეტყობინება, მაგრამ გვამი იმდენად იყო გახრწნილი, რომ უცხოს მასში მიტოს ამოცნობა გაუჭირდებოდა, ამიტომ ამოცნობის პროცედურას ძალიან ახლობელი ადამიანი უნდა დასწრებოდა. გორის საავადმყოფოს პროზექტურაში მეზობლებმა სვეტლანა ხელკავით შეიყვანეს და როდესაც

სარეპეტიტორო სკოლა

ს ტ ს

მოამზადებს აბიტურიენტებს
უმაღლეს სასწავლებლებში
ჩასაბარებელი ტესტებისათვის:

ქართული, მათემატიკა,
უცხო ენა, ზოგადი
უნარ-ჩვევები, ისტორია

☎ 22 69 15; 91 31 62

მორგის თანამშრომელმა გვამს ზეწარი გადახადა, ყველას ეგონა, რომ სვეტა გულწასული ძირს დაენარცხებოდა, მას კი შეშინებულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა და სიხარულით წამოიძახა: ეს ჩემი მიტუა არ არისო!.. — როგორ თუ არ არისო?! — გაწბილებული ჩანდა მოგვარე მილიციის უფროსი, — გვამი იქ იპოვეს, სადაც მიტო თევზაობდაო; ჩემმა ხალხმა ყველგან დაძებნაო და ა.შ.

მილიციის უფროსის შემდეგ საქმის ვითარებაში სიცხადის შეტანა სამედიცინო ექსპერტმა სცადა და სვეტლანას განუმარტა, რომ ცხედარი რამდენიმე დღეში ძალიან შეიცვალა და შესაძლოა, ქალი ამიტომაც ვერ ამსგავსებდა მას თავის ქმარს. მაგრამ სვეტა თავისას არ იშლიდა და უარყოფდა, რომ გვამი მის ქმარს უკუთვნოდა. ბოლოს, ვერაფერით რომ ვერ დაარწმუნა იქ მყოფნი თავის სიმართლეში, საჩვენებელი თითი ცხედრის სასქესო ორგანოსკენ გაიშვირა და მორცხვად ამოილუღლუღა: მიტუას ამხელა არ ჰქონდაო... სამედიცინო ექსპერტმა შვებით ამოისუნთქა: აბა, რას ბრძანებთ ქალბატონო, განა არ იცით, რომ გვამი წყალში სივდება და „ისიც“ იმიტომ გაუდიდდაო. ისევ ცრემლი მოადგა თვალზე სვეტლანას: ჩემს მიტუას ამხელა ჰქონდა (ცერა თითი უჩვენა მან სამედიცინო ექსპერტს) და ამხელა როგორ გაუხდებოდაო?! მოკლედ, ქალი მაინც დაარწმუნეს — ეს შენი მიტუას ცხედარია და თევზებს უთხარი მადლობა, სულ რომ არ მოაჭამეს „ისო“. ჭირისუფალს კიდევ ერთი რამით სცეს პატივი და გვამი მილიციის ხარჯებით სოფელში გადაასვენეს.

დაიხოკა რუსის ქალმა „ქართულად“ ლოყები. შეიმოსა ძაძებით და დაკრძალვის დღეც დაინიშნა. ამ დროს მიტოს გაუჩინარებიდან უკვე 10 დღე იყო გასული. როგორც ჩანს, ეს დრო აკმარეს ოსმა სამართალდამცავებმა მიტუას და საკნის კარი გაუღეს. წამოსვლისას კი, გესლიანად მიაძახეს: შენმა ძმაკაცმა ფული გადაგვიხადა და დიდი ხანია, თავს უშველაო. მხოლოდ ნაშუადღეს მიაღწია მიტომ თავის სახლს და პირდაპირ ღია ჭიშკარში შეაბიჯა...

ამდენი წელი გავიდა ამ ამბიდან და ახლაც ახსოვს, რომ პირველად, სანიმუშოდ დალაგებულ-დასუფთავებული კარ-მიდამო მოხვდა თვალში და გაუკვირდა: რამ გადარია ჩემი ცოლიო?! მხოლოდ ამის შემდეგ შენიშნა თავის ეზოში უამრავი დამწუხრებული ადამიანი და კარზე მიყუდებული ჩასასვენებლის თავსახური. ახლა მიტომ წაიშინა თავში ხელები, მაგრამ იქ მყოფებმა მალევე გაარკვიეს ვითარებაში და ერთხმად იქუხეს: მიტუა ცოცხალი ყოფილაო!

ზედმეტია იმის თქმა, თუ როგორ გაახარა მისმა დაბრუნებამ სვეტლანა და ვაჟები. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მიტუასთვის გათხრილ სამარეში ის უპატრონო მიცვალებული დაკრძალეს, ქელეხის სუფრა კი, ლხინის სუფრად აქციეს, სადაც კაცები მიტუას დაბრუნების სადღეგრძელოს სვამდნენ, ქალები კი ერთმანეთში ქირქილებდნენ: ამხელა მიტუას თურმე, ცერა თითის ხელა ჰქონიაო... ■

კლიმაქსი — ნაადრევი სიბერე...

სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ქალები, „გაახალგაზრდავებული“ დაავადება, გადაჭრილი ვენები

მოგეხსენებათ, რომ ქალები სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ ისეთი დიდი მისია აკისრიათ, როგორიცაა შვილის გაჩენა, ამიტომ ქალი სათანადო ყურადღებას უნდა უთმობდეს საკუთარ ჯანმრთელობას და ექიმთან — კონსულტაციისთვის, წელიწადში ერთხელ მაინც მიდიოდეს.

ყველა ქალისთვის განსაკუთრებით რთულია კლიმაქსური პერიოდი, რადგან ამ დროს მის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადება, მათ შორის ნევროზი იჩენს თავს. ეს ის პერიოდია, როცა ქალმა თავს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა თავიდან აიცილოს ისეთი გართულებები, როგორსაც ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის — ნინოს დედა, ქალბატონი ლილი გადააწყდა.

ნინო ჯავახიშვილი
ნათია ქივიძე

— დედა 45 წლის გახლდათ, როცა კლიმაქსური პერიოდი დაეწყო — ხან სცხელოდა, ხანაც სციოდა, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიგვიქცევია. ვფიქრობდით, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა. როდესაც დედას ნერვული შეტევა ეწყებოდა და უმიზეზოდ ყვიროდა, ყველანი შინიდან გავდიოდით და ვიდრე არ დამშვიდდებოდა, უკან არ ვბრუნდებოდით... მაგრამ დედაჩემს მდგომარეობა თანდათან გაურთულდა, ვეღარაფრით ვაწყნარებდით და ამიტომ იძულებულები ვხდებოდით, „სასწრაფო დახმარება“ გამოგვეძახა. ექიმები მას დამამშვიდებელს უკეთებდნენ და მიდიოდნენ. ერთ დღეს, შინ მხოლოდ მე და დედა ვიყავით, როცა მას მორიგი ნერვული შეტევა დაეწყო. მეჩხუბა, — 5 წუთის წინ გითხარი, სამზარეულო დაგავე-მეთქი და შენ ახლა რატომ გვრო?!. ჩვეულებისამებრ, კარი გავიხურე და მეზობელთან გავედი. რამდენიმე წუთში გამახსენდა, რომ მობილური ტელეფონი შინ დამრჩა და უკან შევბრუნდი. დედის ხმა აღარ ისმოდა. სააბაზანოში იატაკზე წაქცეული ვიპოვე, სისხლში ცურავდა: თურმე, ვენები გადაუჭრია... „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახე და საავადმყოფოში წავიყვანეთ. სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ იმ დღის შემდეგ ნერვული შეტევები კიდევ უფრო გაუმძაფრდა. ექიმმა გვითხრა — კლიმაქსის გართულებული ფორმა აქვსო, თან გვისაყვედურა, — აქამდე რატომ არ მოგვმართეთო?!. მკურნალობის კურსი დაუნიშნეს, თან გაგვაფრთხილეს — მარტო არ დატოვოთ, ყურადღება მიაქციეთო. ასეც ვიქცეოდით, მაგრამ ერთ დილას კივილმა და საშინელმა ხმაურმა გაგვაღვიძა. დედა აივნიდან გადამხტარა (მეთხუთმეტე სართულზე ვცხოვრობდით)... მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ ის ტკივილი ვერ მოგვინელებია. ოჯახის ყველა წევრი თავს ვიდანაშაულებთ, რომ დედა თავის დროზე ვერ მივიყვანეთ ექიმთან. ასე რომ მოვქცეულიყავით, ის დღეს ცოცხალი იქნებოდა...

კლიმაქსი არ არის მხოლოდ ალები, თავბრუსხვევა, ოფლიანობა ან ნევროზი. ეს არის მთელი გამა პრობლემებისა, რომლებსაც ცხოვრების მანძილზე წავწყდომივართ და ამ დროს სხვადასხვაგვარად იჩენს თავს: შარდის შეუკავებლობით, გულსისხლძარღვთა სისტემის დარღვევით, ალერგიერის დაავადებით (მოხუცებულთა სკლეროზი), სახსრების პრობლემებით, ძვლის მოტეხილობის ალბათობის ზრდით და ა.შ. კლიმაქსი მიმდინარეობს ფსიქოემოციური დარღვევების ფონზე, რამაც ზოგჯერ, თვითმკვლელობამდეც შეიძლება მიგვიყვანოს. სპეციალისტების აზრით, ბოლო წლებში კლიმაქსი „გაახალგაზრდავდა“. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ საბახტარაშვილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

— კლიმაქსი ანუ უფრო სწორად — კლიმაქტერიული პერიოდი თავისი არსით არ წარმოადგენს დაავადებას ან დაავადებათა კომპლექსს, არამედ, ისევე, როგორც რეპროდუქციული ასაკი, ესეც ქალის ცხოვრების ფიზიოლოგიური პერიოდია. ამ დროს, ორგანიზმის ასაკობრივი ცვლილებების ფონზე, მიმდინარეობს რეპროდუქციული სისტემის ინვოლუცია — უპირველეს ყოვლისა, სასქესო ჰორმონების სეკრეციის მნიშვნელოვანი შემცირება. სტატისტიკური მონაცემებით, ეს პროცესები 49-50 წლის ქალბატონებში ვითარდება. კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ევროპელი ქალი საშუალოდ, 79 წელს (აქედან, 35-40% კლიმაქტერიულ ასაკზე მოდის), ჩრდილოეთევროპელი — 80 წელს, იაპონელი კი — 82 წელს ცოცხლობს. ად-

კლიმაქსი მიმდინარეობს ფსიქოემოციური დარღვევების ფონზე, რამაც ზოგჯერ, თვითმკვლელობამდეც შეიძლება მიგვიყვანოს

ამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა და ამდენად, კლიმაქსთან დაკავშირებულმა პრობლემებმაც წინ წამოიწია... ბევრი ჩემი კოლეგა მართლაც მიიჩნევს, რომ კლიმაქსი „გაახალგაზრდავდა", მაგრამ ამის დასამტკიცებლად, მხოლოდ ერთი ექიმის შეხედულება არ არის საკმარისი, ამისთვის სპეციალური, სერიოზული კვლევების ჩატარებაა საჭირო. უნდა გითხრათ ისიც, რომ დარღვეული მენსტრუალური ციკლი და კლიმაქსი — სხვადასხვა განსაზღვრებებია. მყავს პაციენტები, რომელთაც არასდროს ჰქონიათ ციკლი, რადგან მათი საკვერცხეები საერთოდ, განუვითარებელია.

— რა იწვევს ნაადრევ კლიმაქსს?

— ახალგაზრდა ქალს, სხვადასხვა პრობლემის გამო, შეიძლება, საკვერცხეების ფუნქცია — ესტროგენთა წარმოება შეუმცირდეს. თუ მას ამოვკვეთთ საკვერცხეებს, ამის შედეგად ჩამოყალიბდება კასტრაციული სინდრომი — ანუ მძაფრი ჰორმონალური უკმარისობა. ესტროგენი კი, ის ჰორმონია, რომელიც ქალს მთელი რიგი პრობლემებისგან იცავს. მაგალითად, თუ შევადარებთ ინფარქტების რაოდენობას 40 წლის ქალბატონებსა და მამაკაცებში, აღმოჩნდება, რომ ის ქალებში 10-20%-ით უფრო მცირეა. წლების განმავლობაში, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება ამ ჰორმონის წარმოება, ქალები ინფარქტის და ინსულტის სიხშირით, ეწევიან, ხოლო 65-70 წლის ასაკში — უსწრებენ კიდეც მამაკაცებს. ერთი სიტყვით, ესტროგენების დეფიციტს მოჰყვება მთელი რიგი პრობლემებისა — ქალის „ქვედა სართულიდან" დაწყებული, ინტელექტუალური შესაძლებლობების დაქვეითებით დამთავრებული. ადრეული კლიმაქსი, პირდაპირ რომ გითხრათ, ადრეულ სიბერეს იწვევს.

— როგორი ჩივილები ალენიშნებათ კლიმაქტერიულ პერიოდში ქალბატონებს?

— კლიმაქტერიული პერიოდი ქალებში ხასიათდება: ალებით, შემცივნებით, ოფლიანობით, გულისცემის აჩქარებით, თავის ტკივილით, თავბრუს ხვევით, ხმაურის შეგრძნებით თავსა და ყურებში. ალები (სიცხის შეგრძნება) და ჰიპერემია (ტემპერატურის მატება სახეზე, რომელიც შემდეგ ყელსა და მკერდზე ვრცელდება) უეცრად, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე იჩენს თავს ან პროვოცირდება ემოციური სტრესით, აგზნებით, შიშით; გრძელდება რამდენიმე წამიდან — რამდენიმე წუთამდე. სიცხის შეგრძნება შემცივნებით იცვლება. ალებმა ადამიანი დღეღამეში შეიძლება, რამდენჯერმე შეაწუხოს, იშვიათ შემთხვევაში კი, მათი რაოდენობა 30-50-საც კი აღწევს(!) — როგორც მუშაობის, ასევე დასვენების დროს, რაც იწვევს უძილობას და შესაბამისად, საერთო მდგომარეობის დამძიმებას. ზოგჯერ მას სუნთქვის რიტმის დარღვევა ახლავს თან. საყურადღებოა, რომ ალები და მისი თანმხლები სიმპტომატიკა ისევე სწრაფად ქრება, როგორც წარმოიქმნება. ალების დროს, კანის ტემპერატურა მთელ სხეულში 0,3-0,5 გრადუსით მატულობს, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, მხოლოდ სახეზე, კისერსა და მკერდზე შეიგრძნობა. ასევე ხშირად გვხვდება წითლად „დაფოთვლა" კისერსა და მკერდზე. კუჭ-ნაწლავის სისტემაში, არცთუ ისე იშვიათად, თავს იჩენს მეტეორიზმი და შეკრულობა. ტკივილი გულის არეში, როგორც წესი, ყრუ ან ჩხვლეტით ხასიათს ატარებს, მიმდინარეობს ხანგრძლივად და იშემიური დაავადებებისგან განსხვავებით, ფიზიკურ დატვირთვაზე არ არის დამოკიდებული. მათი წარმოქმნა ან გაძლიერება დაკავშირებულია ნერვულ აგზნებასთან. ტკივილის შეგრძნებას შეიძლება, წინ უსწრებდეს შემცივნება ან ალები, ცივი ოფლი, კიდურების დაბუჟება, ჰაერის უკმარისობა. ეს პროცესები სრულფასოვან კარდიოლოგიურ გამოკვლევას მოითხოვს. კლიმაქსის განვითარების დინამიკაში, მენოპაუზიდან 2-4 წლის შემდეგ, წარმოჩინდება ქალისთვის ისეთი არასასიამოვნო პრობლემა, როგორიცაა: შარდის შეუკავებლობა, ხშირი შარდვა, ცისტიტი (შარდის ბუშტის ანთება). ამის შემდეგ, შეიძლება წარმოჩინდეს ართრიტი და სახსრების ანთება, კანის გათხელება, დანაოჭება. 8-10 წლის შემდეგ კი, შეიმჩნევა არტერიული წნევის მატება, ოსტეოპოროზი, ათეროსკლეროზი, მთელი გამა კარდიოლოგიური პრობლემებისა და ისეთი დაუნდობელი დაავადება, როგორიცაა ალცჰაიმერის დაავადება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კლიმაქსის დროს, ადამიანის შემეცნებით-ინტელექტუალური შესაძლებლობები ნელ-ნელა ქვეითდება. ეს არის არასრული ჩამონათვალი, რომელიც ესტროგენების დეფიციტის შედეგად, თანდათანობით გამოვლინდება. რასაკვირველია, ყველა ეს ჩივილი ერთ პაციენტში არ იყრის თავს და ინდივიდუალურად, სხვადასხვაგვარად, განსხვავებული დოზით წარმოჩინდება. ეს დაავადება თეთრი რასის ქალბატონების 75%-ში გვხვდება, ხოლო იაპონელების მხოლოდ 20-25%-ს აწუხებს და ეს ეთნოგენეტიკურ თავისებურებებზე მიუთითებს, რაც ქართველი ქალბატონებისთვის დიდი შეღავათი არ არის.

— კლიმაქსის შემადგენელი ნაწილია კლიმაქტერიული ნევროზი, რომელიც ხასიათდება: აგზნებით, უძილობით, შიშისა და დაძაბულობის შეგრძნებით... დეპრესია კლიმაქსის დროს, არცთუ ისე იშვიათად, თვითმკვლელობის მიზეზადაც კი იქცევა. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— მკურნალობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ძნელად დასამორჩილებელი სიმპტომი სწორედ კლიმაქტერიული დეპრესიაა. ამიტომაც, ფსიქოემოციური დარღვევები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ერთ შემთხვევაში, ქალბატონები ხდებიან აგრესიულები და ავყიები — ჩხუბობენ ყველაფერზე, რის გამოც, ხალხში ამბობენ ხოლმე — „კლიმაქტერიჩკაა"; მეორე შემთხვევაში, დაავადებული ადამიანი საკუთარ თავში იკეტება, ითრგუნება, მას სიცარიელისა და უსუსურობის განცდა ეუფლება, უჩნდება აკვიატებული აზრები და მიეცემა თვითგვემას. ასეთ დროს, შესაძლებელია, სუიციდის მცდელობაც კი:

ახლა ბოიფრენდი მყავს, რომელიც უკვე 5 წელია, ჩემ გვერდით არის. უბრალოდ, აღარ მინდა, ჩვენი ურთიერთობა ოფიციალური გავხადო

ბუნებით ნაკლებად აგრესიული და პესიმიზმისკენ მიდრეკილი ადამიანი ხომ ძალზე ადვილად ვარდება დეპრესიაში.

— როგორც ვიცი, კლიმაქტერიულ ასაკში ხდება სექსუალური პოტენციის დაქვეითება ან პირიქით — უჩვეულოდ გაძლიერება...

— რა თქმა უნდა, ამ დროს ცვლილებები სექსუალურ ფუნქციებშიც გამოვლინდება. ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარაა სექსუალური ფუნქციის დაქვეითება, უმეტესად კი, ადგილი აქვს სექსუალური აგზნებადობის გამძაფრებას. უკიდურეს შემთხვევაში, ამას ქალი ნიმფომანიამდეც (ძნელად კონტროლირებადი სექსუალური აგზნებადობა) კი მიჰყავს. მყავდა პაციენტი, რომელიც შვილებმა, გაუსაძლისი მდგომარეობის გამო მოიყვანეს. მას ორჯერ ჰქონდა სუიციდის მცდელობა. წლების მანძილზე მკურნალობდა ფსიქიატრთან და მხოლოდ შენაცვლებითმა თერაპიამ მოგვცა დადებითი შედეგი, რის შემდეგაც, ცხოვრების ჩვეულ წესს დაუბრუნდა... ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოვიდა ქალბატონი, რომელმაც შემომჩივლა — მთელი ცხოვრება კაცისთვის „ცუდი თვალით" არ შემიხედავს, ქმრის ერთგული ვიყავი, ახლა კი, შარვლის დაუთოების დროსაც კი „ცუდად" ვხდებიო... ამის გამო, პაციენტი დისკომფორტს გრძნობდა. ასეთი მდგომარეობა რთულ სამკურნალო სტრატეგიას მოითხოვს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც იკურნება.

— რითი ხასიათდება კლიმაქსი მამაკაცებში?

— მამაკაცებთან მიმართებაში სიტყვა „კლიმაქსი" არ უნდა გამოვიყენოთ. შესატყვის მდგომარეობას ანდროპაუზას უწოდებენ, რასაც მამაკაცური ჰორმონების შედარებითი უკმარისობა განაპირობებს. იგი ვლინდება გაცილებით ნაკლებ პაციენტში და ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, ძირითადად, უფრო მძიმედ და მძაფრად მიმდინარეობს... მკურნალობის სტრატეგიაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ტესტოსტერონით (მამაკაცის ჰორმონით და მისი ანალოგებით) მკურნალობას, რომელიც დადებით შედეგს იძლევა.

— დაბოლოს, რას ურჩევდით მათ, ვისაც მსგავსი პრობლემები აქვს?

— მკურნალობის დროს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება შენაცვლებით ჰორმონალურ თერაპიას, მაგრამ ამ დაავადებისგან განკურნება ჩივილთა თავისებურებებზეა დამოკიდებული და უმრავლეს შემთხვევაში, ცალსახად დადებით რეზულტატს გვაძლევს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა სხვადასხვა განხრის ექიმთა დახმარება, რათა სრულყოფილი ეფექტი მივიღოთ.

თუ დავაკვირდებით, ერთი და იმავე ასაკის ქართველი და უცხოელი ქალბატონები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულნი არიან: ევროპელი ან ამერიკელი 60 წლის ქალი უმეტესწილად, გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურება, ვიდრე ამავე ასაკის ქართველი ქალი. თავის მოვლის რა საიდუმლოებას ფლობენ განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ქალბატონები და როგორ უმკლავდებიან ისინი კლიმაქსის პრობლემას? — ამ საკითხებზე, ინტერნეტის საშუალებით, არაჩვეულებრივ ფორმაში მყოფ, 68 წლის ამერიკელ მენდი ჯოუნსის ველაპარაკეთ.

— როგორ ახერხებთ, რომ ყოველთვის ფორმაში იყოთ?

— როგორ ვახერხებ? თავის მოვლა ჩემი უპირველესი მოვალეობაა და ამ საქმეს არაჩვეულებრივად ვართმევ თავს. დილით 8-9 საათზე ვიღვიძებ. ერთ ფინჯან ნატურალურ წვენს მივირთმევ, მერე კი ტრენაჟორების დარბაზში ჩავდივარ, რომელიც ჩემი საცხოვრებელი კომპლექსის ქვემოთ მდებარეობს (თუ ქალაქგარეთ, აგარაკზე ვიმყოფები, იქ საკუთარი ტრენაჟორები მაქვს), სადაც 2 საათის განმავლობაში ვვარჯიშობ. მერე აუზში ვცურავ. ასე, 12 ან 1-ელ საათზე ვსადილობ. ჩემი სადილი, ყველის ერთი ნაჭრისა და ნაკლებად კალორიული სალათისგან შედგება. საერთოდ, ამერიკაში ხორციან კერძებს ძირითადად, სადღესასწაულო დღეებში ამზადებენ. ხორცს ვცვლით თევზეულით, რომელიც ნაკლებად კალორიულიცაა და მეტად სასარგებლოც.

— ყავას, სიგარეტსა და ალკოჰოლს თუ ეტანებით?

— სიგარეტი რაციონიდან საერთოდ ამოღებული მაქვს, რადგან ცუდად მოქმედებს როგორც ჯანმრთელობაზე, ასევე კბილებსა და სახის კანზე. არ ვტრაბახობ, მაგრამ სახეზე ნაოჭები თითქმის არ მაქვს. მართალია, ამის მისაღწევად, ცოტა პლასტიკური ჩარევაც დამჭირდა, მაგრამ ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი აზრით...), საკმაოდ კარგად გამოვიყურები. დღეში მხოლოდ ერთ ფინჯან ყავას ვსვამ, ისიც, თუ სტუმრად ვარ (მაინცდამაინც არ მიყვარს). რაც შეეხება ალკოჰოლს, ყოველ საღამოს ერთ ბოკალ წითელ ღვინოს აუცილებლად მივირთმევ, რადგან ის არაჩვეულებრივია ჯანმრთელობისთვის. სხვათა შორის, ქართული ღვინოც გამისინჯავს და ვაღიარებ, რომ არაჩვეულებრივია.

— პლასტიკური ოპერაციები ახსენეთ. სილამაზის შესანარჩუნებლად, ამ სფეროს ხშირად მიმართავთ?

— არცთუ ისე ხშირად. ამერიკაში ქალების 60-70% გაბერილი მკერდითა და უკანალით დადის, მაგრამ საბედნიეროდ, ეგ პრობლემა არასოდეს მქონია — სულაც არ მომწონს დიდი საჯდომი. თანაც, თუ სისტემატურად ავარჯიშებ კუნთებს, ისედაც არაჩვეულებრივი უკანალი გექნება. საკუთარი მკერდის ზომით კი, აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ მეც და ჩემი პარტნიორებიც... მხოლოდ ნაოჭების გასასწორებელი პლასტიკური მინიოპერაციები გამიკეთებია, ისიც — სულ რამდენჯერმე.

— პარტნიორები ახლაც გყავთ?

— მაპატიეთ, მაგრამ ეს მგონი, არასწორი კითხვაა. პარტნიორი ყველა ნორმალურ ქალს ჰყავს. ორი ქმარი მყავდა, ამჟამად, ორივესთან გაყრილი ვარ, თუმცა, საერთო შვილების გამო, ხანდახან ერთმანეთთან ურთიერთობა მაინც გვიწევს. ახლა ბოიფრენდი მყავს, რომელიც უკვე 5 წელია, ჩემ გვერდით არის. უბრალოდ, აღარ მინდა, ჩვენი ურთიერთობა ოფიციალური გავხადო — რამდენი ქმარი უნდა გამოვიცვალო?.. თუმცა, თუ ვინმე საინტერესო პიროვნებას გავიცნობ, საიდუმლოდ გეტყვით (ჩემი მეგობარი თქვენს სტატიას მაინც ვერ წაიკითხავს), ვღალატობ ხოლმე. ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯანსაღი სექსი — ჯანმრთელობის საწინდარია. ქალს (ისევე, როგორც მამაკაცს) რეგულარული სექსი უნდა ჰქონდეს. თუ ასე არ მოიქცევით, აღარც ვარჯიში გიშველით და აღარც დიეტა, უკაცობისგან ნაადრევად ჩამოჭკნებით.

— ბოდიშს ვიხდი ამ კითხვისთვის, მაგრამ თქვენი ასაკის ქალბატონები სად ერთობიან? დისკოთეკაზე დადიხართ ხოლმე?

— დისკოთეკაზე იშვიათად მივდივართ. ძირითადად, კაზინოებს ან რესტორნებს ვსტუმრობთ ხოლმე. წელიწადში ორჯერ დასასვენებლადაც მივდივართ. მაგალითად, ამას წინათ, ჩემმა რძალმა დამირეკა და მთხოვა — ბავშვები 2 საათით დაიტოვეო. სასტიკი უარი ვუთხარი (ყველამ თავის შვილს მიხედოს), რადგან საღამოს, ჩემს მეგობრებთან ერთად რესტორანში უნდა მევახშმა და ის ორი საათი მოსამზადებლად მჭირდებოდა... ერთი თვის წინ, ჩემს ქალიშვილს ეპილეფსიის შეტევა დაემართა და რეანიმაციაში მოათავსეს. ზუსტად იმ დროს, საგზური მომივიდა — კანარის კუნძულებზე უნდა წავსულიყავი. ამ საგზურს მთელი 3 თვე ველოდი და რა უნდა მექნა?.. შვილიც კარგია, შვილიშვილიც, მაგრამ ადამიანმა ჯერ საკუთარ თავზე უნდა იზრუნოს! ამიტომ, ჩემი შვილი ოჯახის სხვა წევრების იმედად დავტოვე, მე კი ჩემს მეგობრებთან ერთად, დასასვენებლად გავემგზავრე...

— კლიმაქსის პრობლემებს როგორ უმკლავდებით?

— კლიმაქსი პრობლემა კი არა, უბრალოდ, არასასიამოვნო რამ არის. ჩვენთან ქალს კლიმაქსი 50 წლის ზემოთ ემართება. ამ ასაკის ქალმა ექიმებთან კონსულტაციაზე უნდა იაროს და მკურნალობის კურსიც ჩაიტაროს. კლიმაქსის საწინააღმდეგოდ, სპეციალური პრეპარატები არსებობს, რომლის მიღების შემდეგ, არანაირი პრობლემა აღარ გვექნება. მართალია, ეს პერიოდი რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ყველაფერი უმნიშვნელოა. თანაც, ამ პერიოდში აუცილებელია, სექსუალური პარტნიორი გყავდეს და ყველაფერი რიგზე იქნება... ■

მონასტრიდან ქართულ რეპში „გაჩითული“

შავთვალა აზიატ რეპერს ქართველი გოგონების აქტიურობა აოცებს

რეპერ შავთვალას უკვე 3 წელია, რაც ქართველი თინეიჯერები იცნობენ. მისი სახელი და გვარი კი გიორგი იაკობაშვილია. შავთვალა ძიძამ დაარქვა — შავი თვალების გამო. გიორგი 14 წლის იყო, როცა ეკლესიური ცხოვრება დაიწყო და ბეთანიის მონასტერში წავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, სასულიერო სემინარიაში ჩააბარა.

შავთვალას შემოქმედება სხვა რეპერების შემოქმედებისგან ძალზე განსხვავდება. მისი სიმღერები პოლიტიკურია. იგი ამბობს, რომ საქართველოში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა, პროტესტი ამ გზით გამოეხატა. ამით მან ახალი სტყვა თქვა ქართულ რეპში და მას რეპ-პროტესტი უწოდა.

მარეხ ჭონიშვილი

— გიორგი, შენი სიმღერები პროტესტით არის განმსჭვალული. პირველად როდის გაგიჩნდა ეს გრძნობა?

— ყველა ადამიანს აქვს პროტესტის გრძნობა რაღაცის მიმართ. მე კი ამ ხელისუფლების მიმართ გამიჩნდა. ძალიან მაწუხებს ქართველი ერის მდგომარეობა და ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. არ შეიძლება ასე ცხოვრება. დღეს ნარკომანია, პროსტიტუცია, უმუშევრობა ყავის საქართველოში. ამ ყველაფერმა პროტესტის გრძნობით ამავსო და გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა, დამენახვებინა ხალხისთვის, რომ არ ვართ კარგ დღეში და ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდათ, რომ დაგვანახვონ. მიუხედავად იმისა, რომ აპოლიტიკური პიროვნება ვარ, ჩემი სიმღერები პოლიტიკურია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მისი შექმნის იდეა მე მეკუთვნის, ჩემია და არავისგან ამიღია.

— რეპერი ასოცირდება ღამის ცხოვრებასთან, ქუჩასთან, ნარკოტიკთან...

— ნარკოტიკისაგან ღმერთმა დამიფაროს. მიუხედავად იმისა, რომ ამ-

ბობენ: რეპერი თუ ხარ, მოსაწევი უნდა მოსწიოო — ეს აუცილებლობად არ მიმაჩნია და ამიტომ არც ვიჩხირავ და არც ვეწევი.

— ამჟამად, ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობ?

— ეკლესიურად ისე ვეღარ ვცხოვრობ, როგორც ადრე, მაგრამ მოძღვარი მყავს.

— შენი მოძღვარი და ოჯახის წევრები შენს საქმიანობას როგორ შეეგუვნენ?

— ჩემმა მოძღვარმა თავიდანვე შთამაგონა ერისადმი დიდი სიყვარული. მას ჩემი სიმღერები მოეწონა კიდეც, რადგან რასაც ვაკეთებ და ვამბობ, ამ საქმეში არა მარტო ჩემი მოძღვრის, არამედ მთლიანად საქართველოს ტკივილი დევს. არც ოჯახის მხრიდან მქონია წინააღმდეგობა. თუმცა, კლიპში ნაშებთან ერთად რომ „გავიჩითო" და „ქეშაობა" დავიწყო, ეს არც ერთ მათგანს არ მოეწონება.

— რეპერები ჩაცმითაც გამოირჩევიან. შენ თუ შეიცვალე ჩასმის სტილი?

— როგორც მინდა, ისე ვიცვამ: მომინდება კლასიკური სტილის სამოსს ჩავიცვამ, მომინდება — ჩაჩებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეპერი არა ვარ.

— რეპი ზანგების მუსიკადაა მიჩნეული. შენი აზრით, ის ქართულ ხასიათში ჯდება?

— საერთოდ, რეპით ამბობენ იმას, რაც აწუხებთ. მაგალითად, 2 PAC თავისი სიმღერებით გამოხატავდა იმას, რომ ზანგები დაჩაგრული ერი ვართ და ყურადღება მოგვაქციეთო. რეპით იოლად გამოხატავ შენს გულისტკივილს და არა აქვს მნიშვნელობა, ზანგი იმღერებს თუ ქართველი. თუმცა, ქართულად გარეპვა იოლი არ არის.

— სიმღერის ტექსტებს შენ თვითონ წერ?

— რა თქმა უნდა. იმისთვის, რომ სიმღერა შევქმნა, ცუდი ენერგიით უნდა დავიმუხტო. შემდეგ, სტუდიაში გავრბივარ და აგრესიისაგან ვიცლები. ტექსტს ქალებზე, დროს ტარებასა და „გრიალზე" არ ვწერ, თუმცა, გართობის პონტში ერთი კლიპი გადავიღე, სადაც ჩემი თავი ვერ ვიპოვე...

— როგორც ვიცი, შენს კლიპებს „202"-ის გარდა, არც ერთი ტელეკომპანია არ უშვებს. რატომ?

— სწორედ ეგ მწყინს, რომ მბლოკავენ და ამის მიზეზს არ მეუბნებიან. შიშველ გოგონებთან ერთად გადაღებული კლიპები რომ მივიტანო, მაშინვე გაუშვებენ, მაგრამ იმის თქმას და ჩვენებას, რაც დღეს სინამდვილეში ხდება, რატომღაც ყველა ერიდება.

— შენი აზრით, რატომ არის რეპი თინეიჯერებში პოპულარული?

— იმიტომ, რომ მას თავისებური რიტმი აქვს, „ლაითია", „ამგდები" და ეს მათზე მოქმედებს. მათ უმეტეს ნაწილს „ევასება" ისეთი სიმღერები, როგორიცაა: „შენთან მინდა — შენ ჩემთან გინდა", მაგრამ ასეთ სიმღერებს მუღამს ვერაფრით ვუჭერ.

— ქართველი რეპერებიდან ვისთან მეგობრობ?

— თითქმის ყველა რეპერს ვიცნობ და მათთან კარგი უთიერთობა მაქვს. ისინი თავ-თავიანთ საქმეს აკეთებენ, მე — ჩემსას. მეგობრობით კი, ბიგ-თიკოსთან ვმეგობრობ.

— როგორ ფიქრობ, რეპი ქალის საქმეა?

— რეპი ქალის საქმე არ არის, მაგრამ თუ გამოგდის, უნდა გააკეთო. თიკო კარგად რეპავს. გარდა ამისა, ის ნამდვილი მეგობარია.

— მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდი, შენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვალა?



პოპულარობის ამბიცია არა მაქვს

— მინდა, ერთი რამ აღვნიშნო — პოპულარობის ამბიცია არა მაქვს. ისევ ისეთი გიორგი ვარ, როგორიც ადრე ვიყავი. ჩემს მეგობრებს ხშირად ვეუბნები, რომ მთავარია, ვიყოთ ადამიანები, გვიყვარდეს ერთმანეთი. იმას კი, ქუჩაში გცნობენ თუ არა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— თაყვანისმცემელ გოგონებზე რას იტყვი?

— შეყვარებული არ მყავს. ბევრი გოგო მირეკავს და მინდა გითხრა, რომ მათი აქტიურობა მაოცებს...

— რა აზრის ხარ თანამედროვე ქალებზე?

— ბუნებით აზიატი ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა ნამდვილი მამაკაცი სწორედ ასეთი უნდა იყოს. ახლანდელი გოგონები ძალიან თამამები არიან. როგორია — ცოლი გყავდეს და სიგარეტით „გაგეჩითოს", მთელი დღე ყავას სვამდეს და დაქალებთან ერთობოდეს?.. რა ვქნა, ასეთ ქალს ჩემ გვერდით ვერ ავიტან. ქართველები ვართ და ევროპელები ვერასდროს გავხდებით. მოდი, ნუ მივბაძავთ უცხოელებს. ჩვენ ჩვენმა წინაპრებმა სულ სხვა რამ გვიანდერძეს — ჩვენი ვალია, საკუთარ ტრადიციებს მოვუარეთ და გავუფრთხილდეთ.

— გიორგი, შენი აზრით, რა ასაკის მსმენელი გყავს?

— ვიცი, რომ ყველა ასაკის მსმენელი მყავს და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ მოსწონთ ის, რასაც ვაკეთებ. საერთოდ, არასდროს არაფერს ვგეგმავ, რადგან წინასწარ არავინ იცის — ხვალ რა ელოდება. დღეს აქ ვარ და ვრეპავ, მაგრამ სამი თვის შემდეგ, შეიძლება მონასტერში „გავიჩითო". ამიტომ არ მყავს შეყვარებული და სიყვარულობანას თამაშსაც თავს ვარიდებ. ვფიქრობ, რომ საიდანაც დავიწყე, ისევ იქ უნდა დავბრუნდე. გულიც მონასტრისკენ მიმიწევს, მაგრამ ჯერ მიმაჩნია, რომ აქ ვარ საჭირო, საქმე მაქვს გასაკეთებელი. ■



ბუნებით აზიატი ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა ნამდვილი მამაკაცი სწორედ ასეთი უნდა იყოს

ეროვნების საკვირველი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ამერიკის ბევრ ქალაქში ასფალტს ისე აგებენ, რომ ყოველ 5 კილომეტრში მანქანის სალონში მცირე ხმაური შეიჭრას. რატომ?

2. დაასრულეთ ბენჯამინ ფრანკლინის სიტყვები: „საიდუმლოს შენახვა სამ ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ორი მათგანი...“

3. ერთხელ ეს ადამიანი ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად, ცოტა არ იყოს, შილიფად ჩაცმული ქალბატონების გარემოცვაში მოხვდა და მაშინვე გარითმა:

„მიმოიხედე, ჩემო ვახუშტო,
რა გამომწვევად სდუმან დუმანი!
მზადა ვარ, ყველას თითო ვახიშტო
და დავურიგო თუმან-თუმანი!“ — დაასახელეთ ლექსის ავტორი.

4. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ საკუთარი ხელით გადასცა ოქროს გვირგვინი, სამი დღეც ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?

5. დაასახელეთ ერთადერთი ნაგებობა დედამიწაზე, რომელიც კოსმოსიდან მოჩანს.

6. როდესაც ვერაფრით გაარკვიეს თურქეთ-საბერძნეთის ომთან დაკავშირებით ჩეხოვის პოზიცია, მას პირდაპირ ჰკითხეს: ვინ უფრო გიყვართ — თურქები თუ ბერძნებიო? რა უპასუხა ჩეხოვმა?

7. დაასახელეთ ჩოგბურთელი, რომელმაც მსაჯს შემთხვევით საფეთქელში მოარტყა ბურთი და ადგილზევე მოკლა იგი.

8. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებმა სიგარეტის კოლოფებისა და შამპანურის საცობების გამოყენებით, სრულიად ახალი თამაში გამოიგონეს. რა ჰქვია დღეს ამ თამაშს?

9. როგორ დაიღუპა ბენიტო მუსოლინი?

10. პეტრინონის მონასტერი ბიზანტიის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა — გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს დღეს იგი?

11. რა გვარებით ვიცნობთ ფაინზილბერგსა და კატაევს?

12. საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა სოლომონ ბრძენს, თუ ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა, თუ კარგ ხასიათზე იყო — პირიქით. რა ეწერა ბეჭედზე?

13. ერთ-ერთი საესტრადო გამოსვლის დროს, ამ სატირიკოსმა გოგოლის ფრაზა გაიხსენა: „ვ რასიი იესტ დვე ბედი — დაროგი ი დურაკი“ — და შემდეგ ნაღვლიანად დასძინა: „ტაკოე ზავიდნოე პასტაიანსტვა მი სახრანილი დო სიხ პორ“. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

***

სვანმა ცოლი მოიყვანა და სახელად რექსონას ეძახის — არ მიღალატებსო.

***

ჰაკერი გაკვირვებული უყურებს, როგორ უკრავს მისი მეგობარი პიანინოზე და ეუბნება:

— შენ რაღაც სხვანაირი კლავიატურა გაქვს, პროცესორიც უცნაურია! ერთი ეს გამაგებინე, „შიფტს“ ფეხით რატომ აწვები?!

***

თვითმფრინავის სალონში სტიუარდესა შემოდის და აცხადებს:

— პატივცემულო მგზავრებო, ჩვენი თვითმფრინავის ერთი ძრავა მწყობრიდან გამოვიდა, ფრენა დამატებით ერთ საათს გაგრძელდება.

ცოტა ხანში ისევ შემოდის და აცხადებს:

— მეორე ძრავაც გამოვიდა მწყობრიდან და ფრენა დამატებით 2 საათს გაგრძელდება.

მესამედ აფორიაქებული შემოდის:

— ყველა ძრავა გამოვიდა მწყობრიდან!

სვანი წამოხტება:

— აბა, გვიფრენია მთელი დღე და ეგ არის!

***

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის დიალოგი:

— ძვირფასო, შენ ისევე გიყვარვარ, როგორც რომეოს უყვარდა ჯულიეტა?

— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

— იეჭვიანებ, როგორც ოტელო დეზდემონაზე?

— არც ეგ წამიკითხავს.

— აბა, რა გაქვს წაკითხული?

— ტურგენევის „მუმუ“ და გირჩევ, ლაპარაკით თავს ნუ მომაბეზრებ!

***

ორი კახელი შეხვდა ერთმანეთს.

— რავა ხარ, მიხო?

— ცუდად, მაგის დედა ვატირე!

კოროზიამ მანქანა შემიჭამა!

— ვაა, არ შეგვჭამეს ამ მეგრელებმა!

***

შეკითხვა სომხურ რადიოს:

— შეიძლება თუ არა, რომ ქართველი კოსმოსში გაფრინდეს?

— ღმერთმა დაგვიფაროს! მაშინ ხომ ყველა ქართველი სიამაყით დაიხოცება, ყველა სომეხი — შურით და ყველაფერი აზერბაიჯანელებს დარჩებათ.

***

პატარა დასახლებაში ღამით მეხანძრეები გამოიძახეს. ქუჩა, სადაც სახლი იწვოდა, ცუდად იყო განათებული. ძუკუ ეუბნება მაიორს:

— ვერაფრით შემიერთებია შლანგი, მაგარი სიბნელეა.

— ცოტა მოიცადე, ხანძარი გაჩაღდება და მერე უფრო კარგად დაინახავ.

***

მოსაზრება: იმპოტენციისგან ჯერ არავინ მომკვდარა, მაგრამ არც არავინ დაბადებულა.

***

სახლს ცეცხლი უკიდია. ხალხი დარბის და ყვირის.

— ჩქარა, წყალი, წყალი!

ამ დროს იღება ფანჯარა და კაცი კათხას გადმოყოფს:

— მე კიდევ ლუდი მომიტანეთ!

***

მას შემდეგ, რაც ბუხუტი უვარისაშვილს ექიმმა საშინელი დიაგნოზი — უშვილობა დაუსვა, მან არც კი იცოდა, თვალი როგორ გაესწორებინა თავისი ფეხმძიმე ცოლისთვის.

***

ადვოკატი დეპეშას უგზავნის კლიენტს: „დღეს ღამით გარდაიცვალა თქვენი სიდედრი! რა შევუკვეთოთ — დასაფლავება, კრემირება თუ ბალზამირება?“

კლიენტი პასუხობს: „შეუკვეთეთ ყველაფერი. არ მინდა, გავრისკო“.

***

— არა, უბრალოდ დაფიქრდი: 22 მოთამაშე, 2 მწვრთნელი, 10 სათადარიგო მოთამაშე, 1 არბიტრი, 2 გვერდითი მსაჯი, 6 ოპერატორი, 3 ტელევიზიის თანამშრომელი, 50 სპორტული ჟურნალისტი და 80 ათასამდე მაყურებელი და ამ ოხერმა მტრედმა კი, მაინცდამაინც მე დამასკინტლა თავზე!

***

ომის დროს მეთაური ეკითხება ჯარისკაცებს:

— ვის უყვარს სამშობლო?

— მე მიყვარს, პატენი, — გამოვიდა წინ მეგრელი.

— მაშინ აიღე ყუმბარა და შეუვარდი იმ ტანკს!

— მერე, სამშობლო ვიღას ეყვარება?!

***

შვილიშვილმა ქვრივი ბებია ნაცნობ ექიმთან მიიყვანა. გასინჯვის შემდეგ ექიმი ეუბნება.

— თქვენ, ბებო, გათხოვება გესაჭიროებათ!

— რაღა დროს ამის გათხოვებაა?! — შეიცხადა შვილიშვილმა.

— ენა გააჩერე, ექიმმა შენზე უკეთ იცის! — ხმას აუწია ბებიამ.

***

ახალი ამბები: გასაყიდად გამოვიდა თოჯინა „ბარბის“ მოგრეხილფეხებიანი ვარიანტი. სიახლე მიზნად ისახავს პატარა ბიჭების შეგუებას რეალურ ცხოვრებასთან.

***

ნარკუშა მეგობარს ეძახის:

— კოკა! კოკაააა!

გამოიხედავს კოკას დედა.

— კოკა სახლშია?

— არა, შვილო.

— აუ, კარგად ნახეთ, რა!

***

აცეტილსალიცილის მუავა გაქვთ?

— ასპირინი?

— ჰო, რა! მაგ სახელს ვერაფრით ვიმახსოვრებ.

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ძვირფასო, შენ ადრე მეუბნებოდი, რომ მე შენთვის მთელი სამყარო ვარ.

— მაშინ გეოგრაფიაში მოვიკოჭლებდი.

***

ერთ-ერთ ფირმაში უცხო ენებისა და კომპიუტერის მცოდნე სჭირდებათ. გამოცხადდა კონკურსი. კონკურსზე გაიჩითა ნარკუშა „განგრეულ“ კაიფში:

— ინგლისური იცით?

— არა!

— გერმანული?

— არა!

— კომპიუტერი?

— არა!

— აბა, რისთვის მოხვედიფ?

— უბრალოდ მინდა გაგაფრთხილოთ, ჩემი იმედი ნუ გექნებათ!

ჯრიჯანის სასაცილოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მძღოლს რომ არ ჩაეძინოს.
2. „...მკვდარია“.
3. ალექსი ჭინჭარაული.
4. ღვინის სმაში.
5. ჩინეთის კედელი.
6. „მე მარმელადი მიყვარს!..“
7. შტეფან ედბერგი.
8. მაგიდის ჩოგბურთი.
9. მუსოლინი 1945 წელს პარტიზანებმა სიკვდილით დასაჯეს.
10. ბულგარეთის ტერიტორიაზე, პლოვდივის მახლობლად, სოფელ ბაჩკოვოსთან.
11. ილფი და პეტროვი.
12. ბეჭედზე ეწერა: „ესეც გაივლის“.
13. მიხაილ ზადორნოვი.

***

ტრაქტორისტი დაეჯახა ქალს და მოკლა. წაიყვანეს პოლიციაში, დააწერინეს ჩვენება:

— მოვდიოდი 40-ით, გადმოხტა ქალი, გაჩერება ვერ მოვასწარი და დავეჯახე!

პოლიციელებს ჩვენება არ მოეწონათ, ტრაქტორისტი წიხლქვეშ გაიგდეს და ჩვენება ხელახლა დააწერინეს:

— მოვდიოდი 80-ით, გადმოხტა ქალი, გაჩერება ვერ მოვასწარი და დავეჯახე!

პოლიციელებს არც ეს ჩვენება მოეწონათ. ტრაქტორისტს ორი იმდენი მოხვდა, რაც მანამდე და ჩვენებამაც საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

— მოვდიოდი 120-ით, დავინახე ქალი, გავეკიდე ტრაქტორით და დავეჯახე. გადარჩა, ისევ გავეკიდე, სულ „კოვში“ ვურტყი თავში და ისე გამოვასალმე სიცოცხლეს.

ეს, მარა რაგვე გის ეს ქალი?!

ველური წაბლის ხეივანი

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-37

ზაზა ვაჩნაძე

ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ნიკა ბერიძესა და მის ბიძაშვილს ლადოს შორის, ნიკას მიერ ნაყიდი მიწის ნაკვეთის გამო გაჩაღდა, საშინელი ამბით დაგვირგვინდება: ლადო მის მოკვლას გადაწყვეტს და ამ ვერაგი ჩანაფიქრის განხორციელებაში ნიკას ძმას ირაკლისაც ჩაითრევს... ნიკა სიკვდილს გადაურჩება, მაგრამ ნაკვეთს ჩამოართმევენ.

საღამოს პირდაპირ ტელეეთერში ანის, გარემოს დაცვის საკითხებზე მიჰყავდა გადაცემა. გაჩანაგებულ ტყეებზე, გაჩეხილ ნაკრძალებზე, დაბინძურებულ მდინარეებზე, ქვიშაგამოცლილ ზღვის ნაპირებზე... რიგრიგობით უსვამდა შეკითხვებს რესპონდენტებს და ბოლოს, მიკროფონი ნიკას მიაწოდა. საოცრად ლამაზი პირისახის, ძლიერი, ოდნავ წვერმოშვებული, ჩაფიქრებული ნიკა, რაღაცნაირი ლამაზი, ქართული იერით თუ შთაგონებით გაცისკროვნებული, სამოციანი წლების კინომსახიობს ჰგავდა...

— მე გახლავართ ნიკა ბერიძე, — დინჯად დაიწყო მან. — 14 წლის წინ სასწავლებლად წავედი საზღვარგარეთ. მეტი ვერ გავძელი. ჩამოვედი, მშობლებთან, და-ძმასთან... და კიდევ... აქ უნახავი 13 წლის შვილი დამხვდა. მინდოდა, დავხმარებოდი — ოჯახს, თქვენც, ყველას... მე არ მიჭირდა. უცხოეთში მყავს მეგობრები, რომლებსაც აქ დიდი ინვესტიციების ჩადება შეეძლოთ... არქიტექტორი ვარ, კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრე და აქაც სამშენებლო საქმიანობის დაწყებას ვაპირებდი. დავიწყე. ქალაქგარეთ ნაკვეთი შევიძინე, რომელშიც მთელი ჩემი დანაზოგი ჩავდე. მე ის კანონიერი გზით შევიძინე. არც ერთი თეთრი სახელმწიფოსთვის არ დამიმალავს. მიუხედავად ამისა, პარლამენტი იღებს ახალ კანონს, ლუქავენ ჩემს ოფისს, პოულობენ იქ ვითომ ნარკოტიკს, რასაც მოგეხსენებათ, გაგრძელება უნდა მოჰყვეს, ალბათ — ჩემი დაპატიმრება... მიწაზე, რომელიც მე შევიძინე, უმდიდრესი ნავთობის საბადო აღმოჩნდა. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიწით დაინტერესება... — თანდათან ხმა ფოლადივით მტკიცე უხდებოდა ნიკას. — ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან მოდის... თუმცა, მე მათი მხრიდან ვერც დანაშაულს ვხედავ და არც რამეა ამაში გასაკვირი. სამწუხარო ამ ამბავში ისაა, რომ ისინი ყველაფერს, ჩვენივე თანამემამულეების, ჩვენივე დებისა და ძმების ხელით აკეთებენ, დიახ — ჩვენივე მოღალატე, ზნედაცემული თანამოძმეების ხელით! თუკი მთელი ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი მათ ხელში გადავა, ჩვენ ისინი ფიზიკურ მონებად გვაქცევენ, რაც სულიერი მონობის ტოლფასია და მომავლის პერსპექტივას მთლიანად უსპობს ქვეყანას. მე მინდა გკითხოთ ყველას — რატომ ვართ ქართველები ასეთები, ვინა ვართ, რას წარმოვადგენთ, საით მივექანებით?!! იქნებ, ჩვენი პრეზიდენტი მარტოა, იქნებ, ისიც, ლირივით, ძალაუფლებამ დააბრმავა, იქნებ, ჩვენი მხარში ამოდგომა სჭირდება?.. ან იქნებ, ისიც მათთანაა, ვინც მე, ქართველს, ჩემს საკუთარ მამაპაპეულ მიწას მეცილება?!! ვინ იცის ამის პასუხი? ვინ მეტყვის სიმართლეს?..

ნიკამ ყველაფერი თქვა და მიკროფონი დას მიაწოდა.

— თქვენ უსმენდით კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულს, ჩემს ძმას — ნიკა ბერიძეს... ეთერშია „რეტროსპექტივა“!..

გამოვიდა თუ არა ნიკა სტუდიის დარბაზიდან, კახამ მობილურზე დაურეკა და თავზარდამცემი რამ ამცნო: დილით შენს ნაკვეთში ბესო ჩაუცხრილავთო...

ნიკა აჩქარდა, მაგრამ ვერ მოასწრო გარეთ გამოსვლა: ტელევიზიის ჰოლშივე დახვდნენ, ხელები გადაუგრიხეს, თავზე ხელი დააჭირეს და მანქანაში ჩატენეს. ეს თავზე ხელის დაჭერა, რომელიც ახალდაპატიმრებული ადამიანის თავს ხდება, ჩვენი დღევანდელობის კიდევ ერთი თავლაფდამსხმელი, ამაზრზენი აქტია, რომელიც მხოლოდ სადისტებსა და ჯალათებს შეიძლებოდა მოსვლოდათ თავში. წაქცეულის ჩაწიხლვა... ეს რომ რომის იმპერიის აღზევების ან ალექსანდრე მაკედონელის მეფობისას მომხდარიყო, ამის ჩამდენ „პოლიციელებს“ უეჭველად გაასამართლებდნენ და საკადრისადაც დასჯიდნენ. სახრჩობელასა და კოცონის წინაც კი, ადამიანები ხშირად, ამაყად მდგარან. შემდეგ, ისტორია, ბევრ მათგანს წმინდანად რაცხდა... ნუ მეტყვით, რომ თანამედროვე ისტორია ძველს რაიმეთი სჯობს, მაინც არ დაგიჯერებთ. ამ ჟესტით კი, ბევრჯერ, უბინძურესი ხელი, შესაძლოა, უწმინდეს და უმშვენიერეს თავს შეეხოს... არც ერთ ერს — არც ქართველს, არც ამერიკელს (თუმცა, ასეთი ერი არ არსებობს), არც არაბს და არც ოსმალოს ეს არ ეკადრება...

„გაგსვრიან!“ — გაახსენდა ნიკას, დუნდუას სიტყვები... თვალები კი გახელილი ჰქონდა, მაგრამ წინ ვერაფერს ხედავდა. წარსულში იყურებოდა. გაოგნებული იყო. მრისხანება, რომელიც მის სხეულს ცეცხლივით წაეკიდა, შანთავდა და ანადგურებდა. თუ ერთისთვის — ვთქვათ, ქურდისა და ბანდიტისთვის — ასეთი მდგომარეობა ხშირად საამაყოც კია, ნიკასა და მის მსგავსთათვის ასი სიკვდილის ტოლფასია. ისინი ამ სამარცხვინო დამღას კუბოს კარამდე ატარებენ. ვინ იცის, როგორ ხარხარებს ამ დროს სატანა, რა აუტანელ ხმაზე?..

ნიკა, პირდაპირ სამმართველოს სამორიგეოში, „კაპეზეში“ გააქანეს. 48 საათში გაასამართლეს და, როგორც ნარკოტიკების ხმარებასა და გასაღებაში ეჭვმიტანილს, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

თათიკომ ნიკას დასახსნელად ყველაფერი იღონა. ჯერ დედას დაელაპარაკა, რომ მამასთან პროტექცია გაეწია. ქალები რომ ვერაფერს გახდნენ, თვითონ გავიდა მურაზის მოადგილეებზე და ლამის ფეხებში ჩაუვარდა ყველას. არაფერმა გაჭრა. ბოლოს ადგა და ზაურს დაელაპარაკა — მამის მძღოლს და თავისი გიჟური გეგმა გაანდო: უნდოდა, ბადრაგი მოესყიდა, რომელსაც ნიკა ორთაჭალის ციხეში უნდა გადაეყვანა და გზიდან გაეტაცებინა. მერე რას აპირებდა, აღარ თქვა, არც ზაურს გაენდო. მაგაზე მერე ვიფიქრებო...

„ჩორნი ვორონ“ ანუ საბადრაგო მანქანა, რომელსაც ნიკა მიჰყავდა, დიდუბის ხიდთან, ნაგვის მანქანას უნდა შესჯახებოდა. ბადრაგი დამტვრეულიყო, თავი გასტეხოდა, გათიშულიყო და ა.შ. დეფორმაციის გამო, „ჩორნი ვორონის“ კარი გაღებულიყო და ნიკა გაქცეულიყო, მერე თათიკოს მანქანაში გადამჯდარიყო...

სამხედრო ფორმაში გადაცმული, პარიკიანი და შავსათვალიანი თათიკო წითელ ორადგილიან „პეჟოში“ იჯდა და ბადრაგის გამოჩენას ელოდა. გვერდით დიდი ურო ედო. ყველა მოსყიდული იყო — საპატრულო და საბადრაგო მანქანებში მსხდომნიც და მენაგვეებიც.

საბადრაგოს მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა. ბადრაგებმა სწრაფად გაუღეს ნიკას კარი, თათიკოს „პეჟოში“ გადასხვეს. ურო აიღეს, კარი მიუკეტეს და თათიკომაც „მოხია“.

დარჩენილებმა მაგარი სროლა ატეხეს. ჯერ სამივე მანქანა ერთმანეთს შეალეწეს, მერე, ფულის ხათრით, ერთმანეთი ბერტყეს, რომ ცოტა თავპირდასისხლიანებული გამოჩენილიყვნენ და მერეღა დარეკეს პოლიციაში... ეს ყოველივე უნაკლო, თეატრალიზებულ წარმოდგენას ჰგავდა, რომლის დადგმაშიც ქართველებმა მთელი სარეჟისორო და სამსახიობო ნიჭი ჩააქსოვეს. და როცა იმ ადგილას მთელი ქალაქის ყველა საპატრულო მანქანა სირენების „ღრიალით“ მიქანდა, თათიკო და ნიკა უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული... პატარა, „მოყუჩებულ“, თბილ სასტუმროში...

ეს ფაქტი არ გახმაურებულა. ტელევიზიაც დუმდა და პატრულის საინფორმაციო სამსახურიც...

ნიკა სამი დღე ნებივრობდა თათიკოს ვნებიან, რბილ და ცხელ მკლავებში. შემდეგ ისინი ანანურში, პატარა აგარაკზე გადავიდნენ. თათიკო დილას გადიოდა და საღამოს ბრუნდებოდა. ნიკა მთელ იმ დღეებს მარტოობაში ატარებდა. გულაღმა იწვა ველური წაბლების ჩრდილქვეშ და კბილებით გამხმარი ბალახის ღერს აწვალებდა... ერთხელაც, როცა მისთვის უკვე „მშობლიურ“, ველური წაბლის ხეივნის ჩრდილში თავქვეშ ხელამოდებული იწვა და თათიკომ მიაკითხა, ნიკამ უთხრა — ერთი უცნაური თხოვნა უნდა შემისრულო: ჩემი ყოფილი ცოლის საყვარელი, ვინმე შაკო ნემსიწვერიძე მოძებნო და ჩემგან დუელში გამოწვევა აცნობო; დუელი აქ, ველური წაბლის ხეივანში გაიმართებაო, — დასძინა ბოლოს. ბუნებით ავანტიურისტი თათიკო იმწამსვე წამოეგო ამ ანკეესს და რა თქმა უნდა, დათანხმდა. ერთი კი ჰკითხა: ბიჭო, რომ მოგკლას იმ კაცმა, მერე სად წავიდეო?! — მაგრამ ნიკას პასუხმა — მომკლას, არა, ფლავიო!.. — დაამშვიდა და ისიც თხოვნის შესრულებას შეუდგა.

შაკო ნემსიწვერიძის პოვნა ქალაქში, სადაც თითქმის ყველა ყველას იცნობს, ლელას არ გასჭირვებია. მობილურზე დაურეკა და პაემანი დაუნიშნა. ქალების ბუნების კარგად მცოდნე შაკო, უცნობი მანდილოსნის ხმის ლამაზმა ტემბრმა იმწამსვე მოხიბლა და შეხვედრაზე სიამოვნებით დათანხმდა. შაკომ შავ, მკაცრ კაბაში გამოწყობილი, შავსათვალიანი ლელა რომ დაინახა, ცოტა არ იყოს, შეცბა. ხოლო, როცა კაფე „ქნარში“ კუთხეში განმარტოებით მდგარ მაგიდაზე თათიკომ დიპლომატი გაუხსნა და — ამ ორი იარაღიდან აირჩიეთ, რომელიც გსურთო, — უთხრა, ორი შავი ცივი ლულის დანახვაზე შაკოსაც გააცივა. ისე შეეშინდა, ერთი სიკვდილი გაათავა.

— მე ვიცოდი, რომ ის ციხეში იყო... — გაოცებულმა თქვა, ფერწასულმა.

— არა, ჩემთანაა, — უპასუხა ლელამ.

— მერე ეს დუელი რა... საფრანგეთში ვართ?.. — წამოსცდა შაკოს.

— უარესში... — ცივად თქვა ლელამ.

— უარი რომ ვთქვა? — იკითხა შაკომ.

— მაშინ, ძაღლივით ჩაგაძაღლებენ... — ლელას ასეთი დავალება არ ჰქონია მიღებული, მაგრამ როცა დაინახა, კაცმა ჩაისველა, აღარ დაინდო და დააყოლა: — ეგ, სანამ იმ ქალს ჩახდიდი, მანამდე უნდა გეფიქრა! — თან, გულში ჩაეცინა, — ეს რაებს ვბოდავო?! — გაიფიქრა.

— ბოდიში რომ მოვუხადო? — ფეხზე ეკიდა ვაუკაცობაც და კაცობაც შაკოს.

— გვიანია. ტრაკზეც რომ აკოცო, აღარ მიიღებს, — ტყვიასავით დაახალა შუბლში ლელამ ისედაც მიტკალივით გათეთრებულ შაკოს.

შაკომ კი გაიფიქრა — ჩემ წინ ნაღდად გადაცმული კაცი ზისო, — და ლელას ფეხსაცმელზე დახედა. მაღალქუსლიანი მოკასინები შერჩა... არა... შაკოს წინ ქალი ეჯდა და თვითონაც ქალად ქცეულიყო... ერთი ისღა ამოღერღა, შიშით პირგამშრალმა — სად იქნება დუელიო? — და პირი მომუწა.

— ველური წაბლის ხეივანში, — დაუმარცვლა ქალმა.

— სეკუნდანტებიც გვეყოლება? — ამოიდუდუნა და აკანკალებული ხელით სიგარეტს მოუკიდა შაკომ.

— მხოლოდ ერთი — მე! მეტმა არავინ არაფერი უნდა იცოდეს. ვინმემ თუ გაიგო, ჩათვალეთ, რომ მკვდარი ხართ, — ცივად უპასუხა ქალმა და დიპლომატი დახურა. — ხვალ, საღამოს ათზე, აქ, ამ კაფეს წინ ვიჯდები მანქანაში. აი, გაიხედეთ, ხედავთ წითელ „პეჟოს“? ნომრის დამახსოვრება საჭირო არაა. ნახევარმილიონიანი მანქანით, არა მგონია, ამ ქალაქში სხვაც დადიოდეს... — მოჭრა ბოლოს ლელამ და წამოდგა.

— რომ არ მოვიდე? — უკანასკნელი შანსიც გამოიყენა შაკომ, რომ ეს გაუგებარი დუელი თავიდან აეცილებინა.

— რა-ა?!! საფლავიდან ამოგიღებენ! ერთადერთი შანსი, რომ გადარჩე, — უნდა ესროლო და მოკლა. თუ ააცდინე, შენ მოკვდები... — როგორც მეგაფონში, ისე ჩაესმოდა ლელას ხმა ყურში შაკოს...

ქალი გავიდა და შაკო მარტო დარჩა. კიდევ დიდხანს უკანკალებდა ხელი და თავბედს იწყევლიდა: ორივე ფეხი მომტეხოდა და ნეტავ, იმ დღეს ნატოსთან არ შევხეტებულიყავიო, — ნანობდა, ფიქრობდა, იგინებოდა და იფურთხებოდა შაკო...

მერე, პირდაპირ ნატოსთან მიიჭრა.

— ვინ არის შენი ქმარი, რა, მილიარდერია? — გაბრაზებულმა ჰკითხა და სავარძელში ჩაეხეთქა.

— ჰო, ალბათ... არა, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, — უპასუხა ნატომ.

— რა ქაჯობაა — დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ქალის გამო კა-

ცის დუელში გამოწვევა! — წამოსცდა შაკოს.

— დუელში გამოგიწვია? მართლა?! — გაუკვირდა ნატოს და დასძინა: — მოგკლავს, ნამდვილად, შე საწყალო...

— მომკლავს? — ესღა უნღოდა, ისედაც ქვეშჩასველებულ შაკოს?! — მაშინ, წავალ და პოლიციაში განვაცხადებ!

— პოლიციაში წახვალ?!. — თვალები ბუდეებიდან გადმოსცვივდა ნატოს.

— მაშ რა ვქნა, მე სიცოცხლე მინდა!.. — აღიარა შაკომ.

— მაგას თვითონ ეძებს პოლიცია და შენც თუ პოლიციას მიაკითხავ, მაშინ ათასპროცენტიანი „სმერტი“ გაქვს... — „დაამშვიდა“ ნატომ.

— როგორ გინდა იცოცხლო ამ ქაჯების ქვეყანაში?! — ლამის ატირებულიყო შაკო...

— რით უნდა იბრძოლოთ? — დაინტერესდა ნატო.

— რევოლვერებით... — რამე მიშველეო, — ეხვეწებოდა შაკოს თვალები ნატოს. — როგორ გამიხარდა, რომ დაიჭირეს, თავი ქუდში მეგონა, მქონდა და...

— კოვზი ნაცარში ვაგივარდა, — გაეცინა ნატოს. — სროლა მაინც იცი?

— სროლა არა!.. რა ბებიაჩემად მინდოდა, რომ სროლა მცოდნოდა?! — ხელი აუქნია შაკომ.

— რატომ?.. აფხაზეთი, ოსეთი — შენი ტოლები არ მიდიოდნენ?!. — მაზოლზე ფეხი დაადგა ნატომ.

— შენც რომ წამოხვიდე?.. — შეეკითხა შაკო.

— მე-ე? სად? — ვერ მიუხვდა ნატო.

— იქ, სადაც დუელში უნდა გავიდეთ. ველური წაბლის ხეივანში, — ხმა უკანკალებდა შაკოს.

— ველური წაბლის ხეივანში? ეგ სადღაა?

— რა ვიცი, სადღაც ჯანდაბაში, ალბათ... — ბრაზით ჩაიბურტყუნა შაკომ.

— მერე, მე რომ დამინახავს, უფრო არ მოგკლავს? უფრო მაგრად არ დაგიმიზნებს? — ნატოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა...

მოკლედ, ცუდი დღე ადგა „ფეხზე მკიდია“ შაკოს. დიდი გაჭირვებით მიათრია ფეხები შინ და თავის ოთახში შეიკეტა. ვერც საჭმელი ჭამა, ვერც სიტყვა დაძრა. ვერა და ვერ დაიძინა. მოეჩვენა, რომ სიცხე მისცა, ოფლში ცურავდა, კვდებოდა... ალბათ, ორმოცდაორი მაქვსო, — ფიქრობდა. წათვლიმა თუ არა, კოშმარებში გადავარდა. მაინც უცნაური რამ ნახა: თითქოს შიშველ-ტიტველი, ძველ, ჩაბნელებულ სასაფლაოზე დარბოდა, ხავსმოკიდებულ ლოდებს შორის. უკან კი, ვიღაც შავებში ჩაცმული დედაკაცები დასდევდნენ, ხის ჯვრებით და ესროდნენ, ჰო — ტყვიებს ესროდნენ ჯვრებიდან!.. თან ზურგში უზაპუნებდნენ და გაჰკიოდნენ: სატანა, სატანაო!.. ბოლოს, წინ უზარმაზარი, სახედაღმეჭილი ცეცხლისფერთმიანი კაცი გადმოუხტა და პირი დაუღო. ჰოდა, შიგ იმ პირში შეხტა შიშველ-ტიტველი შაკო!.. არა, კი არ შეხტა — შეფრინდა... პირი დაიკეტა და ცაში აღმოჩნდა. ჰო, ცაში მიფრინავდა... უკან დაიხედა და დაინახა, რომ კუდი გამოსვლოდა, ფუჩეჩიანი კუდი... წინ დაიხედა და დაინახა, რომ ჩვეულებრივ ცოცხზე შემჯდარიყო, ქუჩის საგველ ცოცხზე... ეშმაკად ქცეულიყო. შაკო... ხელი მოიკიდა და თავზეც რქები ამოსვლოდა, ორი პატარა, შავი რქა... უეცრად, საოცრად შეშინებულს, ცოცხი ხელიდან გაუვარდა, თვითონ კი სადღაც ჩავარდა, საშინლად ღრმა, უძირო ორმოში და ისეთი სისწრაფით მიექანებოდა, რომ სუნთქვა შეეკრა, იხროჩობოდა აშკარად... საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა... ცუდად იყო შაკუნას საქმე.

დილიდანვე შეყარა მთელი ნაცნობობა, ქურდობა და მამაძაღლობა. რა ვქნაო? — ეკითხებოდა. მაგრად გიჭამია, ვერ გაექცევი, ისევ შენივე ასალოკიაო, — ძირითადად, ასე ასკვნიდა ყველა... თუ მოკლავ, გადარჩები, სხვანაირად, თვითონ ღმერთიც ვერ გიშველისო... და შაკო, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ დუელს ვერსად გაექცეოდა.

დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას მიდიოდა ცოცხალმკვდარი შაკო და მარტო ერთ რამეზე ლოცულობდა — იქნებ, არ დამხვდეს წითელი „პეჟო“ კაფეს წინ და გადავრჩეო?!.

„პეჟო“ იქ იდგა. საჭესთან კი, შავ კაბაში, შავსათვალიანი, ისევ ის თმაგადაგლესილი ქალბატონი იჯდა და უცდიდა.

ერთხელ გავჩნდი — ერთხელ მოვკვდეო! — გაიფიქრა შაკომ და ორკარიანი „პეჟოს“ მარჯვენა კარი გამოაღო. კარის მიკეტვა იყო და ისეთი სისწრაფით გაფრინდა მანქანა და ისე მიაჭყლიტა სავარძლის ზურგს, რომ შაკომ გაიფიქრა — ეს დუელამდე არც მიმიყვანს, სანამ იქამდე მივალთ, სადმე გადამჩეხავს და გზაშივე გამაცხებინებს სულსო... გიჟური სისწრაფით მიმავალი მანქანა „სლალომით“ მიიკვლევდა გზას გადატვირთულ გამზირზე.

დაღამებულიყო. ქალი ხმას არ იღებდა. შაკომ სიცოცხლე გამოიგლოვა და

მარტო გასროლასღა უცდიდა. ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ბნელოდა და ვერაფერს ხედავდა. ერთს კი მიხვდა — რომ დასავლეთისკენ მიქროდნენ თავბრუდამხვევი სისწრაფით. სულ რაღაც 20-25 წუთში, მანქანამ ტრასიდან გადაუხვია და აღმართს შეუყვა.

როცა მანქანა გაჩერდა, როგორც ჩალურსმული, ისე იყო სავარძელში „ჩაპრესილი“ შაკო... ქალმა კარი გაუღო. გადმობრძანდით, მოვედითო, — მოახსენა... შაკომ ფეხები გადმოყო, მიწაზე კი დადგა, მაგრამ მიწას ვერ გრძნობდა, გადმოვიდა და თითქოს გამოეცალაო ეს მიწა. ქალმა მკაცრად შეხედა და ალაყაფის კარი გააღო. შაკომ რის ვაი-ვაგლახით მოიმაგრა მუხლი და ჭიშკარში შევიდა. ქალმა ჭიშკარი მიხურა. გასაღები გადაატრიალა და ჯიბეში ჩაიდო. მარჯვნივ, არც ისე შორს, ერთსართულიანი შენობა დალანდა შაკომ, ყურში კი მდინარის ჩქარი დინების ძლიერი ხმაური ჩაესმა და ზევითკენ აახედა. ველური წაბლის ხეივანთან მამაკაცის ლანდი შენიშნა. ალბათ ის არისო, — რატომღაც, დაფეთდა შაკო და მარჯვენა მხარი აუთამაშდა. რა მჭირსო?! — გაიფიქრა, რადგან ასეთი რამ სხვა დროს არასოდეს დამართვია.

— გამომყევით! — თქვა მკაცრად ქალმა და შაკო იძულებული გახდა, გაჰყოლოდა.

ქალი მამაკაცისგან მოშორებით, სადღაც ოციოდე მეტრში გაჩერდა.

— აქ გაჩერდით: ეს ბარიერია, — უთხრა ქალმა და დიპლომატი გაუხსნა. — აიღეთ თქვენი იარაღი! — შაკომ წინა დღის ამორჩეული რევოლვერი აიღო. — გისვრიათ ოდესმე? — ჰკითხა ქალმა.

— არასოდეს, — თქვა შაკომ.

— არც გინადირიათ? — გაუკვირდა ქალს.

— არა, — თქვა შაკომ.

— იარაღი „გახსნილია“. მარტო თითის გამოკვრა უნდა. თქვენგან მოწინააღმდეგემდე ზუსტად ოცი ნაბიჯია. ამ მანძილზე ტყვიას მომაკვდინებელი ძალა აქვს. მე შუაში, განზე გავდგები და ჰაერში გავისვრი. მერე — თქვენი ნებაა: შეგიძლიათ, მიუახლოვდეთ და ახლოდან ესროლოთ, რა მანძილზეც გნებავთ. იცოდეთ, მხოლოდ თითო ტყვია დევს ორივე იარაღში... — ქალმა მჭიდი ამოიღო, შაკოს უჩვენა, რომ იარაღში მართლაც, თითო ტყვია იყო. — უფლება გაქვთ, იარაღი გამოცვალოთ.

— არ არის საჭირო, — თქვა შაკომ და მაგრად გაუკვირდა, რომ შიში, რომელმაც კინაღამ დააინვალიდა, სადღაც გამქრალიყო. ისევ ისეთი „ფეხზე მკიდია“ შაკო იყო, როგორიც ყოველთვის...

და შაკომ იარაღი ასწია. ნიკას დაუმიზნა და სასტარტო გასროლას დაელოდა. ლელამ ნიკასაც იგივე უთხრა,



თავის ადგილას გაჩერდა და ჰაერში ისროლა.

შაკომ ოთხიოდე ნაბიჯი გადადგა ნიკასკენ. იარაღი დამიზნებული ეჭირა. ნიკა კი არც განძრეულა. არც იარაღი აუწევია. დაშვებული, მიწისკენ „დამიზნებული“ ჰქონდა. შაკოს უნდოდა გამოეკრა სასხლეტისთვის. გაიფიქრა კიდეც — ნამდვილად მოხვდება, ძალიან ახლოსაა, — მაგრამ რატომღაც თითი არ დაემორჩილა. იგრძნო, როგორ გამოჟონა, მსხვილ წვეთებად, შუბლზე ცივმა ოფლმა და გააურრიალა. მომატყუეს, სასხლეტი გაჭედილია და აქ მოსაკლავად მომიყვანეს, — გაუელვა — და უეცრად, მისმა რევოლვერმა იქაურობა გააყრუა. გასროლის ხმა ექოდ გადაიქცა და ძალიან ნელა მიიკარგა სიშორეში... ნიკა მისკენ წავიდა, სულ ახლოს მივიდა — ასე, ხუთი ნაბიჯის მანძილზე და იარაღი სახეში დაუმიზნა.

— არ ესროლო! — გაისმა სიჩუმეში ლელას სასოწარკვეთილი ყვირილი.

— შენ გადი, ლელა, გარეთ და მანქანაში დამელოდე! — თქვა ნიკამ გაყინული ხმით, იმდენად ცივად, რომ თვითონვე გაუკვირდა საკუთარი ხმის „სიბოროტისა“...

ლელა ჭიშკრისკენ წავიდა. შაკოს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა; ვერაფრით გაეგო, რატომ ვერ გარბოდა. როგორც კი ლელამ ჭიშკარი გაიკეტა, შაკო მუხლებზე დავარდა. ნიკა მთლად ახლოს მივიდა. იარაღი შუბლზე დაადო... როგორ ამბობენ — სიკვდილს ჩახედაო თვალებში, ხომ?..

— არ მესროლო! — გაიმეორა ლელას სიტყვები შაკომ და ხმა დაკარგა. დაახლოებით ისეთი რამ ხდებოდა, შაჰებს რომ უკოცნიდნენ სიკვდილმისჯილები ფეხებს.

რამდენიმე მომქანცველი, საუკუნოდ გაჭიმული წამის შემდეგ, მანქანაში გაყუჩებულმა ლელამ სროლის ხმა გაიგონა. ეწყინა. გულზე ხელიც კი მიიდო, თითქოს მას მოხვდაო ტყვია.

მერე ალაყაფიდან ნიკა გამოვიდა. რატომღაც შარვლის ელვას იკრავდა. ორივე რევოლვერი ხელში ეჭირა. მანქანაში ჩაჯდა და იარაღი „ბარდაჩოკში“ შეყარა...

— არ მეგონა, თუ ამის გამკეთებელი ვიყავი... — ჩაილაპარაკა ნიკამ ყრუდ. — ეს სულ იმ პატრულის ბრალია, თავზე ხელი რომ დამაჭირა და მანქანაში ჩამტენა...

— არ უნდა მოგეკლა, — თქვა ლელამ.

— არც მომიკლავს, ცოცხალია, — თქვა ნიკამ.

— ცოცხალია? რა, დაასახიჩრე? ხომ ისროლე!.. — ვერაფერს მიხვდა ლელა.

— არა, ჰაერში ვისროლე, — თქვა ნიკამ. — ისე, ერჩია, ალბათ, რომ მომეკლა... ჰო, რას მიყურებ?! იმას, რაც გავაკეთებინე, იუდას კოცნაზე მილიონჯერ საზიზღარი კოცნა ჰქვია...

— თქვენ კაცები კი არა, ძაღლები ხართ ყველანი! — მიხვდა ლელა, რაც მოხდა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

— სამაგიეროდ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ჩემს ცოლს სათოფეზე აღარ გაეკარება. მე თვითონ, თუკი ვიცი, რომ ქალს ქმარი ჰყავს, არც გავკარებივარ და არც გავეკარები არასოდეს. ვერ ვიტან, კაცს რომ ღირსებას და პატივს ჰყრიან... — რაღაც ბოღმით თქვა ნიკამ.

— მე კი, პირიქით, მაგრად მევასება, ქალს რომ ქმარს „ავაფცქვნი“, ბევრად მეტ გემოს ვატან... — თქვა ლელამ და გაიცინა. უხაროდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

...მალე, განათებული ჯვარი გამოჩნდა. ორივემ პირჯვარი გადაიწერა. თათიკომ მანქანა სიჩქარიდან ამოაგდო, სვლა შეანელა, მარჯვნივ გადაუხვია და „ყაყაჩოს“ ეზოში გააჩერა.

რესტორნის დარბაზში დიდი ყაყანი და გუგუნი იდგა. იაფფასიანი მუსიკოსები მთელი ხმით უბერავდნენ. თათიკომ და ნიკამ დარბაზი გადაჭრეს, აივანზე გავიდნენ და ფერდობზე, ხის ღია, გადახურულ ფანჩატურში არჩიეს დასხდომა.

მტკვრის მხრიდან გრილი, სუფთა ნიავი უბერავდა და ქალ-ვაჟს სხეულზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა. ფანქარმომარჯვებული მიმტანი გოგონა რატომღაც, ცალწარბაწეული, ტუჩაბზუებული დასცქეროდა წყვილს ზემოდან და დაკვეთას ინიშნავდა. მხოლოდ არაყი, ლუდი და ხინკალი შეუკვეთეს, „მთიულური“. მაგიდას იდაყვები ჩამოაყრდნეს, სახეები ხელის მტევნებში ჩარგეს და ერთმანეთის თვალებში მზერით ტკბებოდნენ. ლელამ ფეხი ჩუმად გააცურა ნიკას ფეხისკენ და შემოჰკრა.

— ტუტუცი ხარ, გული გამიხეთქე! — თქვა ნიკამ და ღრმად ამოისუნთქა. ახლაღა იგრძნო, როგორ დაღლილიყო დაძაბულობისგან... მოეშვა. ლუდის კათხა აიღო და მთლიანად გამოცალა.

— როგორ მოგწყურებია! — თქვა თათიკომ და ოდნავ მოსვა ლუდი. — ამ ლუდს ვერაფრით შევეჩვიე, — თქვა და ისევ დადგა.

— არც არაყს დალევ? — შეავსო არყის ჭიქები ნიკამ.

— არაყს — კი, — თქვა თათიკომ.

...შეთვრნენ. გარშემო მდგარი ყველა ფანჩატური ცარიელი იყო. მხოლოდ დარბაზი გრიალებდა, საიდანაც მუსიკის ხმა გამოდიოდა.

— წამოდი, ვიცეკვოთ, — ანიშნა მტკვარზე გადაკიდებულ ცარიელ საცეკვაო მოედანზე ლელამ.

წამოდგნენ. ნიკამ ხელი გაუწოდა. მუსიკოსებმა, თითქოს დაკვეთა მიუციათო, რაღაც როკ-ენ-როლის მსგავსი წამოიწყეს. ცარიელ საცეკვაო მოედანზე, მდინარის „ბუტბუტის“ ფონზე, თათიკომ და ნიკამ მთლად თავი გაიგიჟეს, ისე აიწყვიტეს, ვეღარ ჩერდებოდნენ... მკერდგაღეღილი, პერანგგახსნილი, მოხდენილი, ცეკვის ველური ჟინით გახელებული ნიკა საოცარი სანახავი იყო. ხელ-ფეხს ცას უწევდა, ჯადოქარივით მიმოქროდა და ცეკვის რიტმს მინებებულ თათიკოს თოჯინასავით აბზრიალებდა... თავისუფლების, სიყვარულის, სიგიჟის ცეკვას ასრულებდა ქალ-ვაჟი...

ნიკამ ვერც დამარცხება მოინელა, ვერც ბესოს სიკვდილი და ვერც მიწის ჩამორთმევით მიყენებული შეურაცხყოფა. თათიკომ ყალბი პასპორტი და საბუთები გაუმზადა და თვითმფრინავის ბილეთიც აუღო. ნიკა ბათუმის აეროპორტიდან უნდა გაფრენილიყო. გაფრენამდე სამი დღე რჩებოდა. სანამ ბათუმში წავალთ, ერთი-ორგან უნდა გამატაროო, — სთხოვა ლელას ნიკამ. მერე კახას დაურეკა და შეხვედრა დაუთქვა. ლელას მანქანაში ცოტა ღვინო და მისაყოლებელი ჩაადებინა და კახას გაუარეს. ბესოს საფლავი მინდა ვნახო, თან თითო ჭიქა წავუქციოთ და მომიყვები, როგორ დამარხეთო, — სთხოვა კახას ნიკამ.

ბესო აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სასაფლაოზე დაეკრძალათ. დამჭკარი ყვავილები და გვირგვინები ჯერაც ზედ ეყარა, გორაკად დახვავებულ ყავისფერ მიწაზე. იქვე რკინის გრძელსკამებიანი პატარა მაგიდაც გაეკეთებინათ — ალბათ, ჭირისუფლების ჩამოსაჯდომად და ჭიქა ღვინის წასაქცევად. თათიკომ ღვინო, ჭიქები, მწვანილი, ყველი, ცოტა „სალა“ და მშრალად მოხარშული დედალი დაულაგა ბიჭებს სუფრაზე და თვითონ საფლავების თვალიერებას და ეპიტაფიების კითხვას მიჰყო ხელი.

— სულ რაღაც ათას ლარამდე დაჯდა ყველაფერი, მეტი კი არა... ცოტა მეზობლებმა, ცოტა ნათესავებმა, ცოტაც ჩვენ და აგროვდა, რა ვიცი... — ჩაილაპარაკა კახამ.

ნიკამ ჭიქას მოჰკიდა ხელი.

— პატიება მინდა ვთხოვო ბესოს, — დაიწყო და უცებ გაჩუმდა ნიკა. კახამაც ვერაფერი უთხრა, ნიკას უყურებდა. — ვერაფერს გავხდით ამ მგლების ხროვაში. ვერც მე და ვერც შენ, ბესო! ჰო, გვაჯობეს. შენ მკვდარი ხარ და მეც, ალბათ... — და უეცრად კახას მიუბრუნდა: — პაპუასების ქვეყანაა!.. რა

გინდა, რომ ქნა?! სულ ერთი სიტყვა მიტრიალებს თავში: „რატომ“? რატომ გაასწორეს მიწასთან ეს ქვეყანა?!.

კახამ ისევ ვერაფერი უპასუხა. შუბლი შეჭმუხნა და გვერდზე გაიხედა. ან კი, რა უნდა ეთქვა?! ან აქვს კი ვინმეს ამ კითხვაზე პასუხი?!.

— კახა, რა მინდა გითხრა, იცი?.. — ისევ წამოიწყო ნიკამ. — ამ ბოლო დროს, ერთი ფრაზა ამეკვიატა — ერეკლეს რომ ეწერა თავისი ხმლის ფოლადის პირზე: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის, ერეკლესი!..“ მე დავბრუნდები. ჰო, აუცილებლად დავბრუნდები და მაინც ვიძიებ შურს, შენ მაგიერ, ბესო, ჩემ მაგიერ და ყველას მაგიერ, ვინც ჩვენ მოგვერია, ვინც დაგვქსაქსა და გადაგვკარგა. მეც ავი მუსაიფი გავხდები მათთვის, ვინც ჩვენ ზურგში დანა გაგვიყარა!.. არ ვაპატიებ არც ერთს...

ნიკას ლამაზი, ქართული სახე ქვად ქცეულიყო. გრანიტში ამოკვეთილ ქანდაკებას ჰგავდა. ვერ გეტყვით, შესწევდა თუ არა ძალა იმ ფიცის შესასრულებლად, რომელიც მან ბესოს საფლავთან დადო, მაგრამ ის კია, რომ მისი წარმოთქმისას, მათ თავს იქ, ქართველთა სასაფლაოზე, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ტრადიციებს, ალბათ, მამულიშვილთა უკვდავი სულები დასტრიალებდნენ, სულები, რომელთა ვალიც ჩვენს პატარა, მაგრამ დიად ქვეყანას ჯერაც არ მოუხდია. იმათი ვალი, ვინც საქართველოს გადასარჩენად დაეცა...

თათიკომ — ბათუმში წასვლისა და იქ ყოფნის დროს თვალში არავის შევეჩხიროთო, — მუქი ლურჯი, ძველი „ბეემვე“ არჩია. ეს სამი დღე ქობულეთში გადავაგოროთ და მერე გაფრინდები, როგორც მოფრენილხარო, — უთხრა ნიკას.

— ჩემებს უნდა დავემშვიდობო, — უთხრა ბოლო წამს ნიკამ. თათიკომ იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მანქანა მის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა.

ნიკას გამოჩენის გამო ოჯახში ისეთი აურზაური ატყდა, მეორედ მოსვლა ეგონებოდა ადამიანს: ტირილი, სიცილი, ცრემლები, გაკვირვება, გაოცება, აღტაცება, სინანული, — ყველაფერი ერთმანეთში აირია... ნიკა სულ რაღაც ხუთ წუთში ჩაეტია. მერე სადარბაზოს კიბე ჩაირბინა და პარიკიან თათიკოს მანქანაში ჩაუხტა...

ათიოდე წუთში ნიკამ თბილისი დატოვა. თითქოს უნდოდა, მაგრამ უკან მაინც ვერ მოიხედა... მანქანა დასავლეთისკენ მიფრინავდა.

ზღვამ შეყვარებულებს პირველ ორ დღეს, გენიალური ამინდი აჩუქა. ისინიც მთელი დღე პლაჟზე ეყარნენ და ირუჯებოდნენ. მესამე დილას კი, თვალებს არ დაუჯერეს. წვიმდა, როგორც ხშირად იცის ქობულეთში, ზღვა კი „ღრიალებდა“, იქოჩრებოდა და იმუქრებოდა... მათაც ხელი ჩაიქნიეს, შინ დარჩნენ და მთელი დღე სექსით ერთობოდნენ. თავისებური, დასამშვიდობებელი სექსით — ისეთით, როგორიც მაშინ გემარჯვება, როცა იცი, რომ დიდხანს ვეღარ შეხვდები პარტნიორს და გსურს, მთელი შენი პოტენციალი ბოლომდე ამოწურო...

საღამოს გამოიპრანჭნენ და რესტორანში დასხდნენ. დათვრნენ. მერე ადგნენ, წვიმა ფეხებზე დაიკიდეს და ზღვის ნაპირზე, ზღვასთან დასამშვიდობებლად გაჯიდნენ.

— ამხელა ტალღები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, — თქვა ნიკამ და შურით დაუწყო მზერა ზღვის ტალღების განსაცვიფრებელ ძლიერებას...

— არ გინდა, გავეჯიბროთ? — რაღაც უცნაურად ამოხედა თათიკომ. თვალები ველურივით უელავდა.

— გაგიჟდი?! ხომ გადაგვყლაპა!.. — ვერ დაიჯერა ნიკამ, თუმცა ბავშვობიდან თევზივით ცურავდა.

— არა, მიყურე! — და თათიკო უეცრად ზღვისკენ გაიქცა. ნიკა კი, ელვადაცემულივით გაშეშდა. თათიკომ ზუსტად იმ დროს მიირბინა წყალთან, როცა უზარმაზარი, თითქმის ორმეტრნახევრიანი ტალღა აიზვირთა... ნიკამ დაინახა, როგორ იდგა ტალღის ქვეშ მისკენ შემობრუნებული გაღიმებული თათიკო, მერე კი, როგორ გადაევლო თავზე და როგორ წამოვიდა მისკენ აქაფებული წყალი. მაშინ კი, როცა წყალი უკან წავიდა, თათიკომ მოასწრო და სიცილით და ხტუნვა-ხტუნვით უკან გამოიქცა. ეს ზღვასთან ბრძოლას ჰგავდა, ბრძოლას, როცა ზღვასთან გამარჯვება შეიძლებოდა და ნიკამ უცბად დაძლია შიში, დააცადა და იგივე გაიმეორა. ორივენი აღტკინებული ხარხარებდნენ, შერბოდნენ და გამორბოდნენ, გაგიჟებული, გაცოფებული ზღვის უზარმაზარ ტალღებში... ერთი შეცდომა — და დამარცხებული ზღვა ორივეს დაუნდობლად გადაყლაპავდა... შეცდომა არ დაუშვიათ. დაიღალნენ. გამოვიდნენ და სველ ქვიშაზე მკვდრებივით დაეყარნენ.

— ხომ მაგარი იყო?! — შეეკითხა თათიკო.

— გამაოგნებელი! — თქვა ნიკამ. — შენ მე გამაგიჟებ!

— გიყვარვარ? — შეეკითხა უეცრად თათიკო და თავქვე მწოლიარემ, თავი ქვიშისკენ დახარა.

დიდხანს ფიქრობდა ნიკა, ძალიან დიდხანს. თათიკო ელოდა. თავი არ აუწევია.

— მიყვარხარ! — თქვა უცბად ნიკამ. ამოტრიალდა და გულაღმა გაიშოტა.

ტალღა მიდიოდა და მოდიოდა. წყალი თავებამდე სწვდებოდათ.

— ხომ დაბრუნდები? ხომ უნდა იძიო შური?! — მისკენ მიაბრუნა თავი თათიკომ. ნიკამ არაფერი უპასუხა. თათიკო კი პასუხს ელოდა. უეცრად წამოუხტა, ზედ დაახტა და ლოყაში წაუშინა. — უნდა დაბრუნდე, გესმის?! დაბრუნდე და შური იძიო, ყველაზე! აუცილებლად უნდა დაბრუნდე! მე დაგელოდები, სიკვდილამდე დაგელოდები!!! — მთელი ხმით გაჰკიოდა ქალი, რომ გაგიჟებული, გაცოფებული ზღვის „ღრიალი“ გადაეფარა.

მეორე დილას, ნიკა უცხოეთში გაფრინდა. სხვისი გვარითა და სახელით. ნიკა ბერიძე აღარ არსებობდა...

პირველი ნაწილის დასასრული

ამით რომანის — „ველური წაბლის ხეივანი“ — პირველი ნაწილი დასრულდა. „გზის“ მომდევნო ნომრიდან მეორე ნაწილს, ქვესათაურით — „პანტერა“ შემოგთავაზებთ. როგორც უკვე იცით, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი იძულებული გახდა, კვლავ საზღვარგარეთ გაქცეულიყო. მაგრამ მისი არყოფნის დროსაც, ბერიძეების ოჯახშიც და საქართველოშიც არანაკლებ საინტერესო ამბები ხდება. წინასწარ გაცნობებთ, რომ მეორე ნაწილის ცენტრალურ ფიგურად, ნიკას და — ტელეჟურნალისტი ანი წარმოგვიდგება. ის ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებს, ეკლიანი გზის გაკვალვას შიშველი ხელებით, მხოლოდ ქალური მომხიბვლელობის იმედად ცდილობს და სიმართლის დასადგენად, ყველაფერზე მიდის... ღალატი, სექსი, ორგია, ადამიანის გატაცება, ქალის სილამაზით გონებაარეული პოლიციელები, ყალბი გზით წაყვანილი გამოძიება, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული და სამშობლოზე გულაცრუებული ქართველი ახალგაზრდები, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მშობლები — ეს ის სასტიკი რეალობაა, რომლის მომსწრენიც ხშირად ვხდებით დღევანდელ ცხოვრებაში...

თავისუფლებისთვის ბრძოლის სამწლიანი მცდელობა მარცხით დასრულდა. აგვისტო-სექტემბერში განხოციელებულმა რეპრესიებმა საბოლოოდ გადაწყვიტა ქვეყნის ბედი. საქართველომ ვერ შეძლო დამოუკიდებლობის აღდგენა, რასაც ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, მათი ზუსტი რაოდენობის შესახებ, დღემდე ოფიციალური ცნობა არ არსებობს. თავად რეპრესიებზე მხოლოდ ფრაგმენტული ამბებია შემორჩენილი, რადგან წითელი რეჟიმი საგულდაგულოდ მალავდა თავის სისხლიან ნაკვალევს.

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი ქრონიკა ანუ თავისუფლებისთვის მებრძოლი უკანასკნელი მოჰიკანები

ირმა ახალაია

1924 წელი... საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ქრონიკა...

1921 წლიდან, ქართველები ღია თუ ფარული მოქმედებით აქტიურად ცდილობდნენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. თუმცა ბოლშევიკები ფიზიზლად უთვალთვალებდნენ მათ ყოველ ნაბიჯს. ნელ-ნელა რეპრესიების სუსხმაც იმატა. წითელი რეჟიმი არაფრის წინაშე არ იხევდა უკან. განსაკუთრებით დევნიდნენ და ავიწროებდნენ რელიგიის მსახურთ: იძარცვებოდა ეკლესია-მონასტრები, აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ მღვდელმსახურებს, „ჩეკას“ რაზმები გაცხოველებით იღვწოდნენ გადამალული განძის მოსაპოვებლად. 1923 წლის ნოემბერში, რუსეთის მეტალურგიულ ქარხანაში საქართველოდან ტონობით გადადნობილი ზარი გაიგზავნა. ეკლესიიდან გაჰქონდათ ისტორიული მნიშვნელობის უძვირფასესი ხატები და უნიკალური ნივთები. მოსკოვიდან მიღებული დადგენილების მიხედვით, „ჩეკისტებს“ მთელი ეს სიმდიდრე რუსეთისთვის უნდა გადაეცათ, ამიტომაც განსაკუთრებული სისასტიკით იმ მღვდელმსახურებს უსწორდებოდნენ, რომლებიც ცდილობდნენ განძეულის გადამალვას. სწორედ ამ მიზეზით, 1923 წლის 12 ნოემბერს თელავში სამი მღვდელი დახვრიტეს, მათ შორის, შუამთის მონასტრის დეკანოზი — გაბრიელ დვალი, რომელმაც კომკავშირელებს ხელი შეუშალა და მოსახლეობასთან ერთად, მათ იმის ნება არ მისცა, რომ ბოჭორმის ეკლესიის სამრეკლოდან მთავარი ზარი ჩამოეხსნათ. იმავე პერიოდში დააპატიმრეს ნინოწმინდის ეკლესიის მოძღვარი, მამა დავით ბახტაძე, მასთან ერთად — ეკლესიის მსახურნი და მრევლის გარკვეული ნაწილიც. სასტიკად სცემეს და საშინელი წამებით დაჰკითხეს მთავარი დიაკვანი, მიქაელი, მაგრამ ღვთისმსახურისგან ვერანაირი ჩვენება ვერ მიიღეს.



საზღვარგარეთ გახიზნული მენშევიკური მთავრობა კი ამ აჯანყებაზე დიდ იმედებს ამყარებდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად მოქმედების სერიოზულ გეგმებს სახავდა

ამონარიდი ნინოწმინდის ეკლესიის მოძღვრის — დავით ბახტაძის დაკითხვის ოქმიდან:

„1923 წლის სექტემბერში, შინსახკომის თანამშრომლებმა ჩაატარეს ნინოწმინდის ეკლესიის აღწერა, რომლის მოძღვარიც მე გახლავართ. ჩემი დანაშაული, თუ შეიძლება ის დანაშაულად ჩაითვალოს, ეს არის ეკლესიის ძვირფასეულობათა გადამალვა, რომლებიც მე მთავრობის წარმომადგენლებს არ გადავეცი და სანდო პირებს ჩავაბარე. გარდა ამისა, მე და მღვდელმა გრიგოლ დავითაძემ, რომლის ადგილსამყოფელიც ჩემთვის უცნობია, რადგანაც ის ჩემს დაპატიმრებამდე ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიის წარმომადგენლებმა წაიყვანეს, ხალხს ლოცვისაკენ მოვუწოდეთ, რადგან ამჟამად, საქართველო ცოდვების გამო ღმრთისაგან მიტოვებულია“...

ნინოწმინდის ეკლესიის მოძღვარს უშიშროების სამმართველომ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი იმ დღესვე აღსრულდა.

მღვდელმსახურთა გაუთავებელმა დაპატიმრება-დახვრეტამ და ეკლესიების ძარცვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ტაძრები და მონასტრები მოსავლის საწყობებად, აბანოებად და საქონლის სადგომებად აქციეს. რელიგიურმა საკითხმა თანდათანობით პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

1924 წელს საქართველოს უფრო ამაზრზენი მოვლენები ელოდა.

განწირულები

1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად გამიზნული უკანასკნელი მასშტაბური მცდელობა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეს მცდელობა თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან საბჭოთა ხელისუფლება აჯანყების პარალიზებას დასაწყისშივე შეეცადა.

საზღვარგარეთ გახიზნული მენშევიკური მთავრობა კი ამ აჯანყებაზე დიდ იმედებს ამყარებდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად მოქმედების სერიოზულ გეგმებს სახავდა, საგანგებო კომისიამ ადგილობრივ ორგანოებს აჯანყების კონკრეტული თარიღიც აცნობა, მაგრამ...

ჭიათურაში აჯანყება დათქმულ დრომდე ოცდაოთხი საათით ადრე, 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე დაიწყო, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა, მთელ ქვეყანაში ძალების მობილიზება მოეხდინათ. მაშინ, როდესაც აჯანყება მეორე დღისთვის იყო დაგეგმილი, ერთი დღით ადრე ბოლშევიკებმა ხალხის დაჭერა-დაპატიმრება დაიწყეს. „დახვრიტეთ ის, ვინც არ გამოადგება ბოლშევიზმს“, — ასეთი იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის — მოგილოვსკის განცხადება ერთ-ერთ პარტიულ თათბირზე.

აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის დამდეგისთვის საპატიმროებიდან გაყვანილი და დახვრეტილ იქნნენ 1922-23-24 წლებში დაპატიმრებული ადამიანები, რომლებიც არც დროით და არც ფიზიკურად არ იყვნენ დაკავშირებული აღნიშნულ გამოსვლასთან. პირველ, ორ, სამ სექტემბერს, მეტეხის ციხიდან გაიყვანეს და სასჯელის გამოუცხადებლად დახვრიტეს 14 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის — რამდენიმე ქალიც. ბევრ მათგანს მოხდილიც ჰქონდა სასჯელი და გათავისუფლებასაც ელოდა. ციხის საავადმყოფოებიდან უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი თოთხმეტი პატიმარი გაიყვანეს და დახვრიტეს.

საპყრობილეები პატიმრებს ვერ იტევდა. „მხნედ, ქართველურად!“ — ერთმანეთს ამხნევებდნენ სასიკვდილოდ განწირულები.

ამონარიდი პატიმარ ელიზბარ მაყაშვილს მოგონებებიდან:

„საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც რუსის ჯარისკაცებმა თელავის საპატიმროში მიგვიყვანეს. საკანში ჯდომა ვერ ხერხდება, ნაწილი ფეხზე დგას... ყველა ელის სიკვდილს, ყველა ცდილობს შეხვდეს მას

მხნედ, მამა-პაპურად. კარის პატარა ნახვრეტიდან გაზეთი მოგვაწოდა მეორე საკნის ერთმა პატიმარმა; პირველ გვერდზე თვალი შევასწარ დახვრეტილ მამულიშვილთა გრძელ სიას... მაყაშვილი ბიძინა, მაყაშვილი გიორგი — 21 წლის... ჩემი მამა და ძმა... თვალთ დამიბნელდა. „დღეს თუ ხვალ ჩვენც ეს მოგველის“, — მესმის ხმა. მსურს ტირილი, ცრემლი გამშრალი მაქვს.

შუაღამეა... საზარელი საათი. ამ ჟამს იწყებენ ჯალათები თავის საქმეს... დაიწყო გამოძახება... უცბად, გარეთ გავარდა რევოლვერი. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ჟლეტენ უიარაღო და ხელებშეკრულ ქართველებს. ზემოდან რამდენიმე ტყვიამ ხის იატაკში ჩამოატანა. ტანზე რაღაც სითხე დამედინა. მხოლოდ მეორე დღეს შევნიშნე, რომ ეს სისხლი იყო... წითლად ვიყავ შეღებილი ჩემივე მოძმეების სისხლით. დილით კი... ჯალათები მიათრევდნენ და ტვირთავდნენ ურმებზე ქართველ მამულიშვილთა გვამებს...

ის ჯოჯოხეთური ღამე ერთგვარი ანგარიშსწორება აღმოჩდა კომუნისტი ჯაფარიძის მკვლელობის გამო.

კომუნისტთა ჯგუფში ერია ერთი ქართველი ახალგაზრდა, ვინმე ალექსანდრე ჯორჯაძე. დაპატიმრებულთა რიგებში კი იმყოფებოდა მისი მამა, რომელსაც თელავის საგანგებო კომისიამ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ალექსანდრე ჯორჯაძემ რამდენჯერმე მიმართა ნიკოლოზ ჯაფარიძეს — ეპატიებინა მამისათვის სასჯელი. „თუ შენ ნამდვილი ბოლშევიკი ხარ, შენ თვითონ დახვრეტ შენს მამას საკუთარი ხელით!“ ამ სიტყვების გაგონებაზე ალექსანდრე ჯორჯაძემ რევოლვერი ესროლა ჯაფარიძეს. თვითონ ჯორჯაძე რუსმა ჯარისკაცებმა ხმლებით აკუწეს“.

გამარჯვებული სერგო ორჯონიკიძე თბილისის ვაგზალზე

ელიზბარ მაყაშვილი დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ დახვრიტეს ათასობით ქართველი. მარტო სამეგრელოში 800 კაცი დახვრიტეს, ქუთაისში — 300, ჭიათურაში — 200, გორში — 400, გორის მაზრაში — 500, მათ შორის, ოცდაექვსი მღვდელი და ორი ქალი; მანგლისსა და სართიჭალაში — 200, კახეთში თავადაზნაურების დიდი ნაწილი ამოხოცეს. ერთ-ერთი აზნაურის ოჯახში ქორწილი იყო. მექორწილენი საღამოს აჯანყებაში უნდა ჩაბმულიყვნენ. საქორწილო თავყრილობა ერთგვარი პაემნის ადგილად იყო მინიშნებული, მაგრამ დღისით „ჩეკა“ გამოცხადდა მათთან და ხალხი სუფრიდან აყარა. პატარძალმა უჩუმრად მამაკაცის ფორმა გადაიცვა და სასიკვდილოდ განწირულ ნეფეს თან გაჰყვა. ერთ-ერთმა „ჩეკისტმა“ იცნო ვაჟის ფორმაში გადაცმული ქალი და ძალით გამოაპარა დასახვრეტთა რიგებიდან. ნეფე და მექორწილენი დახვრიტეს.

ჭიათურაში ხალხი ვაგონებში შეყარეს, გარედან ტყვიამფრქვევის ჯერით ვაგონში გამომწყვდეულნი ამოხოცეს.

1924 წლის 10 სექტემბერს, რუსეთში დახვრიტეს 1923 წლის აჯანყების სულისჩამდგმელები: ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფაღავა და სხვები, სულ — 29 კაცი.

დახვრეტა-დაპატიმრება იმდენად მასობრივი აღმოჩნდა, რომ ამის დამალვა თვით კომუნისტებმაც ვერ შეძლეს. ამის შესახებ, სერგო ორჯონიკიძემ 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე განაცხადა: „რეპრესიების შესახებ გაუთავებლად ლაპარაკობენ და თან, ათასნაირ აბდაუბდას... ლაპარაკობენ 3-5 ათას დახვრეტილზე — ეს სისულელეა. სულ დახვრეტილი და მოკლულია 986 კაცი. აქედან, 95% თავადაზნაურობაა... შეიძლება ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ამას აღარ ეშველება.“

სავარაუდო მონაცემებით კი, ოთხი ათას ადამიანზე მეტი იქნა დახვრეტილი ამ რეპრესიების შედეგად.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად ბრძოლას მაინც აგრძელებდა და ფარულად ახერხებდა, მოულოდნელი დარტყმები მიეყენებინა მტრისთვის, მაგრამ ხელისუფლებას ყველგან მოეხერხებინა პოზიციების გამყარება, ამიტომ სამკვირიანი ბრძოლის შემდეგ, იგი იძულებული გახდა, ალექსანდრე სულხანიშვილთან, სპირიდონ ჭკადუასა და ელიზბარ ვაჩნაძესთან ერთად, ჯავახეთ-თრიალეთის გზით თურქეთში გადასულიყო, საიდანაც საფრანგეთში გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა. უცხოეთში გახიზნული ქართველი ემიგრანტების ბედი გადაწყდა — ისინი საქართველოში დაბრუნებას უკვე ვეღარ შეძლებდნენ. ლოდინმა შვიდ ათეულ წელზე მეტი გასტანა, თუმცა მთელი ამ დროის მანძილზე — მაშინ, როდესაც საქართველოში ყველა ერიდებოდა 1924 წლის მოვლენების ხსენებას, საფრანგეთში ყოველ წელს საგანგებოდ აღნიშნავდნენ დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლის ამ უკანასკნელ გაელვებას. ამ რეპრესიების შედეგად ათასობით გარდაცვლილი ქართველის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ლევილში დღემდე იმართება. ■

შეშლილი მხატვარი მომავალს ხატავდა...

სტალინის ყველაზე დაუჯერებელი პორტრეტი

არაორდინარული და ნაკლებგასაგები პიროვნება იყო ავსტრიელი მხატვარი ალფრედ კუბინი (1877-1959). იგი უცნაური იყო, როგორც მხატვარიც: სულ საშინელებანი და საშინელებანი... ჰალუცინაციები და ბოდვები, სიზმრები, ლეგენდებისა და თქმულებების ილუსტრაციები... მისი შემოქმედება ისევე იყო დატვირთული კოშმარებით, როგორც თვითონ კუბინის ცხოვრება... თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ის არაერთხელ მოხვედრილა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მაგრამ იქიდან მეგობარ მხატვრებს ყოველთვის გამოჰყავდათ — ისინი კლინიკის ადმინისტრაციასთან მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ფსიქიატრების „ტყვეობაში“ შემთხვევით აღმოჩნდა გენიალური მხატვარი-ფანტასტი, წინასწარმეტყველი, ფილოსოფოსი და არაჩვეულებრივი ადამიანი. ჰოდა, რა უნდა ექნათ ექიმებს? შეშლილ გენიოსს უმალ ათავისუფლებდნენ, რომ მას კვლავაც შეუფერხებლად შესძლებოდა თავისი ნამუშევრების შექმნა... ისიც თავის სახელოსნოს უბრუნდებოდა, რათა მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები კვლავაც განეცვიფრებინა ახალი ფანტასტიკური სახეებით.

მის გრაფიკაზე ბევრმა მხატვარმა მოახდინა გავლენა, რომლებიც ფერწერასა და გრაფიკაში საშინელი და ტრაგიკული თემების ოსტატებად მიიჩნევიან: გოია, ბოსხი, ფელსიენ როპსი, ოდილონ რედონი. კუბინი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა დედამიწის საფლავზე მივიდა და თვითმკვლელობა სცადა. ამ ამბის შემდეგ, მას ხშირად ამწყდევდნენ ფსიქიატრიული საავადმყოფოს



კედლებში, რითიც თვითმკვლელობის იარაღთან მისვლის საშუალებას უსპობდნენ, მაგრამ ამასთანავე, შემოქმედებით თავისუფლებასაც ართმევდნენ.

ის ექიმებს არ ენდობოდა, მეგობრებს კი, ხშირად იცვლიდა. კუბინს ცუდი ხასიათი და საშინელი აგრესიულობა ხელს უშლიდა მეგობართა მუდმივი წრის შექმნაში. მისი სურათების, გრაფიკული ნამუშევრების სიუჟეტებს შემოსავალი არ მოჰქონდა. ის კი, თავის მოკვლა რომ სცადა, იმაზე მეტყველებს, რომ ყოველგვარ მკურნალობას სიკვდილი ერჩია. აი, ასეთი რთული, უიღბლო და ტრაგიკული იყო მისი ცხოვრება...

მაგრამ სულით ავადმყოფ მხატვარს ძალზე საინტერესო ინსტრუმენტი ჰქონდა გარე სამყაროსთან ურთიერთობის დასამყარებლად... მას უნარი შესწევდა, შერწყმოდა თავისი გრაფიკული ნაწარმოებების გმირებს. კუბინს განსაკუთრებით ხელეწიფებოდა ილუსტრაციები სამი დიდი მწერლის პროზისთვის: დოსტოევსკის, ჰოფმანისა და ედგარ პოს ნაწარმოებებისთვის. ის ასევე კარგად იცნობდა გოგოლის შემოქმედებას, შექმნა ილუსტრაციები მისი მოთხრობისთვის — „შინელი“ და დიდი რუსი მწერლის პორტრეტიც კი დახატა. ეს პორტრეტი ძალზე მარტივია, ადამიანური და მოკლებულია იმ პირქუშ ატმოსფეროს, რომელიც მხატვრის სხვა ნამუშევრებში შეინიშნება.

ძირითადად, მხატვარი თავის თავს საყვარელ მწერლებთან აიგივებდა, როცა ცდილობდა, სამყაროსთვის დოსტოევსკის ან გოგოლის თვალით შეეხედა. კუბინი თავის ნამუშევრებში საოცარ ეფექტებს აღწევდა. მაგალითად, არასდროს ყოფილა სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ გოგოლის „შინელის“ ილუსტრაციებს ქმნიდა. ნამუშევარში — „დოსტოევსკის სახსოვრად“, მან გოგოლის და დოსტოევსკის ნაწარმოებთა მოტივები ერთ კომპოზიციაში — პეტერბურგის თემაზე — გააერთიანა. ქალაქის ზოგიერთი ადგილი (მაგალითად, სახლები კალინკინის ხიდის სიახლოვეს) ჰგავს თავის პირველწყაროს, ყოველ შემთხვევაში, ისინი სავსებით საცნაურია. ღია ბარათებზე ეს ადგილები არაა გამოსახული. საიდან უნდა აეღო კუბინს ლანდშაფტის წვრილმანები? ნუთუ, მას პეტერბურგი ესიზმრებოდა?

ლიტერატურულ გმირებთან (და რაც მთავარია, მის ავტორებთან) შერწყმის მექანიზმი ხელს უწყობდა მხატვრის გადარჩენას — თუ არა მის გამოჯანმრთელებას, დროებითი სულიერი სიმშვიდის მოპოვებას მაინც. აზრობრივად გოგოლად ან ედგარ პოდ ქცეული კუბინი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ურთულეს გზას ადგა და თუმცა კუბინი უპირველეს ყოვლისა, მხატვარი იყო, ნებსით თუ უნებლიეთ პროზაიკოსადაც იქცეოდა ხოლმე და ჰოფმანის, კაფკას, გოგოლის მიბაძვას იწყებდა. ამ ლიტერატურული ცდების შედეგია მისი ფანტასტიკური რომანი — „მეორე მხარე“. წიგნი მსოფლიო ფანტასტიკური ლიტერატურის შედევრად არ ქცეულა, მაგრამ იგი სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლად, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მხატვარს უყვარდა ევროპული კლასიკა.

პირველ მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე, კუბინი წინასწარმეტყველებდა მის დაწყებას. მის ნახატებში, რომლებშიც უამისოდაც ჭარბობდა პირქუში მოტივები, გამოჩნდა ადამიანთა მასობრივი დაღუპვის თემა... ის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი მხატვარი იყო. ომი ჯერ მხოლოდ იწყებოდა და კუბინის ფანტაზიამ უკვე შექმნა საშინელი მტაცებელი ჩიტები, ცაში მფრინავი მონსტრები...

კუბინის ბიოგრაფიის ძალზე საინტერესო ფაქტად იქცა მის მიერ სტალინის პორტრეტის შექმნა (1935 წ). საინტერესოა, მის მეხსიერებაში გოგოლის გმირები თუ დაეხეტებოდნენ მაშინ? კუბინმა ხომ ეს ნამუშევარი ისე შექმნა, როგორც სატირიკოსმა და როგორც ფანტასტმა. სტალინის — გოლიათის უზარმაზარი ფიგურა ხალხის ბრბოზე მაღლდება. ის მოჩვენებასავით ირხევა ჰაერში. ჩვენ წინაშე ან გოგოლის გმირია, ან ურჩხული — გოიას სერიიდან „კაპრიჩოს“.

ხელოვნებათმცოდნეებმა არ იციან, კერძოდ რა წყაროებით სარგებლობდა კუბინი, როცა სტალინს ხატავდა. მხატვარს იტაცებდა გულივერის სახე და ხალხი სურათზე ლილიპუტებად ჩანს გოლიათი სტალინის გვერდით. ოღონდ, გოლიათს, რომელიც ჯენტლმენი იყო, ეშინოდა, შემთხვევით ვინმე არ გაესრისა; ტირანი ჩიბუხით ხელში კი, სასიკვდილოდ გზავნიდა მილიონობით ადამიანს...

პიროვნების პრობლემაზე ორიენტირებული კუბინი თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავდა გრაფიკის ისეთ ჟანრს, როგორიცაა წიგნის გრაფიკა. ექსლიბრისების მფლობელები მისი პირქუში სიმბოლიკის წინააღმდეგნი არ იყვნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ გავიდოდა დრო და შეშლილი მხატვრის ნამუშევრები მხატვრული კოლექციის მარგალიტებად იქცეოდა, რომ ისინი აუქციონებსა და ანტიკვარულ მაღაზიებში გაიყიდებოდა.

კუბინმა სულ რამდენიმე ათეული წიგნის მხატვრულად გაფორმებული ნიშანი შექმნა. ერთ-ერთი მათგანი — ფრანც იოზეფ ჰაზელბერგერს — რაინდს გამოხატავს, რომელიც დრაკონს ებრძვის. დრაკონი მის მიერ დახატული სხვა ურჩხულების მსგავსად, ზიზღს იწვევს: ის უზარმაზარი, რკალად შეკრული მატლია და დაე, ნუ მოიპოვებს ეს ნამუშევრები ისეთ აღიარებას, როგორსაც გოგოლის ან დოსტოევსკის ნაწარმოებების ილუსტრაციები, მაგრამ ყველაფერი, რაც კუბინის ყალამს ეკუთვნის, ყურადღების ღირსია. შეშლილი მხატვრის მიერ შექმნილი სტალინის პორტრეტი „ხალხთა მამის“ თითქმის ყველაზე ადეკვატური პორტრეტია, რადგან სტალინიზმი სიგიჟეა.

სიბერეში „შეშლილი მხატვარი“ ცოტათი „დაწყნარდა“. ის ცნობილი გახდა. თავისი შემოქმედებით ბევრი მწერალი დაინტერესა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. მისი ნახატები ახლა განიხილება, როგორც რთული ინტელექტუალური გამოცანა, საკვებს რომ აძლევს გონებას. მხატვრის სიკვდილთან ერთად დასრულდა მისი მტანჯველი ავადმყოფობებიც, სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებს კი ყოველთვის დაინტერესებთ თვითონ მხატვარიც და მისი განუმეორებელი შემოქმედებაც. ■

როგორ დავწიოთ მჟავიანობა?

რუბრიკას უძღვება
ექიმი თამარ მამაცაშვილი

რისთვის სჭირდება ორგანიზმს მარილმჟავა? იმისათვის, რომ უკეთ მოინელოს საკვები. ეს მჟავა შეუცვლელი კომპონენტია საჭმლის მონელების პროცესისას, რომელიც პირის ღრუდან იწყება და სწორ ნაწლავში მთავრდება. იგი ქმნის კუჭის ფერმენტთა მუშაობისთვის საჭირო პირობებს, ანადგურებს დაავადების გამომწვევ და ლპობით ბაქტერიებს, რომლებიც საკვებს შეაქვს ორგანიზმში, ასტიმულირებს კუჭის ჯირკვლების სეკრეციულ აქტიურობას, ხელს უწყობს საკვების გადასვლას კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში და ა.შ. მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. თუ მარილმჟავა ჭარბად იწყებს გამომუშავებას, მიღებული საკვები ვერ ანეიტრალებს მას, გამოუყენებელი მჟავას ნაწილი რჩება და იწყებს ლორწოვან გარსზე ზემოქმედებას — იწვევს მის ანთებას. შედეგად ვიღებთ გასტრიტს, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობით, რაც კუჭის წყლულის წინამორბედი მდგომარეობაა.

მომატებული მჟავიანობისას, ადამიანს აწუხებს ტკივილი „გულის კოვზის“ ქვეშ, სიმძიმის შეგრძნება, წვა კუჭის არეში, გულისრევა, „მჟავე“ ბოყინი. დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით, ტკივილი შეიძლება ჭამიდან 30 წუთში, 1,5-2 საათში, ან სულაც მშიერზე (ან ღამით) განვითარდეს. აუცილებელია, დადგინდეს, ნამდვილად გასტრიტია ამ სიმპტომების მიზეზი, თუ სხვა დაავადებები, რომელთაც მჟავიანობის მატება ახლავს თან. ამისთვის კი ტარდება კუჭის რენტგენოსკოპიული გამოკვლევა; შეიძლება საჭირო გახდეს გასტროსკოპია, კუჭის სეკრეციის გამოკვლევა, ლორწოვანის ბიოფსია. ■

როგორ ვიკვებოთ?

საკვების მიღება საჭიროა ხშირ-ხშირად (4-6-ჯერ დღეში), მცირე ულუფებით. საქმე ისაა, რომ მარილმჟავას გამომუშავება ძლიერდება კუჭში საკვების არარსებობისას, ამიტომ არ შეიძლება იგი ხანგრძლივად დავტოვოთ ცარიელი. ამავე მიზეზით არ შეიძლება მშიერ კუჭზე საღეჭი რეზინის ღეჭვა. ნერწყვი ასტმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, მაგრამ თუ კუჭი ცარიელია, გადასამუშავებელიც არაფერი აქვს და წვენი ლორწოვანზე იწყებს ზემოქმედებას. საკვების ტემპერატურა უნდა იყოს 38-40 გრადუსი. მინერალური წყალი კი, მომატებული მჟავიანობისას, უნდა სვათ თბილ-თბილი (35-40 გრადუსი ტემპერატურის), სამჯერ დღეში, ჭამამდე 1-1,5 საათით ადრე. თითო მიღებაზე — 200-300 მლ, დიდი ყლუპებით. ეცადეთ, რომ ძირითადი კვებითი დატვირთვა დღის პირველ ნახევარზე მოდიოდეს. ვახშამი კი, 19 საათზე გვიან აღარ მიირთვათ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ სიგარეტი და ალკოჰოლი (თუნდაც მშრალი ღვინო და ლუდი) ზრდის კუჭის მჟავიანობას.

გახსოვდეთ, რომ ზოგიერთი წამალი (ასპირინი და აცეტილსალიცილის მჟავის შემცველი სხვა პრეპარატები, კორტიკოსტეროიდები, სულფანილამიდები) ასევე ზრდის კუჭის მჟავიანობას. ამიტომ ექიმს დაეკითხეთ, სხვა რომელი პრეპარატებით შეიძლება მათი შეცვლა. ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია და დაიცავით წამლების მიღების წესები: თუ წერია, წამალი უნდა მიიღოთ ჭამის შემდეგ ან ჭამის დროს, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ განეიტრალდეს კუჭის ლორწოვანზე მათი ნეგატიური ზემოქმედება.

ერიდეთ სტრესებს, რადგან სწორედ ისინი იწვევს უფრო მეტად კონცენტრირებული მჟავას დიდი რაოდენობით გამოყოფის პროვოცირებას. ■

რა დაიცავს კუჭს?

ძირითადი მკურნალობა დიეტა და მედიკამენტების მიღებაა. კუჭის მომატებული მჟავიანობისას, გასტრიტის დროს ინიშნება კუჭში მარილმჟავას შემაკავშირებელი პრეპარატები (ალმაგელი, ფოსფალუგელი, მაალოქსი, გასტალი), აგრეთვე — მარილმჟავას სეკრეციის შემამცირებელი საშუალები (ანიტიდინი, ზანტაკი, ფამოტიდინი და სხვები). ძირითადი ამოცანაა, მარილმჟავას გამომუშავების ნორმალიზება და კუჭის ლორწოვანის დაზიანებული უჯრედების აღდგენა. ამისთვის გამოიყენება კუჭის კედლის შემომგარსველი და საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი საშუალებები. მკურნალობა შეიძლება რამდენიმე კვირა (მწვავე გასტრიტის დროს) ან რამდენიმე თვე და წელიც კი (ქრონიკული გასტრიტისას) გაგრძელდეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ყურადღება უნდა მიექცეს კვებას. საკვები ისეთი უნდა იყოს, რომ არ იწვევდეს მარილმჟავას ჭარბად გამოყოფის პროვოცირებას.

მომატებული მჟავიანობისას რეკომენდებულია: კისელი, ბურღულეულის ფაფები, ბოსტნეულის წვნიანები, რძე, რომელიც ამცირებს კუჭის სეკრეციას. გასტრიტის გართულებები რომ თავიდან ავიცილოთ, არ არის სასურველი უცხიმო დიეტები. თუ თქვენს ორგანიზმს დააკლდება ცხიმი, განსაკუთრებით მცენარეული, მაშინ საკვები კუჭს ძალიან სწრაფად დატოვებს და მის კედლებზე მარილმჟავა კიდევ უფრო მეტად იმოქმედებს. ასე რომ, გასტრიტით (მომატებული მჟავიანობით) დაავადებულთათვის საჭირო დიეტას ერთი სასიამოვნო მხარეც აქვს: არ არის აუცილებელი, რომ რძის პროდუქტები ცხიმმოხდილი იყოს.

რეკომენდებულია მოხარშული, ჩაშუშული ბოსტნეული, ყველა სახის ფაფეული (ხორბლის გარდა), მაკარონის ნაწარმი, მჭლე ხორცი, თევზი და ქათამი, ტკბილი ჯიშის ვაშლი, მსხალი, ბანანი, ერბოკვერცხი, ახალი ხაჭო, მაღალი ხარისხის პური (სასურველია, გამომშრალი, ან წინა დღის იყოს), ტკბილი ხილის პიურე, ტუტე-მინერალური წყლები (გაზგასული), რძიანი ჩაი.

უარი უნდა თქვათ მწარე, ცხარე სანელებლებზე, შებოლილ პროდუქტებზე, ღორის ხორცზე, რომლებიც მეტისმეტად აღიზიანებს საყლაპავისა და კუჭის ლორწოვან გარსს. აგრეთვე არ შეიძლება ცხიმიანი ბულიონები (განსაკუთრებით სოკოსი), უმი ბოსტნეული, მწნილეული, მარინადები, ხახვი და ნიორი, ლიმონის წვენი, შავი პური, ნაყინი. კუჭის სეკრეციას აძლიერებს შემწვარი კერძები, თავისსავე წვენში ჩაშუშული ხორცი და თევზი, კონსერვები (განსაკუთრებით ტომატიანი), მჟავე, უმწიფარი ხილი და კენკრა, სანელებლები. ნუ მიიღებთ გაზიან, ცივ სასმელებს. არ შეიძლება ყავის, ალკოჰოლის, მაგარი ჩაის ბოროტად გამოყენება, რადგან ეს პროდუქტები ზრდის მჟავას რაოდენობასა და კონცენტრაციას კუჭში.

ხალხური საშუალებებიდან მჟავიანობის დასაქვეითებლად რეკომენდებულია კრაზანის, პიტნის, ჭინჭრის, კალენდულის ნაყენები; უსიამოვნო სიმპტომებს ხსნის კარტოფილისა და სტაფილოს წვენები. ■

M K

ყურს არ უყვარს:

- სიცივე და ქარი — ნუ ისეირნებთ ყინვასა და ქარიან ამინდში უქუდოდ. ამგვარად შეიძლება ოტიტი (ყურის ანთება) დაგემართოთ.
- მზე — მზეზე, პირველ რიგში, ყურები დაგეწვებათ, რადგან მათ არა აქვთ მზის სხივებისგან ადეკვატური დაცვის უნარი.
- ხმაური — ხმამაღალი ბგერები ყურებში ტკივილის შეგრძნებას იწვევს. ექიმები გვაფრთხილებენ: 90 დეციბელზე მეტი სიმძლავრის ნებისმიერმა ხანგრძლივმა ხმაურმა, შეიძლება სმენის ნაწილობრივი დაკარგვა გამოიწვიოს.
- სპორტის საწყლოსნო სახეობები — ოტოლარინგოლოგებს აქვთ კიდევაც სპეციალური ტერმინი — „მცურავის ყური“. ხანგრძლივი ცურვის დროს, წყალი წნევით შედის გარეთა ყურში. ყურში დაგუბებული წყალი, სასმენი მილის გაღიზიანებას იწვევს. წყალში ხტომის დროს კი, წყალი ცხვირის ან პირის გავლით ადვილად ხვდება შუა ყურში, საიდანაც მისი გამოღება შეუძლებელია.
- უცხო სხეულები — ყელ-ყურის ექიმები გირჩევენ, ნუ შეიყოფთ ყურში ისეთ საგანს, რომლის ზომა თქვენსავე მუშტზე მცირეა.
- მეტისმეტი წმენდა — ყურები არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, რადგან კარგადაა დაცული. თბილი, საპნიანი წყლით გამობანა სავსებით საკმარისია ყურის ნიჟარების გამოსასუფთავებლად. ბამბის ჩხირებით თუ მახვილი საგნებით გულმოდგინე წმენდის შედეგად, შეიძლება ყურის დაფის აპკი დაიზიანოთ. ■

აცრა კიბოს წინააღმდეგ

მეცნიერები ზეიმობენ: პაპილომავირუსის საწინააღმდეგო მსოფლიოში პირველი ვაქცინის გამოცდა სრული წარმატებით დამთავრდა. მხარში ჩხვლეტა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაზღვეული იყოთ ერთ-ერთი ყველაზე საშიში სენისაგან — საშვილოსნოს ყელის კიბოსგან.

მოკლე ცნობები

ადამიანის პაპილომის ვირუსი, რომელიც მიკროსკოპში გოლფის ბურთს ჰგავს, მეტად ვერაგია. დღეისათვის ამ ვირუსის 100-მდე ტიპია ცნობილი. ყველაზე საშიში მე-16 და მე-18 ტიპებია. შემთხვევათა 70%-ში მათი მიზეზით ჩნდება საშვილოსნოს ყელის კიბო. ნაკლებად საშიში, მაგრამ ასევე ფართოდ გავრცელებულია მე-6 და მე-11 ტიპები — ისინი სასქესო ორგანოებზე წვეტიანი კონდილომების, ხახაში კი — პაპილომების განვითარებას იწვევს. კანსა და ლორწოვანზე სხვადასხვაგვარი ხალისა და წანაზარდის წარმოქმნა ასევე პაპილომავირუსებს უკავშირდება, მაგრამ ისინი სხვა, ნაკლებაგრესიული ტიპისანი არიან.

ვირუსი ადამიანს ძალიან ადვილად გადაედება: რისკის ჯგუფშია პრაქტიკულად ყველა, ვისაც სქესობრივი ურთიერთობები აქვს. პრეზერვატივი დასნებოვნებისაგან არ იცავს — საკმარისია თქმოს ან ბოქვენის კანის შეხებაც კი. მაგრამ ყოველი შეხება ფატალური როდია: თუ იმუნიტეტი მყარია, ვირუსი ვერ შეიჭრება კანის ღრმა შრეებში. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ინფიცირება მოხდება. კონდილომები და პაპილომები დასნებოვნებიდან ერთ წელიწადში ვითარდება, ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბო 10 და მეტი წლის შემდეგ შეიძლება განვითარდეს.



სენსაციის დეტალები

პროფილაქტიკური ვაქცინის შესაქმნელად მეცნიერები 90-იანი წლებიდან მუშაობდნენ. და აი, იგი უკვე შექმნილია: ამერიკული ვაქცინა უკვე რეკომენდებულია 9-იდან 26 წლამდე ასაკში და ჩართულია ბავშვთა სავალდებულო აცრების კალენდარში. მალე დამთავრდება ევროპული ვაქცინის გამოცდაც. მე-16 და მე-18 ტიპებისაგან ორივე პრეპარატი იცავს ორგანიზმს. მაგრამ ამერიკული ვაქცინა დამატებით ბარიერს ქმნის მე-6 და მე-11 ტიპებისთვისაც.

რომელი ვაქცინა შემოვა ჩვენში პირველად, უცნობია. მაგრამ ეს რომ მალე მოხდება, უკვე ცხადია.

ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია ყველა გოგონას აცრა სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე და ვირუსთან შესაძლო კონტაქტამდე. ვაქცინაციის სრული კურსი პრეპარატის სამი ინიექციისაგან შედგება, რომელიც ნახევარი წლის განმავლობაში შეჰყავთ ორგანიზმში. დამცავი მექანიზმი მოქმედებს 5 წელი. შემდეგ, ახალი კურსის ჩატარება იქნება საჭირო.

აცრა სასარგებლო იქნება ზრდასრული ქალბატონებისთვისაც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალი უკვე ინფიცირებულია რომელიმე ტიპის ვირუსით. ■

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ხატი, რომლის წინაშეც დიდმოწამე დედოფალი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ლოცულობდა

26 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ხსენების დღეს, რომელიც 1624 წელს ეწამა ქრისტეს რჯულისთვის — შაჰ-აბასის ბრძანებით, რკინის მაშებით დააგლიჯეს ხორცი, სხეულს გახურებული შანთებით უდალავდნენ, შემდეგ კი ცეცხლში დაწვეს...

მორენა მერკვილაძე

ისტორიული წყაროების თანახმად, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული — პორტუგალიაში, იტალიაში, ბელგიაში, ინდოეთში, ინგლისსა და რუსეთში, თუმცა, კონკრეტულად რა ადგილებში — ეს დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ რუსეთში არსებული წმინდა ნაწილების ადგილსამყოფელი — ისინი სერგიევ-პასადის მონასტერშია დაცული. სწორედ რუსეთიდან ჩამოაბრძანა რამდენიმე წლის წინ, წმინდა ქეთევანის ძალზე მცირე ზომის წმინდა ნაწილი (ნეკი თუ ცერა თითი) დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ავჭალის ტაძრის წინამძღვარმა მამა გიორგი რაზმაძემ. მას შემდეგ ეს სიწმინდე ამავე ტაძარში, წმინდა ქეთევანის ხატში ინახება. ხატი რუსეთში მოღვაწე ქართველი ხატმწერის, ქეთევან ხაჟომიას მიერაა შესრულებული. მან საქართველოსთვის წმინდა ქეთევანის მეორე ხატიც დაწერა. წმინდანის სხეულის მცირე ნაწილი ამ ხატშიცაა მოთავსებული და თბილისის სიონის ტაძარშია დაბრძანებული. წმინდა მოწამის ოქროთი შესრულებული, 1,3 მეტრი სიმაღლისა და 70 სანტიმეტრი სიგანის ხატი, შიგ ჩატანებული წმინდა ნაწილიც, რამდენიმე წლის წინ მიუძღვნა საჩუქრად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ.

დიდმოწამე ქეთევანის რამდენიმე წმინდა ნაწილი — თავის ქალის ნაწილი, ქვედა ყბა და მარჯვენა ხელი (აკლდა რამდენიმე თითი) ალავერდის ტაძრის საკურთხევლის ქვეშ იყო დაფლული. ეს სიწმინდეები ქეთევან დედოფლის ვაჟს, თეიმურაზს გადასცა წარმოშობით პორტუგალიელმა ავგუსტინელმა ბერმა ამბროზიო დოს ანჟოსმა. სწორედ მან მიაგნო შაჰ-აბასის მიერ წამებული დედოფლის ნაწილებად ქცეულ ნეშტს, რომელიც მთლიანად მიწით იყო დაფარული, საკმევლითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვია და კათოლიკურ მონასტერში დააბრძანა. 1629 წელს კი, წმინდანის თავის ქალის ნაწილი და მარჯვენა ხელი მის შვილს, თეიმურაზს გადასცა. თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაიტირა წამებული დედა, შემდეგ კი მისი წმინდა ნაწილები ძვირფას ლუსკუმში ჩააბრძანა და ალავერდის ტაძრის ტრაპეზის ქვეშ დაკრძალა. წმინდა ქეთევანის მარჯვენა ხელის მცირე ნაწილი თეიმურაზ მეფემ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე პირველს გაუგზავნა. ეს მცირე ნაწილებია მოთავსებული წმინდა ქეთევანის ხატებში, ნაწილი კი კვლავ რუსეთში ინახება.

1723 წელს, თურქებისა და ლეკების შემოსევის დროს, კახეთიდან გახიზნულმა თეიმურაზ II-მ (თეიმურაზ I-ის შვილიშვილმა) დიდმოწამე ქეთევანის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძრის საკურთხევლიდან ამოასვენა და თან წაიღო. ანანურის ციხესთან ცხენს ფეხი დასცურებია და სიწმინდეები მდინარეში ჩაცვენილა. ისინი წყალმა წაიღო და ვეღარ მიაკვლიეს.

როგორც აღვნიშნეთ, წმინდა დედოფლის დანარჩენი წმინდა ნაწილების ამჟამინდელი ადგილსამყოფლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ავგუსტინელმა მამამ დოს ანჟოსმა წმინდანის მკლავის ძვალი და მარცხენა ხელის მტევანი ინდოეთში, ქალაქ გოაში გაგზავნა და იქ დაგრასის მონასტერში დააბრძანეს. 1830-40 წლებში ტაძარმა, სადაც ეს სიწმინდეები ინახებოდა, ფუნქციონირება შეწყვიტა. მას შემდეგ რა ბედი ეწია საძვალეს, დანამდვილებით ცნობილი არ არის.

ასევე არსებობს ცნობა, რომ ქეთევან წამებულის ნეშტის რამდენიმე ნაწილი ბელგიაში, ქალაქ ნამიურის ობენის კათოლიკურ ტაძარშიაც ინახება. 2001 წელს, ნამიურში, წმინდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ავჭალის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი იმყოფებოდა, რათა წმინდანის ნაწილებისთვის მიეკვლია და საქართველოში ჩამოებრძანებინა, მაგრამ — უშედეგოდ: „ფაქტობრივად, წმინდანის საძვალეს მივაკვლიეთ, მაგრამ კათოლიკე მღვდელმსახურებმა ძალიან შეგვიშალეს ხელი. ბრიუსელში შეხვედრა გვქონდა ერთ-ერთ პროფესორთან, რომელმაც დამიდასტურა, რომ ხელით შეეხო წმინდა ქეთევანის ნაწილებს ნამიურის ტაძარში, მაგრამ შემდეგ დაიმალა. როგორც ჩანს, იგი კათოლიკე მღვდლებმა შეაჩერეს, რადგან ცდილობენ, რომ წმინდანის ნაწილები დაგვიმალონ და საქართველოში მათი დაბრუნება ვერ მოხერხდეს“, — აღნიშნა მამა გიორგიმ ერთ-ერთი ქადაგებისას.

დიდმოწამე დედოფალი

ქეთევანი 1572 წელს დაიბადა, აშოთან ბაგრატიონ მუხრანბატონის ოჯახში. 16 წლის ასაკში იგი ცოლად შერთეს კახთა მეფის, ალექსანდრე მეორის უფროს ვაჟს დავითს. ალექსანდრეს კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა — გიორგი და კონსტანტინე; ეს უკანასკნელი შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა. მამას სურდა, ტახტის მემკვიდრედ გიორგი გამოეცხადებინა, მიუხედავად იმისა, რომ მეფობა დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ დავითმა აიძულა ალექსანდრე, ალავერდის მონატერში ბერად აღკვეცილიყო, მის ნაცვლად კი, თვითონ ავიდა ტახტზე. მაგრამ 4 თვის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს ქალ-ვაჟი — თეიმურაზი და ელენე დარჩა. ალექსანდრემ მონასტერი დატოვა და კვლავ სამეფო ტახტზე ავიდა, ტახტის მემკვიდრედ კი, გიორგი გამოაცხადა. დაქვრივებული დედოფალი და თეიმურაზი „თავიდან მოშორების“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ქეთევანმა შვილები შაჰ-აბასის კარზე გაგზავნა.

როდესაც სპარსელთა მბრძანებელმა დავითის სიკვდილის ამბავი შეიტყო, თავის კარზე აღზრდილ გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს მამისა და ძმის მოკვლა დაავალა. კონსტანტინემ ბრძანება შეასრულა — ალექსანდრეს და გიორგის თავები მოჰკვეთა და შაჰ-აბასს გაუგზავნა, გვამები კი აქლემს აჰკიდა და ალავერდის მონასტერში დასაკრძალად გაგზავნა. მათ დაკრძალვაზე ქეთევანმა იზრუნა.

კახეთის სამეფო ტახტზე ასულმა კონსტანტინემ უმალვე შენიშნა, რომ ქეთევანი სამეფოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომ განიზრახა, დედოფლისთვის ცოლობა ეთხოვა, რათა მისი მეშვეობით სისხლით მოპოვებული სამეფო ძალაუფლების განმტკიცება და კახეთში მაჰმადიანობის გავრცელება მოეხერხებინა.

ქეთევანმა დიდებულები იხმო, ყოველივე აუწყა და უთხრა — თუ სარწმუნოებასა და ქვეყნის ღირსებას ვერ დავიცავთ, იძულებული გავხდები, ქართლში, მუხრანში დავბრუნდეო. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს. მართლაც, რჯულისა და ტრადიციების მოღალატე კონსტანტინე სიცოცხლეს გამოასალმეს. მის დაკრძალვაზე ქეთევანმა იზრუნა, შემდეგ კი შაჰ-აბასს დიდი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, კახეთის სამეფოს ტახტზე თეიმურაზი დაემტკიცებინა. იმის შიშით, რომ კახეთი ქართლის სამეფოს არ შეერთებოდა და ამით საბოლოოდ არ დაეკარგა, შაჰ-აბასმა დიდი პატივით დააბრუნა თეიმურაზი საქართველოში. მისი მეფედ კურთხევის შემდეგ ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ ცოლად შეირთო გურიელის ასული — ანა, მათ ორი ვაჟი — ლევანი და ალექსანდრე და ერთი ასული — თინათინი შეეძინათ. ანა მალე გარდაიცვალა. შაჰის დაჟინებული თხოვნით, თეიმურაზმა ლუარსაბ II-ის და, ხორეშანი მოიყვანა ცოლად, თავად შაჰმა კი ლუარსაბის მეორე და, ელენე შეირთო. ასე ცბიერად მოახერხა ქართლისა და კახეთის სამეფოსთან „დამოყვრება“ გულქვა მბრძანებელმა. ის გამუდმებით ცდილობდა, ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის მტრობა, განხეთქილება და ღვარძლი დაეთესა, მაგრამ ვერას გახდა.

1614 წელს, შაჰ-აბასმა მეფე თეიმურაზს ელჩი გაუგზავნა და შეუთვალა: „დღე-დღეზე ოსმალეთს სალაშქროდ მივეშურები, ხოლო შენ არ გენდობი, პაპაშენივით ოსმალების მხარეს დაიჭერ, ამიტომ თუ მართლა მტრობას არ მიპირებ, მძევლად შენი შვილი გამომიგზავნე დაუყოვნებლივ. ჩემთან იქნება, შევიტკბობ, შევიყვარებ და გავზრდი შენზე უკეთესად და შენს უმჯობესად!“

თეიმურაზმა იცოდა შაჰის ვერაგობის ამბავი, მაგრამ დიდებულთა დაჟინებული მოთხოვნით, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ შაჰ-აბასის კარზე პატარა უფლისწულის გაგზავნა მათ ოჯახებს შაჰის მძვინვარებისგან გადაარჩენდა, 3 წლის ალექსანდრე სპარსეთში გაგზავნა, თან დედამისი — ქეთევან დედოფალიც გააყოლა. მალე შაჰმა უფროსი ვაჟის გაგზავნაც მოსთხოვა თეიმურაზს. როდესაც ეს საწადელიც აისრულა, თავად მეფესაც შეუთვალა — რადგან ასეთი ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო.

თეიმურაზ მეფე და დიდებულები მიხვდნენ შაჰის ჩანაფიქრს: მას სურდა, კახეთის სამეფო კარის წარმომადგენლებისთვის ერთად მოეყარა თავი და ყველა გაენადგურებინა, შემდეგ კი კახეთის ფეოდალებსაც შემოესეოდა ცეცხლითა და მახვილით. თეიმურაზი და ლუარსაბ II გაერთიანდნენ და მტრის დასახვედრად მოემზადნენ.

როდესაც თეიმურაზი შაჰის კარზე არ გამოცხადდა, სპარსელი მბრძანებელი კახეთის დასალაშქრავად გაემზადა, ქეთევანი და მისი შვილიშვილები შირაზს გაგზავნა, თვითონ კი საქართველოსკენ გამოემართა. მტერმა ააოხრა სამეფო კარი, აწიოკა მოსახლეობა და დაარბია ეკლესია-მონასტრები. კახეთი ერთიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული. 3 ათასზე მეტი ქართველი წაიყვანეს ტყვედ სპარსეთში, გაუდაბურებულ ქართლ-კახეთში კი, ულუსები ჩამოასახლეს. მეფე თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთის მეფეს შეეხიზნნენ.

შაჰს ქეთევან დედოფალი და მისი შვილიშვილები შირაზიდან არ დაუბრუნებია. 5 წლის შემდეგ დედოფალს ლევანი და ალექსანდრე ჩამოაშორა, ისპაჰანში წააყვანინა და მისი ბრძანებით, ორივე დაასაჭურისეს. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ლევანი კი, ჭკუიდან შეიშალა. ქეთევანი, კვლავ ტყვეობაში იმყოფებოდა, შირაზის მმართველის მაჰმადიანი ქართველის — იმამ-ყულიხან უნდილაძის სასახლეში. იგი დიდი პატივით ეპყრობოდა დედოფალს, მისი ბრძანებით, ქეთევანისთვის არ გაუმხელიათ, თუ რა საშინელი ბედი ეწიათ თეიმურაზის ვაჟებს.

ქეთევანი 10 წელი იმყოფებოდა „საპატიო“ ტყვეობაში. ამ ხნის მანძილზე არ შეუწყვეტია მარხვა და ლოცვა, კვლავ უფალ იესო ქრისტეს სასოებდა და უხმობდა შემწედ. შაჰ-აბასმა განიზრახა, ქეთევან დედოფლისთვის რჯული გამოეცვლევინებინა, ცოლობასაც სთხოვდა. ეს იმ დღეს მოხდა, როდესაც დედოფლმა შვილიშვილების მწარე ხვედრის შესახებ შეიტყო. უსაზღვრო ზიზღმა შესძრა შაჰის მიმართ, მგლოვიარე ქეთევანი: არავინ გამიბედოს ესოდენ მკრეხელური სიტყვებიო, ბრძანა გულზიზღიანად. ქეთევანის პასუხით დამცირებულმა შაჰმა გადაწყვიტა, შური ეძია ქალზე, მოციქული გაგზავნა იმამ-ყულიხანთან, შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს ნურას აწყენ, თუ არა, აწამე და სასჯელით მოჰკალი“. შირაზის ხანს თავზარი დასცა შაჰის ბრძანებამ, იცოდა, რომ არასგზით არ განუდგებოდა ქრისტიანულ რჯულს ქეთევანი: „ბერი დედაკაცია და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილია მისი სიკვდილი — შეუთვალა მოციქულის პირით. განრისხებულმა შაჰმა შირაზის ხანს მისი ბრძანების სასწრაფოდ აღსრულება მოსთხოვა. იმამ-ყული-ხანმა ქეთევანი იხმო და შეევედრა, სხვათა დასანახადავად მაინც აღიარე მაჰმადიანთა რჯული, გულში კი კვლავ ქრისტიანად დარჩიო. დედოფალმა მტკიცე უარი განაცხადა და წამებისთვის გაემზადა. ილოცა, უფალს შეავედრა შვილი და ქვეყანა, წმინდა ზიარება მიიღო და ჯალათების წინაშე წარდგა.

ქეთევანი ხალხით სავსე მოედანზე გაიყვანეს და ცეცხლის პირას დააყენეს. სპარსელებმა სპილენძის ქვაბები დადგეს ცეცხლზე და შანთები შემოაწყვეს გასახურებლად. ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ურჯულოებმა საქართველოს მნათობი — თავზე გახურებული ქვაბი დაამხვეს, დაცემული კი გავარვარებულ ლურსმნებზე დააწვინეს. სამოსი შემოაგლიჯეს და მკერდზე გავარვარებული ბარი დაუსვეს. მკერდი მოაგლიჯეს; შემდეგ ზურგში გახურებული შამფურები გაუყარეს. ფრჩხილები სათითაოდ დააძვრეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზემოდანაც ლურმნიანი ფიცარი დააჭედეს. ბოლოს, გახურებული ბარით გაუჩეხეს შუბლი. ერთი კვნესაც არ აღმოხდენია ქეთევანს, ჩუმად ლოცულობდა, მხოლოდ ორი სიტყვა აღმოხდა უკანასკნელად დიდმოწამის ბაგეს — „საქართველო“ და „შვილო“.

ქეთევან დედოფლის ნაგვემი და ნაწილებად ქცეული წმინდა სხეული ჯალათებმა საჯიჯგნად ნადირებს მიუგდეს. ღამით მის გვამს 3 ბრწყინვალე სვეტი დაადგა. ამ ყველაფრის მხილველმა ქრისტიანებმა მოწამის სხეული უჩუმრად წაასვენეს და მიწაში ჩაფლეს. ცოტა ხნის შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სიწმინდეს ავგუსტინელმა ბერმა დოს ანჟოსმა მიაკვლია. სხეულის რამდენიმე ნაწილი ქეთევანის ვაჟს, თეიმურაზს მიართვა, ნაწილი კი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და დაგრის მონასტერში დაკრძალეს.

ხატი, რომლის წინაშეც წმინდა დიდმოწამე ქეთევანი ლოცულობდა

სპარსეთში მიმავალმა ქეთევანმა თან წაიღო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიისად წოდებული ხატი. დედოფალი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ლოცულობდა სასწაულმოქმედი ხატის წინაშე. შემდეგ, ღვთისმშობლის ხატი შაჰ-აბასს მიუთვისებია. იმ წელიწადს სპარსეთს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს, უსჯულოთა ხელში წმინდა ხატის მოხვედრის გამო. შაჰ-აბასს ურჩიეს, რომ სიწმინდე საქართველოში დაებრუნებინა და ის ასეც მოიქცა — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ახტი თეიმურაზს ჩამოუტანეს. მაგრამ მალევე, შაჰ-აბასის ლაშქრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ეკლესია-მონასტრებიც დაარბიეს და სხვა სიწმინდეებთან ერთად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიისად წოდებული ხატი კვლავ გაიტაცეს. იგი შაჰ-აბასს შეუცნია და იმის შიშით, რომ ახალი განსაცდელი არ დასტყომოდა თავს სპარსეთს, სიწმინდე რუსი ვაჭრისთვის მიუყიდია, რომელსაც ნოვგოროდში ჩაუტანია და ერთ-ერთი მთავრისთვის მიუძღვნია საჩუქრად. მას კი, შავი მთის მონასტრისთვის შეუწირავს. სასწაულმოქმედი ხატი რუსეთში მოღვაწე ბერებმა ვერცხლის პერანგით შეამკეს. XIX საუკუნის 70-იან წლებში სიწმინდე რუსეთის ერთ-ერთ ლავრაში აღმოჩნდა, საიდანაც გაურკვეველ ვითარებაში უკვალოდ გაქრა... რამდენიმე ხნის შემდეგ, ხატი ირლანდიის სამეფო ოჯახში მოხვედრილა, საიდანაც საფრანგეთის ერთ-ერთ ოჯახს რგებია მემკვიდრეობით. ხატს შემთხვევით მიაკვლია ავჭალის დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მამა გიორგი რაზმაძემ და მისი საქართველოში დაბრუნება მოახერხა. ■



თეთრი სიკვდილი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-37

პოლიციელებთან შეხლა-შემოხლისას, ახალგაზრდა ბიჭი ზაზა გორგაძე დაიღუპა. მის დაკავებას შეესწრო მეგობარი — გიო ჭელიძე, რომელიც ხვდება, რომ ზაზა სამართალდამცველებს შემოაკვდათ. პოლიცია ზაზას ძმას, ვახტანგსაც აკავებს, შემდეგ კი, მკვლელი — მერაბ მესხი გიო ჭელიძეს აფრთხილებს: ყველაფერი დაივიწყე და მშვიდად იცხოვრებო...

ზაზას გვამი გამთენიისას ნაგავსაყრელზე, ცარიელი ბოთლების მოსაგროვებლად მისულმა მაწანწალამ აღმოაჩინა. თავიდან მან ნაგვის გროვებს შორის გამავალ გზაზე მიტოვებული ავტომობილი შენიშნა. კარებგაღებული მანქანის ხილვა, რომლის სიახლოვესაც მფლობელი არ ჩანდა, მაწანწალას ეუცნაურა. უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი ნაგავსაყრელიდან ორიოდე კილომეტრით იყო დაშორებული და იქ მოხვედრას ადგილობრივი მცხოვრებლებიც ერიდებოდნენ.

ერთხანს მაწანწალამ უკან გაბრუნებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ მისი ნაცნობი უსახლკარო სწორედ ასე გადააწყდა მიტოვებულ მანქანას; ავტომობილი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ მძარცველებს ყველაფერი არ წაეღოთ და მისი ზოგიერთი ნაწილი იმ უსახლკაროს ერგო.

ამ შემთხვევის გახსენებამ, უმალ იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე და საშოვარს დახარბებული მაწანწალა ფრთხილად დაიძრა მიტოვებული ავტომობილისკენ. მალე ის მანქანის სიახლოვეს აღმოჩნდა. სწორედ მაშინ შენიშნა, რომ მანქანა გაძარცული არ იყო. მაწანწალამ მიმოიხედა. დარწმუნდა, რომ მის სიახლოვეს არავინ იმყოფებოდა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაოგნებული შედგა: ავტომობილის მეორე მხარეს წყლით სავსე გუბეში სახით ჩამხობილი ახალგაზრდა მამაკაცი იწვა. მაწანწალა მიხვდა, რომ ის ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო: კაცი სრულიად უძრავად იწვა. შეშინებული მაწანწალა უმალ შებრუნდა და საპირისპირო მხარეს გაქანდა. რამდენიმე წუთში მან უბნის განაპირას მდებარე სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან მიირბინა და ყვირილი მორთო.

— იქ... იქ... — მაწანწალა ქოშინებდა და ნაგავსაყრელისკენ იშვერდა ხელს.

— რა მოხდა? — გაჩერებაზე მყოფი მოქალაქეები გარს შემოეხვივნენ მაწანწალას.

— იქ მკვდარი ბიჭია!.. — როგორც იქნა ამოღერღა მაწანწალამ.

— სად? — აღელდნენ მოქალაქეები.

— ნაგავსაყრელზე... — უპასუხა მაწანწალამ.

— „ბომჟი“? — ჩაეძიენ მოქალაქეები.

— არა... „ბომჟი“ არ არის. კარგად აცვია და იქვე მანქანაც დგას. ალბათ მისია... — დააზუსტა მაწანწალამ.

— წამოდით, ვნახოთ... — გამოცოცხლდა ერთ-ერთი მამაკაცი. — იქნებ, ცოცხალია.

მის მოწოდებას რამდენიმე იქ მყოფი გამოეხმაურა და ორიოდ წამში ოთხკაციანი ჯგუფი მაწანწალის მიერ მითითებული მიმართულებით დაიძრა.

მამაკაცებმა, რომლებიც იქვე ცხოვრობდნენ, თვალის შევლებისთანავე ამოიცნეს ნაგავსაყრელზე მიტოვებული მანქანა და ახალგაზრდა მამაკაცის გვამი.

— ზაზაა... — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა მათგანმა და გვამის გვერდით ჩაიმუხლა.

— პოლიციას უნდა შევატყობინოთ, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარა მეორემ და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ პოლიციისთვის უკვე ცნობილი იყო მომხდარის შესახებ. ამაზე სამარშრუტო ტაქსის გაჩერებაზე დარჩენილ ქალებს ეზრუნათ და სამართალდამცველებისთვის ეცნობებინათ ნაგავსაყრელზე აღმოჩენილი ახალგაზრდა მამაკაცის გვამის თაობაზე.

— გვამს ხელი არ ახლოთ. მის სიახლოვეს დარჩით და შემთხვევის ადგილას არავინ მიუშვათ. ჩვენ უკვე გამოვედით!.. — ბრძანეს პოლიციელებმა.

ათიოდე წუთის შემდეგ, ნაგავსაყრელს პოლიციის რამდენიმე მანქანა მოადგა. სამართალდამცველები სწრაფად გადმოვიდნენ მანქანებიდან და შემთხვევის ადგილს მიაშურეს. მაშინვე დაიწყო თვითმხილველთა დაკითხვა. მაგრამ მამაკაცებმა პოლიციელებს მნიშვნელოვანი ვერაფერი აცნობეს. ისინი ერთხმად იმეორებდნენ, რომ მომხდარის შესახებ ვიღაც მაწანწალისგან შეიტყვეს, რომელმაც მოგვიანებით, არეულობით ისარგებლა და მიიმალა.

ამასობაში კი, ცნობა ზაზას დაღუპვის შესახებ უბანსაც მოედო და შემთხვევის ადგილზე ღამის მთელმა უბანმა მოიყარა თავი. მოგვიანებით, ნაგავსაყრელზე ზაზას ოჯახის წევრებიც გამოჩნდნენ. მაგრამ პოლიციის წარმომადგენლებზე ვერ იმოქმედა შვილის დაღუპვით გულმოკლული დედის მოთქმამ — მათ მჭიდრო ალყაში ჰქონდათ მოქცეული შემთხვევის ადგილი და გარდაცვლილის სიახლოვეს არავის უშვებდნენ.

საგამოძიებო ჯგუფს დასრულებული არ ჰქონდა გვამის დათვალიერება, როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსი მირიან სოსელია მივიდა. მან უკმაყოფილო მზერით შეათვალიერა ნაგავსაყრელზე თავმოყრილი მოქალაქეები, შემდეგ, ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს მიუბრუნდა და ჰკითხა.

— მესხი სად არის?

— მანქანაში ზის, — უპასუხა ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა.

— მანქანაში ზის?! — გაიკვირვა სოსელიამ. — ახლავე დაუძახე!..

ჯგუფის ხელმძღვანელმა უხმოდ დაუქნია თავი და განკარგულების შესასრულებლად გაეშურა.

მესხი აუჩქარებლად გადმოვიდა მანქანიდან და სოსელიასთან მივიდა.

— ასე მუშაობ?! — განრისხებული სახით შეეგება მირიანი ხელქვეითს.

— მთელი ღამის უძინარი ვარ... დავიღალე, — მიუგო მესხმა. — ბიჭები უჩემოდაც გაართმევენ თავს. ისედაც ყველაფერი ნათელია...

— რა არის ნათელი? — ისევ მკაცრად ჰკითხა მირიანმა.

— ყველაფერი, — მშვიდად გაიმეორა მესხმა.

— მაინც? — არ მოეშვა მირიანი. — მოკლულის ვინაობა მაინც თუ დაადგინე?

— რაა დასადგენი?.. — მხრები აიჩეჩა მესხმა. — მთელმა უბანმა ამოიცნო — ზაზა გორგაძეა...

— ის თუ გაარკვიე, როგორ დაიღუპა?

— გავარკვიე.

— როგორ? — გამოკითხვა განაგრძო მირიანმა.

— მკერდში მიყენებული ჭრილობით...

მირიანი რამდენიმე წამი დაჯინებული შესცქეროდა სახეში ხელქვეითს. შემდეგ უბრძანა — გამომყევიო, და საპირისპირო მხარეს დაიძრა.

— რა ხდება, მერაბ?! — ბრაზიანი ხმით განაგრძო მირიანმა, როდესაც ის და მესხი საკმაო მანძილით დაშორდნენ შემთხვევის ადგილის შესწავლით გართულ თანამშრომლებს.

— რატომ ბრაზობ, მირიან? — შემრიგებლური ტონით წამოიწყო მერაბმა. — რა გახდა ერთი მორფინისტის მკვლელობა?! თავისნაირი ახვარი

მოულებდა ბოლოს...

— ჩვენ რიგით ქურდობაზე არ ვლაპარაკობთ! — ცივად მოუჭრა მირიანმა.

— თუნდაც მკვლელობა იყოს. საქმე გაუსნელი არ დარჩება...

— არა, მე სხვა რამე მაღელვებს! — თავი გააქნია მირიანმა.

— რა? — მოჩვენებითი სიმშვიდით ჰკითხა მესხმა.

— ის, რომ მე თვითონ დაგავალე გორგაძის მოძებნა... — კბილები გააღრჭიალა მირიანმა.

— ჰოდა, მოვძებნე კიდეც... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უთხრა მესხმა.

— მერე?..

მესხმა დუმილით უპასუხა.

— მე რა დაგავალე?.. მისი მოძებნა თუ?.. რა მოხდა აქ?! — ბრაზიანად განაგრძო მირიანმა. — რატომ და როგორ დაიღუპა გორგაძე?

— ეს შემთხვევითობაა, მირიან, — მზერა აარიდა მესხმა.

— როგორ დაიღუპა?

— უზრდელობა დაიწყო. ერთი წამოვარტყი. ის კიდევ წაიქცა და რკინის სოლს წამოეგო...

— მაშინვე დაუღუპა?

— არა... მერწმუნე, მირიან, მართლა მინდოდა მისი გადარჩენა. მანქანაში ჩავსვით, რომ საავადმყოფოში წაგვეყვანა, მაგრამ რამდენიმე წუთში მოკვდა.

— მერე რა მოიმოქმედე? — მორიგი კითხვა დასვა მირიანმა.

— რა უნდა მექნა?.. მაგის მკვლელობას ხომ ვერ შევიტენიდი!..

— გასაგებია, — ყრუდ ჩაილაპარაკა მირიანმა. — ვინ შეესწრო ამ ამბავს?

— ჩემი ხალხი...

— კიდევ? — მზერა გაუსწორა მირიანმა.

— ქარუმა...

— ის არაფერს გააბაზრებს... ესე იგი, აქ მხოლოდ ჩვენი ხალხი იყო?..



— ჰო, — დაუდასტურა მერაბმა.

— საქმის გახსნას როგორ აპირებ?

— გამოჩნდება ვინმე. ასეთი „ტრუპით“ სასამართლო მაგრად არ „დაგრუზავს“, ცოტას მეც წავეხმარები და... — აღარ დაასრულა მერაბმა.

— იცოდე, გაფრთხილებ, მერაბ: ამ საქმეს რაიმე კუდი რომ მოჰყვეს, საკუთარი თავით გაგებინებ პასუხს!.. — მუქარით უთხრა მირიანმა.

— ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ და ქარუმასაც მე... — წამოიწყო მერაბმა, მაგრამ ვიდრე დაასრულებდა, მათ სიახლოვეს საშინელი ხმაური ატყდა.

— რა მოხდა? — ჩაილაპარაკა მირიანმა და სწრაფად შებრუნდა შემთხვევის ადგილისკენ. მაგრამ რა ხდებოდა იქ, მისთვის გაურკვეველი დარჩა. ერთადერთი ის შენიშნა, თუ როგორ ჩაჰფრენოდა გორგაძის დედა 17-18 წლის ახალგაზრდა ბიჭს და განწირული ხმით ყვიროდა.

— შენ!.. ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე!.. შენ წაიყვანე ზაზა სახლიდან, მერე კი ვახოსაც მოაკითხე!.. შენ დაღუპე ჩემი ზაზა!.. სად არის ვახო?.. სად არის მეთქი, შე ავაზაკო?!. — ცივი ხმით გაჰკიოდა ქალი და ამასთან ერთად, ახალგაზრდისკენ თავგამოდებით მიიწევდა.

მირიანმა, რომელმაც უმალ დაასკვნა, რომ დავა უშუალოდ გორგაძის დაღუპვას უკავშირდებოდა, მერაბს ზურგი შეაქცია და მოდავეებისკენ დაიძრა. მერაბი უკან მიჰყვა სამმართველოს უფროსს. ამასობაში, დავაში პოლიციის თანამშრომლებიც ჩაერივნენ, მაგრამ გორგაძის დედის დამშვიდება მაინც ვერ მოხერხდა. ქალი ისევ კიოდა და ახალგაზრდის მოხელეთებას ლამობდა.

— დააკავეთ! — უბრძანა მირიანმა მოდავეებთან მიახლოვებისთანავე თანამშრომლებს და ახალგაზრდა ბიჭზე მიუთითა.

პოლიციელებმა სწრაფად შეასრულეს მისი ბრძანება — ახალგაზრდა შებოჭეს და ალყაში მოაქციეს.

— რაში ადანაშაულებთ ამ ახალგაზრდას? — მიუბრუნდა მირიანი გორგაძის ოჯახის წევრებს.

— საღამოს მან მოაკითხა ზაზას. შემდეგ კი, ვახოსაც მოაკითხა და სადღაც წაიყვანა, — უპასუხეს მათ.

— ვინ არის ვახო? — დაინტერესდა მირიანი.

— გარდაცვლილის ძმა, — ხმადაბლა ჩაურთო მერაბმა.

— რა იცი მის შესახებ? — შემობრუნდა მირიანი.

— ის დაკავებულია, — ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა მერაბმა.

— რა თქვი?! — დაიბნა მირიანი.

— დაკავებულია, — ისევ ხმადაბლა გაიმეორა მერაბმა, მაგრამ მისი ხმა მაინც მისწვდა მათ ირგვლივ თავმოყრილ, ზაზასა და ვახოს ახლობლებს.

— დაკავებულია?! რატომ, რისთვის? ვინ დააკავა?! — უმალ გაისმა მათი აღშფოთებული ხმები.

— დაკავებულია და ქალაქის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება!.. — ხმას აუწია მერაბმა.

— რისთვის?! — ასევე ხმას აუწიეს მისი ოჯახის წევრებმა.

— რა ბრალდებით? — მირიანმა კუშტად შეხედა ხელქვეითს.

— ნარკოტიკის შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით, — მიუგო მერაბმა.

— ტყუის!.. — გიოს თავგამოდებულმა ყვირილმა ყველა იქ მყოფის ხმა გადაფარა. იმავე წამს მან ძლიერად გაიბრძოლა, პოლიციელებს ხელიდან დაუსხლტა და მესხს ყელში სწვდა: — ტყუი, ნაბიჭვარო!.. შენ თვითონ აიყვანე ვახო და წამალი ჩაუდე!.. მეც იმავეთი მემუქრებოდი!.. გესმით, ხალხო!.. მე ყველაფერი ვიცი და რაიმის დამალვას არ ვაპირებ!.. ჩვენ ერთად ვიყავით, როცა ამან და მისმა ხალხმა ზაზა აიყვანა. ამიტომ მივედი ვახოსთან. მივედი, რომ ზაზას აყვანის შესახებ მეთქვა. მერე ჩვენ ერთად მივედით პოლიციაში. ვახომ გარეთ დამტოვა, თვითონ კი...

— გიომ გაგრძელება ვეღარ მოასწრო: პოლიციის თანამშრომლებმა სწრაფად ამოუგრიხეს მკლავები და უახლოესი მანქანისკენ გააქანეს.

გიოს მოულოდნელმა დაკავებამ იქ მყოფი, ზაზასა და ვახოს ახლობლების აღშფოთება გამოიწვია.

— თავი გაანებეთ ბიჭს! დააცადეთ, ბოლომდე თქვას სათქმელი!.. — გაისმა მათი ყვირილი. რამდენიმე მათგანი კი, იმ მანქანისკენაც გაქანდა, რომელშიც ბიჭი ჩასვეს.

მაგრამ პოლიციელები ბევრად სწრაფად მოქმედებდნენ. ისინი აქეთ-იქიდან მიუსხდნენ უკანა სავარძელზე მყოფ გიოს, მანქანაც უმალ დაიძრა ადგილიდან და ნაგავსაყრელს გაშორდა.

— ეს არის შენი პირობა?! — მირიანმა საერთო არეულობით ისარგებლა, მერაბი ხელის კვრით მოაშორა თანამშრომლებს და გააფთრებულმა შეუტია.

— საიდან იცის ეს ყველაფერი ამ ლაწირაკმა?!

— ის გუშინ გორგაძესთან ერთად იმყოფებოდა, — ძლივს ამოღერღა მესხმა.

— რომელ გორგაძესთან? — დაიბნა მირიანი.

— ჯერ ერთთან, შემდეგ — მეორესთან...

— შენ ხომ მითხარი, რომ ამ ამბავს, ქარუმასა და ჩვენი ხალხის გარდა, არავინ შესწრებია!.. — ავად გამოცრა მირიანმა.

— მე გუშინვე მოვეთათბირე მაგ ნაბიჭვარს: პირობა მომცა, რომ ყველაფერს „დაივიწყებდა"...

— პირობა... სხვათა შორის, შენც მომეცი პირობა, რომ ამ საქმის მოგვარებას საკუთარ თავზე აიღებდი!..

— მე ყველაფერს მოვაგვარებ, მირიან... — სწრაფად უპასუხა მერაბმა.

— ჰოდა, მოაგვარე!.. რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ ეს საქმე მოაგვარე და იცოდე, რომ შენ თუ არა, მე მაინც შევასრულებ პირობას და ამ საქმეს სერიოზული გართულებები რომ მოჰყვეს, გორგაძის ადგილს შენ დაიკავებ საკანში!.. — მუქარით დაასრულა მირიანმა და თავისი მანქანისკენ შებრუნდა.

ადვოკატი კოტე შიოშვილი, რომელიც პოლიციის სამმართველოში მისვლისას გიოს ადვოკატად გაეცნო რეზოს, ასაკით ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა. ის თავად გაეცნო, როდესაც რეზო სამორიგეო ნაწილში ძმის ადგილსამყოფლის გარკვევას ცდილობდა.

— თქვენ გაინტერესებთ გიორგი ჭელიძის საქმე? — ჰკითხა სწრაფი ნაბიჯით მიახლოებულმა ჭაღარა მამაკაცმა, რომელსაც ხელში საქაღალდე ეჭირა.

— დიახ, — რეზომ დაძაბული მზერა მიაპყრო უცნობს.

— მე მისი ადვოკატი ვარ, — მამაკაცმა ხელი გაუწოდა რეზოს, — კოტე შიოშვილი...

— ვინ დაუნიშნა გიოს ადვოკატი? — ჰკითხა რეზომ. — ის ხომ მხოლოდ ერთი საათის წინ დააკავეს!..

— დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ ენიშნება ადვოკატი. ასეთია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნა, — იურიდიული ტერმინოლოგია მოიშველია შიოშვილმა, — ამაზე თქვენმა ძმამაც განაცხადა თანხმობა.

— კი, მაგრამ რაში უნდა დასჭირვებოდა გიოს ადვოკატი? მისი დაკავება ხომ მხოლოდ გაუგებრობაა, — მხრები აიჩეჩა რეზომ.

— თქვენი ძმის დაკავება გაუგებრობა გგონიათ?.. — გაოცებული მზერა მიაპყრო ადვოკატმა.

— მთლად მასეც არ არის საქმე. მაგრამ მას განსაკუთრებული არაფერი დაუშავებია. მან მხოლოდ შეურაცხყოფა მიაყენა მესხს. რას ითვალისწინებს ასეთი დანაშაულისთვის კოდექსი? — ჰკითხა რეზომ.

— ნაგავსაყრელზე მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ? — კითხვა შეაგება ადვოკატმა.

— დიახ, — დაუდასტურა რეზომ.

— ამ შემთხვევაში, მხოლოდ შეურაცხყოფასთან არა გვაქვს საქმე, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ადვოკატმა. — საქმე უფრო რთულადაა...

— ჩემს ძმას რაიმე სხვა ბრალდება წაუყენეს? — გაუკვირდა რეზოს.

— ჯერჯერობით მისთვის ბრალდება არ წაუყენებიათ. მაგრამ დაკითხვისას მან მერაბ მესხს, ზაზა და ვახტანგ გორგაძეების უკანონო დაკავებაში დასდო ბრალი. ამ ბრალდებების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მას ცრუჩვენების მიცემისთვის წაუყენებენ ბრალს. მაგრამ ეს უბედურების მხოლოდ ნახევარია. საქმე ისაა, რომ თქვენი ძმა



მესხს, ზაზა გორგაძის მკვლელობასა და მის დაშანტაჟებაში ადანაშაულებს. ეს კი უფრო მეტად ამძიმებს მის მდგომარეობას!..

— კარგი... კარგი... მე არაფერი მესმის ამ ბრალდებებისა, — ხელი აიქნია რეზომ, — ჯობს, ის მითხრათ, რა მოვიმოქმედო ჩემი ძმის დასახმარებლად.

— ისე, თქვენი ძმა საოცრად ჯიუტი ყმაწვილია... — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ადვოკატმა.

— მაინც რაში გამოიხატება მისი სიჯიუტე?

— მე უკვე მქონდა მასთან პირისპირ საუბრის შესაძლებლობა, მაგრამ ვერაფერით დავითანხმე, რომ უარი ეთქვა ჩვენებაზე. ჩემთან საუბრის შემდეგაც, ის ჯიუტად გაიძახოდა, რომ ზაზა გორგაძეს პოლიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს და მოკლეს!..

— მოკვლაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ზაზა მართლაც მესხმა დააპატიმერა.

— საიდან იცით ამის შესახებ? — გაუკვირდა შიოშვილს.

— ჩემმა ძმამ მითხრა.

— შეძლებთ ამის დადასტურებას?

— როგორ? — მხრები აიჩეჩა რეზომ.

— ხედავთ, რაშია საქმე? თქვენი ძმაც იმავე მდგომარეობაში იმყოფება. მე გულწრფელად მჯერა, რომ ის არ ტყუის, მაგრამ ყოველი განცხადება, რომელიც ძიებისა და სასამართლოს გზით არ დადასტურდება, უბრალოდ ტყუილია, ტყუილი, რომლისთვისაც თქვენს ძმას პასუხისმგებლობას დააკისრებენ!..

— ჩემი ძმა არ ტყუის! — ბრაზი მოერია რეზოს.

— და კიდევ ერთი, — შეუვალი ტონით განაგრძო ადვოკატმა. — ეს პირადად თქვენ გეხებათ. პირს, რომელიც უშუალოდ არ შესწრებია რაიმე მოვლენას, მოწმეობა არ შეუძლია — ანუ თქვენ ვერ დაადასტურებთ იმას, რაც საკუთარი თვალით არ გინახავთ.

— მაშინ როგორ მოვიქცე? — ჩაფიქრდა რეზო. — რით დავეხმარო ძმას?

— გამოსავალი არსებობს.

— მერე რაშია ეს გამოსავალი? — სწრაფად ჰკითხა რეზომ.

— გიორგიმ უნდა უარყოს ჩვენება...

— მაგრამ ზაზა ხომ მართლაც მესხმა დააკავა!.. — არ დაასრულებინა რეზომ.

— შესაძლოა, მაგრამ ნუ დავასწრებთ მოვლენებს. ზაზა გორგაძის დაღუპვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დავაცადოთ ძიებას, რომელიც ყველა კითხვას გასცემს პასუხს. ამ ეტაპზე კი, ჩვენი ამოცანა, გიორგის შინ დაბრუნებაა. რამე ხომ არ გაქვთ ამის საწინააღმდეგო?..

— არა, რას ამბობთ?!

— ვხუმრობ, — ღიმილი მოიშველია ადვოკატმა, — რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვსურს მისი რაც შეიძლება მალე გათავისუფლება. დამეხმარებით ამაში?

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია რეზომ.

— ამისთვის კი, ასე უნდა მოვიქცეთ: თქვენ აქ დამელოდეთ, მე კიდევ ერთხელ შევხდები მეხს და მისი თანხმობის

მიღებას შევეცდები...

— რაში უნდა დაგეთანხმოთ მესხი? — ჰკითხა რეზომ.

— ჩვენება მანამ უნდა შეიცვალოს, ვიდრე ის ზედამხედველ პროკურორთან მოხვდება. ეს, მესხის თანხმობის გარეშე არ მოხდება. სხვათა შორის, ეს მის ინტერესებშიც შედის. ამიტომაც, არა ვგონია, რომ ცივი უარით გამომისტუმროს. მთავარია, თქვენი ძმა დავითანხმოთ ჩვენების შეცვლაზე.

— მე რომ მომცენ მასთან შეხვედრის საშუალება... — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა რეზომ.

— ოფიციალურად, ეს დაუშვებელია, მაგრამ არსებულ ვითარებაში... — ადვოკატმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — ვგონებ, შევძლებ მესხის დათანახმებას, ოღონდ, ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს!..

— რა თქმა უნდა! — უმალ დაეთანხმა რეზო.

— კეთილი. აქ დამელოდეთ, მე ყველაფერს გავარკვევ და დავბრუნდები, — დაასრულა ადვოკატმა და წასასვლელად შებრუნდა.

ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, შიოშვილი უკან მობრუნდა და რეზოს ჰკითხა:

— მართლა, კინაღამ გამომრჩა: რა იცის დედათქვენმა გიორგის დაკავების შესახებ?

— დაკავების შესახებ არაფერი იცის. არ მინდოდა, მისი შეშინება და ვუთხარი, რომ ზაზას დაღუპვასთან დაკავშირებით, პოლიციაში დაკითხვაზე დიბარეს, — უპასუხა რეზომ.

— სწორად მოქცეულხართ, — გადაწყვეტილება მოუწონა ადვოკატმა. — ახლა მისი აღელვება მხოლოდ ხელს შეგვიშლის... ესე იგი, მან არაფერი იცის გიორგის დაკავების თაობაზე, არა?..

— არაფერი, — სწრაფად დაუდასტურა რეზომ.

— კარგია, ძალიან კარგი... მაშინ, დაუკავშირდით და აცნობეთ, რომ გიორგი მალე დაბრუნდება შინ და ამასთან ერთად, აუხსენით, რომ მე მისი ადვოკატი ვარ. ჩემი სახელი და გვარი ხომ გახსოვთ?..

— მახსოვს... მაგრამ რა საჭიროა ადვოკატის ხსენება? ამან შეიძლება, მართლაც შეაშფოთოს, — შეყოყმანდა რეზო.

— პირიქით, სწორედ ეს დაამშვიდებს... და ამასთან ერთად, უთხარით, რომ ერთ საათში, ორივე შინ დაბრუნდებით.

— ასე მალე?!. — უნებლიეთ წამოსდა რეზოს.

— რა თქმა უნდა. მესხისნაირებისთვის დამიხერხია რქები?!. — ადვოკატმა რეზოს ღიმილით ჩაუკრა თვალი და სამმართველოს კარში გაუჩინარდა.

რეზოსთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნელიმ ოდნავი შვება იგრძნო. მისთვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ გიო დაკითხვაზე იმყოფებოდა პოლიციაში და რომ დაკითხვა, ზაზას საიდუმლოებით მოცულ დაღუპვას უკავშირდებოდა. ერთი შეხედვით, ამაში არაფერი იყო უცნაური და მით უმეტეს — საგანგაშო. მაგრამ ნელი მაინც ღელავდა. ღელავდა, რადგანაც გრძნობდა, რომ რეზო მას უფრთხილდებოდა და ყველაფერს არ ეუბნებოდა. თუმცა, მასთან საუბარმა მაინც დაამშვიდა: რეზომ ხომ გარკვევით უთხრა, რომ გიოს დაკითხვას საუკეთესო ადვოკატი, კოტე შიოშვილი ესწრებოდა და რომ ისინი დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდებოდნენ შინ.

რეზოს მიერ დათქმული ერთი საათი გასული არ იყო, როდესაც ბინაში ზარის ხმა გაისმა.

— დაბრუნდნენ! — შვებით ამოისუნთქა ნელიმ და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა კარს. მაგრამ მისდა გასაოცრად, სრულიად უცნობი ადამიანები შერჩნენ ხელში.

— ვინ ბრძანდებით? — დაუპატიჟებელი სტუმრების ხილვაზე, ნელიმ შიშით დაიხია დერეფნის სიღრმეში.

— მე ამ რაიონის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელი, მერაბ მესხი ვარ, — უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა.

— რა გნებავთ? — მეორე კითხვა დაუსვა შეშინებულმა ქალმა.

— ეს თქვენი ბინის ჩხრეკის ორდერია, — მესხმა ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

ნელიმ მექანიკურად ჩამოართვა ფურცელი, მაგრამ თვალები ისე ასჭრელებოდა, რომ მისი წაკითხვა ვერ შეძლო.

— ნუ ღელავთ, ქალბატონო, — საუბარში ჭაღარათმიანი მამაკაცი ჩაერთო, — მე კოტე შიოშვილი ვარ, თქვენი ვაჟის, გიორგის ადვოკატი... რეზო გესაუბრათ ჩემ შესახებ.

— დიახ, — ნელიმ სწრაფად აღიდგინა რეზოს მიერ ნახსენები სახელი და გვარი.

— ახლავე აგიხსნით, რაშიც არის საქმე, — აჩქარდა ადვოკატი, — ასეთ შემთხვევაში, ჩხრეკა სტანდარტული პროცედურაა.

— რომელ შემთხვევაში? — ჩაეძია ნელი.

— თქვენთვის ცნობილია ზაზა გორგაძის დაღუპვის შესახებ?

— დიახ, — დაუდასტურა ნელიმ.

— მისი ძმის დაკავების შესახებ?

— არა... — გაიკვირვა ნელიმ. — რატომ დააკავეს ვახტანგი?

— ის ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-რეალიზაციაშია ეჭვმიტანილი.

— მესმის, მაგრამ რისთვის უნდა გაჩხრიკონ ჩვენი ბინა?! — დაიძაბა ნელი.

— ამას მე აგიხსნით, — საუბარში მესხი ჩაერია, — თქვენს ვაჟს ხშირად ხედავდნენ გორგაძეებთან ერთად. გუშინ ღამითაც ისინი ერთად იყვნენ. თქვენთვის ცნობილია ამის შესახებ?

— დიახ, — უხალისოდ დაეთანხმა ნელი.

— ამიტომაც, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ თქვენი ვაჟი შინ ინახავდეს ნარკოტიკულ საშუალებებს, — განაგრძო მესხმა, — ყველაფერი გასაგებია?

— დიახ, — ჩაილაპარაკა ღონემიხდილმა ნელიმ.

— შეიძლება, ბინაში შემოვიდეთ? — ჰკითხა მესხმა.

ნელის თანხმობის მიცემა სურდა, მაგრამ შიოშვილმა არ დააცადა:

— არა! ბინაში ვერ შეხვალთ!.. — ოფიციალური ტონით უთხრა მან, პოლიციელებს გზა გადაუღობა და ამასთან ერთად, ნელის მიმართა: — ქალბატონო ნელი, მათ არა აქვთ, მოწმეების გარეშე ბინის გაჩხრეკის უფლება. თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, ვინ გსურთ დაასწროთ ჩხრეკას და მოიწვიეთ. ჩვენ დაგელოდებით.

— მეზობლების მოწვევა შემიძლია? — იკითხა ნელიმ.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ადვოკატმა.

— ახლავე, — ჩაილაპარაკა ნელიმ და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე.

ათიოდე წუთის შემდეგ, მესხი და მისი ხალხი, ადვოკატისა და ნელის მიერ მოწვეული მოწმეების თანდასწრებით, ჩხრეკას შეუდგნენ. პოლიციელებმა ბინის ყველა ოთახი და სათავსო შემოიარეს და ბოლოს, გიოს ოთახს მიადგნენ. ნელი იმედოვნებდა, რომ უსიამოვნო პროცედურა რამდენიმე წუთში დასრულდებოდა და სწორედ ამ დროს...

მესხმა გიოს საწოლიდან ლეიბი ასწია და ფრთხილად ამოიღო პოლიეთილენის შეკვრა, რომელშიც უცნაური ფორმის ათამდე თეთრი აბი აღმოჩნდა.

— ეს რა მედიკამენტია, ქალბატონო? — გამარჯვებული კაცის იერით მიუბრუნდა პოლიციელი ქალს.

— არ ვიცი... — დაიბნა ნელი. — ადრე არასოდეს მინახავს ეს აბები...

— ეს თქვენი ვაჟის საწოლია? — მორიგი შეკითხვა დასვა მესხმა.

— დიახ, — უპასუხა ნელიმ.

— თქვენ ადასტურებთ, რომ ეს შეკვრა ლეიბის ქვეშ იყო შენახული? — მესხმა მოწმეებსა და ადვოკატს მიმართა.

— დიახ, — უხალისოდ დაუდასტურა შიოშვილმა.

— მაშინ, ხელი მოაწერეთ ოქმს.

შიოშვილმა უხმოდ შეასრულა განკარგულება. იგივე გაიმეორეს მეზობლებმაც, ოქმს მესხის მიერ მითითებულ ადგილზე მოაწერეს ხელი და უკან გადგნენ.

— კარგად ვერ აღგიზრდიათ შვილი, ქალბატონო ნელი... — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა მესხმა.

— რატომ?!. — ქალმა შიშით სავსე მზერა მიაპყრო პოლიციელს.

— იმიტომ, რომ ეს აბები, რომლებიც თქვენ არასოდეს გინახავთ, ძლიერმოქმედი ნარკოტიკი — სუბუტექსია!.. — ცივი ხმით მიუგო მესხმა და თანაშემწეებს ანიშნა — წავიდეთო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კლაუდია კარდინალე: „მე და ალენ დელონი იდეალური წყვილი გახლდით“

მას დღესაც კი საოცარ რომანებს მიაწერენ... რამდენიმე წლის წინ ევროპული პრესა 68 წლის კლაუდია კარდინალესა და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს შორის არსებულ რომანტიკულ ურთიერთობაზე ჭორაობდა. თავად ვარსკვლავმა კარგა ხანია, ისწავლა, რომ ამგვარ სისულელეს ყურადღება არ უნდა მიაქციოს. კლაუდია ყველას მოუწოდებს, რომ მხოლოდ მის ინტერვიუებს ენდონ...

— დღესაც მრავალ როლს გთავაზობენ?

— ყოველდღიურად ათეულობით წერილს ვიღებ, რომელიც სავსეა შემოთავაზებებით, მიწვევებითა და კეთილი სურვილებით. ყველა სცენარს ვკითხულობ, რაც ხელში მომხვდება, მაგრამ მათში აღწერილმა ამბავმა პირველსავე გვერდიდან უნდა გამიტაცოს. ჩემი საზომი ძალზე მაღალია! მე ხომ დიად ადამიანებთან მიმუშავია — ფელინისთან და ვისკონტისთან, მარჩელო მასტროიანისთან, ომარ შარიფთან, ალენ დელონთან... მე და ალენი იდეალური წყვილი გახლდით...

— მხოლოდ კამერის წინ?

— პირადი ცხოვრება და სამუშაო მუდამ გამიჯნული მქონდა! კოლეგებთან, მათ შორის ალენთანაც, რომანს არასდროს ვაბამდი. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. შეიძლება, ერთმანეთი დიდხანს არ ვნახოთ, მაგრამ მეჩვენება, რომ განშორებიდან მხოლოდ ერთი კვირა გავიდა. ერთმანეთის შესანიშნავად გვესმის, ერთმანეთს პატივს ვცემთ. ალენი — არაჩვეულებრივი მსახიობია, მაგრამ საყვარლები არასდროს ვყოფილვართ.

— ნუთუ ცდუნებამ არ გძლიათ?..

— ჩემი ცხოვრების გზაზე მრავალ საოცარ მამაკაცს შევხვედრივარ, მაგრამ მსახიობთან რომანის გაბმის სურვილი არასდროს გამჩენია.

— თქვენ მარლონ ბრანდოსთან მეგობრობდით, როგორი კაცი იყო?

— მგრძნობიარე და ინტელიგენტი. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ რაღაც დროის მანძილზე, მთელი მისი ცხოვრება ჟურნალისტთა და თაყვანისმცემელთა მიმართ პროტესტად გადაიქცა. მარლონ ბრანდო მისივე წარმოსახვით შექმნილ სამყაროში ცხოვრობდა, მაგრამ ის მაინც შესანიშნავი ადამიანი იყო. ძალიან მიყვარდა და საოცრად დამაკლდა.

— თქვენს რომელიმე საქციელს თუ ნანობთ?

— არა. გადაწყვეტილებებს მუდამ თავად ვიღებდი და მასზე პასუხისმგებელი ვიყავი. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია და სანანებელი არაფერი მაქვს.

— მრავალი ქალისთვის მისაბაძი ქალბატონი ბრძანდებით...

— ო, ეს მშვენიერი ქათინაურია! მრავალი ქალი მელაპარაკება, რჩევას მთხოვს, წარმატებას მისურვებს. ეს მართლაც მახარებს. მსახიობთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ქალებს ვუყვარვარ. ისინი საკუთარ თავთან მაიგივებდნენ, ჩემში თანასწორს ხედავდნენ. კინობიზნესში ეს იშვიათად ხდება. ალბათ ამიტომ იყო, რომ იუნესკომ კეთილი ნების ელჩის სტატუსი მომანიჭა. ჩემი საქმიანობა ძირითადად, ქალთა უფლებების დაცვას უკავშირდება, რადგან ბევრ ქვეყანაში ქალები აბსოლუტურად უუფლებონი არიან. იმ სამყაროს შესაქმნელად ვიბრძვი, სადაც ქალებს არაფრის შიში არ ექნებათ.

— სამყაროს შეცვლაზე ოცნებობთ?

მსახიობი ვაჟიშვილთან, პატრიკთან ერთად 1967 წ

— ეს ნებისმიერი ადამიანის ოცნებაა. იმედია, რაიმის შეცვლას მაინც შევძლებთ.

კლაუდია კარდინალე და ალენ დელონი ფილმში „ლეოპარდი“ 1963 წ

— პრეზიდენტი შირაკი თქვენი მეგობარია. ამ პრობლემებზე ესაუბრებით ხოლმე?

— ჩვენ კულტურაზე, თეატრზე, ევროპულ კინემატოგრაფსა და, რასაკვირველია, პოლიტიკაზეც ვლაპარაკობთ. შირაკი ძალიან მომწონს.

— ვარსკვლავი ბრძანდებით?

— მე მსახიობი ვარ. რა თქმა უნდა, სახელი და დიდება საკმარისად მოვიხვეჭე, მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილი ადამიანი ვარ, მაგრამ ვარსკვლავობა არასდროს მხიბლავდა.

— მდიდარი ხართ?

— მე უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს და უმთავრესი სწორედ ეს არის. ფინანსები სრულ წესრიგში მაქვს. თავისუფლად შემიძლია, სამუშაო მივატოვო და დივანზე ვიკოტრიალო.

— კინოსთან დამშვიდობებას როდის აპირებთ?

— ამაზე ფიქრი არ მსურს. მე დღევანდელი დღით ვცხოვრობ და არა წარსულის მოგონებებით. გეგმებს წინასწარ არასდროს ვაწყობდი. ვინ იცის, იქნებ, ჩემს უკანასკნელ ფილმში უკვე ვითამაშე?.. ან იქნებ, ათეულობით კინოროლი მელის წინ?.. ვნახოთ...

— თქვენი დროის ულამაზესი ქალი იყავით. სიბერეს როგორ



კლაუდიას უსაყვარლესი ფოტოსურათი

ეგუებით? გიმძიმთ?

— არა, აბსოლუტურად არ განვიცდი. ეს ხომ ცხოვრებაა. პლასტიკური ქირურგიისთვის არასდროს მიმიმართავს და არც მომავალში ვაპირებ! წლების მატებას, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას, მშვიდად აღვიქვამ.

— შესანიშნავად გამოიყურებით. გაგვიმხილეთ თქვენი სილამაზის საიდუმლო.

— ყველაფერი ძალზე მარტივია. იყავით ბედნიერი! მე სიცოცხლით ვტკბები. მტერს, ბოროტებასა და უსარგებლო განცდებს ახლოს არ ვიკარებ. მე ბედნიერი ვარ! თავს ყველაფრის ნებას ვაძლევ, რაც მსურს. მაგალითად, მიყვარს ღვინო და ბევრ სიგარეტს ვეწევი, მაგრამ ეს ხომ ჩემი სხეულია, მე მეკუთვნის. ადრე, სპორტით ვიყავი დაკავებული, ტანვარჯიშსა და ცურვაში ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ ახლა უკვე აღარ მინდა.

— შვილებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

კარდინალე პასკუალე სკუიგიერისთან, დედასთან და ქალიშვილთან, კლაუდიასთან ერთად 2000 წ

— შესანიშნავი, ძალზე ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს. ჩემი ვაჟი პატრიკი ამჟამად ევროპაში ცხოვრობს. მან ამერიკა დატოვა, სადაც დიდხანს ცხოვრობდა. ქალიშვილს ხშირად ვხვდები. შვილებს ჩემი პოპულარობა სძულთ, რადგან ბავშვობაში ამ პოპულარობის ჩრდილში არსებობა უჭირდათ, განსაკუთრებით პატრიკი განიცდიდა. ამან შედეგი დღეს გამოიღო: მაგალითად, როდესაც ერთად სადილობა გვსურს, მიყრუებულ რესტორანში წასვლას ვამჯობინებთ, სადაც ავტოგრაფს არავინ მთხოვს და ფოტოგრაფებს არ გადავეყრებით.

— ნუთუ ბავშვებს ასე უჭირდათ?

— იტანჯებოდნენ. ჩვენს კართან მუდამ პაპარაცები მორიგეობდნენ. პატრიკი ამერიკაში სწორედ ამიტომ წავიდა. ნორმალური აღზრდისა და განვითარებისთვის მას სრული თავისუფლება ესაჭიროებოდა. ეს კარგად მესმოდა. მას შემდგომ ჩემს პირად ცხოვრებას უცხო თვალისგან ვიცავ და ჩემს ცხოვრებაში შემოჭრის უფლებას არავის ვაძლევ!

პატრიკი კლაუდიას 17 წლის ასაკში შეეძინა. ვაჟიშვილის მამის ვინაობას მსახიობი არავის უმხელს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის კაცი ეროვნებით ფრანგია. შვილი კლაუდიამ მარტო აღზარდა — ბავშვის მამა მათი ბედით არასდროს დაინტერესებულა. 28 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც უკვე სახელგანთქმული მსახიობი იყო, კარდინალე ცოლად გაჰყვა იტალიელ პროდიუსერს ფრანკო კრისტალდის, რომელსაც ქორწინებიდან 9 წლის შემდეგ გაეყარა. 1975 წელს კლაუდიასა და რეჟისორ პასკუალე სკუიტიერის შორის რომანი გაჩაღდა. სულ მალე პასკუალემ პატრიკი იშვილა. 1980 წელს წყვილს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც კლაუდია დაარქვეს. ერთხანს პასკუალე და კლაუდია ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდგომ, რეჟისორმა რომში, საკუთარ სახლში ცხოვრებას მოუხშირა, კლაუდია და მისი ქალიშვილი კი პარიზში დარჩნენ. საბოლოოდ კარდინალე და სკუიტიერი სხვადასხვა ქალაქში დაბინავდნენ, მაგრამ ამ ამბავმა მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გაამყარა...

— პასკუალე რომშია, თქვენ ძირითადად პარიზში ცხოვრობთ. ასეთი ურთიერთობა რას უნდა ნიშნავდეს?

— მწამს, რომ მანძილი სიყვარულს აცოცხლებს: ყოველ შეხვედრას, ყოველ სატელეფონო ზარს მოუთმენლად ველი. ამაში არის რაღაც, განსაკუთრებულად ამაღელვებელი. ცალკე ცხოვრების გამო, ის დრო, რომელსაც ერთად ვატარებთ, დაუვიწყარი ხდება. ჩვენს ურთიერთობას ყოველდღიური რუტინა ვერას დააკლებს. ჩვენი სიყვარულის საიდუმლოება — თავისუფლებაშია. გულწრფელად ვაღიარებ — მამაკაცთან სხვაგვარად ცხოვრებას ალბათ ველარც კი შევძლებ!

— თქვენ დიდ ქალაქში მარტოდმარტო ცხოვრობთ. ნუთუ პასკუალე არ ეჭვიანობს?

— მას ჩემი უნდა სჯეროდეს! მუდმივად კონტროლის ქვეშ ცხოვრება არ შემიძლია. ვერ ვიტყვი, რომ პატარ-პატარა ინტრიგები არ მიტაცებდა. მაგრამ მე მიყვარს პასკუალე და ამით ყველაფერია ნათქვამი — ჩვენი სიყვარული ჭორებზე ძლიერია! ჩვენი ურთიერთობა პატივისცემასა და სიყვარულს ეფუძნება. ადამიანს ერთგულება და პატიება უნდა შეეძლოს. როდესაც ვინმე გიყვარს, დიდსულოვანი უნდა იყო.

— რა თვისებით გსურთ, ხალხს თავი დაამახსოვროთ?

— ჩემი როლებით ადამიანებს ოცნება ვასწავლე... ერთი სიცოცხლისთვის ეს სავსებით საკმარისია.

■

კლაუდია მის პარიზულ აპარტამენტებში

პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი

24 წლის ჟიზელ ბიუნდჩენი უკვე რამდენიმე წელია, რაც ბრაზილიის სიმბოლოდ იქცა. ქვეყანა გოგონათი ამაყობს: ამ დღეებში სუპერმოდელი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელად აღიარეს. გასულ წელს ჟიზელის შემოსავალმა 12 მლნ დოლარს გადააჭარბა. ამ თანხამ მას ყველაზე ძვირად ღირებულ მანეკენთა ხუთეულში პირველი ადგილი საბოლოოდ დაუმკვიდრა. ამდამად ბიუნდჩენი მშობლიურ ქალაქ პორტუ ალეგრეში იმყოფება, სადაც ცოტა ხნის წინ მისმა დამ იმშობიარა. რამდენიმე დღეში ვარსკვლავი სან-პაულუს მიაშურებს, რათა Nivea-ს სარეკლამო კამპანიისათვის ფოტოსესიაში მიიღოს მონაწილეობა. ამას წინათ ჟიზელმა საიუველირო სახლთან კიდევ ერთ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმად ბიუნდჩენი ცნობილ ბრენდს წარმოადგენს და ამასთან ერთად, ძვირფასეულობის ხაზს თავადვე შექმნის.

ჟიზელ ბიუნდჩენის ყველა კონტრაქტის საერთო ღირებულებამ მოდელს რეიტინგში სერიოზული უპირატესობა მოუტანა. მაგალითად, ჰაიდი კლუმი, რომელმაც ხუთეულში მეორე ადგილი დაიკავა, წელიწადში „მხოლოდ“ 7,5 მლნ დოლარს გამოიმუშავებს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან გერმანელმა მზეთუნახავმა თავად განაცხადა, რომ შვილების გაჩენას კვლავაც აპირებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კონტრაქტების ყველაზე სოლიდური პაკეტის მფლობელის, კეიტ მოსის წლიური შემოსავალი მხოლოდ 5 მლნ დოლარი იყო, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოსი რეიტინგში პირველ ადგილს მალე დაიბრუნებს. ■

ჰოლივუდელი სუპერვარსკვლავი აეროპორტში გაქცევს

მსახიობ ლინდსეი ლოხანს ლონდონის ჰიტროუს აეროპორტში მოჰპარეს ჩანთა, რომელშიც 1 მლნ დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა იდო... რამდენიმე დღით ადრე, ვენეციის კინოფესტივალზე, 20 წლის ვარსკვლავმა ბრილიანტებით მოოჭვილი დიდი ბეჭედი გამოამზეურა და ჭორიკანები მის მომავალ ნიშნობაზეც აალაპარაკა. მსახიობის პრესატაშე ამბობს, რომ ჩანთაში ძვირფასეულობის გარდა, ასთმის საწინააღმდეგო პრეპარატებიც იყო, რომლებიც მსახიობს ყოველ წუთს შეიძლება დასჭირდეს. ლინდსეი მისი ნივთების დაბრუნებას „ნებისმიერი გზით“ აპირებს. ლოხანი ვენეციაში ემილიო ესტევესის ფილმის — „ბობის“ პრემიერაზე დასასწრებად ჩავიდა, რომელშიც თავადაც მონაწილეობს. ცოტა ხნის წინ მსახიობმა რობერტ ოლტმანის ფილმში — „კომპანიონი“ ითამაშა. ■

Green Day და U2 ერთად იმღერემენ

ამერიკელი პანკები — ჯგუფი Green Day — სტუდიურ მუშაობს უბრუნდებიან. ამჟამად ისინი ირლანდიელ როკ-ჯგუფ U2-სთან ერთად, სიმღერის — The Saints Are Coming ახალი ვერსიის ჩასაწერად ემზადებიან, რომელიც პირველად შოტლანდიურმა ჯგუფმა The Skids-მა შეასრულა. ეს საუნდტრეკი საქველმოქმედო აქციისთვის — Music Rising — ჩაიწერება. მისი მიზანია, შარშან ქარიშხალ „კატრინას“ დროს დაზარალებული ახალორლეანელი მუსიკოსებისთვის დახმარების გაწევა. მათ სტიქიის შედეგად, მთელი ქონება, მათ შორის, მუსიკალური ინსტრუმენტებიც დაკარგეს. Green Day-ს მიერ 2004 წელს გამოშვებული ტრიუმფული ალბომის — American Idiot — გამოსვლის შემდეგ, ჯგუფი სტუდიას პირველად უბრუნდება. ეს ფირფიტა ალბომ Dookie-ს შემდეგ ამ კოლექტივის ყველაზე წარმატებული ნამუშევარი გახლდათ. დისკმა ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროს ჩარტებში პირველი ადგილი დაიკავა და მხოლოდ ამერიკაში, 5-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. პროექტში Green Day-ს მონაწილეობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ამ პანკ-ტრიოს ღირსეული ადგილი უკავია როკჯგუფებს შორის. მათი ამჟამინდელი კოლეგები — U2-ს მუსიკოსები ყოველთვის დიდი სიფრთხილით ირჩევენ პარტნიორებს და სხვა ჯგუფებთან ძალზე იშვიათად თანამშრომლობენ. ირლანდიელებმა უკანასკნელად, დუეტში ლონდონში გამართულ კონცერტზე — Live 8, პოლ მაკარტნისთან ერთად იმღერეს. ■

მლოკმასტერის გაგრძელება

სტუდია Universal-მა სტივენ სომერსის წარმატებული პროექტის — „მუმია“ — მესამე ნაწილის გადაღებებისთვის მზადება დაიწყო. პირველი ორი სურათის ვარსკვლავს ბრენდონ ფრეიზერს, მამაცი და უშიშარი თავგადასავლის მაძიებელი რიკო კონელის განსახიერება კიდევ ერთხელ მოუწევს. სამწუხაროდ, პირველი ფილმების რეჟისორი, სტივენ სომერსი პროექტს საბოლოოდ გამოეთიშა. რეჟისორის სავარძელს ჯო ჯონსონი („ჯუმანჯი“, „იურული პერიოდის პარკი-3“) დაიკავებს. სცენარზე კი, სერიალ „სმოლვილის“ ავტორები — ალფრედ გოუ და მაილს მილერი იმუშავებენ. რეიჩელ უეიზის, ჯონ ჰანის, არნოლდ ვოსლოუს და სხვათა გმირების მომავალი ბედი ჯერაც უცნობია. ჯერჯერობით არავინ იცის, დაბრუნდებიან თუ არა ისინი ეკრანზე. ■

ოჯახური იდილიით მედნიერი მენ აფლეკი

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ბენ აფლეკმა განაცხადა, რომ მიხვდა: მთავარი მის ცხოვრებაში — ოჯახია! შარშან დეკემბერში ბენ აფლეკსა და მის მეუღლეს, ჯენიფერ გარნერს ქალიშვილი ვიოლეტი შეეძინათ. „მამობა ძალიან მომწონს. ბანალურად ჟღერს, მაგრამ ვაღიარებ, რომ ოჯახი — შესანიშნავი რამ არის. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა! ჩემთვის ცოლ-შვილი ყველაფერზე ძვირფასია. ვიოლეტის დაბადების შემდგომ, მარტოობა აღარ მიგრძნია და არც ცუდ განწყობილებაზე დავმდგარვარ. მე მშვენიერი ცოლი მყავს. ის არაჩვეულებრივი დედაა, ყოველმხრივ მშვენიერია და ეს მახარებს!“ — ამბობს ბედნიერი ბენ აფლეკი. ■

მიკი რურკს ჯარიმები ვერ შეაშინებს

ცნობილი ჰოლივუდელი მეამბოხე მიკი რურკი დამოუკიდებელი ქცევით საზოგადოებრივ აზრს კვლავაც აფორიაქებს. პუბლიკის 49 წლის კერპი რესტორნებში ჩიხუა-ხუას ჯიშის ძაღლთან — ბო ჯეკთან ერთად დაიარება, სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, ყველგან აბოლებს სიგარეტს და ავტომანქანას იქ აჩერებს, სადაც მოესურვება. ცოტა ხნის წინ კი, იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც მუზარადის გარეშე მართავდა მოტოროლერს, რაც მოძრაობის წესის სერიოზული დარღვევაა. აშშ-ში ამგვარი კანონდარღვევა 300-400-დოლარიანი ჯარიმით ისჯება, მაგრამ მიკი რურკს ეს, აბა, როგორ შეაშინებს?! ■

ლიკა ქაჯაია

რამდენიმე დღის წინ, მომივიდა მესიჯი, რომლითაც 22 წლის თათა ერთ-ერთი თინეიჯერის მესიჯს (რომელიც თანატოლებს ეკითხებოდა — თქვენი აზრით, „ჩეთი“ რა არისო?) გამოეხმაურა. თათამ მომწერა: ინტერნეტის ბრალია ის, რომ დღემდე ველოდები უცხოელ პრინცს, რომელმაც მხოლოდ იმედი დამიტოვაო. მისი ამბით დავინტერესდი და შეხვედრა ვთხოვე. უარი არ უთქვამს, მაგრამ გამაფრთხილა: სურათები არ გადამიღოო. ვფიქრობ, რომ თათა არც გვარს დაგვიმალავდა და სურათებსაც მოგვცემდა, უცხოელს თავისი სიტყვა რომ შეესრულებინა. მაგრამ დღეს ამის სურვილი აღარ აქვს, რადგან ფიქრობს, რომ მიტოვებული საპატარძლო და ინტერნეტის „მსხვერპლია“.

მიტოვებული საპატარძლო, დანიშნული უცხოელი მამაკაცი და ინტერნეტის „მსხვერპლი“

— 4 წლის წინ, მამაჩემმა დაბადების დღეზე კომპიუტერი მიყიდა. მისი საჩუქრით აღფრთოვანებული ვიყავი. დღე და ღამე კომპიუტერთან ვიჯექი, მაგრამ მალე მომბეზრდა, რადგან ინტერნეტი არ მქონდა და მოგეხსენებათ, რომ მის გარეშე ვერ გაერთობი.

— კომპიუტერი გასართობად გიყიდეს?

— არა. ბავშვი კომპიუტერს ისწავლის და სახლში რომ ექნება, უკეთ ეცოდინებაო — იფიქრეს, მაგრამ გასართობად უკეთესი აღმოჩნდა... მერე, ინტერნეტი მოვითხოვე. უარი არ უთქვამთ, მხოლოდ გადასახადზე ჯუჯღუნებდნენ ხოლმე.

— ინტერნეტი ახალი ნაცნობებისთვის გჭირდებოდა?

— თავიდან, უცხოურ შოუბიზნესში მომხდარ ახალ ამბებს ვადევნებდი თვალყურს, ერთ უმნიშვნელო დეტალსაც არ ვტოვებდი უყურადღებოდ; მაგრამ მალე „ჩეთაობამ“ გამიტაცა — თავდაპირველად, ქართველებს ვეკონტაქტებოდი და ასე ბევრი მეგობარიც შევიძინე.

— მეგობრებში რას გულისხმობ?

— მეგობარი, ქართული გაგებით ვთქვი და არა უცხოურით... მაგალითად, „ჩეთის“ საშუალებით გავიცანი ლევან ვარდოსანიძე. მას რამდენიმე თვე ვეკონტაქტებოდი. მერე მთხოვა — შემხვდი, ერთმანეთი უფრო ახლოს გავიცნოთ, ხომ შეიძლება, ინტერნეტ-ნაცნობები ცხოვრებაში უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთსო. დრო და ადგილი დავნიშნეთ, რაღაცებზე შევთანხმდით და პაემანზე მეგობარ გოგონასთან — ეკასთან ერთად წავედი. ლევანი ზუსტად ისეთი ტიპი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი. ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ. სხვათა შორის, ჩემს მეგობრებს — ეკას და ლევანს ერთმანეთი მოეწონათ და დღეს შეყვარებულები არიან.

— როგორც ვიცი, არა მარტო ქართველებს, უცხოელებსაც ეკონტაქტებოდი?

— კი. უცხოეთში ინტერნეტით ვგზავნიდი ჩემს სურათებს, ვწერდი ე.წ. მესიჯებს, მაგრამ იშვიათად თუ დაინტერესდებოდა ვინმე ჩემით.

— რა, არავინ გეკონტაქტებოდა?

— როგორ არა?! ვიღაცები მწერდნენ ხოლმე, თუმცა ამას ყოველდღიური სახე არ ჰქონდა — ათასში ერთხელ, რაღაც უაზრო კითხვებს მისვამდნენ.

— რას გეკითხებოდნენ?

— ვინ ხარ? სად არის საქართველო? რა ხდება თქვენს ქვეყანაში? და ა.შ. თუ თინეიჯერები გამომეხმაურებოდნენ, მაშინ იწყებოდა: როგორი ქალი ხარ? რითი ერთობი? ცხოვრობ თუ არა ღამის ცხოვრებით?.. ერთადერთი, ვინც ჩემით ნამდვილად დაინტერესდა, პოლი იყო.

— პოლი ვინ არის?

— პოლი სამხრეთამერიკელია, არგენტინიდან. ინტერნეტით ხშირად მიკავშირდებოდა. ცოტა ხანში კი, ამან ყოველდღიური სახე მიიღო. ჩემზე ყველაფერი მომაყოლა, თვითონ კი მეუბნებოდა: ცოლი მყავდა, მაგრამ ერთმანეთს დავშორდით, რადგან მეგობართან მიღალატა. შვილი არ მყავს და სანამ ჩემს იდეალს არ ვიპოვი, დაოჯახებას არც ვაპირებ... 14 წლიდან, თითქმის დამოუკიდებლად ვცხოვრობდი ანუ ვმუშაობდი — ხან სად და ხან — სად. თქვენ კი რა ერი ხართ ასეთი, ყველაფერი რომ „გიტყდებათო“?

— პოლი რამდენი წლისაა?

— 29 წლისაა და საკმაოდ კარგ თანამდებობაზე მუშაობს.

— მაინც, სად მუშაობს?

— რაღაც სადაზღვევო კომპანიაში, — როგორც ეს თავად მითხრა.

— პოლიც შენი მეგობარია?

— მეგობარი? ახლა უკვე აღარ ვიცი, ვინ არის ის ჩემთვის.

— რას გულისხმობ?

— მე და პოლი 8 თვის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. ბოლოს მითხრა: ისე შეგეჩვიე, შენ გარეშე ცხოვრებას ვეღარ შევძლებო. მეც ზუსტად ასე ვიყავი — შემიყვარდა უცხო მამაკაცი, რომლის სიმპათიურობაში დარწმუნებული არც კი გახლდით... მითხრა: საქართველოში რომ ჩამოვიდე, ხომ შემხვდები, ოჯახში პრობლემას ხომ არ შეგიქმნიო? სიხარულით მეცხრე ცას ვეწიე. რის მშობლები, რა მშობლები, წინააღმდეგობას თუ შევხვდებოდი, გადაწყვეტილი მქონდა — პოლთან ერთად გავპარულიყავი.

— არ მითხრა ახლა — პოლი ჩამოვიდაო.

— ჩამოვიდა. აეროპორტში მეგობრებთან ერთად მივედი და დავხვდი. ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობებივით ჩავეკარით. სუნთქვა შემეკრა, ღამის ტირილი დავიწყე. მართალია, მისი ფოტოები ნანახი მქონდა, მაგრამ ცხოვრებაში უფრო საყვარელი აღმოჩნდა. ის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდა. მეორე დღეს კი, სახლში მივიყვანე.

— მშობლებმა იცოდნენ შენი ინტერნეტ-შეყვარებულის ამბავი?

— სანამ პოლი ჩამოვიდოდა, მათ წინადღეს განვუცხადე: სახლში უცხოელი მოვა და რაიმე სისულელე არ ჩაიდინოთ, მე ის სიგიჟემდე მიყვარს და საქართველოშიც ჩემი გულისთვის ჩამოდის-მეთქი.

— როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— მამამ კინაღამ ინფარქტი მიიღო — ერთი შვილი მყავს და ნახეთ ერთი, რას მეუბნებაო. დედას წნევამ აუწია: ამ ბავშვმა სულ აიწყვიტა, ერთადერთი შვილი გვყავს და იმასაც ერთი სული აქვს, ჩვენგან როდის გაიქცევაო. მერე მამას დაუწყო ჩხუბი — ყველაფერი შენი ბრალია, ის დასაწვავი კომპიუტერი რომ არ გეყიდა, თათა ასე არ გადაირეოდაო. მოკლედ, ატყდა ვაი-უშველებელი და ამ ყველაფრისგან თავი რომ დამეღწია, ჩემს ოთახში გავედი და დაველოდე, ისტერიკა როდის გაუვლიდათ. მეორე დღეს, დილით, მათ ისევ გავუმეორე: იცოდეთ, სისულელეების გარეშე შეხ-

ველოდები უცხოელ პრინცს, რომელმაც მხოლოდ იმედი და ეჭვები დამიტოვა

ვდით ჩემს საქმროს-მეთქი და კარი მივაჯახუნე. ხმა აღარ ამოუღიათ, ეტყობა, იფიქრეს — ასე შვილი სულ არ დავკარგოთო და ბედს შეურიგდნენ.

— სასიძო როგორ მიიღეს?

— არა უშავს რა, გმადლობთ *(იცინის)*. სხვათა შორის, მოეწონათ, რადგან პოლი ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, რომელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს. დედაჩემს ყვავილების თაიგული მიართვა, მამას კი ამერიკული სიგარები... სახლში დიდხანს არ ვყოფილვართ. მე და პოლმა, ჩემს მეგობრებთან ერთად, მთელი თბილისი შემოვიარეთ. მას ჩემი „დამტვრეული“ ინგლისურით ძლივს ვუყვებოდი ჩვენი ღირსშესანიშნაობების თაობაზე. პოლი ძალიან რომანტიკული იყო, ჭკუა საერთოდ დამაკარგვინა (მანამდე ტუჩებში კოცნის უფლება არავისთვის მიმიცია). რამდენიმე დღეში შემომთავაზა — ცოლად გამომყევიო. დავთანხმდი, მაგრამ მინდოდა, ჩემს მშობლებთან მისულიყო და ეს მათთვის ეთქვა. ამიტომ ჩვენს ტრადიციებსა და წესებზე ყველაფერი მოვუყევი. მითხრა: მოდი, დაგნიშნავ, მერე არგენტინაში წავალ, მოვემზადები და წაგიყვანო. ეს ამბავი მშობლებს რომ „ვახარე“, მათ ქოში უკუღმა ყარეს. როცა ისინი გავაფრთხილე — იცოდეთ, ან მასთან ერთად გავიპარები, ან თავს მოვიკლავ-მეთქი, გაჩუმდნენ და დიდი ხნის პაუზის შემდეგ მითხრეს: ოღონდ ბედნიერი იყავი და როგორც გინდა, ისე მოიქეცი, თუ ჩვენ დაგვკარგავ, ამით ბევრი არაფერი დაშავდებაო. მათ ჩავეხუტე და გახარებულმა ვიყვირე: თქვენ არ დაგკარგავთ, მაგის ნუ გეშინიათ-მეთქი... სასიძოს ოქროს რგოლი უყიდეს, სტუმრები მოიწვიეს და პოლი მაგრად გამოათვრეს. გამოვიდა, რომ იქით დავნიშნეთ, რადგან მას ჩემთვის ბეჭედი არ ჰქონდა და რამდენიმე დღეში, გაემგზავრა კიდეც. თან დამიბარა: ქორწილისთვის ყველაფერი მოამზადე, ხარჯებს ჩემს თავზე ვიღებო.

— ეი. ქორწილისთვის ემზადები?

— ვემზადებოდი.

— ეს რას ნიშნავს?

— საქორწილო კაბიდან დაწყებული, ღამის შემწვარი გოჭით დამთავრებული, ყველაფერი მზად გვქონდა. ახალი წლისთვის უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არ ჩამოვიდა. აღარც მეკონტაქტება, ჩემს წერილებს აღარ პასუხობს. არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. იქნებ, უბრალოდ გამომიყენა?..

— გამოყენებაში რას გულისხმობ?

— ისეთს არაფერს. თბილისი დავათვალიერებინე, ვაქეიფე, თითზე ოქროს ბეჭედი მოვარგე და გავუშვი. მან მართალია, ფული ბლომად დახარჯა, მაგრამ თავისი ჭია გაახარა... თუმცა, ჯერ კიდევ ველოდები, იმედი არ დამიკარგავს. მე ხომ ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა...

— მშობლები რას გეუბნებიან?

— მგონი, ეს ამბავი ახარებთ კიდეც და ხშირად მახსენებენ — დროა, ქართველი შეიყვარო და გათხოვდეო. ვიღაცებს მაცნობენ, მთელი სანათესავო ცდილობს ჩემს გათხოვებას, მე კი ველოდები უცხოელ პრინცს, რომელმაც მხოლოდ იმედი და ეჭვები დამიტოვა.

— რა ეჭვები?

— არ ვიცი, ხან ვფიქრობ, იქნებ, არ მოვეწონე და აქ რომ იყო, მაშინ არ მითხრა, შევეცოდე, გული ეტკინებაო, იფიქრა და დამინდო... ან იქნებ, ჩვენი წესები არ მოეწონა, ან სულაც, სამშობლოში ცოლ-შვილი ჰყავს და მათ ვერ მიატოვებს...

— შენი მოტყუება რაში სჭირდებოდა?

— შეიძლება იფიქრა, რომ ჩემი სახით საყვარელს იპოვიდა, მაგრამ...

— იქნებ, ჩამოსვლა ვერ მოახერხა?

— მეც ამის იმედი მაქვს და თუ ჩამოვიდა, აუცილებლად გაგაგებინებთ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

პატარა, 16 წლის:

„იმერეთის ერთ-ერთი რაიონიდან გახლავართ და მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ, გული გადაგიშალოთ. უამრავი მეგობარი მყავდა. განსაკუთრებით, ნინის (ჩემს კლასელს) დავუახლოვდი, ყველაფერს ვუყვებოდი და მის ერთგულებაშიც ბოლომდე დარწმუნებული ვიყავი. ეს გოგო ძირითადად, ბიჭებთან მეგობრობდა, მეუბნებოდა — შენ გარდა არც ერთ გოგოს არ ვენდობიო. დღე და ღამე ერთად ვიყავით, ვთამაშობდით, ყირაზე ვდგებოდით. ის მე-9 კლასიდან გაიყვანეს, თბილისში ჩაიყვანეს და რომელიღაც კოლეჯში უკრეს თავი. ეს ამბავი ძალიან განვიცადე, მეგონა, მას სამუდამოდ დამაშორეს (ნეტავ, მართლა ასე ყოფილიყო; იქნებ, მეც ბედნიერი ვყოფილიყავი ოდესმე). დრო გავიდა, სხვა გოგოებს „ჩავუსასტავდი“, მერე ერთი ტიპი შემიყვარდა. გიორგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თავი ბედნიერ ადამიანად მეგრძნო. ყოველ დილით სახლის აივანზე

ვამცხადებრა

ყვავილები, შოკოლადი მხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით, დღის ბოლოს ჩემს მეგობარ გოგონას წერილს აძლევდა — სახლში წასვლის წინ, თამუნას მიეციო. ბარათში სასიყვარულო ლექსები ეწერა და მათ კითხვა-დაზეპირებაში თავზე მათენდებოდა... არდადეგები რომ დაგვწყო, სოფელში ნინიც ჩამოვიდა და მას გიორგიზე ყველაფერი მოვუყევი. თვალები ღამის გადმოეკარკლა და მითხრა: გოგო, შენ ხომ არ უბერავ, ეგ ბიჭი სუფთა ქათამია და რამ შეგაყვარაო? გავბრაზდი და ვუთხარი: ამას რატომ მეუბნები, ის არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი შეგშურდა-მეთქი. გაეცინა და მითხრა: კარგი, კარგი, გეხუმრე, მაინტერესებდა — როგორი რეაქცია გექნებოდაო. მოკლედ, ისინი ერთმანეთს გავაცანი და მართალია, ნინი ცდილობდა, თავი კეთილმოსურნედ მოეჩვენებინა, მაგრამ მისი უცნაური საქციელი მაკვირვებდა. გიო ხელს რომ გადამხვევდა, წითლდებოდა, ცხვირს ჩამოუშვებდა და თვალს გვარიდებდა. როცა საღამოს, ნინის თანდასწრებით მის წერილებს ვკითხულობდი, თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ყრიდა — რა დებილია, ყოველდღე ერთმანეთს ხვდებით და ეს წერილები რა უბედურებაა. მოკლედ, გაცოფებულს ღამის კბილებით გაებდღვნა ბიჭი, რომელზეც ვაბოდებდი. ის ჩემს შეყვარებულსაც არ დაევასა — ეს კაცივით ქალი ვინ არის, მაგასთან როგორ მეგობრობო. მოკლედ, ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი, რადგან არც ერთის დაკარგვა არ მინდოდა. ერთ დღეს, დედაჩემმა მახარა — მამაშენმა გადაწყვიტა, რომ 2 დღეში დასასვენებლად ქობულეთში მივდივართო. თან გამიხარდა, თან მეწყინა, რადგან არ მინდოდა შეყვარებულის და თბილისიდან დროებით ჩამოსული მეგობრის მიტოვება, მაგრამ ზღვაც მიზიდავდა და თან, მშობლებს უარს ხომ არ ვეტყოდი?.. გიოს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა — კარგია, რომ დასასვენებლად მიდიხარ და სანამ ეს ვირთხა თბილისში არ წავა, აქ ჩამოსვლა არ გაბედო, რაღაც არ მომწონს, ასე მგონია, ჩვენი დაცილება უნდაო. ვეჩხუბე — ახლა ისღა მაკლია, გოგოებზე იეჭვიანო-მეთქი და ჩემს დაქალზე ასეთი რაღაცების თქმა ავუკრძალე. მითხრა: ამას იმიტომ გეუბნები, რომ ძალიან მიყვარხარ და ვიღაცის გამო, შენი დაკარგვა არ მინდაო. მოკლედ, იმ დღეს სულ კუდში დამდევდა, ეტყობა, გული რაღაც ცუდს უგრძნობდა. სახლში რომ მივედი, უკვე დაღამებული იყო, ნინი დედაჩემთან იჯდა და ჩემზე ჭორაობდნენ (როგორც შემდეგ გავიგე, ნინი გიორგის ლანძღავდა. დედა გადაურევია — ერთხელ ტუჩებშიც აკოცა და სხვა რაღაცაც თუ მოხდა, საკუთარ თავს დააბრალოს, ამ საღამოს ჩემთან თუ გამოუშვებთ, ჭკუას ვასწავლიო). მოკლედ, დედამ არაფერი მაგრძნობინა და მითხრა: ნინი ნაწყენია, შენზე თქვა, დღეს საერთოდ არ მინახავსო და

თუ გინდა, ამ საღამოს მასთან დარჩიო. გამიკვირდა, სხვაგან რატომ მტოვებს, როცა ხვალ დილით ადრე უნდა წავიდეთ-მეთქი? მაგრამ რას დავეძებდი? — სახლში ყოფნას მეგობართან ჭუკჭუკი მერჩივნა, ტანსაცმელი სამგზავრო ჩანთაში ჩავალაგე და ნინის სახლში გადავედით. მისი დედ-მამა თბილისში მუშაობდა და ამიტომ, სახლში მხოლოდ ბებიამისი იყო. ჩვენ ათას რამეზე ვილაპარაკეთ — დივანზე ვიწექი, ის თავთან მეჯდა და თმაზე მეფერებოდა. ლაპარაკი გიოზე რომ ჩამოვარდა, ალქაჯს დაემსგავსა და ერთმანეთს დავცხეთ, მისი სახლიდან წამოსვლაც დავაპირე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე შუაღამე იყო, მაგრამ მერე ბოდიში მომიხადა და ტირილი დაიწყო. მეც ავტირდი და ჩავეხუტე. უცებ ვიგრძენი, რომ ისე მეფერებოდა, როგორც კაცი, რაღაც სხვანაირად ჩამიკრა გულში, მერე ისე გათავხედდა, რომ ტუჩებში მაკოცა. ხელი ვკარი — რას შვრები-მეთქი, მაგრამ დამეჯაჯგურა, წამაქცია და მერე არაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, თავზე მადგა და სატანასავით იცინოდა: ახლა შემიძლია გითხრა, რომ მეც მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია, დრო მოვა, კაცად ვიქცევი და სამუდამოდ ჩემი გახდებიო. კინაღამ გავგიჟდი: შენ ავადმყოფი ხარ-მეთქი და იქიდან გამოვიქეცი. მისი სახლიდან რომ გამოვრბოდი, მომაძახა: ჰო, იცოდე, არ გათხოვდე, თორემ უკანვე გამოგაგდებენ — ქალიშვილი აღარ ხარო. მართალია, მაშინ ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, სახლში რომ მივედი, ვცდილობდი, ვერავის ვერაფერი შეეტყო, მაგრამ ახლა ძალიან მეშინია, მგონია, რომ მან მართლაც გამაუპატიურა და დამღუპა. სახლიდან ვერ გამოვდივარ, გიოს დავშორდი, მაგრამ ამის მიზეზს ვერ ვუმხელ და თავიდან ჩხუბით ვიცილებ. ის კი დღე და ღამე ნინის აგინებს — ვიცი, ჩვენ შორის ის გორილა ჩადგა და თუ შენთვის ის ჩემზე ძვირფასია, მაშინ ჩვენს ერთად ყოფნას აზრი მაინც არ ექნებოდაო... მირჩიეთ, რა ვქნა?“

ია ჩანტლაძე:

— ძალიან რთული სიტუაციაა და სიმართლე გითხრა, დავიბენი... პირველ რიგში, გირჩევ, ექიმთან მიხვიდე და გაარკვიო — სიმართლეს შეესაბამება თუ არა ის, რაც ნინიმ გითხრა. აუცილებლად წადი ფსიქოლოგთანაც იმისთვის, რომ პანიკაში არ ჩავარდე და დაძაბულობა მოგიხსნას. სანამ ამას არ გააკეთებ, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ... რაც შეეხება შენს შეყვარებულს, მას ხელი არ ჰკრა, უთხარი, რომ ის მართალი იყო და რომ თქვენს ურთიერთობაში ნინი უხეშად ჩაერია, რადგან მას გადახრები ჰქონდა. მისთვის ყველაფრის დეტალურად მოყოლისგან თავი შეიკავე მანამ, სანამ რაღაცებში თავად არ დარწმუნდები.

ემკეი, 15 წლის:

„ია, ძალიან საყვარელი და ლამაზი ხარ. გთხოვ, მირჩიე რამე. მე და ჩემი შეყვარებული 8 თვე ვიყავით ერთად, ძალიან ეჭვიანი იყო, მაგრამ ვერაფერს მიბედავდა. მე კი სერიოზულად ვაეჭვიანებდი. ერთხელ, უაზროდ ვიჩხუბეთ და დავშორდით. მას ეგონა, რომ სხვაზე ვფიქრობდი და თვითონაც მითხრა: სხვა მიყვარსო, თუმცა ვიცი, რომ სიცოცხლეზე მეტად ვუყვარდი. ჩვენ ვითომ მეგობრებად დავრჩით. ერთხელაც მომწერა — დამიბრუნდი, იმ გოგოს თაობაზე მოგატყუე, მაინტერესებდა, გიყვარდი თუ არაო. დავუბრუნდი იმიტომ, რომ მთელი გულით მიყვარს და მისთვის მართლა არ მიღალატია. ამის შემდეგ ისევ მომატყუა — დაჭრილი ვარო და როცა სიმართლე გავიგე, მის მიმართ ნდობა დავკარგე. როგორ მოვიქცე?“

ია ჩანტლაძე:

— როცა ადამიანის მიმართ ნდობას კარგავ, მასთან ურთიერთობის აღდგენა ძნელი ხდება. თუ შენ ის მართლა გიყვარს და ამ ყველაფრის პატიება შეგიძლია, აპატიე, მაგრამ თუ გრძნობ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგატყუებს და დაგტანჯავს, ჯობია, მასზე ფიქრს თავი დაანებო.

ანუკი, 14 წლის:

„ჩემი დაქალის შეყვარებული გადამეკიდა, სიყვარულს მიხსნის, მე კი ჩემს დაქალს ვერ ვეუბნები, არ მინდა, ამის გამო ვიჩხუბოთ. არადა, დარწმუნებული ვარ — ამ ბიჭს ჩემი დაქალის გარდა, კიდევ ბევრი შეყვარებული ჰყავს. მირჩიეთ რამე“.

ია ჩანტლაძე:

— არ ვიცი, წაიკითხე თუ არა ჩემი ინტერვიუ, სადაც ვამბობ, რომ დაქალის შეყვარებული უსქესო არსებაა, მაგრამ იქ სწორედ ამ თემაზე ვლაპარაკობდი. შენს ადგილას რომ ვიყო, ჩემს დაქალს ყველაფერს მოვუყვებოდი. მან უნდა იცოდეს, რომ ატყუებენ და ცხოვრებაში ასეთი ადამიანი არ გამოადგება.

ვიკა, 20 წლის:

„მყავს მეუღლე, რომელსაც სიმღერის ნიჭი აქვს, მაგრამ 22 წლისაა და ჰგონია, რომ ყველაფერი გვიანია. თანაც, ნაცნობების გარეშე არაფერი გამოუვა. მღერის ხალხურ, თანამედროვე და თურქულ სიმღერებს — ტარკანის რეპერტუარიდან. გთხოვთ, დამეხმაროთ და მირჩიოთ, ვის მივმართოთ. თვითონ ვწერ სიმღერის ტექსტებს და ლექსებს, მაქვს საინტერესო წინადადებები. წინასწარ გიხდით მადლობას“.

ია ჩანტლაძე:

— არა მგონია, რომ 22 წელი საგანგაშო ასაკი იყოს. დღეს ბევრი ისეთი ადამიანი დგას სცენაზე, რომლებმაც ამ ასპარეზზე კარიერის შექმნა უფრო მოზრდილ ასაკშიც კი შეძლეს. იმაში გეთანხმები, რომ ნაცნობობა ბევრ რამეს ნიშნავს, მაგრამ თუ შენი მეუღლე მართლაც ნიჭიერი ადამიანია, ის თავის გზას აუცილებლად იპოვის. გირჩევ, მიხვიდეთ რომელიმე მომღერალთან, კომპოზიტორთან ან ხმის ჩამწერ სტუდიაში, სადაც მის მონაცემებს შეამოწმებენ და შესაბამის რჩევასაც მოგცემენ.

სალომე გიორგაძე, ნინი არველაძე, ორივე 16 წლის:

„ია, ძალიან საყვარელი ადამიანი ხარ. გეთანხმებით — მაჭანკლობა სრული მარაზმია. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ისეთი ოჯახები, რომლებიც სწორედ ამ გზით შეიქმნა და ბედნიერებიც არიან. გვაინტერესებს, ვისთან ერთად იმღერებდი დიდი სიამოვნებით?“

ია ჩანტლაძე:

— დიდი სიამოვნებით ჩავწერდი დუეტს სტინგთან *(იცინის)*. „ნაგლური“ ოცნებაა, არა?!. თუმცა, ოცნებას ვინ მოუკლავს?..

დარდი, 15 წლის:

„თქვენი რჩევა მჭირდება. გიო 3 თვის წინ გავიცანი. ერთმანეთს ვემესიჯებოდით და კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ როგორ უეცრადაც შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, ასევე უეცრად გაქრა (ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე). მე კი შევეჩვიე და არ ვიცი, მის გარეშე როგორ ვიცხოვრო“.

ია ჩანტლაძე:

— თუ მეგობრობდით, მაშინ მასთან დარეკვა არ უნდა „გაგიტყდეს“. ჰკითხე — სად დაიკარგა? რამე ხომ არ უჭირს? თუ მას შენთან ურთიერთობა უნდა, ამის შემდეგ თვითონ დაგეკონტაქტება, თუ არა და თავს ნურც შენ შეაწყენ.

გიჟი, 16 წლის:

„ვარ ძალიან სიმპათიური გოგო, მაგრამ ბიჭებს არ მოვწონვარ. ვიცნობ ძალიან გოიმ და ბანძ გოგოებს, რომლებზეც ბიჭები გიჟდებიან. როგორ მოვიქცე ან რა გავაკეთო იმისთვის, რომ მათი ყურადღება მივიქციო?“

ია ჩანტლაძე:

— ნათქვამია: ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავსო. ბიჭები თუ ყურადღებას არ გაქცევენ (რაც დაუჯერებელია), ეს კომპლექსად არ გექცეს და იმ გოგოებს ნუ დაემსგავსები, რომლებიც თავადაც არ მოგწონს. იყავი ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ და ბედნიერებასაც დაიმსახურებ.

იკა, 25 წლის:

„ია, მინდა გითხრა, რომ ძალიან ლამაზი თვალები გაქვს და საერთოდ, მშვენიერი და ყველაფერთან ერთად, კეთილი ხარ. ყველაფერ კარგს გისურვებ. P.S. მე რომ შენნაირი გოგო შემახვედრა, მთელი ცხოვრება მისი ერთგული ვიქნებოდი“.

ია ჩანტლაძე:

— დიდი მადლობა.

მუკობანძელი, 25 წლის:

„სილამაზის დედოფალო, ბრწყინავ ვითარც მზეო, რა იქნება, რომ გამეცნო, ია ჩანტლაძეო?“ შენნაირ ანგელოზთან მართლაც ღირს მეგობრობა“.

ია ჩანტლაძე:

— სიამოვნებით დაგიმეგობრდებოდი და ალბათ, ცხოვრება ამის საშუალებას მოგვცემს.

მის სამსუნგი, 17 წლის:

„ჩეთის“ საშუალებით ვიპოვე ადამიანი, რომელთანაც მთელ დარჩენილ სიცოცხლეს გავატარებდი. M@LIS, მიყვარხარ!“

ანუშკები, 24 წლის:

„ვეხმაურები მოლოდინს. 24 წლის ვარ. თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაქვს, შემეხმიანე. ჩემს ნომერს ლიკა მოგცემს. ლიკა, გმადლობთ, რომ არსებობთ“.

N&M, 18 წლის:

„გლოცავდეს ღმერთი, სიონის ხატი,

ღვთისმშობლის ხელი გფარავდეს მუდამ, შენ სიყვარულის სხივს მიჰყოლოდე და ბედნიერი მენახე მუდამ“, — ეძღვნება სვანჩიკას“.

უცნობი, 18 წლის:

„ფიზიკური ტკივილი, სულიერი ტკივილი — 2 ჯოჯოხეთი ერთ მთლიანობად იქცა და უზარმაზარ, საზარელ მორევს დაემსგავსა, რომელსაც თავს ვეღარ ვაღწევ. მხიარული გოგო, რომლის ბაგეები ხშირად იღიმება, ის უყვართ, მაგრამ თვალებში ჩაძირული სევდის მიზეზს არავინ კითხულობს... ობობა, ასე ნუ განიცდი, დაიმახსოვრე, სიყვარული ხომ გრძნობაა და არა თანაგრძნობა“.

თინეიჯერი, 14 წლის:

„ვეხმაურები ნინის, რომელსაც „ჩეთზე“ აზრი აინტერესებს. ნინო, თავიდან, როცა კომპიუტერი ახალი ნაყიდი მქონდა, „ჩეთზე“ ჭკუას ვკარგავდი. მერე კი, თანდათანობით მომბეზრდა. ახლა ჩემს „სასტავში“ „ჩეთაობა“ უპონტობად მიიჩნევა, რადგან მაგრად „გაბანძდა“... ისე, ჩემი „ლოვე“ სწორედ „ჩეთით“ გავიცანი.

ლუკა, 17 წლის:

„გთხოვთ, დამიბეჭდოთ. კულეველ რიტა შამათავას მინდა ვუთხრა, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. შენი გაცნობა ძალიან მინდა და გამეცანი“.

პატარა, 16 წლის:

„დარდად ქცეული ჩემი რჩეული, ბევრისგან ერთი ამორჩეული. ყველასგან შენ ხარ გამორჩეული, მე კი უბრალოდ გადარეული“. ედ, მიყვარხარ“.

ბელა გუნცაძე, 17 წლის:

„ლიკა, პირველად გწერ და გთხოვ, დამიბეჭდე. „დაგლოცონ სალოცავებმა მთისა და ბარისამაო, მცხეთაში სვეტიცხოველმა, თბილისში სამებამაო, კახეთში ნინოწმინდამ, მლეთაში ლომისამაო, რუსთავში წმინდა გიორგიმ, ზეცაში მარიამმაო“, — ეძღვნება გიორგი ჯუღელს, რომელიც გუშინ ავარიაში მოყვა და ძალიან ცუდადაა. მინდა, მალე გამოჯანმრთელდეს“.

სოფო, 19 წლის:

„პრივეტ“, ლიკა! ამ გაზაფხულზე ქუთაისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სახლში ვიყავი ჩასული რაღაც პროექტის მეშვეობით. ამ ქალაქში ადრეც ვყოფილვარ და ვიცნობდი იქ მცხოვრებ არაჩვეულებრივ ბავშვებს, მაგრამ წელს სხვებიც გავიცანი. არ ვიცი, რას დავაბრალო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის, ტიტიკოს თვალებს ვერ ვივიწყებ. ტიტიკო, მენატრები“.

ნანუკა, 18 წლის:

„მაშინ, როცა ღამით ყველგან სიჩუმეა. მაშინ, როცა კაციშვილი არ ჩანს გზაზე, მაშინ, როცა ვარსკვლავები კიაფობენ, მაშინ, როცა დიდი მთვარე მოჩანს ცაზე, მაშინ მოვალ და ვილოცებ შენ წინაშე... მაშინ, როცა ამატირებს შენზე ფიქრი, მაშინ, როცა გავიხსენებ შენს ნაზ თვალებს, მაშინ, როცა მონატრებას ვეღარ დავძლევ, მაშინ მოვალ და გაგიმხელ ცრემლის მიზეზს...“ — ეძღვნება გიოს“.

ანა, 13 წლის:

„პრივეტ“. გოგოებო, ბიჭებზე რომ ამბობთ — ნაგვები და მათხოვრები არიანო, თქვენც ხომ გათხოვდებით? ჰოდა, მაშინ თქვენი ქმრები ნაგვები არ იქნებიან? ჰო, გეთანხმებით, ზოგი მართლა ისეთი რეგვენი და უზრდელია, რომ შეიძლება, ბიჭზე აზრი შეგეცვალოს, მაგრამ ყველას ერთ ქვაბში რატომ ხარშავთ? თქვენ რა, ვინც კი შეგხვედრიათ, ყველა ნაგავია? და კიდევ, ვინც მეთანხმებით, ამავე ჟურნალის მეშვეობით გამომეხმაურეთ... დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ანანო ხამხაძეს და ნიკა გელიშვილს. გმადლობ“.

ია, 17 წლის:

„შეყვარებული ღრუბლიან დღესაც ყველაზე მზიან ამინდად აქცევს, ფერად კენჭებს და გოლიათ ქვებსაც დაუზარელი ხალისით ასწევს. შეყვარებულებს ბრმებს გვეძახიან, გვწამლობენ ფრთხილად და თავდადებით, და რომ ჰგონიათ — თვალთ აგვეხილა, იქნებ, ჩვენ სწორედ მაშინ ვბრმავდებით?!“

ნია, 16 წლის:

„ჩვენ გავიბუტეთ. დაე ორივეს დარდი გვმოსავდეს. ჩაქრა სურვილი — ძველებური თრთოლვით მიგინდო, არა იმიტომ, უშენობა რომ გამოვცადო, გაიგო ფასი უჩემობის მხოლოდ იმიტომ. და მაინც, მინდა, ჩემს ცარიელ სიმყუდროვეში ისევ მოგიხმო, გაპატიო და შეგირიგო, არა იმიტომ, შენს სიყვარულს რომ ვერ მოვეშვი, სხვას ვერასოდეს შევიყვარებ, მხოლოდ იმიტომ“. ეძღვნება ბექას“.

უცნობი გოგო, 17 წლის:

„ტომკა, მართალი ხარ, მართლაც ცუდი იქნებოდა ბიჭების გარეშე, მაგრამ ხანდახან ისე გვიშლიან ნერვებს, მზად ვართ, მათი მოდგმა მთლიანად გავანადგუროთ. ხომ ასეა?“

ანანო, 15 წლის:

„მე ვარ მხატვარი, ვხატავ ნახატებს, მე შენი სახე ვეღარ დავხატე, რადგან ვერ-ავის ვერ შეგადარე, შენ ხომ ერთი ხარ ამ ქვეყანაზე და მე ცხოვრება გამილამაზე“. ეძღვნება ედის“.

ქეთა, 17 წლის:

„ვეხმაურები ნინის. „ჩეთი“ არის გართობის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ძალიან მაგარი და „საკაიფო“ „მესტაა“. ის ჩვენი მესაიდუმლეა, რადგან იქ ვწერთ ისეთ რაღაცებს, რომლებიც შეიძლება, ბომბის აფეთქების ტოლფასი იყოს“.

მონასტრის ბიჭი, 19 წლის:

„ვეხმაურები მარი 16-ს. 22 წლის ვარ და ეს სახელი უფროსმა მეგობარმა შემარქვა — მონასტერში... ვინც მიცნობს, ყველას დიდ ბოდიშს მოვუხდი იმიტომ, რომ ტელეფონი დამეკარგა და ზოგიერთ ნომერს ვერ ვიხსენებ, მაგრამ არა უშავს, მობილს დავიბრუნებ და ისევ შეგეხმიანებით“.

პიკნიკა, 17 წლის:

„მე ერთი პატარა მესიჯი ვარ. ჩემი პატრონის მობილურიდან გამოვიპარე, რათა თქვენთვის მეთქვა, რომ ძალიან უყვარხართ, უთქვენოდ სულ მოწყენილია. უკან ვბრუნდები, რას დამბარებთ? ხალხნო, არ მოიწყინოთ — ცხოვრებაში უამრავი პრობლემა არსებობს, მაგრამ ყველა პრობლემას გმირულად უნდა გაუმკლავდეთ და ფარ-ხმალი არ დაყარ-ოთ“. ■

CR-V — გაუმჯობესებული და დახვენილი

იაპონურმა კომპანიამ მთლიანად გ
ნაახლა მოდელი — Honda CR-V. ა
იერიდან ეს ავტომობილი 150 ცხ.
სიმძლავრის 2-ლიტრიანი ძრავათ
აღიჭურვება. ის Civic-ის 1,8 ლ მოცუ
ლობის აგრეგატის ბაზაზე შემუშავდ
და უახლესი სისტემის სარქველებით
დაკომპლექტებული. ბენზინის გარდ
მომხმარებელს 2,2 ლ მოცულობის დ
ზელის ძრავასაც შესთავაზებენ, რო
ლის სიმძლავრე 140 ცხ.ძ-ს შეადგენ
მანქანა აღჭურვილი იქნება 6-საფეხ
ურიანი მექანიკურ ან 5-საფეხურიან
ავტომატურ გადაცემათა კოლოფი
კონსტრუქტორებმა განსაკუთრებულ
ყურადღება დაუთმეს მანქანის მარ
ვადობასა და მდგრადობას, საამისო
სიმძიმის ცენტრი 35 მმ-ით დაადაბლ
შეცვლილია აგრეთვე სრულამძრავ
ანი სისტემა, რომელიც გაცილები
საიმედოს ხდის მანქანას.

ცვლილებები მოდელის ექსტერ
ერსაც შეეხო: ახალ „ჰონდას“ გ
ილებით სოლიდური იერი აქვს, რ
რადიატორის ახალი ცხაურით, უფრ
მასიური ბამპერებით, ასევე გაუ
ჯობესებული წინა და უკანა ოპტიკ
თა და გაზრდილი დიამეტრის (კ
მპლექტაციისდა მიხედვით — 17
18-დუიმიანი) საბორბლე დისკები
იქნა მიღწეული.

არანაკლები ყურადღება გამოიჩინ
იაპონელმა ავტოკონსტრტუქტორებ
უსაფრთხოების მიმართაც. CR-V-ის ს
ბაზო კომპლექტაციაშია: უსაფრთხო
ბის ორსაფეხურიანი ბალიშები, წინ
მგზავრებისთვის გათვალისწინებულ
გვერდითი ბალიშები, აქტიური საა
ავურები და სიგნალიზატორი, რომელ
იც მგზავრებს ღვედების დამაგრებ
საჭიროებას შეახსენებს.

Honda CR-V-ის მსოფლიო პრემიერ
პარიზის ავტოსალონზე გაიმართებ
ხოლო გაყიდვა ზამთრის დამლ
ვისთვისაა დაგეგმილი. აი, ფასები კ
ჯერჯერობით გამოცხადებული ა
არის. ■

Bentley Continental GTC

ლუქსის კლასის მანქანების საქვეყნოდ ცნობილი მწარმოებელი კომპანია მალე ახალი კაბრიოლეტის — Continental GTC – გამოშვებას დაიწყებს. ეს მანქანა W ტიპის 12-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, 560 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,1 წმ-ში მიაღწევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 312 კმ/სთ-ია.

საგანგებოდ „ბენტლისთვის" გერმანულმა ფირმამ — ZF შეიმუშავა 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, რომელიც მექანიკურ რეჟიმშიც, საჭესთან დამაგრებული „ფოთ-

ლოების" გადართვის მეშვეობით იმუშავებს. საკიდარში რეგულირებადი ამორტიზატორებია გამოყენებული.

ახალი „ბენტლი" ძალზე თანამედროვედ გამოიყურება, უპირველესად — დიდი ჰაერშემწოვებიანი ბამპერის, 19-დუიმიანი ჩამოსხმული ბორბლების, ოვალური მაშუქებისა და უკან შეწეული წინა საქარე მინის წყალობით. ამავე დროს, მანქანის დანახვისას, მის წარმოშობაში ეჭვი არავის შეეპარება: რადიატორის საფირმო ცხაურით, გამორჩეული, მხოლოდ „ბენტლისთვის" დამახასიათებელი ფორმის მქონე კაპოტისა და ფრთების გამო. რაც შეეხება დამატებით აღჭურვილობას, — ახალი მოდელი თანამგზავრული სანავიგაციო სისტემით, ტელევიზორით, უახლესი ტექნოლოგიით — Bluetooth — დამზადებული ხმამაღალი კავშირითა და 6-დისკიანი CD-ჩეინჯერით იქნებ ა აღჭურვილი. ინჟინრებს არც აქტიური დასვენების მოყვარულნი დავიწყნიათ: საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, უკანა სავარძლის ადგილას, თხილამურების სპეციალური ფიქსატორი დაამონტაჟონ.

კაბრიოლეტის პირველი ოფიციალური ჩვენება მოახლოებულ პარიზის ავტოსალონზე გაიმართება. იმავე დღეებში ფირმა მანქანის შეძენის მსურველთაგან შეკვეთების მიღებასაც დაიწყებს. ფასს კომპანიის მესვეურები ჯერჯერობით არ აცხადებენ. ■

სიუჰჰიზი "ჰამანისგან"

ცნობილმა სატიუნინგო ფირმამ — Hamann — როდსტერის — BMW Z4 — დახვეწა-დამუშავებას შეჰკიდა ხელი. ოსტატებმა გადაწყვიტეს, წვრილმანებს არ შეხებოდნენ და პირდაპირ ძრავას მიადგნენ. მისი მოცულობა 300 „კუბით" გაზარდეს, ამის შედეგად, 3,3 ლ სამუშაო მოცულობის აგრეგატი გამოუვიდათ, რომელიც 286 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს და საკმარისია საიმისოდ, რომ მაქსიმალურმა სიჩქარემ 268 კმ/სთ-ს მიაღწიოს. მოდელს ძალზე მოუხდა მექანიკურ გადაცემათა კოლოფი — Hamann Sportshift, რომელიც გადაცემათა უფრო სწრაფ გადართვას უზრუნველყოფს.

ბუნებრივია, ძრავას ფორსირებამ სავალი ნაწილის სრულყოფაც მოითხოვა. მართვადობის გასაუმჯობესებლად, ტიუნინგის სპეციალისტები მწარმოებლებს გაძლიერებული საკიდრის რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ.

განახლება მანქანის გარეგნულ მხარესაც შეეხება. ცვლილებათა „კომპლექტში" შედის: ექსკლუზიური წინა ბამპერი, რომელიც Z4-ს არა მარტო უფრო აგრესიულ იერს ანიჭებს, არამედ წინა ღერძულაზე დატვირთვის შემცირებასაც ემსახურება. დაბოლოს: კლიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, სამიდან ერთ-ერთი — 17, 18 ან 19-დუიმიანი ბორბლები აირჩიონ. ■



გიორგი ფოჩხუას მასზე 3 წლიან უფროსი გოგონა შეუყვარდა

„ჩემს პროდიუსერობას რუსი ბიზნესმენი აისრულებს"

ყოფილმა „ჯეობარელმა" გიორგი ფოჩხუამ გადაწყვიტა, რომ ძალ... შოუბიზნესშიც მოქცინჯა და რამდენიმე სიმღერა ჩაწერა კიდეც. მე... კლიპიც გადაიღო — ძველი და ახალი „ჯეობარელების" მონაწილეობ... რამდენიმე დღის წინ კი, მან და ნორჩმა მომღერალმა — ძმ... ახოზაძემ (რომელმაც უკრაინაში გამართულ ფესტივალზე აღებუ... გრან-პრით გამოიჩინა თავი), დუეტი ჩაწერეს და მასზე კლიპ... გადაღებასაც აპირებენ. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ს... საუბროდ, მომღერლებს ქეთის ოჯახში ვეწვიე.

ნათია ქივიძე

— გიო, ქართულ შოუბიზნესში საბოლოოდ დაიმკვიდრე ადგილი?

— რაღაც საქმეები მაქვს წამოწყებული და ვნახოთ, რა გამოვა. ბევრი იდეა და პროექტი მაქვს განსახორციელებელი, დაფინანსებასაც ველოდები... თუ ეს ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც ჩაფიქრებული მაქვს, მაშინ თამამად ვიტყვი, რომ შოუბიზნესში დამკვიდრება მოვახერხე.

— ახალ პროექტებში რას გულისხმობ?

— მაქვს სურვილი, მყავდეს ბენდი და ყველა კონცერტზე ცოცხლად ვიმღერო. „პლუსზე" სიმღერას არ ვაპირებ.

— გამოდის, რომ სერიოზულ კონკურენციას უწევ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს...

— არა, ეს კონკურენცია არ არის. უბრალოდ მინდა, რომ საქმე, რომელსაც ხელს მოვკიდებ, უნაკლოდ შევასრულო.

— ქეთი, შენს შემოქმედებაში რა სიახლეა?

— გარდა იმისა, რომ გიორგისთან დუეტი ჩავწერე და ახლა კლიპის გადაღებას ვგეგმავთ, ასევე ვმუშაობ რამდენიმე ახალ სიმღერაზე, რომლის ჩაწერაც მალე დასრულდება.

— მოდით, თქვენს დუეტზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ. რატომ გადაწყვიტეთ, რომ პარტნიორებად ერთმანეთი აგერჩიათ?

გიორგი:

— სხვათა შორის, დუეტის ჩაწერის იდეა ამ ოთახში გაჩნდა.

ქეთი:

— ჩემი და გიორგის ოჯახები დიდი ხანია, მეგობრობენ. ერთ დღეს, ჩვენთან სტუმრად გიორგი და მისი და — ელენე მოვიდნენ. ამ ოთახში ვისხედით და ვლაპარაკობდით. ელენემ თქვა: მგონი, თქვენი ხმები ერთმანეთს ძალიან მოუხდება და კარგი დუეტი გამოგივათო. ეს იდეა მაშინვე ავიტაცეთ და ფორტეპიანოს მივუსხედით...

გიორგი:

— ეს ყველაფერი სპონტანურად მოხდა და სიმღერაზე მუშაობა 10 დღეში დავასრულეთ. სიმღერა გიგა კუხიანიძემ დაგვიწერა, არანჟირებაც მან გააკეთა. ტექსტი კი — ქეთის დაწერილია.

ქეთი:

— არა, ტექსტი მე და გიორგიმ ერთად დავწერეთ. მგონი, კარგი გამოვიდა. რაც შეეხება „ბექებს", — ის მაიკო კაჭკაჭიშვილმა გაგვიკეთა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ჩვენი აზრით, საკმაოდ ლამაზი სიმღერაა და კლიპიც ასეთივე გვინდა გამოვიდეს.

გიორგი:

— ჯერ ზუსტად არ გადაგვიწყვეტია, კლიპის რეჟისორი ვინ იქნება, მაგრამ უახლოეს მომავალში ესეც გვეცოდინება და კლიპსაც სწრაფად გადავიღებთ.

— როგორ შეაფასებთ ერთმანეთის შემოქმედებას?

გიორგი:

— ქეთის კარგი მომავალი აქვს, მაგრამ ამისთვის გარკვეული ეტაპი უნდა გაიაროს. მას არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემები, დიდი დიაპაზონის ხმა აქვს. გარდა ამისა, წარმატების მიღწევაში მშვენიერი გარეგნობაც შეუწყობს ხელს და კიდევ, მას კარგი პროდიუსერი სჭირდება.

— ქეთი, პროდუსერი გყავს?

— ჩემი პროდუსერი დედაჩემია, სპონსორი კი — მამა.

გიორგი:

— ჯერჯერობით ასეა, მაგრამ იმედი მაქვს, მისით ვიღაც დაინტერესდება... პროდიუსერი არც მე მყავს. ამდენ რამეს მარტო ვუმკლავდები და ეს მსიამოვნებს კიდეც. ვცდილობ, სხვებისგან გამორჩეული ვიყო — მანერებით, ქცევით, ლაპარაკის მანერით, ინტელექტით, ჩაცმულობის სტილით და ა.შ. მსახიობობა და მომღერლობა ისეთი პროფესიებია, სადაც ან ძალიან მაგარ... უნდა იყო, ან — ცუდი, რადგან საშ... ალო არ არსებობს... საკუთარი თავ... შეფასება არ მიყვარს. რჩევასა და კრ... ტიკას კი, ნამდვილად ვიღებ, თუმ... ჯერ არავის გავუკრიტიკებივარ. უბრა... ოდ, ამ ბოლო დროს ვგრძნობ, რ... ჩემ გარშემო ბოღმა და შური ტრ... ალებს. შურიანი არასდროს ვყოფი... ვარ. ყოველთვის ვაკეთებ ჩემს საქ... და ვიცი, რომ რასაც ხელს მოვკიდ... ბოლომდე უნდა მივიყვანო. დანარჩ... არაფერი მაინტერესებს. როცა ჩემ... ჭორაობენ (არა აქვს მნიშვნელობ... ცუდს იტყვიან თუ კარგს), ეს მახარ... კიდეც: ე.ი. ვიღაცას ვაინტერესებ.

ქეთი:

— გიორგის არაჩვეულებრივი ვოკ... ლური მონაცემები აქვს. ხშირად ყოფ... ლა შემთხვევა, როცა ჩვენს ოჯახ... სუფრასთან ერთად გვიმღერია. გამო... იცხულია, რომ ელენეს უნიჭო ძ... ჰყავდეს, რადგან ისიც ძალიან კარგ... მღერის. გიორგი, ყველაფერთან ერთა... ნიჭიერი მსახიობიცაა...

გიორგი:

— გოგო, მსახიობი ჯერ არა ვარ.

— დამწყები...

ქეთი:

— ჰოდა, ნიჭიერი „დამწყებია" ... მივიჩნევ, რომ ბევრ კურსდამთავრებ... მსახიობს სჯობია. სტუდიაში შევედ... თუ არა, ყოველგვარი რეპეტიცი... გარეშე, მაშინვე ჩაწერა სიმღერა...

გიორგი:

— რომ გითხრა, საოცარი ხმა მაქვ... მეთქი, ტყუილი იქნება. რაც შემიძლ... იმას ვაკეთებ და რეპერტუარიც ჩემ... შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქ... შერჩეული. როცა სცენაზე ვდგები, ხალ... ის არ მრცხვენია და არც კრიტ... მაშინებს.

— ქეთი, რამდენი წლის ხ... და პროფესიით ვინ გინდა გამ... ვიდე?

— ჯერ მხოლოდ 15 წლის ვარ ... მსახიობობაზე ვოცნებობ (გიორგ... კვალს უნდა გავყვე). ვნახოთ, რა გამ... მივა.

— როგორც ვიცი, შენს ცხ-ოვრებაში რალაც კარგი სიახლეა, რომელსაც რატომღაც არ გვიმხელ...

— მართალი ხარ, ვცდილობ, ამაზე ადრინდელ წარ არ ვილაპარაკო, მაგრამ რადგან მკითხე... მოსკოვიდან რუსი ბიზნესმენები იყვნენ ჩამოსულები, რომლებსაც ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში ვაუმართეს ბანკეტი. მეც ვიყავი მიწვეული და რამდენიმე სიმღერა ცოცხლად ავასრულე. ერთ-ერთ ბიზნესმენს ჩემი ეს ძალიან მოეწონა და მითხრა: შენს ბოსისს მოსკოვში წავიღებო. ცოტა ხანში იქიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ბოსს ძალიან მოვეწონე და შემომთავაზა — საცხოვრებლად იქ გადავიდე, ის ბოსი კი, ჩემი სპონსორი იქნება. უკვე ერთ წელიწადზე ორი ახალი რუსული სიმღერა, რომელიც საქართველოში ჯერ არ აუღია, შესრულებულა. ზუსტად არ ვიცი, როდის ავფრენ, ავიმგზავრები, რადგან იქ დამოუკიდებლად ვერ ვიცხოვრებ, პატარა ვარ, ჩემი ოჯახის წევრები კი საქართველოში ცხოვრობენ და... მოკლედ, ჩემი მშობლები გადაწყვეტენ ჩემს მომავალს.

— გიორგი, გავიგე, შეყვარებული ყოფილხარ...

— საიდან გაიგე? ამ საკითხზე ჯერ ერთ ჟურნალისტთან არ მილაპარაკია, მაგრამ რადგან მკითხე, გაგიმხელ, რომ მართლაც ასეა. მიყვარს ერთი გოგონა, რომელიც ჩემზე 3 წლით უფროსია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ის გოგონა თბილისში გავიცანი, პროფესიით ჟურნალისტია, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს. ყავს საკუთარი ავტომობილი და „ღამის თბილისში“ ხშირად ვსეირნობთ. ასევე მანქანა ჰყავს ჩემს მეგობარს, ქეთილ „ჯეობარელს“ — ქეთი ახალგაზრდა ოჯახშვილს და ჭორები გაავრცელეს, თითქოს ერთმანეთი გვიყვარს. ახლა ვამბობ, რომ ის გოგონა ქეთი არ არის. ხუთა შორის, გასულ ზაფხულს ორივე, ბაქოში ვისვენებდით. ქობულეთში ერთ-ერთი კლუბის არტ-მენეჯერი ვიყავი. ის ბათუმში ისვენებდა და ხშირად ვაკითხავდი. მერე თვითონ დამპირდა — სიურპრიზს მოგიწყობ და ვერტფრენით ჩამოგაკითხავო, — მაგრამ ეს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა და სურვილი ვერ აისრულა.

— ერთმანეთს სიყვარულში თუ გამოუტყდით?

— ორივე საკმაოდ ნასვამები ვიყავით და მაშინ გამოვუტყდით ერთმანეთს სიყვარულში. ამას არც ვნანობ. ძალიან კარგი გოგონაა და მასთან არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. ჯერჯერობით დაქორწინებას არ ვაპირებთ, მერე — ვნახოთ. ძალიან ვუყვარვარ და არ ვიცი, რა ვქნა (*იცინის*). არასდროს მომსვლია აზრად, რომ მისთვის სიმღერა მიმეძღვნა. ახლა დამპირდა — ტექსტს დაგიწერო. ვნახოთ, რას იზამს. ისე, ალბათ, მეც უნდა მივუძღვნა ერთი სიმღერა, არა?..

რუსეთი და „ფერადი“ რევოლუციები

(Frankfurter Allgemaine)

დასაწყისი იხ. გვ. 6

საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი „ფერადი“ რევოლუციები რუსეთმა, როგორც საკუთარი მარცხი და მისი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის საფრთხის მომასწავებელი მოვლენები, ისე აღიქვა. მოსკოვის აზრით, აშშ-მა ისარგებლა იმ დათმობებით, რომლებიც პრეზიდენტმა პუტინმა ტერორიზმთან ბრძოლის ფონზე, მის მიმართ გამოიიჩინა: ამერიკა შეეცადა, საკუთარი ფინანსური და საორგანიზაციო ძლიერების მეშვეობით, შეესუსტებინა მის მეზობელ ქვეყნებზე რუსეთის გავლენა. კრემლი მიიჩნევს, რომ საქართველოში ძალაუფლება ხელთ უპყრია მარიონეტულ მთავრობას, რომელსაც ვაშინგტონი მართავს. რაც შეეხება „ნარინჯისფერ“ რევოლუციას, — ის ვლადიმირ პუტინისთვის პირადი შეურაცხყოფის აქტადაც კი იქცა, ვინაიდან, ცრუგამარჯვების შემდეგ, კრემლს მოუხდა, ხელი ჩაექნია თავის ფავორიტ კანდიდატზე — ვიქტორ იანუკოვიჩზე...

როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის წინ, იანუკოვიჩი უკრაინის პრემიერ-მინისტრი მაინც გახდა და მოსკოვში ოფიციალური ვიზიტითაც ჩავიდა. დასავლეთში მას კვლავაც პრორუსულ ლიდერად მიიჩნევენ, მაგრამ ახალი უკრაინული მთავრობა მოსკოვს აღარ აღაფრთოვანებს. ის ვეღარ აღიქვამს იანუკოვიჩს, როგორც თავის მოკავშირეს და მასში უფრო, პრაგმატიკოს ცენტრისტს ხედავს. ადამიანები, რომლებიც მას ზურგს უმაგრებენ (აღმოსავლეთ უკრაინაში მოღვაწე ოლიგარქები), მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით ხელმძღვანელობენ, — ამ მხრივ კი, დასავლეთი მეტის მომცემია, ვიდრე აღმოსავლეთი. ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონიც მიესალმა იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის კავშირს.

მოსკოვის აზრით, იანუკოვიჩის მთავრობა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ღირსებით გამოირჩევა: ნოემბრისთვის დაგეგმილ, ნატოს სამიტზე აღარ დადგება ამ ორგანიზაციაში უკრაინის მიღების საკითხი, რისიც ესოდენ ძლიერ ეშინოდა რუსეთს. იუშჩენკომ და იანუკოვიჩმა ეს საკითხი 2008 წლისთვის გადადეს და იმ რეფერენდუმს „მიაბეს“, რომლის შედეგები წინასწარ ძნელი განსაჭვრეტია. ამგვარად, რუსულ-უკრაინული ურთიერთობები წყნარ კალაპოტში ჩადგა. მოსკოვი არ დაუთმობს კიევს გაზზე ფასის საკითხში, მაგრამ არც „გაზის ომია“ მოსალოდნელი: მოსკოვი კიევზეა დამოკიდებული, რადგან ნავთობისა და გაზის ევროპისკენ გაჭიმული მილსადენები უკრაინის ტერიტორიაზე გადის...

გაცილებით დაძაბულია რუსულ-ქართული ურთიერთობები. მოსკოვი მრავალი თვის მანძილზე ცდილობს დაარწმუნოს თბილისი, რომ მას ძალზე თავისუფლად შეუძლია იცხოვროს „მომცრო“ სამხრეთელი მეზობლის გარეშე. ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. პროპაგანდისტული საშუალებების მეშვეობით, კრემლმა იმაზეც იზრუნა, რომ რუსეთის მოქალაქეები რაც შეიძლება ნეგატიურად განეწყო საქართველოს მიმართ: უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 38% აფასებს საქართველოს, როგორც არამეგობრულ ქვეყანას — ე.ი. მიაკუთვნებს იმ ქვეყნების რიგს, რომელთა შორისაც ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ლატვია და ლიტვა შედიოდნენ.

მოსკოვს იმის იმედი აქვს, რომ ნატოში შესვლის მოსურნე სააკაშვილის ხელისუფლება სულ უფრო მეტ ეკონომიკურ პრობლემას წააწყდება და ბოლოს და ბოლოს, დამარცხდება. მოსკოვი ამის ხელშეწყობასაც არ ერიდება; ზოგჯერ ამას ფარულად აკეთებს, ზოგჯერ — დაუფარავადაც. ის ფაქტი, რომ თბილისში მოწყობილი საპროტესტო აქციების მონაწილენი ამისთვის ფულს იღებენ, აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს...

როგორც ჩანს, ურთიერთობები პუტინსა და სააკაშვილს შორის საბოლოოდ გაფუჭდა. ხისტი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც საქართველოს პრეზიდენტმა ამბოხებული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება განიზრახა, უფრო ართულებს მის დიალოგს რუსეთის პრეზიდენტთან.

ორი პრეზიდენტი ცოტა ხნის წინ შეხვდა ერთმანეთს სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ როგორც ჩანს, ეს შეხვედრა პუტინს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეჩვენებინა ამერიკელთათვის, რომ ის უარს არ ამბობს დიალოგზე...

აფხაზეთი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესს წარმოადგენს მოსკოვისთვის. რუსეთი იმაზე ამყარებს იმედებს, რომ აფხაზებს აღარ სურთ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება იმ სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ, რომელიც მათ შორის მოხდა. პუტინს მოჰყავს კოსოვოს მაგალითი და ამით მიანიშნებს რუსეთის სამეზობლოში არსებულ გაყინულ კონფლიქტებზე. აქამდე მოსკოვს ეჭვქვეშ არ დაუყენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. გასულ ზაფხულს კი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველად დასვა კითხვის ნიშანი — არსებობს კი ეს მთლიანობაო?.. მსგავსი ხმები დროდადრო დასავლეთიდანაც გაისმის: მწვავე განცხადებების გამო, სააკაშვილის მომხრე ევროპელთა ბანაკი რამდენადმე შემცირდა.

ეს სწორედაც რომ ხელს აძლევს რუსეთს. კმარა „მეგობრული“ ჟესტები! ფლირტი ამერიკელებთან წარსულს ჩაბარდა. ზოგიერთ საკითხში ისინი პარტნიორები არიან, მაგრამ უფრო მეტ პრობლემას სრულიად სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. და ამაში მნიშვნელოვანი როლი საქართველოსა და უკრაინაში მომხდარმა რევოლუციებმა ითამაშა.

სოფო ხალვაში: „მესამე წელია, თბილისში ვცხოვრობ"

მომღერალი სოფო ხალვაში, რომელმაც წელს უდიდეს წარმატებას მიაღწია და იურმალის ფესტივალის პრიზიორი გახდა (სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი მშვენიერი სიმღერებით ბევრ ადამიანს მიანიჭა სიამოვნება), ქალაქ ბათუმშია დაბადებულ-გაზრდილი. დღეს, ჩვენს ქვეყანაში მის გარეშე არც ერთი სამთავრობო, მასობრივი ღონისძიება არ იხსნება. მას გასულ კვირასაც მოუხდა სპორტის სასახლეში „თბილისოსა" და საქართველოს ჰიმნის შესრულება. სოფოს ყველა დიდ პატივს სცემს და თბილად ხვდებიან. მან დედაქალაქისა და წარმატებისკენ გეზი 3 წლის წინ აიღო. კარგია, რომ გაუმართლა და ნიჭიერება დაუფასდა.

— 3 წლის ვიყავი, როცა მუსიკალურ სტუდიაში მიმიყვანეს. მერე მუსიკალური სასწავლებელიც დავამთავრე. „იმედის" არხზე კონკურსი — „ნუცას სკოლა" რომ გამოცხადდა, ჩემმა მეგობარმა იაქტიურა, ჩემ ნაცვლად შეკრიბა ყველა საჭირო საბუთი და ტელევიზიაში მიიტანა. მოგვიანებით დამირეკეს და კონკურსზე მიმიწვიეს. აი, ეს გახდა ჩემი თბილისში გადმოსვლის მიზეზი.

— უკვე რამდენი წელია, რაც თბილისში ცხოვრობ?

— მესამე.

— ამ ქალაქში სახლი გაქ

— არა, დეიდასთან ვცხოვრო **წვალებით დაწყებული საქმე შემდგ** ში ძვირფასი ხდება. მუშაობი **უფრო მეტის და მეტის გაკეთე** სურვილი მიჩნდებოდა. ვფიქრობ, **გამიმართლა** და საერთოდ, მიმაჩ **რომ იღბლიანი ადამიანი ვარ.**

— რას იტყვი შენს მშ ლიურ ქალაქ ბათუმზე?

— ბათუმი ძალიან მიყვარს. იქ ყ ლა კუთხე-კუნჭული ჩემთვის ახლ ბელი და მშობლიურია. ჩემი ქალ დღითი დღე ლამაზდება, მშვენდება, ძალიან მახარებს... ისე მოხდა, რომ ჩ პირველი სოლო კონცერტი გორ ჩატარდა. არადა, სულ მქონდა ი სურვილი, რომ ეს ბათუმში მო დარიყო, მაგრამ რა ვქნა, ასე მოხდ

— ბათუმში ვინ გყავს?

— დედა, მამა, და, მეგობრები, ლობლები...

— თბილისზე რას იტყვი?

— თბილისმაც შემაყვარა თავი. თბილად მიმიღო და ბევრი სიამოვნ მომანიჭა.

— ეი. გზა დედაქალაქამ ტყუილად არ გამოგივლია, არ

— არა. ვფიქრობ, რომ დედაქალ ში ჩემი კარიერა დაიწყო.

ავთანდილის ახალი სამოდელო სახლი აქვს

დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძეს საქართველოში ჩვენება და დიდი ღონისძიება კარგა ხანია, აღარ მოუწყვია, რადგან მას ძირითადად, უცხოეთში უწევდა მსგავსი ღონისძიებების გამართვა და დიდ პროექტებში მონაწილეობა. როგორც იტყვიან, ნავსი გატყდა და მან გასულ კვირას საკუთარი მოდების ახალი სახლის გახსნას (მისამართი შეიცვალა) საზოგადოებისთვის ორი ახალი ხაზის წარმოდგენაც დაამთხვია: ერთი — საქორწინო კაბებია, მეორე — მამაკაცის ჯინსის თანამედროვე პიჯაკები. სტუმარი და გულშემატკივარი ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, უხვად ჰყავდა, მათ შორის — პოლიტიკოსები, შოუბიზნესის წარმომადგენლები. მათი უმრავლესობა ხომ ავთანდილის კლიენტები არიან. საღამო, როგორც ასეთ შეკრებებზე ევროპაში ხდება ხოლმე, დიჯეიმ გახსნა; შემდეგ, სააგენტო „ნატალის" მოდელები თეატრალიზებული სანახაობით წარდგნენ დამსწრეთა წინაშე. ყველაფერი კი შამპანურით „დასველდა". ავთანდილი კმაყოფილი და ბედნიე იყო, რადგან საწადელს მიაღწია — უფრო ფართო, ლამა კარგად მოწყობილი ახალი მოდელების სახლი გახსნა. ამ გრ დიოზული „ფართის" შემდეგ, დიზაინერი ევროპაში გაემგზავ სადაც ერთ-ერთ სამოდელო სახლთან სამთვიანი კონტრაქ დადო და სერიოზულ შეკვეთებზე მუშაობა მოუწევს.



„ჯეოსთარს" კონკურენტი გამოუჩნ

კომპანია „ჩვენი რადიო" ახალ მუსიკალურ კონკურსს „ფუნდამენტს" იწყებს. მასში 16 წელზე უფროსი ასაკის ნ ჭიერი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. მათ ნებ სმიერი ჟანრის შერჩევა შეეძლებათ. ჟიურიმ 12 მონაწი უნდა შეარჩიოს. შემდეგ, კონკურსანტები ხმის ჩამწერ სტ დიაში გადაინაცვლებენ. თითოეულ მონაწილეს სამუშაოდ საათს მისცემენ. ეს დრო მათ, ცნობილი სიმღერების საკ თარი ვარიანტების ჩასაწერად მიეცემათ. ნოემბრიდან ნამუშევრები ეთერში გავა. საუკეთესოს SMS-ებით მსმენე გამოავლენს, ხოლო დეკემბრიდან, რადიოში გადაცემა „ფ დამენტი" გავა. ის შემსრულებელი, რომელსაც დაბალი რ იტინგი ექნება, პროექტს დატოვებს. მისი გადარჩენა დამ იდებული იქნება ხმათა რაოდენობაზე. გამარჯვებულს ხმ ჩამწერი სტუდია „მამბო" 10 სიმღერის ჩაწერით უზრუნ ლყოფს, კასეტებისა და კომპაქტდისკების რეალიზებას სტ დია „თბილისი" კისრულობს. „ჩვენი რადიო" კი, გამარჯვ ბულს ერთწლიან პიარ-კამპანიას გაუწევს. ასე რომ, ჩვენ უკვე კარგად ნაცნობ მუსიკალურ კონკურსს, „ჯეოსთარ კონკურენტი გამოუჩნდა.

„ჩიკო მეფარიძე: „წინა ცხოვრებაში მაგი ვიყავი და ზებუნებრივ ძალებთან მჭონდა კავშირი"

— ჩიკო, სად ხარ?

– საქართველოში.

— უფრო კონკრეტულად?

– კლიპის გადასაღებ მოედანზე — ვიდეორგოლს ნატო გელაშვილის იმღერაზე, რომელსაც დათო ძიძიგური სრულებს.

— მაინც რას აკეთებ?

– მას მიმართულებას ვაძლევ კლიპის ცენტრთან დაკავშირებით.

— კარგი. გაიხსენე ყველაზე უხერხული სიტუაცია, რომელშიც ყოფილხარ?

– ეს იყო ზღვაზე. ერთხელ ტალღებში ჩავუდგ შევცურე. მალე ტალღებმა ნაპირზე ამიტანა. ჩემს „პლავკას" უკანა ნაწილი ორღვეოდა, რასაც ვერ ვგრძნობდი. სამაგიეროდ, მთელი პლაჟი ხარხარებდა.

— რატომ ყოფს სირაქლემა თავს სილაში?

– მგონი, ძალიან პატარა თავი აქვს და რაც დიდი აქვს, თან ბუმბულებით შემკული, უნდა, რომ ის გამოაჩინოს და ყველას დააბნიოს.

— საკუთარი პერანგი თუ გაგიტრეფავს?

– რა თქმა უნდა.

— ეს რა განცდაა?

– ამ დროს არაჩვეულებრივი განცდა შეუფლება — შენს პერანგს ასუფთავებ და ამაში ცუდი რა უნდა იყოს?! გარეცხავ, გაფენ, გაშრება და მეორე დღეს, სუფთას ჩაიცვამ.

— როგორ თარგმნიდი რუსულ ფრაზას — Нет худа без добра?

— ოო, ეს ძალიან რთული კითხვაა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ძალიან კარგად ვიცი. ალბათ, ასე იქნება — ცუდსაც კი სიკეთე ახლავს... თუმცა, ჯობდა, ასე მეთქვა — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი *(იცინის)*.

— როგორ იქნება რუსულად ქართული ანდაზა — „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო"–

— ოო, თავში ცუდი სიტყვები მომივიდა — случилось бы с тобой плохое, ну и чёрт с тобой.

— შენს ლექსიკაში ბევრი უხამსი სიტყვაა?

— კი, ბევრია, მაგრამ მათ მხოლოდ დანიშნულების მიხედვით ვიყენებ.

— რომელი მწვერვალის დაპყრობა გინდა?

— ხელოვნების მწვერვალის, რადგან მთებზე „პოტიალის" თავი არა მაქვს და ეს არანაირად არ მხიბლავს.

— მეგონა, იტყოდი — ჯომოლუნგმის დაპყრობის სურვილი მაქვსო.

— არა, სიცივე, თოვლი და ყინვა მზარავს. სამაგიეროდ, შემოქმედებითი მწვერვალები მიზიდავს.

— რატომ ჰქვია სპილოს შვილს სპლიყვი?

— მართლა სპლიყვი ჰქვია? — არ ვიცოდი, ეს ახლა გავიგე *(იცინის)*.

— როგორ ხვდები, რომ მთვრალი ხარ?

— ჩემი ტესტი მაქვს — თუ ხაზზე ხუთი ნაბიჯი სწორად გადავდგი და ფეხი არ ამერია, ესე იგი საქმე კარგად არის. თუ ამერია, მაშინ — ოოო...

— მწვადი ღორის ხორცის სჯობია თუ ძროხის?

— რა თქმა უნდა, ხბოსი!

— ვინ იქნებოდი წინა ცხოვრებაში, და საერთოდ, რეინკარნაციის თუ გჯერა?

— მე ვიცი, ვინც ვიყავი და რაღაცაზე რატომ უნდა ვიოცნებო? ვიცი, რომ ვიყავი მამაკაცი მაგი და ზებუნებრივ ძალებთან გახლდით დაკავშირებული. თან, ასკეტურ ცხოვრებას ვეწეოდი, განმარტოებით ვცხოვრობდი.

— რამდენია 8X9?

— უცბად ვერ გეტყვი... მგონი, 72, არა? 8X8 რომ გეკითხა, გეტყოდი — 64-იაო მეთქი.

— ეჭვი და შური ერთმანეთთან „მეგობრობენ"?

— შეიძლება, კი, შეიძლება — არა, მათი „მეგობრობა" აუცილებელი არ არის.

— როგორც ექიმი, რას მიიჩნევ უკურნებელ დაავადებად?

— ვფიქრობ, რომ ადამიანისთვის უკურნებელი დაავადება შურია და არანაკლებ მძიმე დაავადებაა ეჭვიც. ■

ქართველებს ჩახუტებული ლეონიდ აგუტინი

ჩვენში ჩოგბურთის კორტების გახსნის პრეზენტაციაზე ჩამოვიდა რუსი ვარსკვლავი ლეონიდ აგუტინი, რომელიც (როგორც თავად განაცხადა), საქართველოში სტუმრობას მონატრებული ყოფილა. კიდევ კარგი, ჩოგბურთის კორტები გახსენით, თორემ ალბათ, აქაურობის ნახვას ვერც ვეღირსებოდიო, — აღნიშნა. აგუტინი რომ ერთ-ერთი წონიანი ვარსკვლავია და ჩვენშიც ბევრს უყვარს, ამას ახალი კორტების ტერიტორიაზე შეკრებილთა რაოდენობაც მოწმობდა. ისინი 2 საათის განმავლობაში, გულითადად აჰყვნენ მუსიკოსს სცენაზე მუშაობისას და ისიც ნასიამოვნები ჩანდა, რადგან მაყურებელსა და მომღერალს შორის, ენერგიის აქტიური გაცვლა ხდებოდა. სანამ აგუტინი სცენაზე იდგა, მისი მასპინძლები, კომპანია „არტ ფორუმის" დამფუძნებლები — კახა ცისკარიძე და სტეფანე მღებრიშვილი ნერვულად მიმოდიოდნენ — რაიმე ექსცესი არ მოხდესო. მართალია, თბილისში აგუტინს ბევრი სერიოზული ფანი ჰყოლია, მაგრამ ექსცესებს ნამდვილად ავცდით. სტუმარი საქართველოში თორმეტკაციან ბენდთან ერთად ჩამობრძანდა. მას ამჯერად გვერდს არ უმშვენებდა მეუღლე, მშვენიერი ანჟელიკა ვარუმი. ■

kviris astrologiuri prognozi

(21 – 27 seqtemberi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ეს კვირა თქვენთვის იღბლიანია და შეძლებთ გამოასწოროთ წინა პერიოდში ჩადენილი შეცდომები. ამასთან, პარტნიორები უამრავ საქმიან წინადადებას გაგიკეთებენ და არ არის გამორიცხული, რომ თქვენი კარიერა ახლებური სცენარით განვითარდეს.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

თქვენ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, როგორ რეაგირებენ ადამიანები თქვენს ამა თუ იმ საქციელზე, მაგრამ ამაზე დაფიქრება მაინც მოგიწევთ. ამ დღეებში, გაიზრდება თქვენი ინტერესი ბიზნესის მიმართ და დაგჭირდებათ შემოქმედებითი გეგმების დემონსტრირება.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

ამ პერიოდში, ძალების მოძღვავებას იგრძნობთ და თქვენი ორგანიზატორული ნიჭი დადებით რეზულტატს მოგიტანთ. ეს დღეები ხელსაყრელია იმისთვის, რომ აანალიზაუროთ წინა პერიოდის დანაკარგები და აღადგინოთ ურთიერთობები. თქვენ შეძლებთ მომგებიანი გახადოთ ნებისმიერი წამოწყება, რაშიც ნათესავები და პარტნიორები დაგეხმარებიან.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

თქვენ ახლოს ხართ თქვენი გეგმებისა და ოცნებების განხორციელებასთან. ენერგიულობისა და იდეების ორიგინალურობის წყალობით გამოჩნდებიან თანამზრახველები, სპონსორები და მეგობრები, რომლებიც მხარს დაგიჭერენ. ამ პერიოდში, იღბლიანი იქნება თქვენი ნებისმიერი წამოწყება, რაც მრავალფეროვნებას შეიტანს თქვენს ცხოვრებაში.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ეს დღეები, თქვენთვის შედარებით ნაყოფიერია და შეძლებთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. ეს გიბიძგებთ თამამი და ორიგინალური ნაბიჯებისკენ, რაც თქვენს პოზიციას გაამყარებს და მატერიალურ მოგებას მოგიტანთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ კვირას, შეძლებთ თქვენი იდეების განხორციელებას. ბევრი პროექტი სწრაფ შემოსავალს გპირდებათ. ამავე დროს, თქვენი ურთიერთობები საყვარელ ადამიანებთან უფრო ამაღლებული გახდება. სწორედ ეს მოგცემთ იმ სტიმულს, რომელიც დაგეხმარებათ სირთულეების დაძლევაში.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

თქვენს ცხოვრებაში საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი იწყება. შეძლებთ აღიდგინოთ ენერგეტიკა და გაამყაროთ თქვენი კავშირები. წინა კვირის პრობლემები თანდათან გაქრება, ამიტომ განეწყვეთ ახალი ნაცნობობის, ახალი საქმიანი და შემოქმედებითი კავშირებისთვის.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ეს კარგი პერიოდია შემოქმედებისთვის, საქმიანი კონტაქტების, მეგობრული ურთიერთობების გაფართოებისა და ამასთან, ხანგრძლივი, რომანტიკული ურთიერთობების დასამყარებლად. წარსულის გამოცდილება კი, დადებით როლს შეასრულებს და გაიძულებთ მეტი მიზანსწრაფვითა და სითამამით განახორციელოთ თქვენი გეგმები.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

მოეშვით და მოემზადეთ ახალი პოზიტიური ციკლისთვის. თქვენ ირგვლივ მყოფნი მხარში ამოგიდგებიან და საშუალება გექნებათ, სამსახურებრივ კიბეზე წინ წაიწიოთ. თქვენი წარმატებით ბევრი ადამიანი იქნება დაინტერესებული. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

ის გეგმები, რომელიც თქვენ წლის დასაწყისში დასახეთ, შეიძლება ახლა განხორციელდეს, რაც კარგ რეზულტატს მოგიტანთ. საგრძნობლად გამყარდება თქვენი მატერიალური მდგომარეობა და კარიერაშიც წინსვლა გელით. ეს დღეები დაგამახსოვრდებათ როგორც ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი და ჰარმონიული პერიოდი მთელი წლის განმავლობაში.

ᲕᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ინტუიცია გიმძაფრდებათ და თქვენში ფსიქოლოგის ნიჭი იღვიძებს. ორიოდე სიტყვაც საკმარისი იქნება იმისთვის, რათა მიხვდეთ — რა ამოძრავებთ ადამიანებს, რა გაჭირვება აქვთ. ამასთან, სულიერი ძალების მოზღვავებასაც იგრძნობთ. ამ კვირას დადებული ყველა კონტრაქტი, შეთანხმება და ხელშეკრულება მომგებიანი იქნება ორივე მხარისთვის.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამჯერად, ხშირი და მრავალმხრივი კონტაქტები ხელს შეუწყობს თქვენს მატერიალურ და ემოციონალურ სტაბილურობას, რაც საშუალებას მოგცემთ, სიამოვნება მიიღოთ ამ შეხვედრებით. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ და თავს ალკოჰოლის მიღების უფლებაც მიეცით.



ეშმაკის ორნაბი ანუ რა ეხიზავი ქაფები აკავშირებს ტყუპს



იაპონიაში ძველად ერთი სასტიკი ჩვეულება არსებობდა: ტყუპს დაბადებისთანავე ხოცავდნენ. ამომავალი მზის ქვეყნის გაუნათლებელ მოსახლეობას მიაჩნდა, რომ ორი აბსოლუტურად ერთნაირი ადამიანის არსებობა — ეშმაკის ხრიკების შედეგი იყო. დიდება მეცნიერებას, რომელმაც ერთმანეთის მსგავსი ადამიანების ერთი კვერცხუჯრედიდან წარმოშობის შესაძლებლობა დაასაბუთა და ამით ბოლო მოუღო უაზრო ანგარიშსწორებას. ტყუპს კარტ-ბლანში მიეცა და მან, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დაბადების უფლება მოიპოვა...

ავანტიურისტები

ერთხელ რომში მცხოვრებმა იაპონელმა წერალმა მაღალი საზოგადოების ვეულებაზე ძალზე მშვიდი ტონით თქვა: „და მაინც, ჩვენ მართლები ვიყავით! საჭირო იყო მათი დახოცვა!“ თავშეკავებული იაპონელის ეს განცხადება იმ შთაბეჭდილებით იყო გამოწვეული, რომელიც ასზე იტალიელი ავანტიურისტი ტყუპი — ანიტასა და სილვია პონტების ჩადენილმა საქმეებმა მოახდინა.

მოხერხებულმა დებმა თავიანთი მსგავსებით ისარგებლეს და არაერთი მდიდარი ბატონის გაკოტრება შეძლეს. ისინი არჯვე მისტიფიკაციებს უწყობდნენ მსხვრპლს და ზოგჯერ, სიგიჟის ზღვრამდეც მიჰყავდათ იგი.

წარმოიდგინეთ, მაგალითად, ასეთი სიტუაცია: ქმარი ვაგზალზე აცილებს ცოლს, ისინი გულის ამაჩუყებლად ემშვიდობებიან ერთმანეთს, მზრუნველი მეუღლე მეუღლეს ვაგონში ასვლაში ეხმარება, რწმუნდება, რომ ის კუპეში მოხერხებულად მოეწყო. შემდეგ, სევდიანი გამომეტყველებით გაჰყურებს მატარებელს, მთელი თავისი არსებით გამოხატავს, რომ უბედნიერესი იქნებოდა, თავის საყვარელ ცოლთან ერთად გამგზავრების საშუალება რომ ჰქონოდა, მაგრამ ეს შეუძლებელია, ამიტომ ის შინ ბრუნდება, სადაც „გადაუდებელი საქმეები“ ელის. სინამდვილეში კი, მას ზღურბლთან საყვარელი ელოდება, რომელთან ერთადაც მალე საძინებლისკენ მიეშურება... და სწორედ მაშინ, როცა ცბიერი მოღალატე მზადაა, თავდაიწყებას მიეცეს, უეცრად იღება კარი და ზღურბლზე მეუღლე დგას. თანაც, მარტო კი არა, მეზობელთან (ე.ი. მოწმესთან) ერთად, რომელსაც „შემთხვევით“ შეხვდა სახლთან ახლოს. ბუნებრივია, ისინი სწორედ იმ მომენტში შედიან სახლში, როცა ქმრის ღალატი აშკარაა და ამაში რაიმე ეჭვის შეტანა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ქმარი თავზარდაცემულია. როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, როცა მან დანამდვილებით იცის — მატარებლის დაძვრიდან მხოლოდ 2 საათის შემდეგ იყო პირველი გაჩერება?! ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ქმარი ყოველთვის ასე ფრთხილობდა!.. მოკლედ, დიდი სკანდალი ხდება. შეურაცხყოფილი ცოლი შინიდან მიდის, ამას გაყრა მოჰყვება და შესაბამისად, შეურაცხყოფილი მხარის სასარგებლოდ მოღალატე ქმარს დიდი თანხის გადახდაც მოუწევს. ცოლი ქმრისგან სამუდამოდ მიემგზავრება, რომ აღარაფერმა გაახსენოს „დამსხვრეული ცხოვრება“ და აქედან მოყოლებული, ამ ქალაქის მცხოვრებთ აღარაფერი ესმით მის შესახებ. მოღალატე ქმარს კი, წლების განმავლობაში ტანჯავს ამოუხსნელი გამოცანა...

ბუნებრივი იქნებოდა, გვეკითხა — რა აიძულებდათ დებს ასე მოქცეულიყვნენ? ერთი გათხოვდა და მდიდარ კაცს გაჰყვა ცოლად, მალე მეორე დაც იმავე ბედს ეწია. ჰოდა, ეცხოვრათ მშვიდად, რა საჭირო იყო ეს კომედიები? ამის ახსნა სრულიად მარტივად შეიძლება — სინამდვილეში, დებს უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეეძლოთ და მათ მესამე პირი არ სჭირდებოდათ...

როცა ისინი ამხილეს და გაასამართლეს, აღმოჩნდა, რომ დები ციხეში ყოფნის დროსაც კი, თავდაპირველად, თავს ცუდად არ გრძნობდნენ, რადგან ერთად იყვნენ. როცა ისინი ერთმანეთს დააშორეს, უცნაური განგაშის გრძნობა დაეუფლათ, დეპრესია მოეძალათ და ძალიან მალე, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ერთი და გარდაიცვალა და მას ცოტა ხანში, მეორეც მიჰყვა. იმხანად ისინი ერთმანეთს 5 ათასი კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი...

განუყრელნი

„ჯობდა, ობოლზე დავქოწინებულიყავი!“ — ვგონებ, ეს სიტყვები აღმოხდა პოპულარული ფილმის ერთ-ერთ გმირს. ეს, რაღა თქმა უნდა, სადავო საკითხია, მაგრამ ის, რომ ტყუპისცალზე ქორწინება სახიფათოა, დადასტურებული ფაქტი გახლავთ.

გაცნობის შემდეგ, პირველივე რამ, რაც ქალს ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა ჰკითხა, ის იყო — ჰყავდა თუ არა ტყუპისცალი? როცა შეიტყო, რომ ტყუპისცალი კი არა, არც და ჰყავდა და არც ახლო ნათესავები, ხოლო შორებლები სულაც სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ, თაყვანისმცემელი აშკარად დამშვიდდა. მალე ქალმა მისი სევდიანი თავგადასავლის ამბავიც შეიტყო.

აღმოჩნდა, რომ კაცს ადრე ცოლად ტყუპისცალი ჰყავდა. ქორწინების 6 წლიდან, მათ მხოლოდ 7 თვე თუ გაატარეს ერთად. დები დაბადებიდან ერთად ცხოვრობდნენ და პირველად ერთმანეთს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის გათხოვების შემდეგ დაშორდნენ. ქმარი მას თავიდანვე აღიზიანებდა. იგი ვერაფრით შეეგუა გათხოვებას. მიუხედავად ამისა, ეს ქორწინება საკმაოდ იღბლიანად მიიჩნეოდა. არც დიდ ქალაქში ცხოვრება, არც მატერიალური კეთილდღეობა, არც ქმრის მშვიდი ხასიათი და მთელ მსოფლიოში მოგზაურობის შესაძლებლობა მას არ ხიბლავდა. ქალს გამუდმებით აწვალებდა დისკენ თავშეუკავებელი ლტოლვა.

თავიდან ის სხვადასხვა მიზეზს იგონებდა, რაც ზოგჯერ სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა. მაგალითად, მას ზამთრისთვის აუცილებლად თავისი მშობლიური სოფლიდან ჩამოტანილი კარტოფილი უნდა მოემარაგებინა, თორემ, სხვა კარტოფილის ჭამისას, თურმე, გასტრიტი ეწყებოდა, ან სწორედ თავისი სოფლის რაიონული ცენტრის პოლიკლინიკის ოტოლარინგოლოგს უნდა სჩვენებოდა... ერთხელ, სწორედ მის გამგზავრებასთან დაკავშირებული მწვავე კამათის დროს გაირკვა კიდეც ჭეშმარიტი მიზეზი.

ცოლმა თვალი თვალში გაუყარა და უთხრა, რომ ქმარს არასოდეს ესმოდა მისი და ვერც ვერასოდეს გაუგებდა ისე, როგორც მის საკუთარ ტყუპისცალს ესმოდა; რომ ის მხოლოდ დასთან გრძნობდა მართლაც თავდაჯერებულად თავს, მისგან მოშორებით კი, უარყოფილ ნახევრად ქცეული, სევდით შეპყრობილი იტანჯებოდა... მსგავსი რამ ბევრ სხვა ტყუპსაც უთქვამს, რომლებიც ერთმანეთთან რაღაც უცნაური, მისტიკური ძაფებით არიან დაკავშირებული...

თუ ტყუპთან ერთად მოგიწევთ სუფრასთან ჯდომა, ნუ გაგიკვირდებათ, თუ დები (ან ძმები) ღვეზლის ერთი და იმავე ნაჭრისკენ წაიღებენ ხელს, მაგრამ თუ ერთ-ერთი მათგანი პირველი შეჭამს მას, მეორე თავს დანაყრებულად იგრძნობს... როცა კბილმტკივანი ტყუპისცალი გხვდებათ, რომელსაც ხელი მარჯვენა ლოყაზე აქვს მიდებული, დარწმუნებული იყავით, რომ მეორე დას ხელი მარცხენა ლოყაზე ექნება აფარებული. ისინი ფეხსაც კი ერთსა და იმავე ადგილზე წამოჰკრავენ ხოლმე და თუ ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით ხელს მოიტეხს, ჩათვალეთ, რომ რაღაც მსგავსი, გარკვეული დროის შემდეგ მეორესაც შეემთხვევა.

მოცეკვავე ტყუპი და ერთნაირ შეცდომებს უშვებს ცეკვისას, ისე, რომ ამ

გაგრძელება იხ. 69-ე გვ.



თუ აურა უარყოფითი მუსტისაგან არ განიწმინდა, წამლის ზემოქმედება სასურველ შედეგს არ მოგვიტანს

ცნობილი მკურნალი, ექსტრასენსი და შემლოცველი ირაკლი ლომაია, რომელსაც 17 წლის ასაკში სხეულზე ჯვრები გამოესახა და მირონი გადმოედინა, 2000 წელს მთელმა საქართველომ გაიცნო. მისი ფენომენით უცხოელებიც დაინტერესდნენ და საგანგებოდ მიიწვიეს იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. ირაკლი ლომაიას სამკურნალო ენერგია და ხილვისას ნასწავლი რეცეპტებით დამზადებული წამლები დადებითად მოქმედებს ფსიქიკურად დაავადებულებსა და ეპილეფსიანებზე; მან ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფები ფეხზე წამოაყენა, საიდან აღარ ჩამოდიან დახმარების სათხოვნელად, ირაკლის ოფისში მუდამ ცოცხალი რიგია. მას ხშირად აკითხავენ მაღალჩინოსნები და ბიზნესმენები. ირაკლი ხილვებით უკავშირდება გარდაცვლილთა სულებს, ხედავს აურის დაბინძურებას და ენერგეტიკული მეთოდით ასუფთავებს ბიოველს, ხსნის თვალს, ჯადოს, საგვარეულო წყევლას, ახდენს კარმის კორექციას.

— ბატონო ირაკლი, გამოლოცვა ავადმყოფსაც სჭირდება?

— მკურნალობის დაწყებამდე პაციენტს ჯერ გამოლოცვა უნდა ჩაუტარდეს, თუ აურა უარყოფითი მუსტისგან არ განიწმინდა, წამლის ზემოქმედება სასურველ შედეგს არ მოგვიტანს.

— რანაირად ასუფთავებთ დაბინძურებულ აურას?

— ვინც ჩემთან გამოსალოცავად მოდის, ღამით თავქვეშ დაიდოს ეკლესიაში ნაყიდი ორი პატარა სანთელი, ზედ ოცთეთრიანი დააკრას და სურათთან ერთად მომიტანოს. დიაგნოზის დასასმელად 3 დღე მჭირდება, რათა ზუსტად გავერკვე, რა სახის ენერგეტიკულ ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე. დაბინძურებულ აურას ვასუფთავებ ენერგეტიკული მეთოდებით.

— როგორ კურნავთ პაციენტებს?

— ვიყენებ ექსტრასენსულ ანუ უკონტაქტო მეთოდს. სეანსების დროს საკუთარი ბიოენერგიით ვარჩენ პაციენტებს. გარდა ამისა, ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით თვითონ ვამზადებ წამლებსა და მალამოებს სამკურნალო მცენარეებისგან. ნებისმიერი დაავადება ინდივიდუალურად მიმდინარეობს და ინდივიდუალურად იკურნება. ასე რომ, ყველა პაციენტს ერთი საზომით ვერ მიუდგები, თითოეული მათგანისთვის სპეციალურ სქემას ვადგენ, თუ, რა თქმა უნდა, მისი ორგანიზმი მკურნალობას დაექვემდებარება. ზოგჯერ ჩემ მიერ დამზადებულ წამლებსა და საკუთარ ბიოენერგიას ერთდროულად ვიყენებ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიო.

— დიაგნოზსაც თქვენ უსვამთ პაციენტს?

— რა თქმა უნდა! ამისთვის ავადმყოფმა უნდა მომიტანოს ახალგადაღებული ფერადი სურათი (3X4-ზე) და ღამე სასთუმალქვეშ ნადები ორი პატარა საეკლესიო სანთელი (ზედ ოცთეთრიანი დააკარით!). მათი მეშვეობით ვიღებ სრულ ინფორმაციას ადამიანის აურიდან ანუ ინფორმაციას ვხსნი ენერგეტიკული მეთოდით და პაციენტს ვუსვამ დიაგნოზს. გარდა ამისა, ვეუბნები, ექვემდებარება თუ არა მისი ორგანიზმი ჩემთან მკურნალობას, თუ არ დაექვემდებარება, ვერაფერს ვუშველი. პაციენტმა აუცილებლად თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა ან პასპორტი ოფისში შემოსასვლელად.

ირაკლი ლომაიას პაციენტები ნაილი გაგუა:

— ძალიან ცუდად ვიყავი, ფეხები აღარ მემორჩილებოდა, 60 წლის ასაკში ლოგინს მივეჯაჭვე. დაინვალიდებულს, ქალიშვილი მივლიდა. დამოუკიდებლად ფეხზე ვეღარ ვდგებოდი, საპირფარეშოში გასვლა არ შემეძლო.

— რა გჭირდათ?

— პარალიზებული ვიყავი, წელს ქვემოთ მოწყვეტილი.

— ვინ გირჩიათ ირაკლი ლომაიასთან მისვლა?

— ჩემმა ბიძაშვილმა. თავის დროზე ისიც ავადმყოფობდა და ირაკლიმ მოარჩინა... ძალიან ვწვალობდი. ქალიშვილმა სამსახური მიატოვა და მივლიდა. ვალები დაგვედო, წამლებში ბევრი ფული დაგვეხარჯა. 5-6 დასახელების აბებს ვყლაპავდი, ნემსებსაც ვიკეთებდი, მაგრამ საკუთარ თავს უკეთესობას ვერ ვატყობდი, უფრო დავსუსტდი, გამოჯანმრთელების იმედი დავკარგე. ბიძაშვილმა ძალით მიმიყვანა ბატონ ირაკლისთან.

— შედეგით კმაყოფილი ხართ?

— ძალიან!.. ფეხებში ღონე მომეცა, ლოგინიდან წამოვდექი, სხვისი მოსავლელი აღარ ვარ. დაინვალიდებულს, ირაკლი ლომაია, რომ იტყვიან, მხსნელად მომევლინა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი.

გიორგი მშვენიერაძე:

— საშინელი დეპრესია მქონდა, ორჯერ ვცადე თავის მოკვლა, მაგრამ მეუღლე უყურადღებოდ არ მტოვებდა და ორჯერვე გადამარჩინა.

— რა დაგემართათ?

— მე და ჩემმა ძმამ დიდი ფული ჩავდეთ საქმეში, მაგრამ ხელი მოგვეცარა და მთელი დანაზოგი ქარს გავატანეთ. როგორც ამ საქმის ინიციატორი, მარცხს ძალიან განვიცდიდი. საკუთარი უნიათობის გამო ძმის ოჯახიც მშრალზე დავტოვე და ამას განსაკუთრებულად განვიცდიდი. უძილობა დამჩემდა, მდგომარეობიდან ვერ გამოვდიოდი, ადამიანების მიმართ ნდობა დავკარგე, ყველა მძულდა, საკუთარი თავის ჩათვლით.

— ფსიქოთერაპევტს არ მიმართეთ?

— მეუღლემ ფსიქიატრი მომიყვანა, წამლებიც გამომიწერეს, კარგა ხანს ვსვამდი, მაგრამ — უშედეგოდ.

— როგორ მოხვდით ირაკლისთან?

— ჩემს მეუღლეს წაკითხული ჰქონდა, მისი ინტერვიუები და ძალით წამიყვანა. ბატონი ირაკლი რომ არა, ვერ გეტყვით, რა მეშველებოდა.

— ახლა როგორ ხართ?

— სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა, თავის მოკვლაზე აღარ ვფიქრობ, იმედიანად ვარ, ღმერთი არ გამწირავს, სარჩოს გამომიჩენს.

მაგდა სისაური:

— მკერდის სიმსივნე მაქვს. ძალიან ვნერვიულობ, 3 შვილის დედას რამე რომ დამემართოს, ბავშვებს რა ეშველებათ?! ჩემ მეტი პატრონი არავინ ჰყავთ.

— მამა სად არის?

— ქმარს კარგა ხანია, გავშორდი, შვილებს მარტო ვზრდი.

— ირაკლისთან ვისი რეკომენდაციით მიხვედით?

— მეზობელმა მირჩია. მასაც სიმსივნე ჰქონდა. ექიმებმა მკურნალობაზე უარი უთხრეს — აღარაფერი გეშველებაო, მაგრამ ბატონმა ირაკლიმ უმკურნალა და დღესაც ცოცხალია.

— შვებას თუ გძნობთ?

— ჯერჯერობით 4 სეანსი ჩავიტარე, მკურნალობის კურსი არ დამიმთავრებია, მაგრამ რა შედარებაა, თავს უკეთ ვგრძნობ, შედეგი რომ აშკარაა, ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია. აღარა მაქვს აუტანელი ტკივილები მკერდის არეში; სიარული მიჭირდა, სუსტად ვიყავი, ახლა ჩემი ფეხით დავდივარ.

ლაურა გოგორიშვილი:

— პირველად 20 წლის ასაკში გავთხოვდი, მაგრამ ბავშვი არ გამიჩნდა. 5 წელი ვმკურნალობდი, უამრავი ექიმი გამოვიცვალე, სხვადასხვა მეთოდი მოვსინჯე, მაგრამ — უშედეგოდ.

— იქნებ, თქვენი მეუღლე იყო უშვილო?

— არა, ექიმებმა უთხრეს, ჯანმრთელი ხარო. ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ დედამთილმა არ მოისვენა, იმდენი უჩიჩინა შვილს, სხვა ქალი შეირთეო, რომ ოჯახი დაგვნგრა. ძალიან განვიცადე, მაგრამ რა უნდა მექნა?! მოგვიანებით, ქვრივს გავყევი ცოლად. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ერთადერთ შვილს თვითონ ზრდიდა. 5 თვის წინ დედაჩემს სიზმარში მოხუცმა ქალმა ტელეფონის ნომერი მისცა და უთხრა — დარეკე, თუ გინდა, შენი ქალიშვილი დაფეხმძიმდესო.

— ვისი ნომერი აღმოჩნდა?

— დავრეკე და ოპერატორმა მიპასუხა, ირაკლი ლომაიას ოფისიაო. გაოგნებული დავრჩი, როცა გავარკვიე, ვისი ტელეფონის ნომერი ჩააწერინა დედაჩემს სიზმარში თეთრსამოსიანმა მოხუცმა... ბატონი ირაკლის მკურნალობის შედეგად, 35 წლის ასაკში პირველად დავფეხმძიმდი და მალე დედა გავხდები, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება, შვილი მეც მეყოლება. სხვა რაღა უნდა ვინატრო?!.

P.S. შპს „მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგ“ ირაკლი ლომაიას ოფისი მდებარეობს მეტროს სადგურ „წერეთელთან“, დიდუბის ქ №4-ში. ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით მენეჯერს. მიღება წარმოებს ყოველდღე, 12-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. მიმღების ტელეფონები: 20.50.52, 20.50.51, ფაქსი: 20.50.53, მობილური ტელეფონები (შეგიძლიათ დარეკოთ 24 საათის განმავლობაში): 995.99.50.15.78. 995.93.92.65.78; მონაცემები შეტანილია ინტერნეტში www.ikaextrasens.com ელფოსტა: ika@ikaextrasens.com,extrasens@mail.ru.

საქმიანი წინადადებებით ან სათანამშრომლოდ ირაკლი ლომაის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ელფოსტით: iraklilomaia@mail.ru

R

დასაწყისი იხ. გვ. 67

...ისინი ერთმანეთს ვერ ხედავენ. მეორეოდ, ახალი ილეთის შესწავლი-...საკმარისია, ერთს გამოუვიდეს იგი, ...მეორეც იოლად ითვისებს ...ლოგიურ მოძრაობას. ამისთვის მას ...ან ერთად მხოლოდ ერთხელ სჭირდ-...ა ილეთის გამეორება.

...ერთხელ, უცხო ქვეყანაში მოგზაურო-...ის დროს, დები ექსკურსიისას დაი-...ალენ. ხანგრძლივი გზააბნეული ხეტია-...ის შემდეგ, ისინი ქალაქის ერთ პატ-...არა ქუჩაზე შეხვდნენ ერთმანეთს... აღ-...ანიშნავია ის ფაქტიც, რომ სხვა გზააბ-...ნეულ ტურისტებს შორის, ეს ერთადერ-...ი ჩვილი გახლდათ, რომელმაც დიდ ...ალაში ერთმანეთი იპოვა.

...რა მოვუხერხოთ პირად ცხოვრებას? — ...რთული საკითხია. როდესაც ერთ-...ერ ტყუპისცალს რომანი აქვს გაჩაღე-...ული, მეორეს უგუნებობა ეწყება. ეშვე-...ა, ჯნება და მაშინ პირველი თავს ანებებს ...ქვეყფერს, რათა დასთან (ძმასთან) ახ-...ლოს იყოს. რომანი კი, ამასობაში ფლა-...ცდება. ის ფიქრობს: „ჯანდაბამდე გზა ...ჰქონია! და (ძმა) უფრო ძვირფასია“.

...მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის? ...ინსმ კითხვა — რა უნდა ქნან დებმა ...შემდეგ? როგორ უნდა შექმნან ოჯახები, ...როგორ უნდა მოიწყონ პირადი ცხოვრე-...ება?

ვიმეორებთ სცენარს

...შემდგომში კი, ხდება ის, რომ მათ ...ცხოვრებაში ერთი და, მეორის ნაბიჯს ...იმეორებს და აქ უკვე „ერთი ნაჭერი ...ლვზლის“ კანონი (ერთმა შეჭამა — მე-...ორე დანაყრდა) აღარ მოქმედებს.

...მელანი და ჯეინი 25 წლამდე ...განყრელნი იყვნენ. ძნელი იყო მათი ცალ-...ცალკე წარმოდგენა. ყველა მეგობარი და ...ნაცნობი მათ ერთ მთლიანობად აღიქ-...ვამდა. მხოლოდ ის იყო, რომ მელანი ...ოდავ უფრო აქტიური იყო და ზოგჯერ ...ეის უპირატესობას იმით ამტკიცებდა, ...რომ დის აღზრდას ცდილობდა. და აი, ...ერთხელ, საშინელება მოხდა — ჯეინმა ...გადაწყვიტა. დასაწყისში კატას-...ტროფის მომასწავებელი არაფერი ჩან-...და. ჯონი საოცად სასიამოვნო, მუდამ ...მოღიმარი და მორცხვი ყმაწვილი, დებზე ...3 წლით უმცროსი იყო. გაცნობისთანავე ...ბუნებრივად შეეთვისა გოგონებს და მათ ...ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილიც ...დაიკავა. და აი, მოულოდნელად ჯეინი ...ტოვებს მშობლიურ სახლს და მიდის ...მასთან — „განმშორებელთან“!.. მელანი ...მძინვარებდა. სასიძოს უმალვე უამრავი ...ნაკლიც აღმოუჩინა. იქამდეც მივიდა, რომ ...მას „არარაობა“ უწოდა. მაგრამ ტყუპის-...ცალმა სიმტკიცე გამოიჩინა და საქმროზე ...ური არ უთქვამს. „მელანიმ კი — რომელ-...ი მარტო დარჩა, — სავსებით დაკარგა ...თავისი სახე!“ — წუხდნენ მეგობრები და ...ეს სრული სიმართლე გახლდათ...

...თუმცაღა მოგვიანებით, მწვავე ...დეპრესიის პერიოდმა განვლო და ის ...მეგობრების წრეში, მოღიმარ, მორცხვ ...ყმაწვილთან ერთად გამოჩნდა, რომელიც ...მასზე 3 წლით უმცროსი იყო. „პიტერი“, — მორიდებით გაეცნო ბიჭი მათ. „პიტერი კი არა, პიტი!“ — „შეუსწორა“ მელანიმ... ცოტა ხანში, იმისთვის, რომ დაგვედგინა, თუ როგორ ვითარდებოდა ჯეინისა და მისი ქმრის ურთიერთობა, საკმარისი იყო, მელანისა და პიტს დავკვირვებოდით... ერთ ქორწილს 3 თვის შემდეგ, მეორე მოჰყვა, მერე — მელანის „ნაჩქარევი“ ორსულობა (ჯეინმა ბუნებრივია, დას ამაშიც დაასწრო) და ასე შემდეგ...

მოძულენი

ეშმაკზე თუ ვილაპარაკებთ, არსად მას ისეთი თავისუფალი მოქმედების ძალა არ შესწევს, როგორიც ზოგიერთ ტყუპ დასთან, რომლებიც თავიანთი მსგავსების გამო თავბედს იწყევლიან.

პოლის ბავშვობიდანვე სძულდა კეტი. მას ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ მათ მომხიბლავ გარეგნობაზე ნათქვამი ქათინაურები, დასთან უნდა გაენაწილებინა. ერთხელ, ჯერ კიდევ 8 წლისანი იყვნენ, როცა პოლის, აგარაკის ბნელ სარდაფში ჩაკეტილი კეტი „დაავიწყდა“, სადაც „მზეთუნახავისა და ურჩხულის“ სათამაშოდ იხმო დაიკო (ურჩხულის როლი, რაღა თქმა უნდა, კეტის ერგო). ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ კეტის აზრადაც არ მოსვლია, თუ დამ ეს განზრახ გაუკეთა!.. მოგვიანებით, ასევე ვერ წარმოიდგენდა, რომ თითქოსდა უხერხულობისგან თვალებდახრილი პოლი მის მორიგ თაყვანისმცემელს ასეთ სიტყვებს ეტყოდა: „ერთადერთი განსხვავება ჩვენ შორის ისაა, რომ კეტი ენურეზითაა დაავადებული და ამბობენ, რომ ეს უკურნებელია“.

„საწყალი გოგო, — ფიქრობდა ახალგაზრდა ყმაწვილი. — როგორ შეძლებს ასეთი საზარელი ნაკლით გათხოვებას?..“ ამის შემდეგ, ნებისმიერი თაყვანისმცემელი კეტის ივიწყებდა და მისი „ექსკლუზიური“ ოხვრის საგანი, პოლი ხდებოდა. მაგრამ როცა კეტი ბოლოს და ბოლოს, შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელიც პოლის ცილისწამებას არ აჰყვა, მაშინ უკვე, საჩუქრის სახით, სცენაზე „მოწამლული ვაშლი“ გამოჩნდა — საგზური ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც საუცხოოდ ხარობს არნოლდის რაფლეზია — მცენარე, რომლისგანაც დებს ბავშვობაში მწვავე ალერგიის შეტევა ჰქონდათ, რაც კინაღამ ლეტალური შედეგით დამთავრდა. კეტიმ ამის შესახებ დიდი ხნის წინ დაივიწყა, აი, პოლის კი ახსოვდა...

ამბავი მშვიდობიანად დასრულდა, კეტიმ შეძლო, თავიდან აეცილებინა დაუმსახურებელი სიკვდილი, პოლი კი, პლასტიკური ოპერაციის გასაკეთებლად გაემგზავრა და ცოტათი დაწყნარდა, როდესაც ყველამ აღიარა, რომ ოპერაციის შემდეგ ის საოცრად დამშვენდა და ოდნავღა თუ ჩამოჰგავდა ტყუპისცალ დას...

ოინი ხელის თხოვასთან დაკავშირებით

ერთ-ერთი ორგანიზაციის რუტინული ცხოვრება მოულოდნელმა ამბავმა ააფორიაქა: ვინმე კევინი ეყრებოდა ცოლს, რომელთანაც მთელი 30 წელი გაეტარებინა, ახლა კი, ვიღაც ახალგაზრდა ქალზე დაქორწინება განეზრახა. მართლაც რომ საგანგებო მოვლენა გახლდათ, რადგან მეუღლეები წლების განმავლობაში შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და არავინ ელოდა, თუ საზოგადოებას მსგავსი გამოხდომით გააკვირვებდნენ.

სამსახურში შემთხვევის ყველა წვრილმანი განიხილეს და მოღალატე ქმარს, რომელსაც ეშმაკი შესჩენოდა, მკაცრი განაჩენი გამოუტანეს. ამის შემდეგ კი, ყველა მოუთმენლად ელოდა ახალდაქორწინებულთა გამოჩენას.

ეს ამბავი პირველად, შეფის მდივანმა შეიტყო. ის გაფართოებული თვალებით შევარდა ოფისის დარბაზში და ასისინდა: „ყველანი დასხედით, ახლა ისინი შემოვლენ, ოღონდ, ძალიან გთხოვთ — არავითარი შეძახილი!“ მართლაც, კარი გაიღო და ისინი შემოვიდნენ. გაკვირვებისგან, ვინც იჯდა, თითქოს უფრო მიეზარდა სკამს. შეძახილები არ აღმოხდენიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შეძლეს — ხმა დაკარგეს... მოკლედ, ყბადაღებული კევინი შემოვიდა ცოლყოფილის „ასლთან“, ოღონდ — 20 წლით მასზე ახალგაზრდა ქალთან ერთად. „ორეული!“ — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გაისმა ვიღაცის ჩუმი ხმა. „ფუი, ეშმაკს!“ — დაუმატა ვიღაცამ. მაგრამ სინამდვილეში, პატარძალი არც ერთი არ აღმოჩნდა...

ყველასათვის ცნობილი გახლდათ, რომ კევინის ყოფილ ცოლს ჰყავდა ტყუპისცალი, რომელიც სადღაც სხვა ქალაქში ცხოვრობდა. დები, რა თქმა უნდა, ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ — კევინის გარეშე. ერთი წლის წინ კი, ტყუპისცალი თავის ქალიშვილთან ერთად ჩავიდა იმ ქალაქში ნათესავების სანახავად... იოლია იმის მიხვედრა, თუ რა მოხდა შემდგომ...

ყველა ზემოთ მოყვანილი ამბავი — გამონაკლისია. უფრო ხშირად, ტყუპები რაღაც გარკვეულ ასაკამდე, მეგობრულად ცხოვრობენ, შემდეგ თავიანთ პირად ცხოვრებას იწყობენ და ცალ-ცალკე ცხოვრებას ეჩვევიან. ერთმანეთს კი, როგორც ჩვეულებრივი ნათესავები, ისე ხვდებიან.

...ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა, გამონაკლისთა რიგიდან: საფრანგეთში ვინმე სოფია ბუჟე მოულოდნელად პნევმონიისგან გარდაიცვალა. ზუსტად ერთ თვეში, ამავე ავადმყოფობისგან გარდაიცვალა ამერიკელი პოლა კროუსიც. ისინი ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ ტყუპისცალები იყვნენ და რაღაც ბრმა შემთხვევის გამო, ბავშვობაში დაუშორებიათ ერთმანეთისთვის... ■

რამდენად დიდი სურვილი გაქვთ, რომ გათხოვდეთ?

იშვიათად შეხვდებით ქალს, რომელიც საკუთარი ნებით უარს ამბობს გათხოვებაზე. „მე არ გავთხოვდები“ — ამ სიტყვებში, ხშირ შემთხვევაში, კეკლუცობა ან იმის შიში იგულისხმება, რომ პარტნიორის პოვნის ფარული ლტოლვა არ გამჟღავნდეს. გათხოვების სურვილი კი შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. გაინტერესებთ, თავად თქვენ რატომ გაქვთ გათხოვების ასეთი დაუძლეველი სურვილი? უპასუხეთ შეკითხვებს და პასუხსაც მიიღებთ.

I ბლოკი. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ აზრებს? *1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 11, 12, 14, 17* შეკითხვებში დაიწერეთ 3 ქულა, თუკი აირჩიეთ პასუხი — „აბსოლუტურად ვეთანხმები, 2 ქულა, პასუხში — „ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ არა“, 1 ქულა პასუხში — „სრულებით არ ვეთანხმები“. *6, 10, 13, 15, 16* შეკითხვებში ქულები შემდეგნაირად დაიწერეთ: „აბსოლუტურად ვეთანხმები“ — 1; „ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ არა“ — 2; „სრულებით არ ვეთანხმები“ — 3.

1) სამსახურებრივ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებს არ ძალუძს ოჯახური ბედნიერების შეცვლა.

2) მარტოხელა ქალი, გათხოვილთან შედარებით, ყოველთვის ნაკლებად ბედნიერია.

3) შინაბერები გარშემო მყოფებში მხოლოდ სიბრალულის გრძნობას იწვევენ.

4) ქალები, რომლებიც არასოდეს ყოფილან გათხოვილები, ჩვეულებრივ, ცუდი ხასიათითა და უსიამოვნო გარეგნობით გამოირჩევიან.

5) ხვალინდელი დღის იმედი მხოლოდ გათხოვილ ქალს შეიძლება ჰქონდეს.

6) ხშირ შემთხვევაში, პიროვნულ ჩამოყალიბებაში ქალს ხელს უშლის ოჯახი.

7) არანაირ სიხარულს არა აქვს აზრი, თუკი მას ახლობელ ადამიანს ვერ გაუზიარებ.

8) მარტო ყოფნას, ცუდი ქმრის ყოლა სჯობს.

9) შთამომავლობა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების აზრს წარმოადგენს.

10) მარტოხელა ქალს, გათხოვილთან შედარებით, უამრავი უპირატესობა აქვს.

11) ქორწინება აუცილებელია. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი ეს ქორწინება ბედნიერი არ აღმოჩნდება, შეგიძლია გაეყარო ქმარს.

12) უმჯობესია, განათხოვარი იყო, ვიდრე საერთოდ არ გათხოვდე.

13) არსებობენ ქალები, რომელთათვისაც უმჯობესია, რომ არ გათხოვდნენ.

14) თუკი არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდი, უმჯობესია, უსიყვარულოდ გათხოვდე, ვიდრე უმამოდ გაზარდო შვილი.

15) ქორწინების გარეშე სიყვარულმა შესაძლოა, უამრავი სიხარული მოგანიჭოს.

16) კარიერის შექმნით გატაცებული ქალები უფრო ხშირად შორდებიან ქმრებს.

17) უმამო ბავშვებს რისკის ჯგუფში მოხვედრის უფრო დიდი შანსი აქვთ.

თუკი 35 ქულაზე ნაკლები მოაგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — H, ხოლო თუ 35 ან უფრო მეტი ქულა მოაგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — B.

II ბლოკი. რა ასოციაცია გიჩნდებათ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა: „ცხოვრება“, „ქმარი“ და „ოჯახი“? ყოველ მოცემულ შემთხვევაში შეგიძლიათ აირჩიოთ არა უმეტეს ორი პასუხისა. პასუხების ფასება მოცემულია ფრჩხილებში.

ცხოვრება: შრომა(1), წარმატება(2), განვითარება(3), სიყვარული(4), სული(5).

ქმარი: სახლი(1), მფარველი(2), დასასწაული(3), მეგობარი(4), სინაზე(5).

ოჯახი: სამზარეულო(1), საზრუნავი(2), შვილები(3), მხარში ამოდგომა(4), გაგება(5).

თუკი 18 ქულაზე ნაკლები მოაგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — H, ხოლო თუ 18 ან უფრო მეტ ქულა მოაგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — B.

ტესტის შედეგები

HH — ხანგრძლივი, სტაბილური ოჯახური ურთიერთობებისთვის არ ხართ დაბადებული. შესაძლოა, ქორწინებისკენ გიბიძგოთ ცნობისმოყვარეობამ ან მოღალატე სატრფოზე შურისძიებამ. თუმცა, სულის სიღრმეში თქვენ ოჯახურ კერას ელტვით. თქვენთვის სულერთია, რა აზრის არიან თქვენზე ირგვლივ მყოფები. საკუთარ ინტიმურ აზრებს მხოლოდ მეგობარ გოგონას უზიარებთ. დაფიქრდით, მაშინ რაღაში გჭიდებათ ქმარი?

HB — თქვენ მყარი და ნაზი ურთიერთობების მომხრე ხართ, თუმცა ოფიციალურად რეგისტრირებულ ქორწინებას დიდად არ ელტვით. ყველაზე მეტად სულიერ სიახლოვეს აფასებთ და გეშინიათ, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ წარმოქმნილი გარდაუვალი სირთულეები თქვენს სიყვარულს რომანტიკულობას დაუკარგავს. თქვენთვის შეურაცხმყოფელია სიტუაცია, როცა ქალი თითქმის ძალით მიათრევს საკუთარ რჩეულს მმაჩის ბიურომდე.

BH — გათხოვილი ქალის სტატუსი თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუკი რაღაც მიზეზების გამო პარტნიორის პოვნა გაგიჭირდათ, შესაძლოა დაუფიქრებელი ნაბიჯიც გადადგათ და პირველსავე შემხვედრს გაჰყვეთ ცოლად. თუნდაც ოჯახში არ სუფევდეს სულიერი სითბო და გაგება, ეს მის დასანგრევად საკმარის მიზეზად სულაც არ მიგაჩნიათ. ოჯახს არ დაანგრევთ, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, საყვარელი გაიჩინოთ. ოღონდ თქვენთვის მთავარია, რომ ამის შესახებ არავინ შეიტყოს.

BB — თქვენ იდეალურ ქორწინებაზე ოცნებობთ და წარმოსახვაში შექმნილი იდეალიდან ნებისმიერი გადახვევა, უდიდეს იმედგაცრუებას იწვევს თქვენში. ამიტომ გათხოვებას დიდად არ ჩქარობთ. მაგრამ ერთი რამ თქვენთვის ცხადზე უცხადესია — ბოლოს და ბოლოს, როცა ამ ნაბიჯის გადადგმას გადაწყვეტთ, ძალზე სერიოზულად მიუდგებით ამ საკითხს.

1 დათვზე სანადირო მსხვილი ტყვია
2 ბოლოკის ღერო
3 ამერიკის შტატი
4 ესპანეთის ფეხბურთი სგუდდი
5 სახოტბო შეძახილი
6 რუსი კომპოზიტორი
7 თხელი თონის პური
8 სახელმწიფო აზიაში
9 ქალაქი გერმანიაში
10 პორტუგალიის დედაქალაქი
1 ანასტეზიული ნივთი
12 კათხა
13 ბგიდარაც მაგალი
14 პატარა ლუზა
15 ნადირობა აფრიკაში
16 წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომში
17 პოეტი ... კალანდაძე
18 წინსართი, ნიშნავს ორმაგს
19 ვარების მართვის ორგანო
20 ჩეხი მწერალი
21 სახელმწიფო აფრიკაში
22 მალი, წვრილი ხმით სიკილი
23 ხორის გამოფული
24 უნაკლო ბრილიანტი
25 ხისძირიანი ფეხსაცმელი
26 ქართველი პოეტი
27 ქალაქი საქართველოში
28 უუფლებო ადამიანი
29 თვალის ფერადი გარსი
30 ... კალმანი
31 დიდი შალაშინი
32 მაჰმადიანთა რელიგია
33 ყურანის ცალკეული თავი
34 ლოკატორი
35 სატრანსპორტო საშუალება
36 გრძელი, ფართო წამოსასხამი
37 თეატრალური კოლექტივი
38 ტიბეტური ხარი
39 სასწორის თეფში
40 უმცროსი მედ. მუშაკი
41 ქართველი მომღერალი ქალი
42 ფეხბურთელის ამპლუა
43 ძვირფასმერქნიანი ფოთლოვანი ხე
44 კანადის ფულის ერთეული
45 ჩინელი დიქტატორი
46 ულაბნო აზიაში
47 არენდა



ინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. რეპორტიორი; 2. პუდელი; 3. ატრია; 4. ნიანგი; 5. ტატრა; 6. გრენადა; 7. ბადმინტონი; 8. მზე; 9. ოკრიბა; 10. ბაგე; 11. თემიდა; 12. ბაკურიანი; 13. ელი; 14. ბებუთი; 15. ადმირალი; 16. იარდი; 17. ბარდა; 18. თითა; 19. გრიფიტი; 20. სამაია; 21. პინგვინი; 22. მარანა; 23. ანკარა; 24. ...ოეტი; 25. ნატურა; 26. ილია; 27. ბედუინი; 28. ბოი; 29. ალბიონი; 30. მორიელი; 31. გემი; 32. სამოა; 33. ლაშარი; 34. სირტაკი; 35. ...; 36. ლიონი; 37. წირი; 38. ომეგა; 39. ...ირანი; 40. მწარე; 41. ტაიმი; 42. მუჭი; 43. ურა; 44. ინიციატივა; 45. კენჭი; 46. ვირი.

სურათზე: რობი უილიამსი; შაკირა

პრეზიდენტის კარიკატურიანი მაისური

ვერმონტელმა მოსწავლემ, რომელსაც სკოლის ხელმძღვანელობამ ჯორჯ ბუშის კარიკატურით დამშვენებული მაისურის ჩაცმა აუკრძალა, სიტყვის თავისუფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა. 2004 წელს მეშვიდეკლასელმა ზაკერი ჯილესმა მშობლების დახმარებით Williamstown Middle High School-ის ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივლა და სკოლის ადმინისტრაციას მისი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფაში დასდო ბრალი. ბიჭის მაისური, რომელზედაც ამერეკის პრეზიდენტი ალკოჰოლიკად და დეზერტირად იყო გამოსახული, სკოლის მესვეურთ თვალში არ მოუვიდათ. მაისურზე ჩაჩქანში გამოწყობილი, წინილისტანიანი უმცროსი ბუში კოკაინის ბილიკების, ჩალის ღეროების, სამართებლებისა და მარტინის ბოთლების გარემოცვაშია წარმოდგენილი. ამ სურათს მსხვილი შრიფტით გაკეთებული წარწერა აგვირგვინებს: Chicken.Hawk-In-Chief მაისურზე უხვადაა სხვა საინტერესო კომენტარიც. მაგალითად: Crook, Cocaine Addict, AWOLDraff Dodger, Lying Drunk Driver (ლოთი, ნარკომანი, დეზერტირი, მატყუარა, ლოთი და სხვა). ზაკერი ჯილესმა განაცხადა, რომ ეს შესანიშნავი მაისური ანტისაომარ მიტინგზე შეიძინა და სკოლაში კვირაში ერთ დღეს იცვამდა და ამით ომისადმი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავდა. სკოლის ხელმძღვანელობამ პაციფისტურად განწყობილი აღსაზრდელის სულისკვეთება არ გაითვალისწინა და მას სკანდალური მაისურით სკოლაში გამოჩენა აუკრძალა, მაგრამ იურიდიულ საკითხებში განსწავლულმა ბიჭუნამ დახმარებისთვის თემიდის მსახურთ მიმართა. საქმის პირველ მოსმენაზე მოსამართლემ სკოლის ხელმძღვანელობას მხარი აუბა და გაიზიარა მათი მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეურაცხმყოფელი მაისური სასწავლო დაწესებულების ნარკოტიკების საწინააღმდეგო პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ბიჭის მშობლებმა აპელაცია შეიტანეს. მათი სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლოს ვერდიქტში ნათქვამია: „პრეზიდენტის პოლიტიკის კრიტიკისთვის, უხეში გამოთქმების გამოყენებისა და მისი რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენების მცდელობის მიუხედავ მაისური, კანონის თვალსაზრისით, შეურაცხმყოფელი არ არ სააპელაციო სასამართლო დაქვემდებარებულ ინსტანციას ი შიც დაეთანხმა, რომ ზაკერის სკოლიდან დროებით გარიცხ ფაქტი მის პირად საქმეში არ ფიგურირებდეს.

ვატიკანი ამოს არსებობას აღიარებ

როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, ვატიკანმა უცხოპლ ეტელთა არსებობის ფაქტი აღიარა. „თუ სადმე არამიწიე არსებანი არსებობენ, ისინი ჩვენი ძმები, ღვთის შვილნი არი — განაცხადა ვატიკანის ასტრონომიული ობსერვატორიის ახ მა დირექტორმა ჟოზე გაბრიელ ფუნესმა. დღემდე რომ კათოლიკური ეკლესია თავს არიდებდა მსჯელობას იმის შესახ არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელი არსებანი. ეკლესიის პოზი ის ცვლილება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ობსერვატორ შესაძლოა, არამიწიერი ცივილიზაციის არსებობის დამად ტურებელ მონაცემებს ფლობდეს. ვატიკანელი ასტრონომები პრობლემას კარგა ხანია საკუთარი ინიციატივით იკვლევ ვატიკანელი მეცნიერები ფიქრობენ, რომ უცხოპლანეტელ არსებობა ეკლესიის სწავლებას არ ეწინააღმდეგება: იესო მხოლოდ დედამიწის კი რა, მთელი სამყაროს მხსნელია!

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	3	9	4	2	7	6	5	8
5	4	2	8	6	3	9	7	1
6	8	7	1	5	9	4	3	2
2	7	5	6	3	8	1	9	4
4	6	3	5	9	1	2	8	7
9	1	8	7	4	2	5	6	3
3	9	1	2	7	6	8	4	5
7	2	4	9	8	5	3	1	6
8	5	6	3	1	4	7	2	9

9	8	1	2	4	3	6	5	7
5	3	6	8	7	1	4	9	2
7	4	2	6	9	5	3	8	1
2	6	5	3	1	9	7	4	8
4	7	3	5	2	8	1	6	9
1	9	8	4	6	7	2	3	5
3	2	7	9	8	6	5	1	4
6	1	9	7	5	4	8	2	3
8	5	4	1	3	2	9	7	6

4	2	8	7	1	9	6	5	3
6	7	9	5	3	4	1	8	2
1	5	3	8	2	6	4	9	7
5	4	7	1	6	2	8	3	9
2	3	1	9	8	7	5	6	4
8	9	6	3	4	5	2	7	1
9	8	2	6	7	1	3	4	5
3	1	5	4	9	8	7	2	6
7	6	4	2	5	3	9	1	8

* მარტივი

3	5	9	1	2	4	8	6	7
8	1	4	6	7	9	3	5	2
6		7	8	5	3	1	4	9
9	8	2	7	4	5	6	1	3
7	6	5	3	9	1	2	8	4
4	3	1	2	6	8	7	9	5
5	7	8	9	1	2	4	3	6
2	9	3	4	8	6	5	7	1
1	4	6	5	3	7	9	2	8

** საშუალო

3	9				2	4	1	7
1					9	2	5	8
2					4	3	6	9
		9	3	2	8	7	4	
	2	1		7	6	9	8	
	3		4	9	5	1	2	
9	5	7	2	6	1	8	3	4
8	1	3	5	4	7	6	9	2
6	4	2	9	8	3	5	7	1

*** რთული

8			7			9		
	4			2			6	
9								
	3		6				4	
4			5					6
	8						5	
								9
	5			3			8	
		3			2			7

ფოტოკუიზი





Premier by Dead Sea Premier

ნიღაბი ღამის ფეხია

b 35/34

ნებადართულია გამოყენება



დაჯილდოვებული
ჰოობოს საუკეთესო
პროდუქტი

ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
შ.პ.ს. ი.ლ. პრემიერი
www.il-premier.ge